

საჯლის მსიფვისა



პროექტი დაფინანსებულია
ევროკავშირის (EU) მიერ



საქსის მანიფესტი

დემოკრატია არ გულისხმობს მხოლოდ
არჩევანს, არამედ არჩეულზე ზემოქმედებას,
იზრუნოს საქსის ინტერესების დასაცავად

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრება არ ეკუთვნის ევროკავშირს და არ უნდა იქნეს აღქმული, როგორც ევროკავშირის პოზიცია.



Project is funded by the
European Union (EU)



რედაქტორი: სათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

**გამოცემაზე პასუხისმგებელი: ლელა ტალიური
თამარ ბართია**

პუბლიკაციის შინაარსი ეყრდნობა საიას და სამართლიანი არჩევნების რეგიონალური და რაიონული კოორდინატორების, პროექტში მონაწილე მოქალაქეების მიერ მოწოდებულ მონიტორინგის ფორმებსა და ანგარიშებს.

აიწყო და დაკაბადონდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.

ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102, საქართველო

(+99532) 93 61 01, 95 23 53

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

ს ა რ ჩ ე ვ ი

სიტუაციის ზოგადი ანალიზი -----	6
საკანონმდებლო ჩარჩო -----	6-7
მოქალაქეთა ტრენინგები -----	7-8
თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენელთა ტრენინგები -----	8
სასწავლო ტურები -----	8-10
პრესკონფერენციები -----	10
ფოტოგამოფენა -----	10
სტატიათა კონკურსი -----	11-12
ფოკუს ჯგუფები -----	12-30
„თემის მობილიზება“-ადგილობრივი ხელისუფლების დაპირებები -----	30-33
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის მონიტორინგი -----	33-34
საჯარო ინფორმაცია -----	34-47
საკრებულოს სხდომები -----	47-56
საბიუჯეტო პროცესები -----	56-65
სარეკომენდაციო წინადადებები -----	65-85
საადვოკაციო კამპანია -----	85-114
მიღწეული შედეგები -----	115-123
მოქალაქეთა ჩართულობა და ადგილობრივი ხელისუფლების დამოკიდებულება -----	124-125
საკანონმდებლო ხარვეზები -----	125
რეკომენდაციები -----	126

წინასიტყვაობა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) წარმოგიდგენთ ერთობლივი პროექტის – „ხალხის მანიფესტი“ – ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების შედეგებს.

აქტივობები, რომლებიც ევროკავშირის (EU) ფინანსური მხარდაჭერით პროექტის – „ხალხის მანიფესტი“ – ნამდვილი დემოკრატია არ ნიშნავს მხოლოდ არჩევნის უფლებას, არამედ არჩეულის იძულებას, იზრუნოს ხალხის ინტერესებზე“ – ფარგლებში განხორციელდა, მიზნად ისახავდა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მონიტორინგისა და კონტროლის კუთხით, მოქალაქეთა და ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების უნარ-ჩვევების გაზრდას, ადგილობრივი პრობლემების მოგვარების პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გამჭვირვალობისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებას და ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემებისა და გამოწვევების აღმოფხვრის პროცესში პოლიტიკური პარტიების/სუბიექტების პასუხისმგებლობის გაზრდის ხელშეწყობას.

პროექტის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენდა აქტიური მოქალაქეებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლების ტრენინგები. საქართველოს 62 მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქში 904 აქტიურ მოქალაქესა და სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელს ჩაუტარდა ტრენინგები აქტიური მოქალაქეობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის მონიტორინგის შესახებ, ხოლო საქართველოს 63 მუნიციპალიტეტში 1022 ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელს თემაზე – მოქალაქეთა ჩართულობა თვითმმართველობის განხორციელებაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციები და საბიუჯეტო პროცესები.

მოსახლეობის პრობლემების იდენტიფიცირებისა და წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში საარჩევნო სუბიექტებისათვის გამოვლენილი პრობლემების გაცნობის მიზნით, საქართველოს 62 მუნიციპალიტეტში ორგანიზება გაუკეთდა 83 ფოკუს-ჯგუფის შეხვედრას, რომლებზეც გამოიკითხა 960 რესპონდენტი. წინასაარჩევნო პერიოდში ფოკუს-ჯგუფების კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული პრობლემები, ანგარიშების სახით, მიენოდა პოლიტიკური პარტიების/საარჩევნო სუბიექტებისა და სხვა სექტორის წარმომადგენლებს მრგვალი მაგიდების შეხვედრებზე.

მოქალაქეების ცნობიერების ამაღლების მიზნით, ორგანიზაციებმა განახორციელეს რამდენიმე აქტივობა. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის გაცნობისა და აქტიური მოქალაქეებისათვის გამოცდილების გაზიარების მიზნით, პროექტის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით ჩატარდა 15 სასწავლო ტური, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 251-მა აქტიურმა მოქალაქემ და 36-მა ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციამ. ასევე, გამოცხადდა სტატიათა კონკურსი, რომლის ფარგლებში მოქალაქეების მიერ დაინერა 48 სტატია თემებზე – “მე და ჩემი თვითმმართველობა”, “თვითმმართველობა ხალხის სამსახურში?!”; “მე რომ ვიყო საკრებულოს წევრი“ კონკურსის შედეგად, გამოვლინდა 7 საუკეთესო სტატიის ავტორი. პროექტში ჩართული აქტიური მოქალაქეების ინიციატივით, თვითმმართველ ქალაქ ბათუმში გაიმართა ფოტოგამოფენა, რომლის მიზანი იყო ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოებისათვის არსებული პრობლემის გაცნობა ფოტომონიტორინგის სახით. მოგვიანებით, ფოტომონიტორინგი განხორციელდა საქართველოს სხვა რეგიონებშიც. პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობებისა და მიღწეული შედეგების, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობების მონიტორინგის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ორგანიზაციების მიერ ჩატარდა 50 პრესკონფერენცია, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. გადაღებულ იქნა 3 მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი, პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგების შესახებ.

ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის გამჭვირვალობისა და მათი ანგარიშვალდებულების გაზრდის ხელშეწყობის მიზნით, მოქალაქეებმა განახორციელეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობების მონიტორინგი მოქალაქეების ჩართულობის სამი ძირითადი მექანიზმის გამოყენებით, კერძოდ, ინფორმაციის საჯაროობის, საკრებულოს სხდომებზე დასწრებისა და საბიუჯეტო პროცესების მონიტორინგის მეშვეობით. პროექტი საინტერესო იყო იმდენად, რამდენადაც მონიტორინგის განხორციელების მანძილზე ხდებოდა როგორც ფოკუს-ჯგუფების შედეგად იდენტიფიცირებული პრობლემების, ასევე 2009 წელს „თემის მობილიზების“ პროექტის ფარგლებში ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან დადებული დაპირებების შესრულების მონიტორინგიც.

მიგვაჩნია, რომ პროექტი წარმატებული იყო, ვინაიდან განხორციელებული კამპანიის შედეგად უკვე მოგვარდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის პრობლემატური 43 საკითხი, ხოლო 65 საკითხთან დაკავშირებით მიღებულია დაპირება სამომავლოდ მათი გადაჭრის თაობაზე.

თუმცა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პროექტის ფარგლებში განხორციელებულმა აქტივობებმა თავი-

სი ფუნქცია შეასრულა და საქართველოს ყველა რეგიონში საზოგადოების გარკვეული ნაწილი საკუთარი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარებით აღჭურვა, ხოლო რეგიონული თვითმმართველობის წარმომადგენლებს საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებისკენ უბიძგა, რაც რეალური თვითმმართველობის განხორციელებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

წინამდებარე გამოცემაში თქვენ მიიღებთ ინფორმაციას პროექტის ფარგლებში, თითოეულ მუნიციპალიტეტში განხორციელებული მიმდინარე საქმიანობებისა და მიღწეული შედეგების შესახებ.

პატივისცემით,



თამარ ჩუგოშვილი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია)



ეკატერინე სირაძე-დელონე

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)

სიტუაციის ზოგადი ანალიზი

პროექტმა „ხალხის მანიფესტი“ დაწერა ინოვაციური მიდგომა ადგილობრივ დონეზე გადანყვეტილებების მიღების პროცესში, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობის კუთხით. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, საქართველოში, საზოგადოების აქტიუობა ამ თვალსაზრისით საკმაოდ დაბალია, განსაკუთრებით რეგიონებში, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ცალმხრივი და ხშირად დაუსაბუთებელი გადანყვეტილებების მიღებას ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. შესაბამისად, რიგ შემთხვევებში, აღნიშნული გადანყვეტილებები სრულად არ ასახავს ადგილობრივი მოსახლეობის ძირითად პრობლემებსა და ინტერესებს. ერთი მხრივ, ისევე როგორც ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ასევე რიგითი მოქალაქეები, განიცდიან იმ გადანყვეტილებების დაგეგმვის, მიღებისა და განხორციელების პროცესისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ცოდნის ნაკლებობას, რომლებიც პირდაპირ ახდენს ზეგავლენას მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე. მეორე მხრივ, საარჩევნო სუბიექტებს ჩვეულებრივი მოქალაქეების ყოფითი პრობლემები მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში ახსენდებათ, პირობას იძლევიან, რომ არჩევის შემთხვევაში მათ ამა თუ იმ პრობლემას მოუგვარებენ, თუმცა, არჩევის შემდგომ ეს დაპირებები ან ავიწყდებათ, ან ამ პრობლემებს არასათანადოდ აგვარებენ.

დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია ინდივიდუალურ მოქალაქეთა და, ზოგადად, საზოგადოების უფლება, მონაწილეობა მიიღოს გადანყვეტილებების მიღების პროცესში არა მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობისა და რომელიმე კანდიდატის ან პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ ხმის მიცემის გზით, არამედ არჩეულ პირთა მუდმივი მონიტორინგისა და კონტროლის მეშვეობით. სწორედ ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, მოქალაქეების ჩართულობისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით, პროექტის ფარგლებში დაწერგულ იქნა სამოქალაქო მონიტორინგის ისეთი მექანიზმები, როგორც არის საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნა, საკრებულოს სხდომებზე დასწრება, სარეკომენდაციო წინადადებებით მიმართვა, საბიუჯეტო პროცესებში თანამონაწილეობა, კონკრეტული პრობლემების ადვოკატირება და სხვა. ყოველივე ამან მოქალაქეებს საშუალება მისცა, დაადგინონ, თუ რამდენად შეესაბამება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიღებული გადანყვეტილებები მოსახლეობის პრიორიტეტებს.

საკანონმდებლო ჩარჩო

საქართველოში 2010 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან, ამოქმედდა მთელი რიგი ცვლილებები საქართველოს ორგანული კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ.“ აღნიშნული ცვლილებებით, შეიძლება ითქვას, რომ დაიწყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში. კანონმა გაითვალისწინა დამატებითი გარანტიები მოქალაქეთა მონაწილეობის კუთხით, გადანყვეტილებების მიღების პროცესში. ახლებურად დაარეგულირა თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებები და სიახლე შეიტანა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, შესაბამისი თანამდებობის პირების კომპეტენციებში. მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირებისათვის ვალდებულების განსაზღვრა, რომლის მიხედვითაც, მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ადგილობრივ ხელისუფლებას დაევალა მოქალაქეთა მიღების, საკრებულოს სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობის, მიღებული გადანყვეტილებების კონტროლის გამჭვირვალობისათვის სათანადო ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობების შექმნა.¹ აქედან გამომდინარე, მოქალაქეებს მიეცათ შესაძლებლობა, უფრო მეტად და აქტიურად იყვნენ ჩართულები ადგილობრივი გადანყვეტილებების მიღების პროცესში.

ცვლილება შეეხო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებებს. ექსკლუზიური, ნებაყოფლობითი და დელეგირებული უფლებამოსილებების ნაცვლად, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს მხოლოდ ორი სახის – საკუთარი და დელეგირებული – უფლებამოსილებები დარჩათ. ასევე, საკანონმდებლო დონეზე განმტკიცდა საკრებულოს, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს როლი, ხოლო, ამის პარალელურად, გამეოხა წარმოდგენილ იქნა, როგორც საკრებულოს გადანყვეტილებების შემსრულებელი.

პროექტის განხორციელება მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებთან. არჩევნების შედეგად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ახლად არჩეული (დანიშნული) თანამდებობის პირებისგან დაკომპლექტდა. აღნიშნული პირებისათვის ერთ-ერთ სირთულეს, კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად,

¹ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“- მუხლი. 58¹ 2005წ 16 დეკემბერი.

მოსახლეობის ინტერესებზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელება წარმოადგენდა. მოსახლეობასთან ურთიერთთანამშრომლობა განაპირობებს ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მიღებული გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობას და ზრდის მოსახლეობის ნდობის ხარისხს მათ მიერ არჩეული სუბიექტების მიმართ. ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, პროექტის ფარგლებში მიზნობრივად შეიქმნა ტრენინგების თემატიკა და სათანადო ტრენინგები ჩაუტარდა როგორც მოქალაქეებს, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს.

მოქალაქეთა ტრენინგები




მონაწილეთა კომენტარებიდან ირკვევა, რომ მოქალაქეების ინფორმირებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობების მონიტორინგში საზოგადოების ჩართულობის გაზრდისა და გააქტიურების მიზნით, აუცილებელია მსგავსი სახის ტრენინგების უფრო ხშირად ჩატარება და, ამასთან, უფრო მეტი მოქალაქის ჩართვა.

თითოეულ მუნიციპალიტეტში მოსახლეობიდან შერჩეულ მოქალაქეებს ჩაუტარდათ ტრენინგები აქტიური მოქალაქეობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობების მონიტორინგის შესახებ. ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 62 მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 904-მა მოქალაქემ.²



ტრენინგის მონაწილეებისთვის ყველაზე საინტერესო საკითხები³



² 294 მდედრობითი და 610 მამარობითი სქესის წარმომადგენელი.


³ ინფორმაცია დამუშავებულია 827 შეფასების კითხვარის საფუძველზე. მონაწილეებს ქონდათ რამენიმე ალტერნატიული პასუხის შემოხაზვის საშუალება.



თვითმმართველობის ორგანიზაციის წარმომადგენელთა ტრენინგები

საქართველოს 63 მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისათვის ჩატარდა ტრენინგები თემაზე - მოქალაქეთა ჩართულობა თვითმმართველობის განხორციელებაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციები და საბიუჯეტო პროცესები. საერთო ჯამში, ტრენინგებში 1022⁴ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა.

ტრენინგის მონაწილეებისთვის ყველაზე საინტერესო საკითხები⁵



ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებმა საკმაოდ დადებითად შეაფასეს ტრენინგები და აღნიშნეს, რომ მსგავსი სახის ტრენინგები ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ახლად არჩეული საკრებულოს წევრების უნარ-ჩვევების გაზრდას, არამედ მოსახლეობასა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის ურთიერთთანამშრომლობასაც.

სასწავლო ტურები

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის გაცნობისა და აქტიური მოქალაქეებისათვის გამოცდილების გაზიარების მიზნით, „სამართლიანმა არჩევნებმა“ და „საიამ“ ორგანიზება გაუკეთეს 15 სასწავლო ტურს. სასწავლო ტურის დროს აქტიური მოქალაქეები მოგზაურობდნენ სხვადასხვა რეგიონში, სადაც ეცნობოდნენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას. ტურებისათვის ადგილობრივი ორგანიზაციების შერჩევა მოხდა მათი სამუშაო სფეროს მიხედვით. კერძოდ, ტრენინგების დროს აქტიური მოქალაქეების მიერ გამოვლინდა თემები, რომლებიც მათთვის საინტერესო

⁴ 622 მამრობითი და 400 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი
⁵ ინფორმაცია დამუშავებულია 627 შეფასების კითხვარის საფუძველზე. მონაწილეებს ქონდათ რამდენიმე ალტერნატიული პასუხის შემოხაზვის საშუალება.

იყო. შესაბამისად, აქცენტი გაკეთდა ამავე თემატიკაზე მომუშავე ორგანიზაციებზე. სასწავლო ტურებში მონაწილეობა მიიღო სულ 251-მა აქტიურმა მოქალაქემ და 36-მა ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციამ.

სასწავლო ტურების მიმდინარეობისას, საუბარი შეეხებოდა ისეთ აქტუალურ თემებს, როგორცაა: არჩევნები და საარჩევნო პროცესები, ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის ფორმები, სათემო ინიციატივები, მოქალაქეთა უფლებამოსილებები და ჩართულობა, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნა, არასამთავრობო ორგანიზაციების გამოცდილება ადგილობრივ თვითმმართველობებთან ურთიერთობასა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობასთან დაკავშირებით, ასევე, გენდერული და საკანონმდებლო საკითხები.



სასწავლო ტურები ჩატარდა შემდეგ სამოქალაქო ორგანიზაციებში:

№	არასამთავრობო ორგანიზაცია	სასწავლო ტურის ადგილმდებარეობა
	სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება	ყველა რეგიონში
	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	ყველა რეგიონში
	სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი	აჭარა
	მეცნიერთა კავშირი "ინტელექტი"	აჭარა
	დემოკრატიის ინსტიტუტი	აჭარა
	ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი	გურია
	საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი	გურია
	ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი	გურია
	ახალგაზრდული რესურსცენტრი	გურია
	სამოქალაქო განვითარების სააგენტო	ქვემო ქართლი
	ახალგაზრდული კავშირი რეგიონების განათლებისა და განვითარებისათვის	ქვემო ქართლი
	საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია	იმერეთი
	ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო „გეორგია“	იმერეთი
	კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“	იმერეთი
	“ათინათი”	სამეგრელო
	“სამეგრელოს მედეა”	სამეგრელო
	დევნილ ქალთა ასოციაცია “იმედი”	სამეგრელო
	“სამოქალაქო განვითარების ასოციაცია”	კახეთი
	რადიო “ჰერეთი”	კახეთი
	“ინტელიგენტი ქალები”	კახეთი
	ასოციაცია “ლელი 1”	კახეთი
	მედია ცენტრი “კახეთი”	კახეთი

კახეთის საინფორმაციო ცენტრი	კახეთი
სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების თელავის ბიურო	კახეთი
ორგანიზაცია “ბილიკი”	გორი
“ადამიანის უფლებათა ცენტრი”	გორი
ინვალიდთა კლუბი	გორი
დემოკრატ მესხთა კავშირი	ახალციხე
ზრდასრულთა განათლების ცენტრი	ახალციხე

პრესკონფერენცია

პროექტის მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და “სამართლიანი არჩევნები” რეგულარულად მართავდნენ პრესკონფერენციებს. პრესკონფერენციების მეშვეობით ხდებოდა საზოგადოებისა და მასმედიის ინფორმირება პროექტის მიმდინარე საქმიანობებსა და შედეგებთან დაკავშირებით. პროექტის განხორციელების პერიოდში ჩატარდა 50 პრესკონფერენცია: ბათუმში – 11, ოზურგეთში – 5, ქუთაისში – 7, ზუგდიდში – 5, გორში – 6, ახალციხეში – 5, ახალქალაქში – 1, რუსთავში – 5, გურჯაანში – 5.

ორგანიზაციების მიერ ჩატარებული პრეს-კონფერენციები სხვადასხვა მედია-საშუალებით გაშუქდა 192-ჯერ.

ფოტოგამოფენა



2010 წლის 1 დეკემბერს, პროექტში ჩართული აქტიური მოქალაქეების ინიციატივით, ბათუმში „სამართლიანი არჩევნებისა“ და საიას ორგანიზებით გაიმართა ფოტოგამოფენა, რომლის მიზანი იყო ეკოლოგიური და სანიტარიული დასუფთავების პრობლემების წარმოჩენა და, შესაბამისად, მათი მოგვარება.

ფოტო გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ოთხი ფოტორეპორტიორის ნამუშევრები. სურათებზე ასახული იყო ბათუმისა და ქობულეთის ტერიტორიებზე არსებული დასუფთავების პრობლემები. გამოფენაზე მონვეულნი იყვნენ ადგილობრივი თვითმმართველობის, რეგიონში მოქმედი არასამთავრობო სექტორისა და მასმედიის წარმომადგენლები, საზოგადოების წევრები.

ანუელა ბასილაძე, პროექტის „ხალხის მანიფესტი“ ფოტორეპორტიორი: აღნიშნული პროექტის მიზნებისათვის ფოტომასალის შექმნა ჩემი და ჩემი მეგობარი ფოტოგრაფების იდეა იყო, რომელმაც ვფიქრობ ეფექტურად იმუშავა, თუმცა იდეა უფრო ადრე გაჩნდა – მეგობარი ფოტოგრაფები ვგეგმავდით ბათუმისა და ქობულეთის ნაგავსაყრელების გადაღებას. ამდენად, ჩემთვის საინტერესო იყო უკვე ორგანიზებულად, პროექტის ფარგლებში მუშაობა. ჩვენს მიზანს წარმოადგენდა მასალის შეგროვება და ფოტოგამოფენის მეშვეობით საზოგადოებისთვის მისი მიწოდება. გადასაღებ თემატიკას, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენდა მხოლოდ ნაგავსაყრელები და მხოლოდ აჭარის მასშტაბით. გვქონდა გადაღებები სხვადასხვა რეგიონში და, შედეგად, შევავსოვით დოკუმენტური მნიშვნელობის ფოტომასალა, რომელზეც აღბეჭდილია ჩვენი ქალაქების დღევანდელი ყოფითი რეალობა – როგორც პრობლემები, ასევე მიღწევები. ვფიქრობ, ფოტოგამოფენის გზით საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება ძალიან ეფექტურია, რადგან ეს მარტივად გასაგები, ადვილად აღსაქმელი და სანახაობრივად საინტერესოა. მინდა ვთქვა, რომ შედეგით კმაყოფილი ვარ, რადგან ვფიქრობ, ჩვენ მიერ ფირებზე აღბეჭდილი ფოტოები ჩვენი ყოფიერების უკეთესობისკენ შეცვლის საქმეში ერთ-ერთი აგური იქნება.



სტატიათა კონკურსი

პროექტ „ხალხის მანიფესტის“ ფარგლებში ჩატარდა სტატიათა კონკურსი, რომლის მიზანი იყო პროექტში ჩართული აქტიური მოქალაქეების მიერ დანახული ადგილობრივი თვითმმართველობებისა და მათი საქმიანობების წარმოჩენა. სტატიებისათვის შერჩეულ იქნა სამი თემა:

- თვითმმართველობა ხალხის სამსახურში?!
- მე და ჩემი თვითმმართველობა
- მე რომ საკრებულოს წევრი ვიყო. . .

ავტორთა წახალისებისა და დაინტერესებისათვის კონკურსით გათვალისწინებული იყო ფულადი ჯილდო პირველი სამი საპრიზო ადგილისათვის, ასევე, საუკეთესო სტატიების დაბეჭდვა ადგილობრივ მედია-საშუალებებსა და ჟურნალ „ლიბერალში“.

საერთო ჯამში, კონკურსში მონაწილე აქტიური მოქალაქეების მიერ, პროექტში ჩართული 63 მუნიციპალიტეტიდან, წარმოდგენილი იქნა 48 სტატია. სულ შეირჩა 7 საუკეთესო სტატია, რომელთაგანაც გადანაწილდა სამი საპრიზო ადგილი და ავტორებს გადაეცა ფულადი ჯილდო:

1. ნინო ჩახვაძე
2. ზვიად ბიაშვილი
3. ნანა ნილოსანი

ამასთანავე, დანარჩენი ოთხი სტატია, რომლებიც ასევე საუკეთესოთა შორის დასახელდა, დაიბეჭდა ადგილობრივ პრესაში.



ნინო ჩახვაძე
ქ. ლანჩხუთი
იურისტი
გაზეთი “ლანჩხუთის მოამბე”
ტექნიკური რედაქტორი

ამონარიდი სტატიიდან “თვითმმართველობა ხალხის სამსახურში?!”

. . . უშუალოდ ხალხმა, ამომრჩეველმა უნდა წამოაყენოს საკუთარი კანდიდატი და არა რომელიმე პარტიამ, მმართველი იქნება იგი თუ ოპოზიციური. სახალხო კანდიდატი ხალხის ნდობით იქნება აღჭურვილი და ასეთი პიროვნებების მოსვლა თვითმმართველობაში უპირობოდ შექმნის სახალხო თვითმმართველობას, დემოკრატიულსა და თავისუფალს.



ზვიად ბიაშვილი
ქ. გურჯაანი
საერთაშორისო ურთიერთობების
სპეციალისტი
ტელეკომპანია “გურჯაანი”
პროექტების მენეჯერი

ამონარიდი სტატიიდან „მე რომ საკრებულოს წევრი ვიყო...“

აუცილებლად გავიდოდი მოსახლეობაში და გავიგებდი, რა პრობლემების წინაშე დგანან ისინი. რაც მთავარია, ამას ერთგვრადი სახე არ ექნებოდა. შევეცდებოდი, მაქსიმალურად ჩამერთო მოსახლეობის ყველა ფენა საკრებულოს მუშაობაში.



ნანა წილოსანი
ქ. ლანჩხუთი
კორესპონდენტი
გაზეთი „ლანჩხუთის მოამბე“
ტექნიკური რედაქტორი

ამონარიდი სტატიიდან „მე რომ საკრებულოს წევრი ვიყო...“

როცა საკითხი ისმება ასე – მე რომ ვიყო საკრებულოს წევრი... – თავდაპირველად გავიაზრებდი ჩემს შესაძლებლობებს, თუ რით შემოიძლია ვემსახურო საკუთარ მუნიციპალიტეტს? რას გავაკეთებდი მისი კეთილდღეობის ამალგებისათვის? საკრებულოს წევრი კარგად უნდა ერკვეოდეს მუნიციპალიტეტში შექმნილ ყველა პრობლემაში, მათ შორის, მთავარი მაინც სოციალური საკითხებია, რომელთა გადაუჭრელობამ მრავალგზის ჩაგვაგდო გამოუვალ სიტუაციაში. რა აინტერესებს ხალხს?

ფოკუს ჯგუფები

მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი ადგილობრივი პრობლემების გამოვლენის მიზნით, საქართველოს 62 მუნიციპალიტეტში ორგანიზება გაუკეთდა ფოკუს ჯგუფების 83 შეხვედრას, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სულ **960-მა რესპონდენტმა**. შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული პრობლემების წარდგენა არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიები/საარჩევნო სუბიექტებისათვის. ფოკუს-ჯგუფების შედეგების პრეზენტაცია მრგვალი მაგიდის ფორმატში ჩატარდა, საქართველოს 62 მუნიციპალიტეტში, რომელსაც 16 პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი დაესწრო. მრგვალი მაგიდის დროს მოქალაქეებს საშუალება მიეცათ განეხილათ მოსახლეობისათვის აქტუალური საკითხები და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან ერთად დაესახათ აღნიშნული პრობლემების გადაჭრის გზები.

საქართველოში არსებული სოციალ-ეკონომიკური პრობლემების თვისებრივი კვლევის გაართიანებული ანგარიში

წარმოდგენილი სოციოლოგიური გამოკვლევა არის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ხალხის მანიფესტი“ შემადგენელი ნაწილი. მისი მიზანია იმ პრობლემების გამოვლენა, რომლებიც დღეს-დღეობით აქტუალურია საქართველოში და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროსა და სოციალურ მხარეს ეხება. ანალიზი დაინერა თვისებრივი კვლევის შედეგების საფუძველზე, რომელიც 2010 წლის თებერვლის ბოლოს ჩატარდა. იგი ეფუძნება ფოკუს-ჯგუფების წევრების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

თვისებრივმა კვლევამ, რომელიც განხორციელდა ფოკუს-ჯგუფის მეთოდით, მოიცვა საქართველოს 10 რეგიონი (აჭარა, გურია, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამეგრელო, სამცხე-ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი), რომელთა მოსახლეობის წარმომადგენლების აზრის შესწავლა საფუძველად დაედო ძირითადი პრობლემების გამოვლენას, მათი მიზეზების დადგენას და სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრას.

წარმოდგენილი ანგარიში შედგება 11 ნაწილისაგან: 10 ანგარიში რეგიონულ ტერიტორიაში, 1 გაერთიანებული ანგარიში.

წარმოდგენილი ანალიზები საშუალებას გვაძლევს, რეგიონების მიხედვით და, საბოლოოდ, ქვეყნის მასშტაბით, ემპირიულ საფუძველზე განვსაზღვროთ ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს/უშლის პრობლემების არსებობა/გამოვლენას და დავადგინოთ მათი მოგვარების გზები და საშუალებები.

სამიზნე ჯგუფების შეხვედრებისთვის წინასწარ შემუშავდა სადისკუსიო გეგმა, რომელშიც ფოკუსირებულად აისახა საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებული საკითხები, რაც ხელს უწყობს კვლევის მონაწილეთა დამოკიდებულებებისა და განწყობების გამოვლენას, დისკუსიებში მათ სრულყოფილად ჩართვას და აქ-

ტიურობას. ასეთი მიდგომა, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მრავალფეროვანი და სანდო ინფორმაციის მოპოვებას.

საქართველოს მასშტაბით ჩატარდა 83 ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა, რომლებიც რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა:

აჭარა — 9 ფოკუს-ჯგუფი, გამოიკითხა 102 წარმომადგენელი.

გურია — 4 ფოკუს-ჯგუფი, გამოიკითხა 48 წარმომადგენელი.

იმერეთი — 14 ფოკუს-ჯგუფი, გამოიკითხა 162 წარმომადგენელი.

კახეთი — 10 ფოკუს-ჯგუფი, გამოიკითხა 120 წარმომადგენელი.

მცხეთა-მთიანეთი — 4 ფოკუს-ჯგუფი, გამოიკითხა 48 წარმომადგენელი.

სამეგრელო — 11 ფოკუს-ჯგუფი, გამოიკითხა 126 წარმომადგენელი.

სამცხე-ჯავახეთი — 10 ფოკუს-ჯგუფი, გამოიკითხა 114 წარმომადგენელი.

რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი — 4 ფოკუს-ჯგუფი, გამოიკითხა 48 წარმომადგენელი.

შიდა ქართლი — 6 ფოკუს-ჯგუფი, გამოიკითხა 66 წარმომადგენელი.

ქვემო ქართლი — 11 ფოკუს-ჯგუფი, გამოიკითხა 126 წარმომადგენელი.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა საერთო რაოდენობა შეადგენს 960 რესპონდენტს.

სადისკუსიო გეგმის ძირითადი ბლოკები:

1. წყალმომარაგება; სადრენაჟო/საკანალიზაციო სისტემები;
2. ჯანმრთელობის დაცვა (ჯანდაცვის ობიექტები – საავადმყოფოები და ამბულატორიები);
3. განათლება (ბაღებთან და სკოლებთან უზრუნველყოფა, ბიბლიოთეკები);
4. სოციალური საკითხები (სარწყავი სისტემა, გაზიფიკაცია, ელექტროენერჯია, წყლისგან დამცავი ნაგებობები, შიდა გზები, გარე განათება, უმუშევრობა და სხვა);
5. გარემოს დაცვა;
6. გასართობი დაწესებულებები (დასვენების, კულტურული შეხვედრების ადგილები, პარკები, სათამაშო მოედნები, სპორტული ნაგებობები და ა.შ.);
7. სხვადასხვა.

I. წყალმომარაგება

საქართველოს მასშტაბით ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების მასალების მიხედვით იკვეთება, თუ რა მდგომარეობაა რეგიონების მიხედვით წყლით მომარაგების მხრივ — რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით ქალაქებში, დაბებში/რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში; ტერიტორიული ერთეულების სტატუსების მიხედვით, არის თუ არა განსხვავება წყლის მიწოდების ხანგრძლივობის, რეგულარობის, წყლის ხარისხისა თუ წნევის თვალსაზრისით, რომელი პარამეტრები ფასდება დადებითად/უარყოფითად. ასევე, საინტერესო იყო იმის დადგენა, თუ რას აღიქვამს მოსახლეობა პოზიტიურ ან ნეგატიურ გამოვლინებად და რა ტენდენციები პრევალირებს რესპონდენტთა შეფასებებში.

იმის გათვალისწინებით, რომ კვლევა თვისებრივი ტიპისაა, შესაბამისად, მონაცემები გამოყვანილია რესპონდენტთა სუბიექტური შეფასებების საფუძველზე და იგი ზუსტად ვერ ასახავს წყლის მომარაგებასთან დაკავშირებულ მდგომარეობას. ამდენად, შედეგების განზოგადება შეუძლებლად მიგვაჩნია.

წყალმომარაგების თვალსაზრისით, კვლევის შედეგები განსაკუთრებული ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა. წყალმომარაგების სფეროში არსებული მდგომარეობა საქართველოს მოსახლეობისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. აღმოჩნდა, რომ არც ერთ რეგიონში, რაიონსა ან ქალაქში წყალმომარაგების სისტემა გამართულად არ ფუნქციონირებს. ამის მაგალითად შეიძლება დასახელდეს ისეთი სიდიდის ქალაქები, როგორცაა ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი, გორი, ზუგდიდი, ოზურგეთი და ა.შ., სადაც წყლის მიწოდებას არარეგულარული ხასიათი აქვს და გრაფიკიც ხშირად ირღვევა. ამას გარდა, წყლის მიწოდება სხვადასხვაგვარია ერთი ქალაქის ფარგლებში – უბნების მიხედვით (ძირითადად, ქა-

ლაქის ცენტრალური უბნები უკეთ არის უზრუნველყოფილი). აქედან გამომდინარე, წყლის მიწოდებელი სისტემების ფუნქციონირება დიდ ქალაქებშიც პრობლემურია.

საქართველოს მასშტაბით ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა დისკუსიებიდან ირკვევა, რომ წყლის მიწოდების პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას საქართველოს სოფლებთან მიმართებით, რომელთა დიდ უმრავლესობაში წყალი შეყვანილი არ არის და მოსახლეობა სასმელი წყლის ალტერნატიული საშუალებებით – ჭის წყლით, ჭაბურღილებით, წყაროებით სარგებლობს. თუმცა ეს, თავის მხრივ, სხვა სირთულეებს უკავშირდება; კონკრეტულად, მომხმარებლის მიერ წყლის საქაჩი მოწყობილობების შექმნას, რაც დამატებით მატერიალურ ხარჯებს მოითხოვს, ამასთანავე, ზრდის ელექტროენერჯის გადასახადს. საბოლოოდ კი, გამოდის, რომ მოსახლეობა ზედმეტად იხდის წყლის ფიქსირებულ გადასახადს.

რესპონდენტების მსჯელობებიდან ირკვევა, რომ წყლის სისტემები უნინ არაერთ სოფელში არსებობდა, მაგრამ დღეს ისინი ამორტიზებულია და საფუძვლიან რეკონსტრუქციას მოითხოვს. ამ პრობლემის მოგვარება დიდ ფინანსურ რესურსებს უკავშირდება, რისთვისაც მუნიციპალიტეტის თანხები არ არის საკმარისი (მაგ. იმერეთში, თერჯოლაში) და სასურველია დონორი ორგანიზაციისა თუ კერძო პირის მხარდაჭერა. სარეაბილიტაციო სამუშაოების აუცილებლობაზე მიუთითებენ საქართველოს უკლებლივ ყველა რეგიონში გამოკითხული ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები. თუმცა, მათ მიერვე ფიქსირდება, მდგომარეობის კორექციის მიზნით, ადგილობრივი მმართველი ორგანოების მხარდაჭერით ჩატარებული სამუშაოების ფაქტები, რომლებიც დაზიანებული სეგმენტების შეკეთებით შემოიფარგლებოდა და უფრო ფრაგმენტული, ვიდრე სისტემური ხასიათის იყო. აქედან გამომდინარე, წარმოებული სამუშაოს ეფექტურობა სასურველ შედეგს ვერ იძლეოდა.

საქართველოს რაიონების ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები ადასტურებენ არც თუ მცირე ოდენობის თანხების გამოყოფის ფაქტებს, რაც წყალმომარაგების სისტემების მიმართულებით მდგომარეობას გააუმჯობესებდა, თუმცა რაიმე სახის ცვლილებას ისინი ამ დრომდე ვერ ამჩნევენ.

იმ ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობა (ქალაქებშიც და სოფლებშიც), რომლებიც უშუალოდ არიან დამოკიდებულნი ონკანით წყლის მიწოდებაზე, მაგრამ წყალი არარეგულარულად და შეზღუდვებით მიეწოდება, იძულებულია, საყოფაცხოვრებო მოხმარების მიზნით, წყალი მოიმარაგოს. ამის გამო ადგილობრივებს უნევთ სხვა პუნქტებიდან წყლის მოზიდვა, რაც ადამიანურ და ფინანსურ რესურსს მოითხოვს (მაგალითად, კახეთში, დედოფლისწყაროს რაიონის სოფლებში, სადაც მოსახლეობა წყალს ყიდულობს, ერთი ტონა წყლის ღირებულება 2 ლარია). წყლის ტრანსპორტირება ხდება სხვადასხვა სახის ტრანსპორტით – ავტომანქანებით, ურიკებით, ხელით. ამ საქმიანობაში ჩართულია ოჯახის თითქმის ყველა წევრი, მათ შორის პატარა ბავშვებიც, რაც მათ ჯანმრთელობას საფრთხის ქვეშ აყენებს.

კვლევიდან ასევე ირკვევა, რომ მოსახლეობა წყლის არარეგულარული და, ხშირ შემთხვევაში, უსისტემო მიწოდების გამო (ქვეყნის მასშტაბით) მომარაგებული და აღჭურვილია სხვადასხვა ზომის წყლის რეზერვუარებით, ავზებით (ბაკებით).

განხორციელებული კვლევის ამოცანებში არ შედიოდა იმის დადგენა, თუ რამდენ წყალს მოიხმარს ინდივიდუალურად ოჯახი ასეთი ავზების ფლობის პირობებში, რა მოცულობის არის იგი ან რამდენჯერ ავსებს მას ესა თუ ის ოჯახი და ა.შ. მსგავსი საკითხების დადგენა შესაძლებელია რაოდენობრივი კვლევის მეშვეობით. სწორედ ამ კითხვებზე პასუხების სტატისტიკური ანალიზი მოგვცემდა საშუალებას, დაგვედგინა წყლის მოხმარების მაჩვენებლები, ასევე, განგვესაზღვრა, თუ როგორია მოთხოვნის მაჩვენებლები უწყვეტი წყლის მიწოდების შემთხვევაში, რაც თავისთავად საინტერესო იყო, მაგრამ ჩვენს ამოცანებში არ შედიოდა.

ბუნებრივია, არარეგულარული და არაადეკვატური წყლის მიწოდება უარყოფითად ფასდება ჯგუფების მონაწილეების მიერ.

გრაფიკით წყლის მიწოდების მიუხედავად, დღეს არსებულ მდგომარეობას სხვადასხვა რეგიონის რესპონდენტთა გარკვეული კატეგორია დამაკმაყოფილებლად აფასებს, რადგან, მათი აზრით, სიტუაცია წარსულთან შედარებით გაუმჯობესებულია. ისინი ფიქრობენ, რომ: „ყველაფერი შედარებითია, ადრე სულ არ გვქონდა წყალი და დღეს უკეთესი მდგომარეობაა“. უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტები, რომლებიც გაუმჯობესების ტენდენციებზე საუბრობენ, ძირითადად უმცირესობის წარმომადგენლები არიან.

წყლის მიწოდების არსებულ გრაფიკთან დაკავშირებული მდგომარეობა ფოკუს-ჯგუფის შეხვედრებზე თანაბრად ნეგატიურად ფასდება რეგიონის ქალაქების, რაიონული ცენტრების/დაბებისა და სოფლების მასშტაბით.

წყლის ხარისხის შეფასება

კვლევის შედეგები ონკანის წყლის ხარისხთან დაკავშირებით, ჯანმრთელობის უსაფრთხოების კუთხით, საკმაოდ არასახარბიელო სურათს იძლევა.

კვლევის მონაცემების თანახმად, წყლის ხარისხს ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა უმეტესი ნაწილი უარყოფითად აფასებს (ქვეყნის მასშტაბით). დადებითად შემფასებელთა ხვედრითი წილი სხვა ჯგუფებთან (ვინც ნეიტრალურად ან უარყოფითად აფასებს) შედარებით ნაკლებია. უკანასკნელ წლებში წყლის ხარისხის გაუმჯობესების ტენდენციებს მცირე ნაწილი ხედავს. თუ შევადარებთ იმ რესპონდენტთა რაოდენობას, რომლებიც გაუმჯობესების ან გაუარესების ტენდენციებზე მიუთითებენ, აშკარაა, რომ შეფასებები უარყოფითი ველისკენ არის გადახრილი.

როგორც ზევით აღინიშნა, დისკუსიების ანალიზის თანახმად, რესპონდენტებისთვის, წყლის მიწოდებასთან დაკავშირებით, ყველაზე უსიამოვნო პრობლემა არის არარეგულარული მიწოდება და ხშირი შეწყვეტა. თუმცა, არანაკლებ უარყოფითად ფასდება, აგრეთვე, წყლის გამჭვირვალობა, ფერი, ზოგიერთ შემთხვევაში გემო, ონკანის წყალში დანალექის, ჭიების/წურბელების არსებობა. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, რესპონდენტები სასმელი წყლის ხარისხს უარყოფითად და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველად აფასებენ. რესპონდენტების ერთ ნაწილი თავად არის დაბინძურებული წყლით გამოწვეული დაავადების შემთხვევების მომსწრე (ოჯახის წევრი, ახლობელი, თანასოფელი). დასტურად მოჰყავთ, ასევე, ასეთი შემთხვევების შესახებ ტელევიზიითა და პრესით გავრცელებული ინფორმაცია (მაგალითად, რამდენიმე წლის წინ წყალტუბოში გავრცელებული ეპიდემია; ასევე, ქართლში, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფ. დირბში წყლით მასობრივი მონამვლის შემთხვევები; ახმეტაში ჰეპატიტის გავრცელების ფაქტი და ა.შ.).

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა მსჯელობის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ წყლის ხარისხისადმი მოსახლეობის კრიტიკული დამოკიდებულება რამდენიმე ფაქტორით აიხსნება, რომელთა შორის მნიშვნელოვნად სახელდება:

- სანიტარიული სამსახურების (სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურების, წყლის მაკონტროლებელი ლაბორატორიების და ა.შ.) არაეფექტური მუშაობა იმ ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც ისინი არსებობს, ან მათი არარსებობითა და დეფიციტით გამოწვეული წყლის ხარისხის სრული უკონტროლობა;
- ამორტიზებული წყლის სისტემები, მილები და, ზოგადად, წყალგაყვანილობა, რომელშიც სიძველის გამო დაუბრკოლებლად აღწევს გარედან ჩამავალი მასები (მიწა, ნეშომპალა) და ტალახი (წვიმის დროს);
- წყლის ფილტრების უხარისხობა ან, ხშირ შემთხვევაში, მათი არარსებობა, რასაც ადასტურებენ შესაბამისი რეგიონების ფოკუს-ჯგუფების მონაწილენი;
- სათავე და წყალშემკრები ნაგებობების პრობლემური მდგომარეობა, რომლებიც გასანმენდი და მოსანესრიგებელია. და რაც მეტად მნიშვნელოვანია, მსგავსი ნაგებობები გარანტირებულად უნდა იყოს დაცული, ვინაიდან არის მათში შინაური ცხოველების ჩავარდნის ფაქტები (საკმაოდ ბევრ რაიონში ამ საკითხზე მოხდა აქცენტირება), რაც ინფექციური დაავადებებისა და ინტოქსიკაციის საფრთხეს ზრდის;
- წყლისა და საკანალიზაციო მილების ისეთი განლაგება, რომელიც ართულებს ერთმანეთისაგან მათ განსხვავებას; ამის გამო, ხდება აღნიშნულ მილებში გამავალი წყლების ერთმანეთში შერევა (რასაც არსებული ფაქტები ადასტურებს და ამის პოტენციური საფრთხეები რეალურად არსებობს), რაც მოსახლეობას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების წინაშე აყენებს.

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ წყლის არსებული ხარისხი არ შეესაბამება ნორმატიულ მოთხოვნებსა და სტანდარტს. წყლის ხარისხის მიმართ უკმაყოფილება ფოკუს-ჯგუფების მსგელობისას უმრავლეს შემთხვევაში გამოითქვა, თუმცა, ამასთანავე, დასახელდა სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად მდგომარეობის ნაწილობრივი გამოსწორების ფაქტებიც.

ფაქტობრივად, რეგიონში წყლის ხარისხის მთავარი ინდიკატორების – ფერის, გემოს, გამჭვირვალობის, სუნის შეფასებისას უარყოფითი ტენდენციები გაცილებით სჭარბობს დადებითს.

წყლის წნევა

ნეგატიურია შეფასებები ონკანის წყლის წნევის პარამეტრების მიმართაც, პრობლემურად რჩება წყლის წნევის ადეკვატურობის საკითხი. როგორც დისკუსიებზე გამოვლინდა, მილები ვერ უძლებს მაღალ წნევას

და სკდება. ამის გამო, მოსახლეობას წყალი დაბალი წნევით მიეწოდება, რაც განსაკუთრებულ პრობლემებს უქმნის კორპუსის ტიპის ბინების მცხოვრებთ. აღნიშნული ვითარება არ არის გამოწვეული მხოლოდ მიწების სიძველით. იგი თანაბრად ვრცელდება ახლად გამოცვლილ მიწებზეც, რის გამოც ჩატარებული სამუშაოების ხარისხი რესპონდენტების მიერ უარყოფითად ფასდება.

წყლის ნაკადის სიმცირის გამო, მოსახლეობა ვერ ასწრებს მის მომარაგებას გრაფიკით გათვალისწინებულ პერიოდში. განსაკუთრებით აქტუალურია საკითხი დასაქმებული კატეგორიისთვის, რამდენადაც ერთმანეთს ემთხვევა მათი სამუშაო და წყლის მიწოდების გრაფიკები. მოსახლეობა, მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, სპეციალურ წყლის საქაჩ დანადგარებს იყენებს (საქართველოს მასშტაბით). თუმცა, ამ მიმართულებით შეფასებები ყველა რეგიონში ერთნაირი არ არის – კრიტიკული დამოკიდებულება რაიონებში (სოფლებში) უფრო ნაკლებად ფიქსირდება. ეს ბუნებრივია, რადგან სოფლებში წყლით მომარაგების ძირითად რესურსს საკუთარი ქეტი, სოფლის ჭაბურღილები ან წყაროები წარმოადგენს.

ჩატარებული სამუშაოების ხარისხი

წყალმომარაგების კუთხით ჩატარებული სამუშაოების ხარისხი შეფასებათა ნეგატიურ ველშია მოქცეული, რამდენადაც ზოგიერთ ტერიტორიულ ერთეულში გაყვანილმა ახალმა სისტემამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო.

არადამაკმაყოფილებლად აფასებენ წყალმომარაგებასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულების ხარისხს რეგიონების ფოკუს-ჯგუფების წარმომადგენლები. როგორც დისკუსიებიდან ირკვევა, შესრულებული სამუშაოების თვალსაზრისით, რეგიონის მასშტაბით წყალმომარაგების ქსელებს უფრო საფუძვლიანი და, იმავდროულად, ხარისხიანი განახლება ესაჭიროება. ხშირია ახლად გაკეთებული მიწების მოკლე დროში დაზიანების შემთხვევები.

ამორტიზებული სისტემის ლოკალიზებულ შეკეთებას დროებითი ხასიათი აქვს. როგორც ირკვევა, მიწები, სიძველის გამო, ხშირად სკდება, რაც იწვევს ქუჩების დატბორვას და აზიანებს გზებს. თუმცა, ახლად დამონტაჟებული მიწებიც მალევე გამოდის მწყობრიდან. აქედან გამომდინარე, მოსახლეობას ჩატარებული სამუშაოების ხარისხისადმი კრიტიკული დამოკიდებულების საფუძველი რეალურად აქვს.

სარემონტო სამუშაოების ჩატარების კუთხით გამოვლენილი აქტივობების მიუხედავად, რაც ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება, ვითარების უკეთესობისკენ შეცვლა არ მომხდარა და, შესაბამისად, ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა შეფასებები უარყოფითია.

ჩატარებული სამუშაოების დაბალ ხარისხს რესპონდენტები ხსნიან თვითონ მასალის (მიწების) უხარისხობითა და არაკვალიფიციური სპეციალისტების მომსახურებით. ამის მაგალითია იმერეთში შესრულებული წყალგაყვანილი სამუშაო, რაც გასწია თავად მოსახლეობამ, რომელსაც საამისო არც ცოდნა ჰქონდა და არც კვალიფიკაცია. შესაბამისად, ჩატარებული სამუშაოს ხარისხიც არადამაკმაყოფილებელია. აგრეთვე, მაგალითად შეიძლება დასახელდეს აჭარაში ქართულ და გერმანული კომპანიების მიერ ჩატარებული სამუშაოების ხარისხს შორის განსხვავება ამ უკანასკნელის სასარგებლოდ (გერმანულ კომპანიას მაღალ შეფასებას აძლევენ როგორც ხარისხის, ასევე ოპერატიულობის მხრივაც).

იმის მიუხედავად, რომ ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები წყალგაყვანილობის სისტემების რეაბილიტაცია-სა და სახელმწიფოს გარკვეულ აქტივობას ამ მიმართულებით დადებით ტენდენციად მოიაზრებენ, ჩატარებული სამუშაოების ხარისხი მათ მიერვე უარყოფითად ფასდება.

დადებითი ტენდენციები

ქვეყნის რეგიონების წყალმომარაგებასთან დაკავშირებით დადებითი ტენდენციებიც ვლინდება (მაგალითად, ქვემო ქართლისა და იმერეთის რეგიონში გამართულ ფოკუს-ჯგუფების შეხვედრებზე და არა მხოლოდ ამ ერთეულებში). სამიზნე ჯგუფების მონაწილეთა გარკვეული ნაწილის მხრიდან ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გადაადგმული ნაბიჯებით, რომელიც არსებული ვითარების გამოსწორებას და პრობლემის მოგვარებას ისახავს მიზნად. ასეთად დასახელდა წყლის უწყვეტი მიწოდების უზრუნველყოფა (იმ რაიონის რესპონდენტების მიერ, სადაც 24 საათიანი მიწოდებაა), წყლის შემგროვებელი ნაგებობების განმედილი სამუშაოები, რასაც წყლის ხარისხის გაუმჯობესება მოჰყვა, წყლის მიწების გაყვანა ისეთ ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც ადრე არ იყო.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საერთო შეფასებების ფონზე, დადებითი ტენდენციები მცირე სეგმენტს შეადგენს და ნეგატიური დამოკიდებულებების ინდიკატორები მას ბევრად აღემატება.

II. საკანალიზაციო-სადრენაჟო სისტემები

ფოკუს-ჯგუფების დისკუსიების მასალებზე დაყრდნობით, საქართველოს რეგიონებში საკანალიზაციო-სადრენაჟო სისტემების ფუნქციონირების მხრივ სრულიად არასახარბიელო სურათი გამოიკვეთა.

დისკუსიების მასალებიდან ცხადი ხდება, რომ ამ ასპექტით რეგიონებში სერიოზული პრობლემა – საკანალიზაციო სისტემები ამორტიზებულია და კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს. ძირითადად, აღნიშნული სისტემების მხრივ მეტ-ნაკლებად მონესრიგებული ქალაქების/დაბების ცენტრალური უბნები და მიმდებარე ტერიტორიებია. ქალაქების ზოგიერთ უბანში საერთოდ არ არსებობს კანალიზაცია, ან, თუ არსებობს, საკანალიზაციო სისტემები ხშირად ზიანდება და იჭედება, რასაც მოსდევს საკანალიზაციო ნარჩენებით ქუჩების დაბინძურება და ანტისანიტარიის გავრცელება.

კვლევის მონაცემების თანახმად, საკანალიზაციო ნარჩენების შეგროვებისა და გადამუშავების სტანდარტი კიდევ უფრო უარყოფითად ფასდება, ვიდრე წყალმომარაგებასთან დაკავშირებული საკითხები, წყლის ხარისხი და მიწოდების სერვისები.

ფოკუს-ჯგუფების შეხვედრებზე გამოიკვეთა, რომ რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობა არ არის შეერთებული მუნიციპალურ საკანალიზაციო სისტემასთან. იგულისხმება, რომ სოფლებში, ფაქტობრივად, ასეთი რამ არ არსებობს. ხოლო საკვლევი ქალაქების უმრავლესობაში (დიდი ქალაქების გამოკლებით) მხოლოდ ქალაქის გარკვეული ნაწილია მასთან შეერთებული, ნაწილი კი საკუთარი ძალისხმევით ახერხებს საკითხის მოგვარებას (მაგ. საკითხის გადაწყვეტის ერთ-ერთ საშუალებად საკანალიზაციო სისტემების მდინარეებზე მიშვება სახელდება). საკანალიზაციო მილები, ხშირ შემთხვევაში, მდინარეს უერთდება და გარემოს დაბინძურების მიზეზი ხდება.

დისკუსიებზე დაფიქსირდა მრავლობითი ფაქტები/შემთხვევები, როდესაც სკოლები და საბავშვო ბაღები არ არის უზრუნველყოფილი სანიტარიული კვანძებით, რაც მეტად მნიშვნელოვანია ამ ტიპის დაწესებულებებისათვის.

მთელი ქვეყნის მასშტაბით სოფლებში საკანალიზაციო სისტემის ფუნქციას ტრადიციულად ასრულებს საკანალიზაციო ნარჩენებისთვის განკუთვნილი ორმო, რომელსაც პერიოდულად სანიტარიული მანქანების მეშვეობით აწმენდინებენ და ამ მომსახურებისთვის გარკვეულ თანხას იხდიან (დაახლოებით 100-150 ლარის ფარგლებში, გააჩნია რაიონს), ან, სხვა შემთხვევაში, ხდება ორმოს გადაადგილება-გადატანა სხვა ადგილზე.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა უმრავლესობა ქვეყნის მასშტაბით ამ მიმართებით არსებულ მდგომარეობას მწვავედ აღიქვამს და ნეგატიურად აფასებს.

გაუმჯობესების ტენდენციებს ამ სფეროში აფიქსირებს კახეთის რეგიონის მოსახლეობა (პრივილეგირებულია სიღნაღი, თუმცა, სასიკეთო ძვრები სხვა რაიონებშიც შეინიშნება); ქვემო ქართლში – დმანისის ჯგუფი, სამცხე ჯავახეთში – ბორჯომის რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ იგეგმება სარეაბილიტაციო სამუშაოები, მაგრამ ამ ეტაპზე ხელშესახები ცვლილება არ მომხდარა; ზუგდიდში ახლა მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემის ეტაპობრივი შეცვლა, რაც პრობლემის ძირფესვიან დარეგულირებას უზრუნველყოფს. აჭარის ფარგლებში უკეთესი მდგომარეობაა ქედაში, სადაც, მოსახლეობის აზრით, ამ სისტემის ფუნქციონირება ნორმალურია; ასევეა ხულოში, სადაც საკანალიზაციო სისტემა წელს გაკეთდა და შუახევში, სადაც ეტაპობრივად კეთდება.

ზოგადად კი, არსებული სტანდარტის დაბალი დონის გამო, ეკოლოგიური მდგომარეობა მიიჩნევა და ფასდება, როგორც მძიმე. რესპონდენტთა მიერ დასახელებულ უარყოფით თანმდევ მოვლენებსა და საფრთხეებს შორის, რაც არსებული ვითარების გამო ექმნება გარემოს, სახელდება: დატბორილი და დაბინძურებული ქუჩები, რაც, ერთი მხრივ, ართულებს გადაადგილებას, მეორე მხრივ კი, აზიანებს გზის საფარს, რის გამოც ისინი მუდმივად შესაკეთებელია; მავნე მწერების რაოდენობის მატება; ჯანდაცვის კუთხით კი – ეპიდემიების გავრცელების რეალური საფრთხეები. ამიტომაც, აღნიშნული სისტემის რეაბილიტაციის ყველაზე მნიშვნელოვან და მთავარ მოტივაციად ჯანდაცვა სახელდება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი აქცენტები სწორედ საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე კეთდება.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა გამოკითხვის შედეგად ირკვევა, რომ სადრენაჟო სისტემების მხრივ, გურიის რეგიონში დიდი დეფიციტია, თუმცა, მის აუცილებლობაზე ყველა მიუთითებს. სავარაუდოდ, ამას კლიმატური პირობებიც განაპირობებს – ტენიანი ჰავა, ნესტიანი ნიადაგი. ამდენად, სადრენაჟო სისტემის გაყვანა ამ მხარეში საჭიროდ მიაჩნიათ. ანალოგიური მდგომარეობაა სამეგრელოს დაბალ ზონაშიც.

III. ჯანდაცვა

ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობა ბევრად არის დამოკიდებული სხვადასხვა გარემოებასა და ფაქტორზე, რომელთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ჯანდაცვის სისტემის სრულყოფის საკითხია. რეფორმები ამ მიმართულებით დაწყებულია. კვლევის ამოცანებში შედიოდა იმის დადგენა, თუ რას ფიქრობენ რეგიონის ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები საქართველოს მასშტაბით მიმდინარე სამედიცინო რეფორმის შესახებ, რა შედეგები მოჰყვა მას – დადებითი თუ უარყოფითი, რისი მოთხოვნაა ყველაზე აქტუალური ამა თუ იმ რეგიონში/რაიონში, რამდენად ეფექტურია სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედებები და, ზოგადად, როგორია ჯანდაცვის პოლიტიკით მიღებული შედეგები?

ფოკუს-ჯგუფების დისკუსიებზე გამოიკვეთა რიგი საკითხებისა, რომელთა მოგვარება, რესპონდენტების აზრით, უნდა იყოს პრიორიტეტული დარგის განვითარებისთვის და ორიენტირებული პოზიტიურ ცვლილებებზე, რაც საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლების დისკუსიების მასალები ჯანდაცვის სფეროში მნიშვნელოვანი ცვლილებების აუცილებლობაზე მიუთითებს.

არსებული ვითარების შეფასება

რეგიონის მასშტაბით სამედიცინო დაწესებულებების მდგომარეობა, ძირითადად, უარყოფითად ფასდება. გამოვლენილი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ სამედიცინო დაწესებულებების შენობები რეკონსტრუქციას საჭიროებს. კლინიკებში არსებული პირობები სანიტარიულ ნორმებს არ აკმაყოფილებს და, ზოგადად, არ შეესაბამება იმ ელემენტარულ მოთხოვნებს, რაც სტაციონარსა თუ კლინიკაში უნდა იყოს. ყველა რეგიონში, ამ თვალსაზრისით, იდენტური სურათი იკვეთება და აშკარაა პარალელიზმი ჯგუფების შეფასებებს შორის. რესპონდენტთა მსჯელობებში ხშირად ფიგურირებს გამონათქვამები, რომლებიც ამ ტიპის დაწესებულებებში მღრღნელების, ბუზების, მავნე მწერების, ტარაკნების, ძაღლებისა და კატების არსებობაზე მიუთითებს. მაგალითად: „საავადმყოფოში თავგმა მომპარა წამალი“ (შიდა ქართლი); „მთელი ღამე სკამზე ვიჯექი და ვყარაულობდი შვილს – ვირთხებს რომ არ დაეკბინა“ (სამეგრელო) და ა.შ. ასეა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

საავადმყოფოებში პრობლემურია შუქისა და წყლით მომარაგების საკითხი, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ასეთი ტიპის დაწესებულებებისთვის. გარდა ამისა, უშუალოდ ავადმყოფებსა და მათ ნათესავებს/ახლობლებს უწევთ თეთრეულის მიტანა, ისევე, როგორც მედიკამენტებით ავადმყოფის უზრუნველყოფა.

რეგიონების მიხედვით, ჯანდაცვის სფეროს შეფასებებში ვლინდება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ტენდენციები. დადებით ველში ექცევა შეფასებები არა ზოგადად ჯანდაცვის სისტემის საერთო მდგომარეობის თვალსაზრისით, არამედ გარკვეული ასპექტებით.

როგორც კვლევის მასალები ცხადყოფს, ხშირ შემთხვევაში, სტაციონარების გარკვეული სეგმენტების შეკეთების ინიციატორებად თავად სამედიცინო პერსონალი, ძირითადად, ექიმები გვევლინებიან, რომელთა მოტივაციასაც ავადმყოფების დახმარება წარმოადგენს. ამდენად, ფინანსურ მხარესაც ისინი საკუთარი სახსრებით აგვარებენ.

ძირითადად, თანამედროვე სტანდარტების შესაბამის მოთხოვნებს აკმაყოფილებს კერძო საკუთრებაში არსებული კლინიკები – ავერსის კლინიკა, ტატიშვილის ცენტრი, კურაციო, გული და მსგავსი ტიპის დაწესებულებები.

ჯგუფების მონაწილეები არ უგულებელყოფენ სახელმწიფოს წილს პოზიტიური ცვლილებების საქმეში. სახელმწიფოს აქტიუობა სხვადასხვა მიმართულებით ვლინდება. ასეთად სახელდება სამედიცინო დაწესებულებების შენობების გარემონტება, რეაბილიტაცია, კაპიტალური შეკეთება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ფაქტები და სხვა.

დადებითი შეფასებების სპექტრი მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორიც არის მედ-პერსონალის პროფესიონალიზმი, სოფლის ამბულატორიები, სასწრაფო დახმარების სამსახური. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული პარამეტრები, საყოველთაოდ, დადებით ველში არ ექცევა.

რეგიონების მასშტაბით, როგორც დისკუსიებზე აღინიშნა, მედიკოსების კვალიფიკაციის შეფასებები ამბივალენტურია.

ამბულატორიები, რეგიონების მასშტაბით, პოზიტიურ შეფასებათა ველშია მოქცეული როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი/ხარისხობრივი მახასიათებლებით, მაგრამ ყველა რეგიონზე ეს სურათი თანაბარი მაჩვენებლით არ ვრცელდება.

მოსახლეობის დადებითი განწყობები ვრცელდება სასწრაფო დახმარების მომსახურებაზეც, მაგრამ სურათი აქაც არაერთგვაროვანია და რეგიონების მიხედვით იცვლება.

უარყოფითი ტენდენციები იკვეთება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (აქ არ იგულისხმება კერძო კლინიკები, უკვე გარემონტებული და კარგად აღჭურვილი შენობები), მკურნალობის ხელმისაწვდომობის, მედიკამენტების ფასებისა და სადაზღვევო პოლისების შეფასებისას.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასება

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა მიერ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასებები საქართველოს რეგიონებში მკვეთრად კრიტიკულია. უარყოფით ველშია მოქცეული თანამედროვე ტექნიკისა და აპარატურის მდგომარეობა. რესპონდენტთა გადმოცემით, არსებობს იმის ალბათობაც, რომ არსებულ პირობებში არასათანადო აპარატურის უქონლობით გამოწვეული დიაგნოსტიკის მცდარობა შეიძლება პაციენტის სიკვდილის მიზეზი გახდეს. ფაქტობრივად, მინიმალურად ხდება ინოვაციური და მოდერნიზაციის პროცესების სტიმულირება, რასაც, რესპონდენტთა აზრით, პირველ რიგში, სახელმწიფო უნდა ახორციელებდეს, რამდენადაც საამისო ბერკეტებს სწორედ ის ფლობს.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზებით უმაღლეს დონეზეა აღჭურვილი კერძო კლინიკები, სტაციონარები და სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრები.

ხელმისაწვდომობა, დაზღვევა/პოლისები

რეგიონებში მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა მკურნალობის ხელმისაწვდომობის საკითხი. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა აზრით, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ კლინიკებში ფასები მაღალია და, დღევანდელი მძიმე სოციალური ფონის გათვალისწინებით, მოსახლეობა მათი სერვისებით თითქმის ვერ სარგებლობს.

რეგიონების მკვიდრთათვის ასევე მწვავედ დგას სხვადასხვა დანიშნულების ნამლებით სარგებლობის საკითხი. რესპონდენტთა კომენტარებიდან ირკვევა, რომ რაიონებში და სოფლებში აბსოლუტური უმრავლესობისთვის ხელმიუწვდომელია მედიკამენტები, რასაც მათი ღირებულება განაპირობებს.

დისკუსიებზე ჯანდაცვის სფეროში მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა ჯანმრთელობის დაზღვევა. რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ დაზღვევა ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. პენსიონერები უნდა სარგებლობდნენ პოლისებით და ნამლებზე ფასდაკლებით. ეყრდნობიან რა საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებას, ჯგუფების მონაწილეთა სკეპტიკურად არიან განწყობილნი იაფი დაზღვევის პოლისებისადმი, რამდენადაც ასეთი დაზღვევა რეალურად ვერაზინ გამოიყენა. მოსახლეობისთვის განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ სადაზღვევო კომპანიები მხოლოდ დასაქმებულ პირებს აზღვევენ. მათი აზრით, ამით პენსიონერთა და უმუშევართა უფლებები ირღვევა.

ჯანდაცვის სფეროში მნიშვნელოვანია მოსახლეობის მოთხოვნების დაზუსტება და მათი გათვალისწინება.

IV. განათლება

ნებისმიერი საზოგადოების განვითარების ფუნდამენტური წინაპირობა არის განათლება, რომელიც თანმიმდევრულ და ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, სრულყოფილი განათლების სისტემის შექმნა უნდა იყოს ის პრიორიტეტი, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული ადამიანის სამომავლო პერსპექტივებს (კვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბება, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება, ცოდნის მუდმივად განახლების პერსპექტივა, ახალი კომპეტენციების შექმნის შესაძლებლობა და სხვა).

ჩვენს საზოგადოებაში გატარებული რეფორმები განათლების სფეროსაც შეეხო. უფრო ზუსტად, განათლება იყო ერთ-ერთი პირველი სფერო, რითაც რეფორმები დაიწყო და, პრაქტიკულად, მის ყველა ელემენტს – განათლების შინაარსს, სწავლების ფორმებსა და მეთოდებს, შეფასების სისტემას, დაფინანსებას და სხვა მრავალ კომპონენტს შეეხო.

რა დამოკიდებულება აქვთ საქართველოს მასშტაბით ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებს განათლებასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებთან, როგორ აფასებენ ისინი სკოლამდელი აღზრდისა და სასკოლო დაწესებულებების მდგომარეობას შენობების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზების, ინვენტარის,

აგრეთვე, პედაგოგთა პროფესიონალიზმის ან სწავლების ხარისხის მხრივ, რა არის ან რა უნდა იყოს ხელშემწყობი/ხელშემძლელი ფაქტორები ამ მიმართულებით?

სკოლები

ფოკუს-ჯგუფების შეხვედრებზე განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობა სხვადასხვა პარამეტრით შეფასდა. მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს ზემოაღნიშნულ საკითხებზე.

საგულისხმოა, რომ განათლების სფეროსთან დაკავშირებით რესპონდენტთა მიერ გამოთქმული შეფასებები მინიმალური ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. პოზიტიურად ფასდება სასწავლო დაწესებულებების შენობების მდგომარეობა. როგორც დისკუსიებზე ირკვევა, ამ მიმართულებით ჩატარებული სამუშაოებით რეგიონის მოსახლეობა ძირითადად კმაყოფილია: გარემონტდა და აშენდა სკოლები როგორც ქალაქებში, ისე სოფლად, მოხდა მათი რეაბილიტაცია, კაპიტალური შეკეთება. რასაკვირველია, ეს თანაბრად არ ეხება ყველა სკოლას და რეაბილიტირებულთა ჩამონათვალში ბევრი მათგანი ვერ მოხვდა, მაგრამ, თუ მონაწილეთა მსჯელობებს დავეყრდნობით, ამ მიმართულებით არსებობს სამომავლო გეგმები და დაპირებები, რომლებიც ეტაპობრივად ყველა სკოლას შეეხება.

განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა რაიონების/სოფლების სკოლებში. ამის მიუხედავად, მოსახლეობის განწყობაში ოპტიმიზმი იგრძნობა, რის საფუძველსაც მათ სხვა მაგალითები აძლევს – მეზობელი სოფლების თუ რაიონების სკოლებში განხორციელებული სამუშაოები. თუმცა, კრიტიკული შეფასებების წილი არც თუ უმნიშვნელოა, განსაკუთრებით სოფლის სკოლების შენობების, მატერიალური რესურსების, სანიტარიული და გათბობის სისტემების არარსებობის გამო.

ანალოგიური ტენდენციები გამოვლინდა სკოლების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის თვალსაზრისით. საქართველოს ყველა რეგიონში ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა მხრიდან ამ მიმართულებით პოზიტიური ძვრები დაფიქსირდა. სკოლებში კომპიუტერული სისტემების დამონტაჟებას დღეს უფრო ინტენსიური ხასიათი აქვს (ეს, რა თქმა უნდა, ჯერჯერობით ერთნაირად არ ხდება ყველა სკოლაში, მაგრამ საამისო ტენდენციები იკვეთება). ძირითადი პრობლემა, რაც მატერიალურ-ტექნიკურ ბაზებთან დაკავშირებით გამოვლინდა, ის არის, რომ მოსწავლეებს არა აქვთ საშუალება, საჭიროების შემთხვევაში, ტექნიკა მოიხმარონ, რაც რესპონდენტების მიერ რამდენიმე მიზეზით აიხსნება: 1. სკოლის ადმინისტრაცია/პედაგოგები უფლებას არ აძლევენ, ისარგებლონ კომპიუტერებით; 2. სკოლებში შეინიშნება ამ დარგის სპეციალისტების ნაკლებობა, რომლებიც სპეციალურ მომზადებას გაატარებენ მოსწავლეებს; 3. კომპიუტერული ტექნიკის არასაკმარისი რაოდენობა. აქედან გამომდინარე, სკოლებს ამ კუთხით დახმარება ესაჭიროებათ. მათ სჭირდებათ სპეციალისტი/მასწავლებელი, რომელიც ბავშვებს კომპიუტერის მოხმარების ნესებს შეასწავლის და გამოუმუშავებს შესაბამის უნარებს, რაც აუცილებელია თანამედროვე ცხოვრებაში. ყოველივე ეს უზრუნველყოფს ახალგაზრდობას იმ ცოდნით, რაც მას სამომავლოდ შრომითი საქმიანობისთვის მოამზადებს, დაეხმარება პროფესიის არჩევაში, ხელს შეუწყობს მის სოციალიზაციასა და ინტეგრაციას საზოგადოების სოციალ-კულტურულ ცხოვრებაში, რაც სკოლის ამოცანაა.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა მიერ მნიშვნელოვან პრობლემად აღიქმება მოსწავლეთა გადაადგილების საკითხი, რაც ძირითადად სკოლების ოპტიმიზაციის პროცესს მოჰყვა. როგორც ცნობილია, ამ მიზნით მოხდა სკოლების გაუქმება და გამსხვილება ზოგიერთ ტერიტორიულ პუნქტში, ხოლო მოსწავლეების კონტინგენტი მომიჯნავე და ახლომდებარე სოფლების სკოლებში გადაინაწილდა (აღნიშნული საკითხი ძირითადად სოფლებშია აქტუალური). როგორც ირკვევა, ამან გამოიწვია ტრანსპორტით გადაადგილების აუცილებლობა, რაც ამ პუნქტების დიდ ნაწილში, ფაქტობრივად, არ არსებობდა. მოსწავლეთა ტრანსპორტირების მიზნით, თავდაპირველად დაინიშნა სასკოლო ავტობუსები, რომელთა ნაწილი გარკვეულ რაიონებში დღესაც მოძრაობს, მაგრამ, როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, რამდენიმე ხნის შემდეგ ისინი გააუქმეს. აქედან გამომდინარე, სკოლის მოსწავლეებს სკოლებში მისასვლელად დიდი მანძილის ფეხით გავლა უხდებათ (დაახლოებით 4-5-6 კმ.), რაც დამწყები კლასის ბავშვებისთვის მოუხერხებელი და დამძლეულია. სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ზამთარში, ასეთი გადაადგილების დროს, ბავშვებს გზებზე გარეული ცხოველების თავდასხმის საშიშროება ემუქრებათ. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მშობლების მხრიდან დაჟინებული მოთხოვნაა, აღდგეს სასკოლო დანიშნულების სამარშრუტო ტრანსპორტი, რაც, მათი აზრით, სახელმწიფოს ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მხრიდან განსაკუთრებულ სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს.

დღეს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ერთი და იგივე კანონზომიერება შეინიშნება – რაც ნაკლებია ადამიანის განათლების დონე, მით დაბალია მისი კვალიფიკაცია, სტატუსი და შემოსავალი. განათლების ამაღლება ხელს უწყობს პროფესიულ ზრდასა და კარიერულ წინსვლას. აქედან გამომდინარე, განათლების

დონის ამალეობა, ფაქტობრივად, ვერტიკალური მობილობის გადამწყვეტი ფაქტორია. ამას საფუძველი სკოლაში ეყრება და სკოლის პედაგოგების როლი და მისია ამ პროცესში მნიშვნელოვანია.

როგორც კვლევის შედეგებმა გამოავლინა, ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებს კარგად აქვთ გაცნობიერებული მასწავლებლის ფუნქცია და მნიშვნელობა სწავლისა და ცოდნის მიღების პროცესში და განათლების ამალეობისა და სრულყოფის საქმეში. ამდენად, ისინი პედაგოგებისგან მაღალ პროფესიონალიზმსა და კვალიფიკაციას მოითხოვენ. შესაბამისად, შეფასებები მასწავლებლების მიმართ არაერთგვაროვანია. რესპონდენტთა უმრავლესობა პედაგოგების კვალიფიკაციას დამაკმაყოფილებლად აფასებს, თუმცა გარკვეული ნაწილის შეფასებები კრიტიკულია და ამის მიზეზად რამდენიმე ფაქტორი სახელდება. მათ შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია კადრების დაკომპლექტებაში პროტექციონიზმის არსებობა, ნაც-ნობობისა და ახლობლობის ინსტიტუტის აქტუალურობა. ერთ-ერთ მიზეზად სახელდება აგრეთვე სკოლაში ხანდაზმული პედაგოგების ყოფნის ფაქტი, რომლებსაც უკვე აღარ შეუძლიათ თავიანთი ფუნქციების შესრულება, მაგრამ „ვერ თმობენ ადგილებს, რითაც ახალგაზრდა კვალიფიციურ კადრებს ზღუდავენ და გასაქანს არ აძლევენ“.

ქართული და უცხო ენების პედაგოგების დეფიციტს განიცდიან არაქართული ეთნიკური ჯგუფებით დასახლებულ რაიონებში არსებული სკოლები.

რესპონდენტების აზრით, დღესდღეობით, ცოდნის დონე, რომელსაც სკოლა იძლევა, მკვეთრად განსხვავდება იმ მოთხოვნებისაგან, რომელსაც უმაღლესი სასწავლებელი უყენებს ახალგაზრდებს. ამდენად, გაჩნდა შუალედური რგოლების – რეპეტიტორების აუცილებლობის ფაქტორი, რაც ჯგუფის წევრების აზრით, დამატებით სირთულეებს უკავშირდება, მათ შორის, ფინანსურს.

განათლების დაბალი დონის მიზეზად სახელდება ასევე სასწავლო ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, რომელშიც ხშირია შეცდომები და შინაარსობრივად გაუმართავია. ასევე, წიგნების ფასები, რომელიც მოსახლეობისათვის ძალიან ძვირია. ამასთან, სახელმძღვანელოების ყოველწლიური ცვლა გამოუსადეგარს ხდის მას შემდგომი მოხმარებისთვის (როცა ოჯახში რამდენიმე ბავშვია), წიგნების წონა/სიმძიმე კი უარყოფითად აისახება მცირეწლოვანთა ჯანმრთელობაზე და ორგანიზმის არასწორ განვითარებას უწყობს ხელს.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები უარყოფითად აფასებენ ასევე განათლების სისტემაში დანერგილ ზოგიერთ ინოვაციას. მათი პროტესტი მიმართულია ისეთი ტიპის სიახლეების მიმართ, როგორიც არის 10 გამოცდის ჩაბარება, რომლის შემოტანასაც სპონტანური ხასიათი ჰქონდა და მოსწავლეებისთვის მოულოდნელი იყო. რესპონდენტების აზრით, ყოველი სიახლე კარგად უნდა იყოს მოფიქრებული და გააზრებული.

ამ მიზნით, სახელმწიფოს შემუშავებული უნდა ჰქონდეს ეფექტური, რაციონალური საგანმანათლებლო პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ყოველი მოქალაქის უფლებას, მიიღოს მისთვის სასურველი, ხარისხიანი განათლება, რომელიც გამოსადეგი იქნება როგორც კონკრეტული ადამიანისათვის, ისე მთლიანად საზოგადოებისთვის.

საბავშვო ბალები

საბავშვო ბალების მდგომარეობა რაიონების, აგრეთვე, რაიონული ცენტრებისა და სოფლების მიხედვით განსხვავებულ სურათს იძლევა: ქალაქები და დაბები მეტ-ნაკლებად არის უზრუნველყოფილი, სოფლებში კი, ამ მხრივ, გაცილებით მეტი პრობლემაა.

ზოგადად, ისე როგორც სკოლების შეფასებისას, ამ შემთხვევაშიც გამოვლინდა დადებითი ტენდენციები. მაგალითად, სკოლამდელი აღზრდის დანესებულებებში ჩატარებული სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოები, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა, ინვენტარის განახლება და სხვა, რაც მოსახლეობას ოპტიმიზმის საფუძველს უჩენს. თუმცა, იმის გამო, რომ ანალოგიური ძვრები საყოველთაო ხასიათის არ არის, შეფასებებიც შესაბამისია და ყველგან პოზიტიურ შინაარსს არ შეიცავს.

ბიბლიოთეკები

ბიბლიოთეკების საკითხი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული აქტუალურობით ვლინდება. მასზე მოთხოვნა რეგიონების მიხედვით ვარირებს. საუარაუდოდ, ამას უკავშირდება (ნაწილობრივ მაინც) თვითონ ბიბლიოთეკების მდგომარეობაც. შეფასებები მათ მიმართ კრიტიკულია. განახლების ტენდენციები შედარებით სუსტად არის გამოხატული სოფლის ტიპის დასახლებებში. განახლებაში იგულისხმება წიგნადი ფონდების გამდიდრება ახალი ლიტერატურით (მხატვრული, სამეცნიერო, საბავშვო

და ა.შ.), ჟურნალ-გაზეთებით, კომპიუტერული ტექნიკით, რაც დღევანდელ პირობებში აუცილებლობას წარმოადგენს.

როგორც კვლევიდან ირკვევა, მართალია არც თუ დიდი ოდენობით, მაგრამ ახალი წიგნებით და გაზეთებით პერიოდულად მაინც ხდება გამდიდრება. ბევრგან არის კომპიუტერიც, თუმცა, მათი რაოდენობა ამ ეტაპზე საკმარისი არ არის. განახლება ესაჭიროება შენობებს. ამჟამად ბევრგან არ არის გათბობა, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ ადამიანმა იქ მუშაობა შეძლოს.

ზოგიერთ რაიონში ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა, ვინაიდან ცენტრალურ ბიბლიოთეკებში წყალი შედის და წიგნებს ნესტი აზიანებს, ხოლო იმის გამო, რომ ბიბლიოთეკა კეთილმოწყობილი არ არის, იქ მკითხველი ვერ დადის. ამდენად, მათი საფუძვლიანი რეკონსტრუქცია აუცილებელია.

ზოგიერთი სოფლის სკოლების ბიბლიოთეკების განახლება მუდმივად ხდება. მოსახლეობა მოითხოვს, რომ ასეთი ტიპის განახლებას უფრო ინტენსიური და მასშტაბური სახე მიეცეს.

რესპონდენტები შემოფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ წიგნები ბევრ რაიონში არ არის დაცული და მოუვლელია. სოფლის ბიბლიოთეკების და მისი წიგნების მდგომარეობით უკმაყოფილოა მომხმარებელი. ზოგიერთ სოფელში ბიბლიოთეკები საერთოდ გაუქმდა. წიგნადი ფონდები სკოლებს მიუერთდა, ზოგან კი გამგებლებს გადაეცა. შესაბამისად, წიგნები გაფანტულია და არ არის დაცული მათი შენახვის პირობები. ამდენად, პოზიტიური რეფორმირება ამ სფეროსაც ესაჭიროება.

დასასრულ, განათლების სისტემის შეფასებისას, სამიზნე ჯგუფების დისკუსიებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინოვაციური პროცესების (რაც რაციონალურად უნდა იყოს გათვლილი) სტიმულირება და მოდერნიზაცია (როგორც სკოლამდელ, ისე სასკოლო დანესებულებებში, ბიბლიოთეკებში) განათლების სისტემის სრულყოფის ხელშემწყობ ფაქტორებად შეიძლება იქნეს განხილული.

V. სოციალური საკითხები

კვლევა ითვალისწინებდა საქართველოს რეგიონების წარმომადგენლების მიერ სოციალურ სფეროში არსებული აქტუალური საკითხების შეფასებას. სოციალური სივრცე სხვა სფეროებთან ერთად მოიცავს ეკონომიკურ ინფრასტრუქტურასაც (გზები, ენერგეტიკა, კომუნიკაციები, გაზიფიკაცია და ა.შ.).

გაზიფიკირება

ამჟამად გაზიფიკაციის პროცესი საქართველოს არაერთ რაიონში მიმდინარეობს. როგორც დისკუსიების მასალიდან ირკვევა, ყველა რეგიონში ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები თითქმის ერთგვაროვან შეფასებებსა და კომენტარებს აკეთებენ.

მოსახლეობისთვის გაზიფიკაციასთან დაკავშირებულ ძირითად პრობლემას წარმოადგენს ცენტრალური მილიდან სახლებში გაზის შეყვანა საკუთარი ხარჯებით. სახელმწიფოს დაფინანსებით მხოლოდ ცენტრალური მილების გაყვანა ხდება. ოჯახებამდე კი მოსახლეობამ საკუთარი სახსრებით უნდა შეიყვანოს გაზსადენი მილები. მოსახლეობისთვის, როგორც ჩანს, საფასური ძვირია და, შესაბამისად, ამ ეტაპზე არსებული ფასების პირობებში უმრავლესობა ვერ ახერხებს გაზით ოჯახის უზრუნველყოფას. ვითარება თანაბრად ვრცელდება საქართველოს ყველა რაიონზე.

რეგიონების სოფლების უმრავლესობაში გაზაყვანილობა არ არსებობს. ზოგიერთ ტერიტორიულ ერთეულში ეს პროცესი ახლა დაიწყო და, სავარაუდოდ, რესპონდენტების აზრით, მომავალშიც გაგრძელდება.

მეორე პრობლემური საკითხია ამორტიზებული სისტემებისა (სადაც ადრე არსებობდა გაზით მომარაგების სისტემები) და საერთო მრიცხველების არსებობა, რის გამოც დიდია ქსელური დანაკარგები. აღნიშნული თანხის გადახდა მოსახლეობას დამატებით უწევს, რის გამოც მათ პროტესტისა და უსამართლობის განცდა ეუფლება, ხოლო გადაუხდელობის შემთხვევაში, გაზი ეთიშებათ. ამის თავიდან ასაცილებლად, ადგილობრივი მცხოვრებნი იძულებული არიან, ქსელური დანაკარგის გათვალისწინებით, დაახლოებით ორმაგი ოდენობის თანხა გადაიხადონ.

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების სპექტრი მთლიანად ვრცელდება ქვეყნის რეგიონებზე ზოგიერთი გამოწვევის გარდა, ანუ იმ ტერიტორიული ერთეულების გამოკლებით, სადაც კომუნალური მრიცხველების სისტემა არ არსებობს.

ელექტროენერჯისთან დაკავშირებული საკითხები

ელექტროენერჯის მინოდებასთან დაკავშირებული საკითხები არსობრივად გაზომიარაგების ანალოგიურია.

მხედველობაში გვაქვს რეგიონის მასშტაბით არსებული საერთო მრიცხველების სისტემა, რომელიც ძალიან არაეფექტურია. პრობლემები ამ მიმართულებით საგადასახადო სისტემის არაადეკვატურობას უკავშირდება. მოსახლეობას იმაზე გაცილებით მეტი თანხის დაფარვა უნევს, ვიდრე რეალურად მოხმარებული ენერჯიაა. ამის მიზეზად სახელდება გაუმართავი და დაზიანებული ელექტროგაყვანილობები, ღია კაბელები, მწყობრიდან გამოსული გაყვანილობის ბოძები, რაც ასევე სასიცოცხლო საფრთხეებს წარმოქმნის.

საკითხის გადაწყვეტის ოპტიმალურ საშუალებად სამიზნე ჯგუფების მონაწილეებს ინდივიდუალური გამრიცხველიანების საკითხის მოგვარება მიაჩნიათ.

რეგიონების რესპონდენტების ნაწილი უკმაყოფილოა ადგილობრივი ენერჯოკომპანიების არაკეთილსინდისიერების და, ზოგ შემთხვევაში, არაადეკვატური სერვისებისა და არაკვალიფიციურობის გამო.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ პრობლემები იქმნება არა ელექტროენერჯის მინოდების ან გრაფიკის, არამედ გამრიცხველიანების სისტემის, ანუ რაიონებში დამონტაჟებული საერთო მრიცხველების გამო. პრობლემური სიტუაციის დასაძლევად კი, ალტერნატიულ საშუალებად ინდივიდუალური გამრიცხველიანება არის მიჩნეული.

გარე განათება

ფოკუს-ჯგუფების დისკუსიებზე გამოვლინდა, რომ გარე განათება ლოკალიზებულია რაიონებში – ცენტრალურ უბნებში. რაც შეეხება პერიფერიულ ქუჩებს, იქ ან საერთოდ არ არსებობს ან, უმრავლეს შემთხვევაში, დაზიანებულია. გარე განათებით უზრუნველყოფილია ძირითადად რაიონის ცენტრები და ქალაქები.

გარე განათების თვალსაზრისით, არასახარბიელო სურათი იკვეთება სოფლებში. იშვიათი გამონაკლისის გარდა, სოფლებში არ არსებობს გარე განათება. განათებულია, ძირითადად, ტრასის მიმდებარე სოფლები.

სახელმწიფოს მხრიდან არის დაპირება, რომ სამომავლოდ განათების პრობლემა გადაიჭრება.

ამ მიმართულებით სამუშაოები უკვე მიმდინარეობს ქუთაისში, რაც, სავარაუდოდ, ამ ქალაქთან დაკავშირებული სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარეობს.

გზები

გზებთან დაკავშირებით, სახეზეა სურათი, რომელიც დადებით ტენდენციებსაც შეიცავს და უარყოფითსაც. დისკუსიის მონაწილეთა მიერ პოზიტიურად ფასდება გზების მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით გადადგმული ნაბიჯები. უარყოფითი შეფასებას იმსახურებს ახლად დაგებული გზების ხარისხი, რამდენადაც ისინი ხშირად მალევე ფუჭდება და თავიდან ხდება შესაკეთებელი.

ქალაქებში პრობლემურია შიდა გზების მდგომარეობა, გარდა ცენტრალური ნაწილისა. ცენტრალურ ქუჩებზე გზების ხარისხიც უკეთესია.

უარყოფითი ტენდენციები იკვეთება ამ მხრივ სოფლებში, მიუხედავად იმისა, რომ სოფლის განვითარების პროგრამით არაერთგან არის დაწყებული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამ შემთხვევაში, მოსახლეობის განწყობას განსაზღვრავს გზების უხარისხობა და არაკვალიფიციურად შესრულებული სამუშაო.

სოფლების გზების მდგომარეობა არასახარბიელოა იმ კუთხითაც, რომ ბევრი სოფელი პრაქტიკულად მიუვალაა. მართალია, სოფლებში ხდება გზების მოხრეშვა, თუმცა, სამუშაოების ხარისხი ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან უარყოფითად ფასდება. როგორც დისკუსიების მასალებიდან ირკვევა, ამას ართულებს სანიღვრე სისტემების არარსებობა, რის გამოც უამინდობის დროს გზები ირეცხება, ხრეში იშლება და ხელახლა გასაკეთებელია. რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ გზის შეკეთების დაგეგმარების დროს არ არის გათვალისწინებული სადრენაჟო სისტემები, არ კეთდება ბორდიურები, რაც აჩქარებს ახლად დაგებული გზების დაზიანების პროცესს.

ამრიგად, რეგიონის მასშტაბით შედარებით დადებითად ფასდება რესპონდენტების მიერ ქალაქებისა და რაიონული ცენტრების ცენტრალური უბნების მდგომარეობა. ხოლო ამ ტერიტორიული ერთეულების და-ნარჩენ ნაწილებში სრული სარეკონსტრუქციო სამუშაოებია ჩასატარებელი.

წყალდამცავი ნაგებობები

რეგიონებში ძალიან აქტუალურია საკითხი წყალდამცავი ნაგებობების შესახებ. რესპონდენტებმა დიდი მნიშვნელობა მიაანიჭეს ჯებირების გამაგრებით სამუშაოების ჩატარებას, ვინაიდან რეგიონებში მომრავლდა მენყერსაშიში ზონები, რაც ტყის საფარის გაჩეხვამ გამოიწვია. ჯებირების დანგრევის შემთხვევაში, მოსახლეობას საშიშროება ემუქრება. არის შემთხვევები, როდესაც ადიდებული მდინარე ნაპირებიდან გადმოდის და აზიანებს სავალი გზის ნაწილს, სახნავ-სათეს ფართობებს და ა.შ. პრობლემა რაიონებში განსაკუთრებით აქტუალურია თოვლის დნობის პერიოდში.

სარწყავი სისტემები

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები ადასტურებენ, რომ ოჯახების გარკვეული ნაწილი იძულებულია, სარწყავად ონკანის წყალი გამოიყენოს, რასაც განაპირობებს სარწყავი წყალმომარაგების ნაკლებობა. სარწყავი წყლით არ არის უზრუნველყოფილი ბევრი ისეთი სოფელი, სადაც ამის აუცილებლობა არსებობს. სარწყავ წყალზე მოთხოვნა ნაკლებია სამეგრელოსა და გურიის რეგიონებში, რასაც მათი ბუნებრივი პირობები, გეოგრაფიული გარემო და კლიმატი განაპირობებს. ჩამოთვლილი რეგიონების საპირისპიროდ, მოთხოვნა სარწყავ წყალზე მაღალია კახეთში, შიდა ქართლში და ა.შ.

უმუშევრობა

საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის აუცილებელია თანმიმდევრული, კომპლექსური და სისტემური ხასიათის ეკონომიკური რეფორმების გატარება, საგადასახადო სისტემის შერბილება, ოპტიმალურთან დაახლოება (არსებული რეალობის გათვალისწინებით) და დიფერენცირება რეგიონების სპეციფიკის გათვალისწინებით, ტერიტორიული ერთეულის სტატუსის და სხვა მრავალი ნიშნის მიხედვით. ამ ჩამონათვალში მნიშვნელოვანია სამუშაო ადგილების შექმნა, დასაქმების ხელშეწყობა, რაზეც, კვლევის შედეგების მიხედვით, ძირითადი პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ეკისრება, რამდენადაც, მონაწილეთა აზრით, მას შეუძლია ისეთი ეფექტური მექანიზმების შემუშავება და შექმნა, რაც უზრუნველყოფს დასაქმების საკითხის ოპტიმიზაციას და სოციალურ სტაბილურობას.

ფოკუს-ჯგუფების დისკუსიები ცხადყოფს, რომ საქართველოს მასშტაბით საკვლევ საკითხთა შორის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად უმუშევრობა სახელდება.

რეგიონებში რესპონდენტთა მიერ ფუნდამენტურ პრობლემად გამოიკვეთა უმუშევრობის საკითხი, რომელიც თანაბრად რელევანტურია ყველა რაიონში. მოსახლეობა მოტივირებულია და მზად არის იმუშაოს, თუმცა, დასაქმების საკითხის გადანყვეტა მათ არ შეუძლიათ. აქედან გამომდინარე, მოსახლეობას დასაქმების პრობლემის მოსაგვარებლად მნიშვნელოვნად მიაჩნია:

- სახელმწიფოს რეაგირება და მისი ჩარევა, რომელიც სრულად ფლობს საკითხის გადანყვეტის ეფექტურ ბერკეტებს – სანარმოების (ფაბრიკების, ქარხნების, სხვადასხვა პროფილის მცირე ნარმოებების და სხვა) ამოქმედება, კერძო ბიზნესის რეალურად ხელშემწყობი გარემოს შექმნა და განვითარება.
- სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა – სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციით, აგრეთვე, ნიადაგის გამამდიდრებელი სასუქებით უზრუნველყოფა და ა.შ. და რაც ძალზე მნიშვნელოვანია, აგრარულ სექტორში მოყვანილი პროდუქტის გადამამუშავებელი სანარმოების ამოქმედება, რომლებიც მაქსიმალურად და რაციონალურად აითვისებენ რაიონებში არსებულ რესურსებს. ეს კი, ხელს შეუწყობს ექსპორტის განვითარებას.

რესპონდენტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ უმუშევრობის გამო რეგიონში გაზრდილია მიგრაციის დონე, რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე – შემცირებულია შობადობისა და მომატებულია სიკვდილიანობის მაჩვენებელი.

VI. გარემოს დაცვა/ეკოლოგია

დასუფთავების პრობლემები ურბანული ტიპის ტერიტორიულ ერთეულებში უკეთ არის გადაჭრილი, ვიდრე სოფლებში. გარემოს დაცვის საკითხებიდან დასუფთავება ექცევა დადებით შეფასებათა ველში, თუმცა, ამ მხრივაც იკვეთება სერიოზული ხარვეზები, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ნაგავსაყრელების დაუდგენელი საზღვრების არსებობა, შემოუღობავი ტერიტორიები, რის გამოც საყოფაცხოვრებო ნარჩენები იფანტება მომიჯნავე ტერიტორიებზე და აბინძურებს გარემოს; ნაგავსაყრელებზე ადვილად აღწევნის შინაური ცხოველები, რამდენადაც ტერიტორიები დაუცველია; ასევე პრობლემურია ნაგავსაყრელების დასახლებულ პუნქტებთან სიახლოვე და ა.შ.

არაერთ დასახლებულ ერთეულში არსებობს უფრო მეტი რაოდენობის ბუნკერისა და ნარჩენების უფრო ხშირად გატანის მოთხოვნა, რამდენადაც რესპონდენტები ამას განიხილავენ, როგორც ბუზებისა და მავნე მწერებისგან თავდაცვის, ასევე ანტისანიტარიის გავრცელების პრევენციულ საშუალებას.

დასუფთავების სფეროში განხორციელებულ ძვრებს მოსახლეობა პოზიტიურად აღიქვამს, თუმცა, როგორც აღინიშნა, უარყოფითი შეფასებები და კრიტიკული დამოკიდებულება ამ მიმართულებითაც არსებობს.

ხე-ტყე

ფოკუს-ჯგუფების დისკუსიებმა გამოავლინა, რომ მოსახლეობას კარგად აქვს გაცნობიერებული ის საფრთხეები, რაც ხე-ტყის გაჩანაგებას მოსდევს. უკანასკნელი წლების განმავლობაში ტყის მასივების უკანონოდ გაჩეხვის ტენდენცია დაფიქსირდა, რასაც, სამიზნე ჯგუფების მონაწილეთა აზრით, მრავალი უარყოფითი შედეგი მოჰყვა: ტყის მასივებისა და იშვიათი ჯიშების დაუზოგავმა განადგურებამ გამოიწვია მენყერსაშიმი ზონების წარმოქმნა და ხელი შეუწყო მთელ ტერიტორიაზე მენყერიანობის პროცესების გააქტიურებასა და გახშირებას, რასაც სტატისტიკაც მოწმობს, განადგურდა ქარსაფარი ზოლები და ა.შ. ზემოაღნიშნულმა პროცესებმა გამოიწვია კლიმატური და წყლის რესურსების ცვლილებები.

აღნიშნული საკითხის განხილვისას ორი ასპექტის აქცენტირება მოხდა: 1. შეშის დამზადება გათბობის მიზნით; და 2. ტყის გაჩეხვა ბიზნეს-ინტერესებიდან გამომდინარე, რაც, ძირითად შემთხვევაში, უკანონოდ, გაყიდვის მიზნითა და პირადი ფინანსური სარგებლის მიღების მოტივით ხდება (მასალა გადის და იყიდება უცხო ქვეყნებში, მაგალითად, თურქეთში).

რაც შეეხება შეშის დამზადებას და მის გამოყენებას ზამთრისთვის გათბობის მიზნით, ამისთვის არსებობს სპეციალური სამსახური, რომელიც კანონის ფარგლებში იძლევა სანქცირებულ ნებართვას და, შესაბამისად, ხის მოჭრა გარკვეული სელექციის საფუძველზე ხდება.

რესპონდენტებს მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ყველა რეგიონში ტყის აღდგენითი სამუშაოების ინტენსიფიკაცია, ახალი ნერგების ჩაყრა და ტყის განახლება. ისინი მზაობას გამოთქვამენ, თვითონაც აქტიური მონაწილეობა მიიღონ განაშენიანების პროცესში.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა დადებით განწყობას იმსახურებს რეინჯერთა სამსახური, რომლის შემოღებამ ხელი შეუწყო ტყის საფარის უკანონოდ გაჩანაგების აღმოფხვრას, ადგილობრივი ფლორის (რა თქმა უნდა, ფაუნისაც) დაცვასა და იშვიათი ჯიშების გადარჩენას.

ჰაერის სისუფთავე

საქართველოს რეგიონებში ფოკუს-ჯგუფების შეხვედრებისას ეკოლოგიასთან დაკავშირებით სხვა ტიპის პრობლემებიც გამოიკვეთა, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ჰაერის დაბინძურება, გამონაბოლქვის არსებობა. აღნიშნული საკითხი მწვავედ დგას მადნის მოპოვებულ და სამრეწველო სპეციფიკის მქონე ტერიტორიულ ერთეულებში. ასეთად სახელდება იმერეთის რეგიონში ქვანახშირისა და მარგანეცის მომპოვებელი საბადოები ტყიბულსა და ჭიათურაში, ფეროშენადნობთა ქარხანა ზესტაფონში, სადაც გამონაბოლქვითა და მტკრით გაჯერებული ჰაერი ჯანმრთელობისთვის რეალურ საშიშროებას წარმოადგენს და ზრდის ეკოლოგიურ რისკებს გარემოს (მდინარეების) დაბინძურების თვალსაზრისით; ასევე, კასპის ცემენტის ქარხნების მტკერი, რაც მავნე ნივთიერებებსაც გამოყოფს და მტკრის გავრცელების არეალი საკმაოდ ფართოა. ანალოგიური ვითარებაა რუსთავში. რესპონდენტების აზრით, ამას განაპირობებს ფლტრების ნაკლებობა და უხარისხობა; აგრეთვე, საგარეჯო, სადაც ეკოლოგიურ საფრთხეს წარმოადგენს ნავთობისა და გაზის საბადოები, რომლებიც საგარეჯოსთან ახლოს მდებარეობს და რომლის გამოც ადგილობრივ მცხოვრებთა შორის სხვადასხვა სახის დაავადებები გამოვლინდა. მოსახლეობა ამის გამო

ცენტრალური ხელისუფლებისგან კომპენსაციასა და უფასო სამედიცინო კონსულტაციას ითხოვს.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ადამიანთა ბუნებასთან რაციონალური ურთიერთობების დამყარების განმსაზღვრელი ფაქტორი. ამიტომაც, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, ორგანიზაციულ პრობლემებთან ერთად, ბევრია დამოკიდებული ეკოლოგიურ ცნობიერებასა და ადამიანის ქცევაზე. დაბალი ეკოლოგიური კულტურის დონე ყველა ასპექტით ვლინდება – ეკოლოგიურ განათლებაში, ეკოლოგიურ აღზრდაში, ეკოლოგიურ ქცევაში, რასაც ცხოვრების ყველა დონეზე უნდა ექცეოდეს ყურადღება, რათა ადამიანმა შეძლოს, სწორად გააცნობიეროს ორიენტირები, რაც გარემოსთან დაკავშირებული საფრთხეებისა და ეკოლოგიური კატასტროფების მინიმალიზაციას მოახდენს.

VII. გასართობი დანახვებები (დასვენების, კულტურული შეხვედრების აღზიდვა, პარკები, სათამაშო მოედნები, სპორტული ნაგებობები და ა.შ.)

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა აზრით, გართობის, დასვენების (კულტურული და აქტიური) საშუალებების პრობლემა თანაბრად აქტუალურია ყველა რაიონში. ამ ტიპის დანახვებებში რესპონდენტები მოიზარებენ: ახალგაზრდულ კლუბებს, კინო-თეატრებს, კულტურის ცენტრებს, სპორტულ კომპლექსებს, სკვერებსა და პარკებს, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს და ა.შ.

როგორც სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლები გადმოგვცემენ, რაიონებში ამ მხრივ არასახარბიელო ვითარებაა: ძველი ინფრასტრუქტურა დღეს პრაქტიკულად განადგურებულია და გამოსაყენებლად – უვარგისი, ხოლო ახლის შენება ინტენსიურად არ მიმდინარეობს. ზოგიერთ რაიონში, მათი სპორტული ტრადიციებიდან გამომდინარე, არსებობს სპორტული დარბაზებისა თუ კომპლექსების მშენებლობის მოთხოვნა, სპორტის ამა თუ იმ სახეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მართალია მცირე მცდელობები ამ კუთხით რეგიონებში არსებობს, მაგრამ ეს არასაკმარისია და ახალგაზრდობის ფიზიკური და სულიერი განვითარების საქმეში განსაკუთრებულ როლს ვერ შეასრულებს.

VIII. სხვადასხვა

მიგრაცია

კვლევაში სამიზნე ჯგუფების მონაწილეთა მიერ აქცენტირებულია მიგრაციის საკითხი, რაც, უმრავლეს შემთხვევაში, მათი აზრით, უმუშევრობის ფაქტორით არის გამოწვეული. საქმე შეეხება როგორც ქვეყნის შიდა, ისე გარე მიგრაციას. მიგრაცია ყველა საზოგადოებისა და ყველა დროისათვის დამახასიათებელი მოვლენაა, მაგრამ დღევანდელ რეალობაში იგი ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებულად მზარდი ტენდენციით ვლინდება. ჯგუფების მონაწილეთა აზრით, ამას ხელს უწყობს ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონი და მიგრაციის შემცირება მოხდება დასაქმების პრობლემის მოგვარებით. აღნიშნულ საკითხს რესპონდენტებმა დაუკავშირეს ტრეფიკინგის პრობლემა, რისგანაც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები არ არიან დაზღვეულნი და ამის არაერთი ფაქტი არსებობს.

ტურიზმთან დაკავშირებული საკითხები

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა წინ წამოწიეს ქვეყნისთვის ტურიზმის განვითარების მნიშვნელობის საკითხი. საქართველოში მრავალი ადგილი არსებობს, რომელიც ცნობილია უნიკალური სამკურნალო თვისებების მქონე თერმული, მინერალური და სამკურნალო წყლებით, სამკურნალო ტალახით და ა.შ., რომლებიც საბჭოთა პერიოდში სრული დატვირთვით ფუნქციონირებდა და მრავალ დამსვენებელს იღებდა. ამჟამად, განადგურებულია მათი ინფრასტრუქტურა. თუმცა, რესპონდენტებს მათი ამოქმედება შესაძლებლად მიაჩნიათ. საამისოდ, მათი აზრით, უნდა შეიქმნას მიმზიდველი გარემო, აღდგეს ტურისტული ინფრასტრუქტურა, რითაც, გარკვეულწილად, დასაქმების პრობლემაც გადაიჭრება.

საპენსიო ასაკი

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ოპტიმალური საპენსიო ასაკობრივი ზღვრის დადგენა. მათი აზრით, დღეისათვის არსებული ნორმატიული ზღვარი არ არის რაციონალურად გათვლილი და მან 5 წლით ქვემოთ უნდა დაინიშნოს. ამასთანავე, პენსიონერს, სურვილის შემთხვევაში, მუშაობის უფლება და საშუალება უნდა მიეცეს.

სოფლის მეურნეობა

საქართველოს რეგიონების პოტენციალის მნიშვნელოვანი წილი დღეს მოდის სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოებასა და გადამამუშავებაზე. ამჟამინდელი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით დასაქმებულთა (თვითდასაქმებულთა) დიდი რაოდენობა სწორედ სოფლის მეურნეობის სფეროზე ნაწილდება.

რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ დღეს სოფლის მეურნეობას არ ექცევა სათანადო ყურადღება. ამ მიმართულებით არსებულ პრობლემათა შორის სახელდება:

- არასაკმარისი ტექნიკა და ძვირი საწვავი. სოფლად ჩამოყვანილი ტექნიკით გლეხი ფაქტობრივად ვერ სარგებლობს;
- გლეხს ესაჭიროება ახალი, თანამედროვე ინფორმაციის ფლობა, რაც უზრუნველყოფს მოყვანილი სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციას, მისთვის სასაქონლო სახის მიცემას;
- პრობლემის გადაჭრის გზად დასახელდა სოფლად სპეციალისტების მონვევა, გლეხებთან შეხვედრა და ტრენინგების ჩატარება.

ერთპარტიული მმართველობა

რესპონდენტები ასევე შეეხნენ თვითმართველობის პრობლემას. მათი აზრით, ადგილობრივი თვითმართველობა უნდა იყოს პირდაპირი წესით არჩეული, სოფელს უნდა ჰყავდეს არჩეული სოფლის გამგებელი და არა დანიშნული, ისევე, როგორც ქალაქს უნდა ჰყავდეს მოსახლეობის მიერ არჩეული მერი.

აზარტული თამაშები

ზოგადად, საკითხი აქტუალურია ქალაქებისთვის. კვლევის ფარგლებშიც, როგორც ირკვევა, იგი ქ. ბათუმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, რომელმაც, რესპონდენტთა შეფასებით, ნარკომანიის პრობლემაც კი დაჩრდილა. მომრავლებული სამორინეების/კაზინოების, ტოტალიზატორების პროპორციულად, იმატა დანაშაულის რიცხვმაც, რაც თანხების წაგებას უკავშირდება. მოსახლეობას მწვავე რეაქცია აქვს ამ საკითხთან დაკავშირებით და მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული სათამაშო დაწესებულებების გაუქმებას.

ნარკომანიის პრობლემა

ნარკომანია მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხად განიხილება და მის გამომწვევ მნიშვნელოვან მიზეზად უმუშევრობა და დასაქმების გადაუჭრელი პრობლემა სახელდება. რესპონდენტებს ამ პრობლემის გადაჭრის გზად სახელმწიფოს მიერ სწორი ნაბიჯების, დასაქმებისა და ნარკოპოლიტიკის გადაუდებელი გატარება ესახებათ.

მინის დაკანონება

საკითხმა წინა პლანზე წამოიწია აჭარის ფოკუს-ჯგუფების შეხვედრებზე. ნაკვეთების დაკანონებას ხელს უშლის საკანონმდებლო ხარვეზი. რესპონდენტების აზრით, სწრაფად და ფორსირებულად მიღებული კანონი ნაკლოვანია და არ იცავს მოქალაქის ინტერესებს. ამას ემატება სასამართლოს არაობიექტურობა, აგრეთვე, კლანური სისტემის გადმონაშთების არსებობა.

საარჩევნო პერიოდის ხარვეზები

მოსახლეობის პროტესტს იწვევს წინასაარჩევნო პერიოდში მოსახლეობაზე, კონკრეტულად, საჯარო სექტორში დასაქმებულებზე ზემოქმედების ფაქტები, რომელთაც აიძულებენ, მხარი დაუჭირონ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს.

საბანკო სესხები

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ დაბალპროცენტიანი სესხების გაცემის ხელშეწყობა საკურორტო ზონის მოსახლეობისათვის, რომელთაც სამუალება მიეცემათ, მოაწყონ ტურისტული ინფრასტრუქტურა, რაც ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას უზრუნველყოფს.

ქირითადი მიზნუბები და დასკვნები

მართალია, ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა შეფასებებში ნეგატიური დამოკიდებულებები საგრძობლად აღემატება დადებითს, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქებში არსებული ვითარება მათ მიერ უკეთესად ფასდება, ვიდრე სოფლების მდგომარეობა.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა წყლის არასტაბილური და შეზღუდული მიწოდება, გრაფიკის რეჟიმი, ხშირი შეწყვეტა – ზოგჯერ მოულოდნელი და გრაფიკით გაუთვალისწინებელი, რის გამოც ოჯახები წყალს ეკონომიურად მოიხმარენ.

კვლევამ გამოავლინა, რომ მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილს შეუძლია საკუთარი ხარჯებით გაიუმჯობესოს წყლის მიწოდებასა და ხარისხთან დაკავშირებული მდგომარეობა.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთაგან ირკვევა, რომ მოსახლეობის მხოლოდ გარკვეული ნაწილი (მცირე) მოიხმარს ბოთლებში დაფასოებულ სუფთა წყალს, რამდენადაც ეს დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული და ყველას ხელი არ მიუწვდება (განსაკუთრებით, მრავალსულიან ოჯახებს).

სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლების აზრით, მოსახლეობის (ძირითადად, სოფლის მოსახლეობის) დიდი ნაწილი იძულებულია, მოიხმაროს ჭის, წყაროს წყალი; ამ სეგმენტიდან ნაწილს საკუთარ ეზოებში აქვს ჭა, ნაწილს კი მათი საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებული ტერიტორიებიდან უწევს წყლის მოზიდვა, რაც თავისთავად ტრანსპორტირების დანახარჯებსაც გულისხმობს. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის ტიპიდან გამომდინარე (იგულისხმება თვისებრივი კვლევა), არ შეგვეძლო ზემოთ ჩამოთვლილი დანახარჯების ზუსტი განსაზღვრა, რომელიც, რასაკვირველია, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განსხვავებულია. თუმცა, ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ წყლის არაადეკვატური მიწოდების გამო, ოჯახებს უხდებათ დამატებითი ადამიანური და ფინანსური რესურსის გაღება.

წყალმომარაგებასთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად დაბალშემოსავლიან ოჯახებს არ შეუძლიათ მცირე ხარჯების განევაც კი აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად (დაფასოებული წყლის ყიდვა, წყლის საქაჩი დანადგარის შექმნა, მიღების შეკეთება საკუთარი ხარჯებით) და ასეთი კატეგორიის ხვედრითი წილი, რესპონდენტების კომენტარებიდან გამომდინარე, რეგიონში ძალიან მაღალია.

უარყოფითად ფასდება წყლის ხარისხის მახასიათებლები – გამჭვირვალობა, ფერი, ზოგიერთ შემთხვევაში, გემო, ონკანის წყალში დანალექის, ჭიების/წურბელების, მწერების არსებობა. სავარაუდოდ, სწორედ ამის გამო, სასმელი წყლის ხარისხი, ჯანმრთელობის უსაფრთხოების კუთხით, რესპონდენტთა მიერ უარყოფითად ფასდება.

წყალმომარაგებასა და საკანალიზაციო სერვისებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განახლება და მოწესრიგება (მათ შორის, სასმელი წყლის უზრუნველყოფის სისტემის რეაბილიტაცია, რაც უშუალო კავშირშია წყლის ხარისხთან, საკანალიზაციო ნარჩენების გადამუშავების სტანდარტის დაცვა), საქართველოში ტურისტული განვითარების პრიორიტეტიდან გამომდინარე, ერთ-ერთი პირველი რიგის სტრატეგიულ მიზნად უნდა განიხილებოდეს.

განხორციელებულმა კვლევამ საკმაოდ პესიმისტური სურათი აჩვენა საქართველოს რეგიონებში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის კუთხით. ასეთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა კვლევის მონაწილეთა კომენტარები და მსჯელობები სხვადასხვა პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით, როგორცაა: უმუშევრობა, გადასახადების ტარიფები, სახლებში გაზის შეყვანისთვის საჭირო სახსრების არარსებობა, გათბობის საშუალებები, წყლის საქაჩი ტუმბოებით უზრუნველყოფა, მკურნალობის ხარჯები, განათლება და ა.შ.

სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით, ნეგატიური შეფასებების მაჩვენებლები აღემატება დადებითს, რაც გარკვეული ცვლილებების აუცილებლობაზე მიუთითებს. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი აპარატურით სამედიცინო დაწესებულებების აღჭურვა, ასევე, სამედიცინო დაწესებულებების რეკონსტრუქცია და რეაბილიტაციის დაჩქარება ქვეყნის მასშტაბით. მართალია, ამ მიმართულებით რესპონდენტების მიერ ფიქსირდება დადებითი ტენდენციებიც როგორც სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციის, ისე მათი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვის თვალსაზრისით, მაგრამ მოსახლეობა ამას არასაკმარისად მიიჩნევს.

მნიშვნელოვანია მკურნალობის ხელმისაწვდომობის საკითხის აქტუალიზაცია, მკურნალობისა და მედიკამენტების ფასების ადაპტირება მოსახლეობის გადახდისუნარიანობასთან და ოპტიმალური ფასების განსაზღვრა.

ნეგატიური ტენდენციები ვლინდება განათლების სისტემის გარკვეული პარამეტრების შეფასებისას, რაც ძირითადად უკავშირდება სასწავლო დაწესებულებებში კომპიუტერული ტექნიკის ნაკლებობას, ინტერნეტის ქსელში ჩაურთველობას. ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობას კარგად აქვს გაცნობიერებული თანამედროვე ტექნიკის ფლობის მნიშვნელობა განათლების საქმეში.

ჯგუფების მონაწილეების აზრით, მოსაგვარებელია მოსწავლეთა ტრანსპორტირების პრობლემა (ეს ეხება სკოლას მოშორებულ სოფლებს, სადაც მოსწავლეებს სკოლამდე მისასვლელად დიდი მანძილის გავლა უნევთ).

ქვეყნის მასშტაბით, არსებულ პრობლემათა შორის პრიორიტეტულად გამოვლინდა:

- გაზიფიკაციის საკითხი, ზოგიერთ პუნქტში დაწყებული სამუშაოების დასრულების დაჩქარება; აგრეთვე, რესპონდენტებს ამ სფეროში ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ არსებული კომუნალური მრიცხველების ჩანაცვლება ინდივიდუალურით, ადეკვატური ტარიფების განსაზღვრა;
- ელექტროენერჯის მიწოდების თვალსაზრისით, შეფასებების დადებითი ტენდენცია ფიქსირდება. უარყოფითი ვექტორის მიმართულებით შეფასებები იკვეთება საერთო მრიცხველების და, აქედან გამომდინარე, გადასახადების დადგენილ ტარიფთან დაკავშირებით. რესპონდენტთა აზრით, ინდივიდუალური მრიცხველები ვითარებას უკეთესობისკენ შეცვლის;
- ფოკუს-ჯგუფებში ვლინდება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი დამოკიდებულებები გზების მდგომარეობასთან დაკავშირებით. დადებითად ფასდება გზის გაყვანასთან, დაგებასა თუ შეკეთებასთან დაკავშირებული ინიციატივა. უარყოფითია შეფასებები შესრულებული სამუშაოების ხარისხის (რამდენადაც გზები მალევე ფუჭდება) და არეალის მიმართ (რამდენადაც ქალაქებში უფრო ცენტრალურ უბნებშია ლოკალიზებული და არ მოიცავს სხვა უბნებს). სოფლებში ეს სამუშაოები არააქტიურად/მდორედ მიმდინარეობს;
- დასუფთავებისა და ბუნკერების დადგმის თვალსაზრისით, ვითარება პოზიტიურად ფასდება, თუმცა, ზოგიერთ პუნქტში იკვეთება მათი რაოდენობის გაზრდის საჭიროება;
- ხე-ტყის გაჩეხვასთან დაკავშირებით, დადებითი ტენდენცია დაფიქსირდა. რაიონებში ხე-ტყე უკანონოდ, ისეთი ინტენსივობით, როგორც უწინ, აღარ იჭრება, რამდენადაც მკაცრად კონტროლდება, რაც ჯგუფების მონაწილეების აზრით, ტყეების შენარჩუნებას ხელს შეუწყობს. თუმცა, უკვე გაჩეხილია ტყის დიდი ნაწილი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ახალ განაშენიანებაზე ზრუნვა;
- გასართობი გარემოსა და დაწესებულებების არსებობის თუ შექმნის კუთხით მოთხოვნა აქტუალურია ყველა რაიონში. გარკვეული ელემენტები ამა თუ იმ კუთხეში მინიმალურად არსებობს, მაგრამ მისი მასშტაბების და სპექტრის გაფართოება აუცილებელია.

მონაცემები მიღებულია ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა სუბიექტური შეფასებების საფუძველზე. ამის გათვალისწინებით, შესაძლოა, ისინი ზუსტად ვერ ასახავდნენ არსებულ ვითარებას. მაგრამ სუბიექტური ფაქტორის მინიმალიზაციის შემთხვევაშიც კი, არსებული ვითარება ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა. პროექტის განხორციელების პოზიტიური ეფექტი ცხადია:

1. წყლის მონოდების, საკანალიზაციო, ელექტროენერჯის და გაზიფიკაციის მომსახურების სისტემის გაუმჯობესება, ასევე, სხვა სოციალური საკითხების – გზების, სარწყავი, გარე განათების სისტემების რეაბილიტაცია მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის ტურისტული პოტენციალის აღდგენა-განვითარებაში; ეს კი, თავის მხრივ, გააუმჯობესებს მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას, საგრძნობლად შეამცირებს უმუშევრობასა და მიგრაციის მზარდ დონეს;
2. არაადეკვატური საკანალიზაციო მომსახურება სახელდება ქუჩების, მდინარეების და, ზოგადად, გარემოს დაბინძურების ძირითად მიზეზად. ეკოლოგიურად სუფთა გარემო კი ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას. გაუმჯობესდება საზოგადოების ჯანმრთელობის მდგომარეობა. კვლევის შედეგების თანახმად, მაღალია ინფექციურ დაავადებათა და სასმელი წყლით ინტოქსიკაციის გავრცელების საშიშროება, რაც უკავშირდება წყლის დაბინძურებას საკანალიზაციო მიწების უხარისხობის გამო;
3. საქართველოს რეგიონების მიხედვით განხორციელებულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ აქტუალურ პრობლემათა რიგითობა ყველგან თითქმის ერთნაირია, პრობლემები ერთგვაროვანია. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა შეფასებებში რადიკალური განსხვავებები არ არის. გამოვლენილი ზოგადი ტენდენციები მეტ-ნაკლები ინტენსივობით იკვეთება საქართველოს აღმოსავლეთ, დასავლეთ, სამხრეთ რაიონებში;

4. რესპონდენტები საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივებსა და იმედებს ნაწილობრივ უკავშირებენ იმ სტრუქტურებსა და ორგანიზაციებს, ვისაც საზოგადოების კეთილდღეობაზე ზრუნვა მოეთხოვება (ასეთად მოიაზრება ადგილობრივი და ცენტრალური სახელმწიფო სტრუქტურები). თუმცა, კმაყოფილების ხარისხიც ნაწილობრივია – უფრო უარყოფითი, ვიდრე დადებითი;
5. განხილულ პრობლემათა ჩამონათვალი საზოგადოების ამა თუ იმ სფეროს (სოციალური პოლიტიკა, განათლება, ჯანდაცვა, ეკოლოგია და ა.შ.) განეკუთვნება. პრობლემების მოგვარებაც შესაბამის სფეროებში არსებულ მდგომარეობაზე აისახება. საქართველოს ხელისუფლების დეკლარირებული პოლიტიკა მიმართულია რეფორმების გატარებაზე სოციალური ცხოვრების ყველა სპექტრში. ამდენად, თითოეულ სფეროში არსებული მდგომარეობა რეფორმის მიმდინარეობის წარმატება-წარუმატებლობის ინდიკატორია. გამოკითხულთა აზრით (დისკუსიების მასალებიდან გამომდინარე):
 - არც თუ წარმატებულია სოციალური და ეკონომიკური ხასიათის რეფორმების მიმდინარეობა.
 - კრიტიკულია შეფასებები განათლების და ჯანდაცვის სფეროებში გატარებული რეფორმების მიმართ. თუმცა, ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები ერთმნიშვნელოვნად დადებითად აღიქვამენ და აფასებენ ამ მიმართულებით განხორციელებულ პოზიტიურ ძვრებს (შენობების რემონტი, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა და სხვა).
 - ნაკლებად ხისტი დამოკიდებულება ვლინდება ეკოლოგიური პრობლემების მიმართ, რამდენადაც, რესპონდენტთა აზრით, სახეზეა მდგომარეობის გაუმჯობესების ტენდენცია (რეინჯერების სამსახურების გააქტიურების სახით). თუმცა, არსებული მდგომარეობა კმაყოფილების საფუძველს არ იძლევა და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სამუშაოებია განსახორციელებელი, პირველ რიგში, ტყის აღდგენითი სამუშაოები და ახალ განაშენიანებაზე ზრუნვა.
 - აბსოლუტურად პოზიტიურია განწყობები დასუფთავების ახალი სისტემისა და სამსახურებისადმი (მცირე კორექტირების საჭიროებას თუ არ ჩავთვლით).
6. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა აზრით, განხილულ პრობლემათა დიდი ნაწილი გადაუჭრელია. შეიმჩნევა მხოლოდ გარკვეული პოზიტიური ძვრები, რაც საკითხის მოსაგვარებლად არასაკმარისია. ეს განსაკუთრებით ეხება სოციალური ხასიათის ამოცანებს, როგორცაა უმუშევრობა, ხელფასების/პენსიების გაზრდა. მოსახლეობას არ აკმაყოფილებს ის ცვლილებები, რომლებიც უკანასკნელი წლების განმავლობაში ხელისუფლების მიერ განხორციელდა;
7. შეფასებათა პარალელიზმის ხარისხი სხვადასხვა რეგიონის ჯგუფებს შორის ძალზე მაღალია.

ფოკუს-ჯგუფების შეხვედრების ჩატარებამ საქართველოს მასშტაბით გამოავლინა ძირითადი პრობლემები, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში არსებობს და აქტუალურია მოსახლეობისათვის. შესწავლილ იქნა აღნიშნული პრობლემების სპექტრი, ინტენსივობა და მასშტაბები, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მათი გადაჭრის ოპტიმალური გზების ძიებას, აგრეთვე, იმ ფაქტორების დადგენას, რომლებიც სათანადო პირობებს შექმნის არსებული სიტუაციის კორექციის ხელშემწყობი გარემოს უზრუნველყოფისთვის.

„თემის მოზილიზაცია“ – ადგილობრივი ხელისუფლების დაპირებები

მონიტორინგის მსვლელობისას, განსაკუთრებული ყურადღება იქნა გამახვილებული, „სამართლიანი არჩევნებისა“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ, 2008-2009 წლებში ერთობლივად განხორციელებული პროექტის “დემოკრატიული ინსტიტუტების ხელშეწყობა სამართლიანი საარჩევნო პროცესებისა და აქტიური სამოქალაქო მონაწილეობის გზით” – ერთ-ერთი ფაზის „თემის მოზილიზების“ ფარგლებში, საადვოკაციო კამპანიის დროს გამოვლენილ პრობლემებზე, რომელთა მოგვარების დაპირება მოსახლეობამ ჯერ კიდევ 2009 წელს მიიღო ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან. პროექტში ჩართულმა მოქალაქეებმა განახორციელეს მონიტორინგი იმისა, თუ რამდენად შესრულდა ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ მოსახლეობისათვის მიცემული დაპირებები. მონიტორინგის შედეგად, გამოვლინდა, რომ 38 დაპირებიდან, 22 შესრულდა, 6 ნაწილობრივ შესრულდა, ხოლო 10 არ შესრულდა.

ადგილობრივი ხელისუფლების დაპირებები

№	რეგიონი	მუნიციპალიტეტი	დაპირება	შედეგი
1	აჭარა	ქედა	სოფლის კლუბის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო თანხები გათვალისწინებული იქნება მომავალი წლის ბიუჯეტში	არ შესრულდა
2	აჭარა	ხულო	საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის თანხები ჩასმულია მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში	არ შესრულდა
3	აჭარა	შუახევი	სოფელ გოგაძეებში წყალსადენის რეაბილიტაციას გაითვალისწინებენ მომავალი წლის ბიუჯეტში	შესრულდა
4	იმერეთი	ვანი	მოხდა დაპირება, რომ განახორციელებენ მდინარის ძველი კალაპოტის ჩარეცხვას და ჰესის მოქმედებით გამონვეული ზიანის ანაზღაურებას	შესრულდა
5	იმერეთი	ხონი	მრგვალ მაგიდაზე მოხდა დაპირება, რომ პრობლემას (სასაფლაოების მოვლას) სამომავლოდ აუცილებლად განახორციელებენ	ნაწილობრივ შესრულდა. სასაფლაოები შემოიღობა. თუმცა სასაფლაოებიდან ნაგვის სისტემატური გატანა არ მომხდარა
6	სამეგრელო-ზემო სვანეთი	აბაშა	სოფელ ტყვირის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო თანხებს გაითვალისწინებენ მომავალი წლის ბიუჯეტში	ნაწილობრივ შესრულდა. ელექტროენერგია შეყვანილ იქნა, მაგრამ რეაბილიტაციას საჭიროებს
7	სამეგრელო-ზემო სვანეთი	ზუგდიდი	ახალსოფლისა და კოლხიდის გზის რეაბილიტაციისათვის საჭირო თანხებს გაითვალისწინებენ მომავალი 2010 წლის ბიუჯეტში	არ შესრულდა
8	სამეგრელო-ზემო სვანეთი	ჩხოროწყუ	წყალსადენის რეაბილიტაციის საჭირო თანხების გათვალისწინება მოხდება მომავალი წლის ბიუჯეტში	არ შესრულდა
9	მცხეთა-მთიანეთი	ყაზბეგი	უახლოეს მომავალში დაგეგმილია ინდივიდუალური მრიცხველების დადგმა	შესრულდა
10	მცხეთა-მთიანეთი	მცხეთა	მცხეთა-თბილისის მარშრუტის ახალი გეგმის შემუშავება (ბოლო გაჩერების მეცვლასთან დაკავშირებით)	არ შესრულდა
11	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	ამბროლაური	ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ მოხდა დაპირება, რომ მოაგვარებენ საკანალიზაციო სისტემისა და წყალგაყვანილობის პრობლემას	შესრულდა
12	სამცხე-ჯავახეთი	ასპინძა	იდუმალა-ოშორის გზების რეაბილიტაციის თანხები გათვალისწინებული იქნება 2010 წლის ბიუჯეტში	შესრულდა
13	იმერეთი	ქუთაისი	ქ.ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენელმა, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა განაცხადეს რომ, აქტიურად ჩაერთვებიან ელექტრო გამრიცხველიანების პრობლემის მოგვარებაში და გუმათის თემის მოსახლეობას დაეხმარებიან "ენერჯო-პრო-ჯორჯიასაგან" ინდივიდუალური გამრიცხველიანების გრაფიკის მოპოვებაში	შესრულდა

14	იმერეთი	წყალტუბო	1.სანატორიუმ „შახტიორის“ წყალმომარაგების მოგვარება	ნაწილობრივ შესრულდა. მოხდა წყლის ავზის შექმნა
			2.დასუფთავების პრობლემის მოგვარება	შესრულდა
15	იმერეთი	ზესტაფონი	1.გამრიცხველიანება დაინყება 2010 წლის მარტიდან.	შესრულდა
			2.გათვალისწინებული იქნება გზის მოასფალტება	შესრულდა
16	იმერეთი	ბაღდათი	გადაიხედება სამგზავრო ტარიფის ღირებულება ქუთაისი-ბაღდათის მიმართულებით	არ შესრულდა, საწვავის გაძვირების გამო
17	შიდა ქართლი	ქარელი	ქარელის მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია დასრულდება 2010 წელს	შესრულდა
18	შიდა ქართლი	კასპი	გზის რეაბილიტაციას გაითვალისწინებენ 2010 წლის ბიუჯეტში	შესრულდა
19	შიდა ქართლი	ხაშური	გზის რეაბილიტაციას გაითვალისწინებენ 2010 წლის ბიუჯეტში	შესრულდა
20	სამცხე-ჯავახეთი	ნინოწმინდა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიანვდიან ინფორმაციას არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რათა შემუშავდეს ეფექტური სახელმწიფო პროგრამა ქართული კულტურისა და ენის პრობლემის მოსაგვარებლად	შესრულდა
21	სამცხე-ჯავახეთი	ბორჯომი	სოფელ ყვიბისის საჯარო სკოლის აღდგენასთან დაკავშირებით, დაელოდებიან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებას	არ შესრულდა
22	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	შეამონმებენ წყლის ხარისხს	შესრულდა
23	სამცხე-ჯავახეთი	ახალქალაქი	თუ სასწავლებელი გამოყოფს საწვავის ხარჯს, მუნიციპალიტეტი თავის მხრივ უზრუნველყოფს მუნიციპალური ავტობუსით	შესრულდა
24	კახეთი	გურჯაანი	1.სოფელ ყიტაანის გზის რეაბილიტაცია გათვალისწინებულ იქნება 2010 წლის ბიუჯეტში	არ შესრულდა
			2.სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით გამგეობა შუამდგომლობას დააყენებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინაშე	არ შესრულდა
25	კახეთი	ყვარელი	წლის ბოლოსათვის იგეგმება ნაგვის თავდახურული ტიპის ბუნკერების დადგმა ქალაქში და ერთი სპეციალური ნაგვის გამტანი მანქანის შექმნა	შესრულდა
26	გურია	ლანჩხუთი	კულტურის სახლის დარბაზის რემონტის თანხების გათვალისწინება მოხდება 2010 წლის ბიუჯეტში	ნაწილობრივ შესრულდა, თანხა გაითვალისწინეს, შესაბამისი სამუშაოები ჩატარდა, თუმცა არასრულყოფილად

27	გურია	ჩოხატაური	1.წყალსადენის პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით ჯერ დადგინდება ხარჯთაღრიცხვა და შემდეგ შემუშავდება სამოქმედო გეგმა	ნაწილობრივ შესრულდა. ზოგიერთ უბანს წყალი კვლავ არ მიეწოდება
			2.სოფლის ცენტრის იერსახის გაუმჯობესება უახლოეს მომავალში განხორციელდება	შესრულდა
28	აჭარა	ბათუმი	1.მუნიციპალური ტრანსპორტის დანიშენისათვის მოსახლეობასთან ერთად შემუშავდება სამარშრუტო გეგმა	არ შესრულდა
			2.მანანალა ძაღლების პრობლემაზე იზრუნებს შესაბამისი სამსახური	შესრულდა
29	აჭარა	ხელვაჩაური	საგზაო დეპარტამენტი შეაკეთებს სოფელ წინსვლის გზას	შესრულდა
30	აჭარა	ქობულეთი	ციხისძირი-ქობულეთი-ციხისძირის მიმართულებით ტრანსპორტის მოძრაობა აღდგება, რომელიც შემდგომ დამოკიდებული იქნება მოსახლეობის გადახდისუნარიანობაზე	შესრულდა, მაგრამ მოსახლეობის გადახდისუნარიანობის გამო ისევ შეწყდა
31	ქვემო ქართლი	გარდაბანი	განხორციელდება №6 ბალის რეაბილიტაცია	შესრულდა
32	ქვემო ქართლი	მარნეული	საკრებულო და გამგეობა მოაგვარებენ აღნიშნულ პრობლემას და მათ მიერ შემოწმდება საკოლმეურნეო ბაზრის სანიტარიული მდგომარეობა	შესრულდა
33	მცხეთა-მთიანეთი	დუშეთი	ხევის განმენდის პრობლემა მოგვარდება 2009 წლის სექტემბრამდე	ნაწილობრივ შესრულდა. ხევი გაინმინდა, მაგრამ ჯებირების გამაგრება არ განხორციელებულა

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის მონიტორინგი⁶

საინიციატივო ჯგუფები

ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის მონიტორინგის განსახორციელებლად, იმ მოქალაქეებისგან, რომლებმაც გაიარეს ტრენინგები, შეიქმნა „საინიციატივო ჯგუფები“. მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქებში ყოველთვიურად ეწყობოდა საკოორდინაციო შეხვედრები, სადაც სამართლიანი არჩევნებისა და საიას წარმომადგენლები მოქალაქეებთან ე.წ „მონიტორებთან“ ერთად განიხილავდნენ და მსჯელობდნენ მონიტორინგის მიმდინარეობის, გამოვლენილი ფაქტებისა და გამოკვეთილი ტენდენციების შესახებ. შეხვედრებზე მოქალაქეები გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს და, საჭიროების შემთხვევაში, გადიოდნენ კონსულტაციებს ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. საინიციატივო ჯგუფების მიერ მონოდეზული ინფორმაციისა და მონიტორინგის ფორმების საფუძველზე, ხორციელდებოდა მონაცემების დამუშავება და ყოველთვიურად, პრეს-კონფერენციების მეშვეობით, საზოგადოების ინფორმირება მონიტორინგის შედეგების შესახებ.

მონიტორინგის ძირითადი მიმართულებები

ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობების მონიტორინგი 3 ძირითადი მიმართულებით განხორციელდა:

- ინფორმაციის საჯაროობა
- საკრებულოს სხდომები
- საბიუჯეტო პროცესები

⁶ მონიტორინგის საპილოტო ფაზა მოიცავს პერიოდს 2010 წლის მარტიდან-სექტემბრამდე; აქტიურ ფაზაში მონიტორინგი შევიდა 2010 წლის სექტემბრიდან და დასრულდა 2011 წლის მარტში.

თავის მხრივ, სამივე მიმართულება მოიცავდა რამდენიმე კონკრეტულ ასპექტს, კერძოდ, თუ რამდენად:

- საჯაროდ და კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დაცვით ხდება საჯარო ინფორმაციის გაცემა;
- ითვალისწინებენ და როგორ რეაგირებენ მოქალაქეების მიერ წარდგენილ პრობლემებზე ადგილობრივი თვითმმართველობები;
- საჯაროდ და კანონმდებლობის ვადების დაცვით ხდება მოსახლეობის ინფორმირება დაგეგმილი სხდომების შესახებ;
- ღია და გამჭვირვალე საკრებულოს სხდომები და სხდომებზე რიგითი მოქალაქეების დასწრება;
- საჯაროდ და კანონმდებლობით დადგენილი ვადების შესაბამისად ხდება ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირება და მასში ცვლილებების შეტანა;
- არის გათვალისწინებული მოქალაქეების პრიორიტეტები ადგილობრივ ბიუჯეტში;
- შესრულდა 2009 წელს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები;
- მოგვარდა ფოკუს-ჯგუფების შედეგად იდენტიფიცირებული პრობლემები;
- შესრულდა 2009 წელს „თემის მობილიზების“ პროექტის ფარგლებში საადვოკაციო კამპანიის დროს ადგილობრივი თვითმმართველობების დაპირებები

მონიტორინგის მიმდინარეობისას, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტი საკმაოდ მჭიდროდ და მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული ერთმანეთთან. ადგილობრივ თვითმმართველობებში განცხადებების წარდგენის, სხდომებზე დასწრებისა და საბიუჯეტო პროცესებში ჩართულობით, მოქალაქეები თავად აკვირდებოდნენ მათ მუნიციპალიტეტებში მიმდინარე პროცესებს.

საჯარო ინფორმაცია

საქართველოს კონსტიტუციისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ყველას აქვს უფლება, გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში არსებულ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაციის გამოყენებით, მოქალაქეებს შეუძლიათ შეიტყონ:

- ✓ როგორ ასრულებენ სახელმწიფო ორგანოები თავიანთ მოვალეობებს;
- ✓ როგორ და რატომ იღებენ ისინი გადაწყვეტილებებს;
- ✓ როგორ ხარჯავენ საბიუჯეტო სახსრებს და სხვა.

ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში მოქალაქეთა მონაწილეობის უფლების მნიშვნელოვანი კომპონენტია საჯარო ინფორმაციის გაცემა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, საქართველოში საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნა, ძირითადად, ხორციელდება მხოლოდ კონკრეტული ორგანიზაციების მიერ. ცალკეული ინდივიდები, ანუ მოქალაქეები ნაკლებად არიან ინფორმირებული მათი უფლებების შესახებ საჯარო ინფორმაციის გაცემის კუთხით და, შესაბამისად, მათი ჩართულობა და აქტიურობა, ამ მხრივ, საკმაოდ დაბალია. სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით და მოქალაქეების ჩართულობის გაზრდის მიზნით, მონიტორინგის ერთ-ერთ კომპონენტად შერჩეულ იქნა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნა. მოქალაქეებს ტრენინგებზე მიენოდა ინფორმაცია არა მხოლოდ მათი უფლებებისა და საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის წესების, არამედ მათი ჩართულობის მნიშვნელობისა და განცხადებების ადგილობრივ თვითმმართველობებში წარდგენის მეშვეობით, მოსახლეობისათვის პრიორიტეტული საკითხების გადაჭრის შესაძლებლობების შესახებ.

თემატიკა

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობების მონიტორინგი, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის კუთხით, წარმართა 2 ძირითადი მიმართულებით:

- თუ რამდენად საჯაროდ და კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვით გაიცემოდა ინფორმაცია მოქალაქეების მიერ წარდგენილ განცხადებებზე;
- როგორ რეაგირებდნენ ადგილობრივი თვითმმართველობები იმ განცხადებებზე, რომლებშიც მოქალაქეები ითხოვდნენ კონკრეტული პრობლემების მოგვარებას.

აქედან გამომდინარე, ინფორმაცია, რომელსაც მოქალაქეები ითხოვდნენ საკრებულოებიდან, გამგეობებიდან და მერიიდან, არ იყო მხოლოდ ერთ საკითხზე ორიენტირებული. სხვადასხვა თემატიკის განცხადებების მეშვეობით, ერთი მხრივ, მოწმდებოდა, თუ რამდენად საჯაროდ და კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დაცვით ხდებოდა ინფორმაციის მიწოდება მოქალაქეებისთვის და, მეორე მხრივ – თუ რა ზომებს მიმართავდა ადგილობრივი ხელისუფლება წარდგენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად. მოქალაქეები, ძირითადად, ითხოვდნენ ინფორმაციას სხვადასხვა მიმართულებით გახარჯული და გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ, ადგილობრივ ბიუჯეტებს ცვლილებებითა და დამატებებით, პრიორიტეტების დოკუმენტებს, საკრებულოს წევრების საკონტაქტო ინფორმაციას, საკრებულოს და გამგეობის სამსახურებრივ დებულებებს, სოფლის მხარდაჭერის პროგრამებს, გამგეობებსა და საკრებულოებში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით წარდგენილ განცხადებათა რაოდენობებს, საკრებულოს სხდომის ოქმებს, დღის წესრიგებსა და გადაწყვეტილებებს, სხვადასხვა სახის განკარგულებებს და ნორმატიულ აქტებს, ინფორმაციას უკვე დასრულებული, მიმდინარე და დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ, კერძოდ, არის თუ არა გათვალისწინებული ადგილობრივი ბიუჯეტით ამა თუ იმ საკითხის მოგვარება, ამასთან, განცხადებებით მიმართავდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას კონკრეტული პრობლემების მოგვარების მოთხოვნით.

გამოთხოვნილი ინფორმაციის თემატიკა:⁷

დასახელება	რაოდენობა
სხვადასხვა მიმართულებით გახარჯული და გამოყოფილი თანხები	101
საკრებულოს საშტატო ნუსხა და სამსახურებრივი დებულებები	88
კონკრეტული პრობლემების მოგვარების მოთხოვნა	78
2010-2011 წლების ადგილობრივი ბიუჯეტები ცვლილებებითა და დამატებებით	69
საკრებულოს სხდომის ოქმები, დღის წესრიგები და გადაწყვეტილებები	63
ინფორმაცია სხვადასხვა დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ	51
ინფორმაცია სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისა და მდგომარეობის შესახებ	35
„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები	34
ნორმატიული აქტები, ბრძანებები, განკარგულებები	38
2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები	24
2010-2011 წლების ადგილობრივი ბიუჯეტის პრიორიტეტების დოკუმენტები	16
2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტები	23
2010-2011 წლების საკრებულოსა და გამგეობაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით წარდგენილ განცხადებათა რაოდენობა	24
სოციალური დახმარების პროგრამები	13
ინფორმაცია უკვე დასრულებული ღონისძიებების შესახებ	12
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა სახის დაწესებულებების რაოდენობები	10
სხვა	9

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში წარდგენილი განცხადებები

ინფორმაციის საჯაროობის გადამოწმების მიზნით, მონიტორინგის პერიოდში, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, მოქალაქეებს პერიოდულად შეჰქონდათ სხვადასხვა თემატიკის შემცველი განცხადებები ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებში, კერძოდ საკრებულოებში, გამგეობებსა და მერიაში. საერთო ჯამში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში მოქალაქეებმა წარადგინეს **688** განცხადება, აქედან **236** – გამგეობაში, **441** – საკრებულოში და **11** – მერიაში.

⁷ ინფორმაცია დამუშავებულია 688 მონიტორინგის ფორმის საფუძველზე

ადგილობრივ თვითმმართველობებში წარდგენილი განცხადებები რეგიონების მიხედვით:

№	რეგიონი	გამგეობა	საკრებულო	მერია	ჯამი
1	სამეგრელო-ზემო სვანეთი	45	53	6	104
2	იმერეთი	30	66	0	96
3	კახეთი	24	69	0	93
4	ქვემო ქართლი	30	49	3	82
5	სამცხე-ჯავახეთი	33	38	0	69
6	შიდა ქართლი	28	31	0	59
7	აჭარა	9	42	2	53
8	მცხეთა-მთიანეთი	20	32	0	52
9	რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	5	44	0	50
10	გურია	12	18	0	30

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში წარდგენილი 688 განცხადებიდან, 610 განცხადება მოქალაქეებმა წარადგინეს კონკრეტულად საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, რომელიც არ საჭიროებდა განხილვას ან გადაწყვეტილების მიღებას, ხოლო 78 განცხადება შეტანილ იქნა კონკრეტული პრობლემების მოგვარების მოთხოვნით.

საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები

საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნა ხდება წერილობითი განცხადებით,⁸ რომლის სავალდებულო რეკვიზიტებიც კანონითაა დადგენილი.⁹ განმცხადებელი არ არის ვალდებული, მიუთითოს ინფორმაციის მოტივი და მიზანი.¹⁰ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, მიიღოს და რეგისტრაციაში გაატაროს განცხადება მიღების დღესვე, თუნდაც იგი არ შეიცავდეს ყველა რეკვიზიტს, დაასვას მას რეგისტრაციის თარიღი და ნომერი.¹¹ განმცხადებლის მოთხოვნის შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ დაუყოვნებლივ უნდა გადაუგზავნოს ან გადასცეს მას განცხადების რეგისტრაციაში გატარების დადასტურება. განცხადების რეგისტრაციაში გატარებიდან ათვლევა საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის დადგენილი ვადები.

საქართველოს კანონმდებლობა ადმინისტრაციულ ორგანოებს უდგენს საჯარო ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემის ვალდებულებას. კანონი უშვებს 10 დღიანი ვადით სარგებლობის უფლებასაც, თუ ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირისათვის საჭიროა:

- ✓ სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიება და დამუშავება;
- ✓ მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიება და დამუშავება;
- ✓ სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფს ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაცია.¹²

ჩამოთვლილი სამი შემთხვევიდან რომელიმეს არსებობისას, საჯარო დაწესებულების თანამშრომელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს განმცხადებელს 10 დღიანი ვადის გამოყენების შესახებ.¹³

მოქალაქეებისგან მოწოდებული ინფორმაციისა და მონიტორინგის ფორმების დამუშავების საფუძველზე, დაფიქსირდა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით წარდგენილი 610 განცხადებიდან, დაუყოვნებლივ პასუხი გაცემა მხოლოდ 92-ს, 10 დღის ვადაში – 450-ს, 10 დღის შემდეგ – 56-ს, 12 შემთხვევაში კი, განცხადებაზე პასუხები საერთოდ არ იქნა მიღებული.

⁸ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდეგში-სზაკ) 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

⁹ სზაკ-ის 78-ე მუხლი.


¹⁰ სზაკ-ის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

¹¹ სზაკ-ის 79-ე მუხლის I ნაწილი.

¹² სზაკ-ის მე-40 მუხლის I ნაწილი.

¹³ სზაკ-ის მე-40 მუხლის I ნაწილი.

საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები¹⁴




მონიტორინგის შედეგად, გამოიკვეთა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით წარდგენილ განცხადებებზე პასუხის გაცემისას, უმეტეს შემთხვევაში, იყენებენ 10 დღიან ვადას. დაუყოვნებლივ, ძირითადად, გასცემდნენ ისეთი სახის ინფორმაციას, როგორიც არის ადგილობრივი ბიუჯეტი, სხდომის ოქმები, დღის წესრიგები, საკრებულოს საშტატო ნუსხა, სამსახურებრივი დებულებები და სხვა ინფორმაცია, რომელიც არ მოითხოვდა დამუშავებას, სხვა სტრუქტურაში მიმართვას ან გადამისამართებას.

დაფიქსირებული დარღვევები

მოქალაქეების მიერ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში წარდგენილი 610 განცხადებიდან 68 (11.1%) შემთხვევაში განცხადებებზე პასუხები დაგვიანებით ან საერთოდ არ იქნა გაცემული. განცხადებების რაოდენობამ, რომლებზეც პასუხები მოქალაქეებს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დარღვევით მიეწოდათ, შეადგინა 56-ს (9,1%), ხოლო განცხადებები, რომლებზეც მოქალაქეებს პასუხები საერთოდ არ მიუღიათ – 12 (2.0%).

დაფიქსირებული დარღვევები რეგიონების მიხედვით:



¹⁴ ინფორმაცია დამუშავებულია 610 მონიტორინგის ფორმის საფუძველზე

სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონი

საჯარო ინფორმაციის გაცემისას, კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დარღვევის ყველაზე მეტი, კერძოდ, 25 შემთხვევა, სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში დაფიქსირდა. აქედან 21 განცხადებაზე მოქალაქეებმა პასუხები დაგვიანებით მიიღეს, ხოლო 4 განცხადება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა უპასუხოდ დატოვეს. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 6, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 6, აბაშის მუნიციპალიტეტში 3, სენაკის მუნიციპალიტეტში 2, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში 2, მარტვილის მუნიციპალიტეტში 2, ხობის მუნიციპალიტეტში 1 და თვითმმართველ ქალაქ ფოთში 3 ინფორმაცია დაგვიანებით ან საერთოდ არ იქნა გაცემული. ცალკე აღსანიშნავია ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სადაც თავდაპირველად დაგვიანების კონკრეტული მიზეზი დასახელებული არ ყოფილა. თუმცა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში დეკემბრის თვეში ჩატარებულ საადვოკაციო შეხვედრაზე ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ დღეში 150-მდე განცხადება შესდიოდათ, რის გამოც ისინი ვერ ახერხებდნენ ყველა განცხადებაზე პასუხის დროულად გაცემას.

კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დარღვევით მიღებული განცხადებები:

№	მუნიციპალიტეტი	გამოთხოვნის ადგილი	შეტანის თარიღი	მიღების თარიღი	განცხადების შინაარსი	მიზეზი
1	სენაკი	გამგეობა	26.07.10	16.09.10	სენაკის ტერიტორიაზე შიდა გზების რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი თანხების ოდენობა	განცხადების შინაარსის გაურკვეველობა
2	სენაკი	გამგეობა	30.03.10	15.04.10	2010 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის ქსეროასლი	ანგარიში არ ჰქონდათ მზად
3	ზუგდიდი	გამგეობა	13.12.10	28.12.10	რამდენი საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და რამდენს გაუკეთდა რეაბილიტაცია	ყოველდღიურად დიდი რაოდენობით შესული განცხადებებისა და დროის უკმარისობის გამო
4	ზუგდიდი	გამგეობა	13.12.10	28.12.10	რამდენი უფასო სასადილო ფუნქციონირებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში და რამდენ სოციალურად დაუცველ მოქალაქეს ემსახურება	ყოველდღიურად დიდი რაოდენობით შესული განცხადებებისა და დროის უკმარისობის გამო
5	ზუგდიდი	გამგეობა	13.12.10	28.12.10	2011 წლის ბიუჯეტის ელექტრონული ვერსია	ყოველდღიურად დიდი რაოდენობით შესული განცხადებებისა და დროის უკმარისობის გამო
6	ზუგდიდი	საკრებულო	18.01.11	09.02.11	არის თუ არა გათვალისწინებული 2011 წლის ბიუჯეტში ახალსოფლისა და კოლხიდის გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია	ყოველდღიურად დიდი რაოდენობით შესული განცხადებებისა და დროის უკმარისობის გამო
7	ზუგდიდი	გამგეობა	18.01.11	10.02.11	არის თუ არა გათვალისწინებული 2011 წლის ბიუჯეტში ახალსოფლისა და კოლხიდის გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია	ყოველდღიურად დიდი რაოდენობით შესული განცხადებებისა და დროის უკმარისობის გამო
8	წალენჯიხა	გამგეობა	17.09.10	30.09.10	რა თანხებია გათვალისწინებული ადგილობრივ ბიუჯეტში კულტურული ღონისძიებებისათვის	უცნობია

9	წალენჯიხა	გამგეობა	17.09.10	30.09.10	2010 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში სპორტული მოედნების რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი თანხების ოდენობა	უცნობია
10	წალენჯიხა	გამგეობა	17.12.10	10.01.11	2010 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ხიდების მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხის ოდენობა	ახალი წლის პერიოდი
11	წალენჯიხა	გამგეობა	17.12.10	10.01.11	2010 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში საჯარო სკოლების რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი თანხების ოდენობა	ახალი წლის პერიოდი
12	წალენჯიხა	გამგეობა	17.12.10	10.01.11	2010 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების, საერთო საცხოვრებლებისა და სხვა დაწესებულებებისათვის გამოყოფილი თანხების ოდენობა	ახალი წლის პერიოდი
13	წალენჯიხა	საკრებულო	21.01.11	03.02.11	ინფორმაცია 2010 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესახებ	ახალი წლის პერიოდი
14	აბაშა	გამგეობა	02.09.10	16.09.10	2010 წელს ადგილობრივ ბიუჯეტში ინფრასტრუქტურის განვითარებისა და სამშენებლო სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხების ოდენობა	უცნობია
15	აბაშა	საკრებულო	02.09.10	16.09.10	2010 წელს ადგილობრივ ბიუჯეტში სოციალური დაცვისათვის გამოყოფილი თანხების ოდენობა	უცნობია
16	აბაშა	საკრებულო	12.10.10	03.11.10	2010 წელს ადგილობრივ ბიუჯეტში კულტურული ღონისძიებებისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობა	უცნობია
17	ჩხოროწყუ	გამგეობა	13.10.10	05.11.10	2010 წელს სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში გზების რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობა	საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლება
18	ჩხოროწყუ	გამგეობა	13.10.10	05.11.10	2010 წელს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი და გახარჯული თანხების ოდენობა	საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლება
19	ფოთი	მერია	27.07.10	09.08.10	2010 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული პრიორიტეტები	შენობის რემონტი

20	ფოთი	მერია	27.07.10	09.08.10	არის თუ არა გათვალისწინებული 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტში ქალაქ ფოთში ცენტრალურ ქუჩებზე თანამედროვე მოსაცდელების დადგმა	შენობის რემონტი
21	ფოთი	მერია	26.07.10	09.08.10	როდის დაიწყება ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს სარეაბილიტაციო სამუშაოები	შენობის რემონტი

განცხადებები, რომლებზეც პასუხი საერთოდ არ იქნა მიღებული:

№	მუნიციპალიტეტი	გამოთხოვნის ადგილი	შეტანის თარიღი	განცხადების შინაარსი	მიზეზი
1	ზუგდიდი	საკრებულო	28.10.10	2011 წელს საახალწლო-კულტურული ღონისძიებებისათვის გამოყოფილი თანხის ოდენობა	ყოველდღიურად დიდი რაოდენობით შესული განცხადებების და დროის უკმარისობის გამო
2	მარტვილი	საკრებულო	24.12.10	2010 წელს დეკემბრის თვის სხდომის ოქმის ასლები	საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი არ იმყოფებოდა ადგილზე დედის გარდაცვალების გამო და მონიტორმა პასუხი ვერ მიიღო
3	მარტვილი	საკრებულო	10.01.11	ინფორმაცია იანვრის თვეში დაგეგმილი სხდომის შესახებ	დაიკარგა
4	ხობი	გამგეობა	24.12.10	2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელებული ღონისძიებები	ანგარიში არ იყო მზად

ქვემო ქართლის რეგიონი

ქვემო ქართლის რეგიონში კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დარღვევის 24 შემთხვევა დაფიქსირდა. აქედან 18 შემთხვევაში მოქალაქეებს განცხადებებზე პასუხები დაგვიანებით მიენოდათ, ხოლო 6 განცხადებაზე პასუხი საერთოდ არ მიუღიათ. გარდაბნის მუნიციპალიტეტში 10, მარნეულის მუნიციპალიტეტში 6, წალკის მუნიციპალიტეტში 3, ბოლნისის მუნიციპალიტეტში 4 და თვითმმართველ ქალაქ რუსთავში 1 ინფორმაცია დაგვიანებით ან საერთოდ არ იქნა გაცემული. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქვემო ქართლის რეგიონის არცერთ ზემოთ დასახელებულ მუნიციპალიტეტში პასუხების დაგვიანებით მიწოდების ან განცხადებების საერთოდ უპასუხოდ დატოვების მიზეზი არ ყოფილა დასაბუთებული ან განმარტებული ადგილობრივი თვითმმართველობების მხრიდან და, შესაბამისად, დღემდე უცნობია.

კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დარღვევით მიღებული განცხადებები:

№	მუნიციპალიტეტი	გამოთხოვნის ადგილი	შეტანის თარიღი	მიღების თარიღი	განცხადების შინაარსი	მიზეზი
1	გარდაბანი	საკრებულო	31.08.10	20.11.10	2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ქსეროასლი	უცნობია
2	გარდაბანი	საკრებულო	13.09.10	11.10.10	2009 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში	უცნობია
3	გარდაბანი	საკრებულო	30.11.10	15.12.10	ინფორმაცია საკრებულოს წევრთა რაოდენობის, ვინაობისა და დაკავებული პოზიციების შესახებ	უცნობია

4	გარდაბანი	გამგეობა	24.11.10	10.12.10	ინფორმაცია სოფლის განვითარების პროგრამის შესახებ	უცნობია
5	წალკა	გამგეობა	03.09.10	17.09.10	წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მუნიციპალური სამედიცინო და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა	უცნობია
6	წალკა	საკრებულო	30.11.10	16.12.10	შპს სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრისა და შპს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სისტემის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი თანხების ოდენობა და ვადები	უცნობია
7	წალკა	საკრებულო	30.11.10	16.12.10	ინფორმაცია წალკის სტადიონის ჩრდილო-დასავლეთის კედლის აღდგენითი სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების ვადების შესახებ	უცნობია
8	რუსთავი	საკრებულო	28.12.10	16.01.10	2010 წლის 27 დეკემბრის სხდომის ოქმის ქსეროასლი	უცნობია
9	მარნეული	საკრებულო	22.11.10	10.12.10	2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ქსეროასლი და საკრებულოს წევრთა საკონტაქტო ინფორმაცია	უცნობია
10	მარნეული	საკრებულო	22.12.10	06.01.11	მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულება	უცნობია
11	მარნეული	გამგეობა	22.12.10	06.01.11	2009 წელს განხორციელებული სოფლის პროგრამები	უცნობია
12	მარნეული	გამგეობა	22.12.10	06.01.11	2010 წელს განხორციელებული სოფლის პროგრამები	უცნობია
13	მარნეული	საკრებულო	18.01.11	08.02.11	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღებისთვის გამოყოფილი თანხების ოდენობა	უცნობია
14	მარნეული	საკრებულო	18.01.11	08.02.11	2011-14 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი	უცნობია
15	ბოლნისი	საკრებულო	28.12.10	13.01.10	2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ქსეროასლი	უცნობია
16	ბოლნისი	საკრებულო	28.12.10	13.01.10	ინფორმაცია ნოემბრის თვეში მოქალაქეებისთვის განუხილველი ერთჯერადი მატერიალური დახმარებების შესახებ	უცნობია
17	ბოლნისი	საკრებულო	08.01.11	21.01.11	2011 წლის 11 იანვრის სხდომის ოქმის ასლი	უცნობია
18	ბოლნისი	საკრებულო	08.01.11	21.01.11	არის თუ არა 2011 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა	

განცხადებები, რომლებზეც პასუხები საერთოდ არ იქნა გაცემული:

№	მუნიციპალიტეტი	გამოთხოვნის ადგილი	შეტანის თარიღი	განცხადების შინაარსი	მიზეზი
1	გარდაბანი	საკრებულო	23.08.10	ინფორმაცია ჩატარებული საკრებულოს სხდომების რაოდენობის შესახებ	უცნობია
2	გარდაბანი	საკრებულო	21.12.10	ინფორმაცია, თუ რა ტიპის ძირითადი და დამატებითი ქონება აქვს გადაცემული გარდაბნის მუნიციპალიტეტს	უცნობია
3	გარდაბანი	საკრებულო	21.12.10	ინფორმაცია 2010 წელს, 01.03.10-დან 21.12.10-მდე ჩატარებული საკრებულოს სხდომების რაოდენობის შესახებ	უცნობია

4	გარდაბანი	საკრებულო	28.12.10	არის თუ არა გათვალისწინებული 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით შიდა ტრანსპორტირების ხარჯი	უცნობია
5	გარდაბანი	გამგეობა	21.01.10	ინფორმაცია გამგეობის თანამშრომელთა რაოდენობის, ვინაობისა და დაკავებული თანამდებობების შესახებ	უცნობია
6	გარდაბანი	საკრებულო	21.01.10	2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ელექტრონული ვერსია	უცნობია

აჭარის რეგიონი

აჭარის რეგიონში კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დარღვევის 7 შემთხვევა დაფიქსირდა. მოქალაქეების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებში წარდგენილ 6 განცხადებაზე პასუხები ვადების დარღვევით გაიცა, ხოლო 1 განცხადებაზე მოქალაქეებს პასუხი საერთოდ არ მიუღიათ. შუახვევის მუნიციპალიტეტში 5, ქობულეთის მუნიციპალიტეტში 1 და თვითმმართველ ქალაქ ბათუმში 1 ინფორმაცია დაგვიანებით ან საერთოდ არ იქნა გაცემული.

კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დარღვევით მიღებული განცხადებები:

№	მუნიციპალიტეტი	გამოთხოვნის ადგილი	შეტანის თარიღი	მიღების თარიღი	განცხადების შინაარსი	მიზეზი
1	შუახვევი	საკრებულო	26.07.10	06.08.10	ინფორმაცია 2009 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი პროგრამებით შესრულებული სამუშაოების შესახებ	უცნობია
2	შუახვევი	საკრებულო	23.08.10	06.09.10	რა თანხა იყო გათვალისწინებული 2009 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით წყალმომარაგების უზრუნველყოფისა და საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის, სპორტული მოედნების მოწყობისათვის	უცნობია
3	შუახვევი	საკრებულო	23.08.10	06.09.10	რა მიზნობრივი პროგრამები იყო გათვალისწინებული 2009 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში	უცნობია
4	შუახვევი	საკრებულო	23.08.10	06.09.10	იყო თუ არა გათვალისწინებული 2009 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში გზების და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია	უცნობია
5	შუახვევი	საკრებულო	15.10.10	26.10.10	საკრებულოს წევრების საკონტაქტო ინფორმაცია	უცნობია

6	ბათუმი	საკრებულო	23.12.10	17.02.11	ინფორმაცია ქალაქის გარეუბნებში მინისქვეშა კომუნიკაციებისა და ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებისა და დასრულების ვადების შესახებ	განცხადების შეტანიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, საკრებულოს საქმისნარმოების განყოფილებაში აღნიშნულ განცხადებაზე პასუხის მისაღებად მისული მოქალაქე ერთი განყოფილებიდან მეორეში გადაამისამართეს. ბოლო ინსტანციაში, კერძოდ ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა მოქალაქეს განუმარტა, რომ პასუხის დროულად გაცემა ვერ მოხერხდა, ვინაიდან საკითხი სხდომაზე იანვრის ბოლოს იქნა განხილული და არ იცოდნენ ზუსტი თარიღი, თუ როდის დასრულდებოდა სარეაბილიტაციო სამუშაოები
---	--------	-----------	----------	----------	---	---

განცხადებები, რომლებზეც პასუხი საერთოდ არ იქნა მიღებული:

№	მუნიციპალიტეტი	გამოთხოვნის ადგილი	შეტანის თარიღი	განცხადების შინაარსი	მიზეზი
1	ქობულეთი	გამგეობა	25.11.10	არის თუ არა გათვალისწინებული 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ქობულეთში რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაცია	კანცელარიაში ვერ იპოვეს

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში საჯარო ინფორმაციის გაცემა ყველა მუნიციპალიტეტში კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდა, გარდა მცხეთის მუნიციპალიტეტში დაფიქსირებული 4 შემთხვევისა.

კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დარღვევით მიღებული განცხადებები:

№	მუნიციპალიტეტი	გამოთხოვნის ადგილი	შეტანის თარიღი	მიღების თარიღი	განცხადების შინაარსი	მიზეზი
1	მცხეთა	საკრებულო	10.10.10	25.10.10	საკრებულოს შემადგენლობა	უცნობია
2	მცხეთა	საკრებულო	10.10.10	25.10.10	რამდენი კომისია არსებობს საკრებულოში	უცნობია

3	მცხეთა	გამგეობა	17.11.10	08.12.10	2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალურ დახმარებაზე გამოყოფილი თანხის ოდენობა	უცნობია
4	მცხეთა	გამგეობა	17.11.10	08.12.10	2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტში რომელ სოციალურ საკითხებს მიენიჭა პრიორიტეტები	უცნობია

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დარღვევის 3 შემთხვევა დაფიქსირდა ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში.

კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დარღვევით მიღებული განცხადებები:

№	მუნიციპალიტეტი	გამოთხოვნის ადგილი	შეტანის თარიღი	მიღების თარიღი	განცხადების შინაარსი	მიზეზი
1	ნინოწმინდა	გამგეობა	18.10.10	11.11.10	სოფლის განვითარების პროგრამით გათვალისწინებული მშენებლობის გეგმა	კადრების შეცვლა
2	ნინოწმინდა	გამგეობა	18.10.10	11.11.10	სოფლის განვითარების პროგრამით ჩატარებული საერთო კრებების ოქმების ასლები, სადაც განსაზღვრულია სოფლის პრიორიტეტები	კადრების შეცვლა

განცხადებები, რომლებზეც პასუხები საერთოდ არ იქნა მიღებული:

№	მუნიციპალიტეტი	გამოთხოვნის ადგილი	შეტანის თარიღი	განცხადების შინაარსი	მიზეზი
1	ახალქალაქი	გამგეობა	18.10.10	სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროექტების ქსეროასლები	უცნობია

იმერეთის რეგიონი

იმერეთის რეგიონში კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დარღვევით გაიცა პასუხები ჭიათურისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტების გამგეობებში წარდგენილ განცხადებებზე.

კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დარღვევით მიღებული განცხადებები:

№	მუნიციპალიტეტი	გამოთხოვნის ადგილი	შეტანის თარიღი	მიღების თარიღი	განცხადების შინაარსი	მიზეზი
1	ჭიათურა	გამგეობა	17.12.10	09.01.10	ინფორმაცია ქალაქის საავადმყოფოს ტერიტორიასთან მდებარე ანტისანიტარიული კერის მოსასპობად დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ	უცნობია

2	ხარაგაული	გამგეობა	16.11.10	10.02.11	მიმდინარეობდა თუ არა 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირება კანონმდებლობის შესაბამისად	საფინანსო სამსახურის უფროსის განმარტებით, განცხადება აუცილებლად უნდა დაწერილიყო გამგებლის სახელზე, რადგან სამსახურის ხელმძღვანელებს პირდაპირ არ ჰქონდათ საჯარო ინფორმაციაზე პასუხის გაცემის უფლება. 16 ნოემბერს მოქალაქემ წერილი შეიტანა გამგებლის სახელზე. 10 დღის შემდეგ კანცელარიაში მიიღო ზეპირი განმარტება, რომ განცხადებაზე გამგებელს არ ჰქონდა ხელი მოწერილი, მას არც კანცელარიაში დაუბრუნებია განცხადება და არც შესაბამისი სამსახურისთვის გადაუცია.
---	-----------	----------	----------	----------	--	---

შიდა ქართლის რეგიონი

შიდა ქართლის რეგიონში საჯარო ინფორმაციაზე პასუხის დაგვიანებით გაცემის 2 შემთხვევა დაფიქსირდა გორისა და კასპის მუნიციპალიტეტების გამგეობებში.

კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დარღვევით მიღებული განცხადებები:

№	მუნიციპალიტეტი	გამოთხოვნის ადგილი	შეტანის თარიღი	მიღების თარიღი	განცხადების შინაარსი	მიზეზი
1	გორი	გამგეობა	12.10.10	01.11.10	მოქმედებდა თუ არა 2010 წლის 14 აპრილს მიღებული ბრძანება “გაზის განვითარების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების შესახებ” კომბინატის დასახლებაში მდებარე თხევადი გაზის სარეაბილიტაციო პუნქტზე	უცნობია
2	კასპი	გამგეობა	05.08.10	17.08.10	ინფორმაცია ქ.კასპში 26 მაისის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების მდგომარეობისა და მიმდინარეობის შესახებ	უცნობია

კახეთის რეგიონი

კახეთის რეგიონში კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დარღვევის მხოლოდ 1 შემთხვევა დაფიქსირდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში.

კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დარღვევით მიღებული განცხადებები:

№	მუნიციპალიტეტი	გამოთხოვნის ადგილი	შეტანის თარიღი	მიღების თარიღი	განცხადების შინაარსი	მიზეზი
1	საგარეჯო	საკრებულო	30.09.10	19.10.10	ინფორმაცია საგარეჯოში, სტალინის ქუჩაზე ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ	საკრებულოს წარმომადგენლების განმარტებით, განცხადება გადამისამართებული იყო საფინანსო განყოფილებაში, თუმცა, ამის შესახებ შეტყობინება მოქალაქეს არ მიუღია.

აღსანიშნავია, რომ რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთისა და გურიის რეგიონებში კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევები არ დაფიქსირებულა.

კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევის გარდა, არასრულყოფილი და არაზუსტი ინფორმაციის მოწოდების 2 შემთხვევა დაფიქსირდა **სენაკისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში**.

სხვა სუბიექტებისათვის¹⁵ ინფორმაციის გაცემისას დაფიქსირებული დარღვევის ფაქტები

ცალკე უნდა აღინიშნოს ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ სხვა სუბიექტებისათვის საჯარო ინფორმაციის გაუცემლობის/დაგვიანების შემთხვევები.

პროექტის ერთ-ერთი მონიტორის განცხადებით, **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის** გამგეობა სისტემატურად არ გაცემდა პასუხებს საკრებულოს წევრების, მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და მოქალაქეების მიერ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციაზე. გაზეთ „ჩემი ხარაგაულის“ რედაქტორმა გამგეობიდან მოითხოვა პარლამენტისა და პრეზიდენტის კანცელარიაში გამგეობის მიერ წარდგენილი ანგარიშის ასლები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე რეაგირების შესახებ. ვინაიდან გამგეობიდან გაზეთის რედაქციას თითქმის 2 თვის განმავლობაში პასუხი არ მიუღია, ამიტომ 2011 წლის 28 იანვარს ჟურნალისტებმა იმავე ინფორმაციის მოთხოვნით, მიმართეს პარლამენტს. 3 თებერვალს პარლამენტიდან მიღებულ პასუხში აღნიშნული იყო, რომ 36 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე 36 პასუხი გაცემული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ. ამის შემდეგ, 4 თებერვალს გამგეობიდან გაზეთის რედაქციამ მიიღო პასუხი, რომელშიც განსხვავებული ციფრები იყო მითითებული და არ ემთხვეოდა პარლამენტში წარდგენილ ანგარიშში ასახულ რაოდენობას. გამგებელის განმარტებით, თავდაპირველად მან პარლამენტში არასწორი ინფორმაცია გადაგზავნა და მოგვიანებით მიაწოდა შესწორებული ვერსია. გაზეთმა პარლამენტიდან მოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როდის გადაიგზავნა გამგეობიდან ანგარიშის შესწორებული ვარიანტი. 21 თებერვალს რედაქციამ მიიღო წერილი, რომელშიც მითითებული იყო, რომ ხარაგაულის გამგეობიდან შესწორებული ვერსია 8 თებერვალს იქნა მიღებული პარლამენტის მიერ. გაზეთი „ჩემი ხარაგაული“ ამჟამადაც აგრძელებს ამ საკითხთან დაკავშირებულ მონიტორინგს.

გორის მუნიციპალიტეტში პასუხი დაგვიანებით მიეწოდა მოქალაქეს 2010 წლის ნოემბრის თვეში გამგეობაში შეტანილ განცხადებაზე, რომლითაც ითხოვდა ინფორმაციას ბოლო ორი წლის მანძილზე გაცემული განცხადებების რაოდენობის შესახებ. ხოლო ივლისის თვეში, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით წარდგენილ განცხადებაზე, ადგილობრივმა თვითმმართველობამ მოქალაქეს ინფორმაცია საერთოდ არ მიაწოდა და მიზეზიც არ განუმარტა.

ადგილობრივი თვითმმართველობა და მოქალაქეები

აღსანიშნავია მონიტორინგის შედეგად დაფიქსირებული შემთხვევები, სადაც მკაფიოდ გამოიკვეთა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების პოზიცია და დამოკიდებულება მოქალაქეების მიერ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის კუთხით გააქტიურებასთან მიმართებით.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ რეგისტრაციაში არ გაატარა მოქალაქის განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე იმ მიზეზით, რომ იგი არ იყო დაწერილი გამგებლის სახელზე. ამის შემდგომ, საიას ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელის სახელით დაინერა წერილი, რომლითაც იგი ითხოვდა განმარტებას, თუ რის საფუძველზე ეთქვა მოქალაქეს უარი გამგეობაში წარდგენილი განცხადების რეგისტრაციაზე. ჩოხატაურის გამგებლის განმარტებით, ისინი ამოწმებდნენ, თუ რამდენად შეესაბამებოდა აღნიშნული განცხადება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლს. ამასთან, აღნიშნეს, თითქოს განმცხადებელმა საკუთარი ინიციატივით არ დატოვა განცხადება, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ამ ფაქტის შემდეგ, პროექტში მონაწილე ზოგიერთ მოქალაქესთან, გამგეობის დავალებით, მოხდა გასაუბრება, რის შედეგადაც მოქალაქეებმა უარი განაცხადეს პროექტში მონაწილეობაზე, ზოგ შემთხვევაში კი, თავად აღარ ისურვეს „გამგებლის განაწყენება“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია **ბაღდათის მუნიციპალიტეტის** გამგეობაში დაფიქსირებული შემთხვევა. კერძოდ, სექტემბრის თვეში მოქალაქემ გამგეობაში წარადგინა განცხადება, რომლითაც ითხოვდა გამგეობის აპარატის სტრუქტურას. განცხადების შეტანის დროს მოქალაქეს განუცხადეს, რომ გამგებელი არ იმყოფებოდა ადგილზე და ამის გამო განცხადებას არ დაიტოვებდნენ. მოქალაქემ მაინც დატოვა განცხადება, თუმცა, მეორე დღეს გამგებელმა დაიბარა კაბინეტში და ჰკითხა, თუ რაში სჭირდებოდა მას ეს „ინტრიგნობა“. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მოქალაქეს გამგეობაში წარდგენილი ჰქონდა განცხადება, რომლითაც სამსახურს ითხოვდა ვაკანსიის გამოჩენის შემთხვევაში. გამგებელი მას დაემუქრა, რომ „დამშვიდობებოდა“ სამსახურის დაწყების პერსპექტივას ბაღდათში. მოგვიანებით, როდესაც გამგებელმა გაიგო, რომ მოქალაქე ჩართული იყო „ხალხის მანიფესტის“ პროექტში, უთხრა მას, რომ გადაეცა „სამართლიანი არჩევნების“ ბაღდათის რაიონული კოორდინატორისთვის, მასთან მისულიყო. როგორც გამგებელმა „სამართლიანი არჩევნების“ ბაღდათის რაიონულ კოორდინატორს აუხსნა, მასთან

¹⁵ იგულისხმება ის სუბიექტები, რომლებიც არ წარმოადგენდნენ პროექტში მონაწილე მონიტორებს

მისული მოქალაქე „უტაქტოდ“ მოიქცა და სწორედ ამ მიზეზით არ უნდოდა მისთვის პასუხის გაცემა. თუმცა, მოქალაქის განმარტებით, გამგებლის ნათქვამი სიმართლეს არ შეესაბამებოდა. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მოქალაქის განცხადებას ისედაც არ იტოვებდნენ კანცელარიაში. „სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორთან საუბრის შემდეგ, მოქალაქეს პასუხი დაუყოვნებლივ მიაწოდეს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მომხდარი ინციდენტის შემდეგ მოქალაქემ უარი განაცხადა პროექტში მონაწილეობაზე.

ბათუმის მერიაში შეტანილ იქნა განცხადება, რომლითაც მოქალაქე ითხოვდა ინფორმაციას ბათუმის ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნების, მათი დანიშნულებისა და მისამართების შესახებ. განცხადების დატოვებიდან რამდენიმე დღეში მონიტორს დაუკავშირდნენ იმის გასარკვევად, იურიდიული პირი იყო თუ არა და რისთვის სჭირდებოდა მოთხოვნილი ინფორმაცია.

დუშეთის მუნიციპალიტეტის პროექტში ჩართულმა ერთ-ერთმა მოქალაქემ სექტემბრის თვეში გამგეობიდან გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია, 2011 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დამონმებული ასლის მოთხოვნით. განცხადება რეგისტრაციაში გაატარეს, თუმცა, რამდენიმე დღის შემდეგ მოქალაქე დაიბარეს მუნიციპალიტეტის გამგეობაში, სადაც გამგებელმა განუმარტა, რომ საიას დუშეთის ოფისი ამ ახალგაზრდას იყენებდა საკუთარი მიზნების განსახორციელებლად. მოქალაქეს დაანერინეს წერილი, სადაც იგი უარს ამბობდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნაზე.

ზოგადად, თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში, გარდა ზემოთ დასახელებული შემთხვევებისა, ადგილობრივი თვითმმართველობები საჯარო ინფორმაციას კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დაცვით გაცემდნენ. თუმცა, ეს შესაძლოა განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორით: ხშირად ადგილობრივი ხელისუფლებისათვის ცნობილი ხდებოდა, რომ მოქალაქეების მიერ ინფორმაციის გამოთხოვნა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტით იყო გათვალისწინებული და მოქალაქეები, იმავდროულად, არასამთავრობო ორგანიზაციების მონიტორებს წარმოადგენდნენ. ამის მაგალითად შეიძლება დასახელდეს ზემოთ მოყვანილი ბაღდათის შემთხვევა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტში დაფიქსირებული ფაქტი, კერძოდ, მოქალაქის მიერ გამოთხოვნილი ინფორმაციის პასუხში იგი მოხსენიებული იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ წევრად.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემის კუთხით, უმეტეს შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობების მხრიდან გამოვლინდა მცდელობა იმისა, რომ ინფორმაცია მოქალაქეებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით ყოფილიყო გაცემული, იმ მუნიციპალიტეტებშიც კი სადაც დაფიქსირდა გარკვეული სახის დარღვევები, გამოიკვეთა ტენდენცია იმისა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა მოქალაქეების შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებას და ხარვეზების გამოსწორებას.¹⁶

საკრებულოს სხდომაები

მიუხედავად იმისა, რომ ყველა მოქალაქეს მოქმედი კანონმდებლობა აძლევს სხდომებზე დასწრების უფლებას, ამ მხრივ მოქალაქეთა ჩართულობა დღეისათვის მაინც საკმაოდ დაბალია. საკრებულოს სხდომებს, ძირითადად, მხოლოდ დაინტერესებული პირები ესწრებიან, კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები. შესაძლოა, ეს გამოწვეული იყოს იმ ფაქტორით, რომ მოსახლეობას სრულყოფილად არ მიეწოდება ინფორმაცია დაგეგმილი სხდომების ჩატარების შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ სხდომებზე განიხილავენ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს, ადგილობრივი თვითმმართველობების ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია მოქალაქეების დასწრება და გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე დაკვირვება.

¹⁶ იმ მუნიციპალიტეტებში სადაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, მონიტორინგის პერიოდში დაფიქსირდა ინფორმაციის გაცემის კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევის ფაქტები, 2011 წლის იანვარ-თებერვლის თვეში ჩატარებულ საადვოკაციო შეხვედრებზე, მოქალაქეებმა ადგილობრივ ხელისუფლებას წარუდგინეს საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული შენიშვნები. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაპირდნენ მოსახლეობას, რომ აუცილებლად გაითვალისწინებდნენ მოქალაქეების რეკომენდაციებს მომავალში.

კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია, ღიად და საჯაროდ წარმართოს თავისი სხდომები. სხდომების საჯაროობა არ გულისხმობს მხოლოდ დაინტერესებული პირების დაშვებას, არამედ მათ დროულ ინფორმირებასაც გასამართი სხდომების შესახებ. კერძოდ, ერთი კვირით ადრე საჯაროდ უნდა გამოცხადდეს მომავალი სხდომების შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

- სხდომის ჩატარების ადგილი;
- სხდომის ჩატარების დრო;
- სხდომის დღის წესრიგი.

საჯაროდ გამოცხადება გულისხმობს დოკუმენტის ადმინისტრაციულ ორგანოში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე, ღიად განთავსებას. აუცილებლობის შემთხვევაში, საჯაროდ გამოცხადება შეიძლება აგრეთვე სხვა საჯარო ადგილას.¹⁷


ინფორმაციის საჯაროობის კუთხით, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის გარდა, მოქალაქეებმა განახორციელეს დაგეგმილი სხდომების ჩატარების შესახებ ინფორმირების მონიტორინგი, კერძოდ:¹⁷

- ხდება თუ არა საზოგადოების ინფორმირება დაგეგმილი სხდომების ჩატარების თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დაცვით ხორციელდება თუ არა მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების ინფორმირება

მოქალაქეების მიერ მონოღებული ინფორმაციისა და მონიტორინგის ფორმების ანალიზის საფუძველზე, გამოვლინდა, რომ უმეტესწილად ადგილობრივი თვითმმართველობები ახდენენ საზოგადოების ინფორმირებას დაგეგმილი სხდომების შესახებ.

ინფორმირება სხდომების შესახებ¹⁸



დაფიქსირებული დარღვევები

მონიტორინგის განხორციელების პერიოდში, 30 შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ არ მოხდა საზოგადოების ინფორმირება დაგეგმილი სხდომების შესახებ. აქედან 15 – ქვემო ქართლის რეგიონში, 9 – სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, 3 – იმერეთის რეგიონში, 2 – კახეთის რეგიონში და 1 – გურიის რეგიონში.

¹⁷ სზაკ-ის 57-ე მუხლი.

¹⁸ ინფორმაცია დამუშავებულია 518 მონიტორინგის ფორმის საფუძველზე.


№	რეგიონი	მუნიციპალიტეტი/ თვითმმართველი ქალაქი	რაოდენობა	შენიშვნა/კომენტარი
1	ქვემო ქართლი	გარდაბანი	5	საერთოდ არ მომხდარა მოსახლეობის ინფორმირება 2010 წლის აგვისტოს, სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის თვეებში
2	ქვემო ქართლი	მარნეული	5	საერთოდ არ მომხდარა მოსახლეობის ინფორმირება 2010 წლის აგვისტოს, სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის თვეებში
3	ქვემო ქართლი	თეთრიწყარო	4	საერთოდ არ მომხდარა მოსახლეობის ინფორმირება 2010 წლის აგვისტოს, სექტემბრის, ოქტომბრის, დეკემბრის თვეებში
4	ქვემო ქართლი	რუსთავი	1	2010 წლის ოქტომბრის თვეში ჩატარებული სხდომის შესახებ ინფორმაცია არ იყო მიწოდებული საზოგადოებისთვის, ვინაიდან სხდომის ჩატარების თარიღი გადაწყდა წინა დღეს ბიუროს სხდომაზე
5	სამეგრელო-ზემო სვანეთი	ზუგდიდი	6	არ მომხდარა საზოგადოების ინფორმირება 2010 წლის აგვისტოს, სექტემბრის, ოქტომბრის, დეკემბრის, იანვრის თვეში დაგეგმილი სხდომების შესახებ. თუმცა, “სამართლიანი არჩევნების” კოორდინატორს ტელეფონის მეშვეობით ატყობინებდნენ.
6	სამეგრელო-ზემო სვანეთი	მარტვილი	2	არ მომხდარა ინფორმირება დაგეგმილი სხდომების შესახებ 2010 წლის ნოემბრისა და დეკემბრის თვეებში
7	სამეგრელო-ზემო სვანეთი	ფოთი	1	არ მომხდარა საზოგადოების ინფორმირება დაგეგმილი სხდომების შესახებ 2011 წლის იანვრის თვეში
8	იმერეთი	ბაღდათი	1	2010 წლის აგვისტოს თვეში რიგგარეშე სხდომა დაინიშნა, რომლის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა წინა დღითაც კი
9	იმერეთი	ქუთაისი	1	არ მომხდარა ინფორმირება რიგგარეშე სხდომის შესახებ 2010 წლის დეკემბრის თვეში
10	იმერეთი	წყალტუბო	1	არ მომხდარა ინფორმირება რიგგარეშე სხდომის შესახებ 2010 წლის დეკემბრის თვეში
11	კახეთი	ლაგოდეხი	2	არ მომხდარა ინფორმირება დაგეგმილი სხდომის შესახებ 2010 წლის აგვისტოს და სექტემბრის თვეებში
12	გურია	ჩოხატაური	1	არ მომხდარა ინფორმირება რიგგარეშე სხდომის შესახებ 2010 წლის ოქტომბრის თვეში

აქვე უნდა აღინიშნოს ის მუნიციპალიტეტები, სადაც ინფორმაცია დაგეგმილი სხდომების შესახებ გავრცელდა, მაგრამ კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დარღვევით. კერძოდ, სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სადაც ადგილობრივი ტელევიზიაც არსებობს და პრესაც, ინფორმაცია 2010 წლის აგვისტოს თვეში დაგეგმილი სხდომის შესახებ, საჯარო სტენდზე მხოლოდ 5 დღით ადრე გამოაკრეს. კანონმდებლობის ვადების დარღვევით მოხდა კასპის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირება 2010 წლის სექტემბრისა და დეკემბრის თვეებში. მონიტორებმა დააფიქსირეს, რომ 2 დღით ადრე ინფორმაცია დაგეგმილი სხდომების შესახებ საკრებულოს შენობაში ჯერ კიდევ არ იყო გამოკრული.

ინფორმირების საშუალებები

მონიტორების მიერ მოწოდებული მასალების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაგეგმილი სხდომების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისათვის ადგილობრივი თვითმმართველობები უმეტესწილად იყენებენ შენობებში განთავსებულ საჯარო სტენდებს.

ინფორმირების საშუალებები¹⁹



იმერეთის რეგიონი

იმერეთის რეგიონში დაგეგმილი სხდომების შესახებ საზოგადოების ინფორმირება, ძირითადად, საჯარო სტენდების მეშვეობით ხდება. სამტრედიისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში, ადგილობრივი ტელევიზიის არსებობის მიუხედავად, ინფორმაცია მხოლოდ საჯარო სტენდზეა გამოკრული. ვანის, წყალტუბოს, ჭიათურის, საჩხერის მუნიციპალიტეტებში საზოგადოების ინფორმირება დაგეგმილი სხდომების შესახებ პრესის მეშვეობით ხდება შეძლებისდაგვარად, ვინაიდან პრესა 2-3 თვეში ერთხელ გამოდის. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სადაც მოსახლეობას ინფორმაცია დაგეგმილი სხდომების შესახებ, მხოლოდ საჯარო სტენდების მეშვეობით მიეწოდებოდა. თუმცა, მოგვიანებით, პროექტში მონაწილე მოქალაქეების მიერ ადგილობრივი ხელისუფლებისთვის განუხილველი რეკომენდაციის შედეგად, ზესტაფონში მოსახლეობის ინფორმირება ტელევიზიის მეშვეობითაც დაიწყო.

№	მუნიციპალიტეტი/ თვითმმართველი ქალაქი	არსებული ძირითადი საინფორმაციო საშუალებები	ინფორმირებისათვის გამოყენებული საინფორმაციო საშუალებები
1	საჩხერე	პრესა	საჯარო სტენდი, პრესა
2	სამტრედია	ტელევიზია, ვებ-გვერდი	საჯარო სტენდი, ვებ-გვერდი
3	ტყიბული	ტელევიზია, პრესა	საჯარო სტენდი, ტელევიზია
4	თერჯოლა	პრესა	საჯარო სტენდი
5	ბაღდათი	არ არსებობს	საჯარო სტენდი
6	ვანი	პრესა	საჯარო სტენდი
7	ზესტაფონი	ტელევიზია, პრესა	საჯარო სტენდი
8	ხონი	ტელევიზია, პრესა	საჯარო სტენდი
9	წყალტუბო	პრესა	საჯარო სტენდი
10	ხარაგაული	პრესა	საჯარო სტენდი, პრესა
11	ჭიათურა	ტელევიზია, პრესა	საჯარო სტენდი
12	ქუთაისი	ტელევიზია, პრესა	საჯარო სტენდი, ტელევიზია

¹⁹ ინფორმაცია დამუშავებულია 518 მონიტორინგის ფორმის საფუძველზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოქალაქეებს ჰქონდათ რამდენიმე ალტერნატიული პასუხის შემოხაზვის საშუალება.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში საზოგადოების ინფორმირება დაგეგმილი სხდომების შესახებ ხორციელდება საჯარო სტენდების მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სადაც ადგილობრივი ტელევიზია, პრესა და ვებ-გვერდი არსებობს, ადგილობრივი თვითმმართველობა მხოლოდ საჯარო სტენდებს, და ისიც ნაწილობრივ, იყენებს საზოგადოების ინფორმირებისთვის. ჩხორონყუს მუნიციპალიტეტის ტელევიზიის მეშვეობით გადაიცემოდა ინფორმაცია სხდომების შესახებ, მაგრამ ტელევიზია შესყიდულ იქნა კერძო პირის მიერ და მას შემდეგ ინფორმირება ტელევიზიით აღარ მომხდარა. მარტვილის, ჩხორონყუს და ხობის მუნიციპალიტეტებში პრესის 2-3 თვეში ერთხელ გამოსვლის გამო, ყველა დაგეგმილი სხდომის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება ვერ ხერხდება. თვითმმართველ ქალაქ ფოთში, სადაც ინფორმირების ყველა საშუალება არსებობს, ინფორმაცია მოსახლეობისათვის მხოლოდ საჯარო სტენდისა და ვებ-გვერდის მეშვეობით არის ხელმისაწვდომი.

№	მუნიციპალიტეტი/თვითმმართველი ქალაქი	არსებული ძირითადი საინფორმაციო საშუალებები	ინფორმირებისათვის გამოყენებული ძირითადი საშუალებები
1	ხობი	პრესა, ვებ-გვერდი	საჯარო სტენდი, ვებ-გვერდი
2	წალენჯიხა	ტელევიზია, პრესა, ვებ-გვერდი	საჯარო სტენდი, ვებ-გვერდი, ტელევიზია
3	სენაკი	ტელევიზია, პრესა	საჯარო სტენდი, პრესა
4	ჩხორონყუ	ტელევიზია, პრესა	საჯარო სტენდი
5	ფოთი	ტელევიზია, რადიო, პრესა, ვებ-გვერდი	საჯარო სტენდი, ვებ-გვერდი
6	მესტია	არ არსებობს	საჯარო სტენდი
7	აბაშა	პრესა	საჯარო სტენდი, პრესა
8	მარტვილი	პრესა	საჯარო სტენდი
9	ზუგდიდი	ტელევიზია, პრესა, რადიო	საჯარო სტენდი

რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთის რეგიონი

რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონში არც მუდმივმოქმედი ადგილობრივი ტელევიზია და არც ვებ-გვერდი არ არსებობს. ვინაიდან გაზეთების გამოშვების ვადები არასტაბილურია, აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი სხდომების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება მხოლოდ საჯარო სტენდების მეშვეობით ხერხდება.

№	მუნიციპალიტეტი	არსებული ძირითადი საინფორმაციო საშუალებები	ინფორმირებისათვის გამოყენებული ძირითადი საშუალებები
1	ლენტეხი	პრესა	საჯარო სტენდი
2	ონი	პრესა	საჯარო სტენდი
3	ამბროლაური	პრესა	საჯარო სტენდი
4	ცაგერი	არ არსებობს	საჯარო სტენდი

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ადგილობრივი ხელისუფლება საზოგადოების ინფორმირებას დაგეგმილი სხდომების შესახებ, მსგავსად სხვა რეგიონებისა, უმეტეს შემთხვევაში, საჯარო სტენდების მეშვეობით ახორციელებს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი ტელევიზიისა და პრესის არსებობის მიუხედავად, ინფორმაცია დაგეგმილი სხდომების შესახებ მხოლოდ საჯარო სტენდზე არის გამოკრული. ასპინძის მუნიციპალიტეტში ინფორმაციის გავრცელება შესაძლოა პრესისა და ვებ-გვერდის მეშვეობითაც, თუმცა, გაზეთი მხოლოდ თვეში ერთხელ გამოდის. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ინფორმაცია უკვე ჩატარებული სხდომების შესახებ ტელევიზიით შუქდება. ახალქალაქში მოსახლეობის ინფორმირებისათვის ყველა

საინფორმაციო საშუალებას იყენებენ, რაც შეეხება ტელევიზიას, ინფორმაცია მორბენალი სტრიქონის საშუალებით ვრცელდება.

№	მუნიციპალიტეტი/ თვითმმართველი ქალაქი	არსებული ძირითადი საინფორმაციო საშუალებები	ინფორმირებისათვის გამოყენებული ძირითადი საშუალებები
1	ბორჯომი	ტელევიზია, პრესა, ვებ-გვერდი	საჯარო სტენდი
2	ადიგენი	ვებ-გვერდი	საჯარო სტენდი
3	ახალქალაქი	ტელევიზია, პრესა, ვებ-გვერდი	საჯარო სტენდი, ტელევიზია – მორბენალი სტრიქონი
4	ნინოწმინდა	ტელევიზია, პრესა, ვებ-გვერდი	საჯარო სტენდი
5	ასპინძა	პრესა, ვებ-გვერდი	საჯარო სტენდი
6	ახალციხე	ტელევიზია, პრესა, ვებ- გვერდი	საჯარო სტენდი, ტელევიზია

შიდა ქართლის რეგიონი

ხაშურში ადგილობრივი ტელევიზიის, კასპში პრესისა და ვებ-გვერდის, ქარელში ვებ-გვერდის, გორში კი, ინფორმირების ყველა საშუალების არსებობის მიუხედავად, ოთხივე მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ საზოგადოების ინფორმირება დაგეგმილი სხდომების შესახებ საჯარო სტენდების მეშვეობით ხორციელდება.

№	მუნიციპალიტეტი/ თვითმმართველი ქალაქი	არსებული ძირითადი საინფორმაციო საშუალებები	ინფორმირებისათვის გამოყენებული ძირითადი საშუალებები
1	გორი	ტელევიზია, პრესა, რადიო, ვებ- გვერდი	საჯარო სტენდი
2	ქარელი	ვებ-გვერდი	საჯარო სტენდი
3	კასპი	პრესა, ვებ-გვერდი	საჯარო სტენდი
4	ხაშური	ტელევიზია, ვებ-გვერდი	საჯარო სტენდი

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ინფორმირების გაუმჯობესების კუთხით მიღწეული შედეგი გორის მუნიციპალიტეტში. კერძოდ, საადვოკაციო შეხვედრის დროს პროექტში მონაწილე მოქალაქეებმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შესთავაზეს მათი მოსაზრებები დაგეგმილი სხდომების შესახებ საზოგადოების ინფორმირების გასაუმჯობესებლად. კერძოდ, სოფლის ცენტრებში არსებული აბრები, სადაც განთავსებულია საჭირო ინფორმაცია ფერმერებისათვის, დამატებით გამოყენებულ იქნეს მოსახლეობის ინფორმირებისთვისაც დაგეგმილი სხდომების შესახებ. საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოქალაქეების მოსაზრება გათვალისწინებული იქნება და აბრებზე განთავსდება არა მხოლოდ ინფორმაცია დაგეგმილი სხდომების, არამედ მიმდინარე პროექტებისა და გადაწყვეტილებების შესახებაც. შეხვედრაზე მოქალაქეების მიერ მიწოდებული რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა.

ქვემო ქართლის რეგიონი

მარნეულის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ტელევიზიისა და ვებ-გვერდის არსებობის მიუხედავად, დაგეგმილი სხდომების შესახებ ინფორმირება მხოლოდ საჯარო სტენდის მეშვეობით ხდება. თუმცა, ტელევიზიით გადაიცემა საკრებულოს წევრების ინტერვიუები სხდომაზე განხილული მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. თვითმმართველ ქალაქ რუსთავში, სადაც ინფორმირების ყველა საშუალება არსებობს, ინფორმაცია დაგეგმილი სხდომების შესახებ, ასევე მხოლოდ საჯარო სტენდზეა გამოკრული. წალკის მუნიციპალიტეტში გაზეთი სამ თვეში ერთხელ გამოდის, რის გამოც ინფორმაცია სხდომების შესახებ მხოლოდ საჯარო სტენდების მეშვეობით არის ხელმისაწვდომი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სადაც, გარდა იმისა, რომ ინფორმაცია სხდომების შესახებ ხელმისაწვდომია ყველა საინფორმაციო საშუალებით, ამასთან სხდომის მიმდინარეობა შუქდება ადგილობრივი ტელევიზიით.

№	მუნიციპალიტეტი/ თვითმმართველი ქალაქი	არსებული ძირითადი საინფორმაციო საშუალებები	ინფორმირებისათვის გამოყენებული ძირითადი საშუალებები
1	რუსთავი	ტელევიზია, პრესა, ვებ-გვერდი	საჯარო სტენდი
2	გარდაბანი	ვებ-გვერდი	საჯარო სტენდი
3	დმანისი	ვებ-გვერდი	საჯარო სტენდი
4	ბოლნისი	ტელევიზია, პრესა, ვებ-გვერდი	საჯარო სტენდი, ტელევიზია, პრესა
5	ნალკა	პრესა, ვებ-გვერდი	საჯარო სტენდი
6	თეთრინყარო	ვებ-გვერდი	საჯარო სტენდი
7	მარნეული	ტელევიზია, ვებ-გვერდი	საჯარო სტენდი

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი

მთიანეთისა და მცხეთის მუნიციპალიტეტებში არანაირი ინფორმირების საშუალება არ არსებობს. სწორედ ამიტომ დაგეგმილი სხდომების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ საჯარო სტენდების მეშვეობით არის მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი. დუშეთში პრესის არსებობის მიუხედავად, ინფორმაცია დაგეგმილი სხდომების შესახებ მხოლოდ საჯარო სტენდზეა განთავსებული. თუმცა, ჩატარებული სხდომის შესახებ მასალები გაზეთში ქვეყნდება.

№	მუნიციპალიტეტი/ თვითმმართველი ქალაქი	არსებული ძირითადი საინფორმაციო საშუალებები	ინფორმირებისათვის გამოყენებული ძირითადი საშუალებები
1	მთიანეთი	არ არსებობს	საჯარო სტენდი
2	მცხეთა	არ არსებობს	საჯარო სტენდი
3	ყაზბეგი	პრესა	საჯარო სტენდი, პრესა
4	დუშეთი	პრესა	საჯარო სტენდი

აჭარის რეგიონი

თვითმმართველ ქალაქ ბათუმში მოსახლეობის ინფორმირება დაგეგმილი სხდომების შესახებ დადებითად შეიძლება შეფასდეს, რადგანაც ინფორმირებას დაგეგმილი სხდომების შესახებ სხვადასხვა საშუალებით ახორციელებენ. თუმცა, სასურველია ინფორმირებისათვის დამატებით ადგილობრივი ტელევიზიის გამოყენებაც. ასევე, ქობულეთის მუნიციპალიტეტში ვებ-გვერდისა და საჯარო სტენდის გარდა, შესაძლებელია ინფორმაციის გაზეთით გავრცელებაც. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აჭარაში არსებობს რეგიონული სატელევიზიო მაუწყებლობა და გაზეთიც, რომელთა დაფარვის არეალი მოიცავს ექვსივე მუნიციპალიტეტს. ამდენად, ადგილობრივ თვითმმართველობებს შეუძლიათ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით აღნიშნული საშუალებების გამოყენებაც.

№	მუნიციპალიტეტი/ თვითმმართველი ქალაქი	არსებული ძირითადი საინფორმაციო საშუალებები	ინფორმირებისათვის გამოყენებული ძირითადი საშუალებები
1	ქობულეთი	პრესა, ინტერნეტი	საჯარო სტენდი, ვებ-გვერდი
2	შუახევი	არ არსებობს	საჯარო სტენდი
3	ხულო	პრესა, ვებ-გვერდი	საჯარო სტენდი, პრესა
4	ხელვაჩაური	ვებ-გვერდი	საჯარო სტენდი, რეგიონული პრესა
5	ბათუმი	ტელევიზია, რადიო, პრესა, ვებ-გვერდი	საჯარო სტენდი, პრესა, ვებ-გვერდი
6	ქედა	ვებ-გვერდი	საჯარო სტენდი

გურიის რეგიონი

ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში, სადაც ადგილობრივი პრესა არსებობს, ინფორმაცია დაგეგმილი სხდომების შესახებ მხოლოდ საჯარო სტენდებზეა განთავსებული. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში კი, საჯარო სტენდზე ინფორმაციის განთავსების გარდა, დაინტერესებულ პირებს სხდომების ჩატარების ადგილს, თარიღსა და დროს სატელეფონო მესიჯების მეშვეობითაც აცნობებენ.

№	მუნიციპალიტეტი/ თვითმმართველი ქალაქი	არსებული ძირითადი საინფორმაციო საშუალებები	ინფორმირებისათვის გამოყენებული ძირითადი საშუალებები
1	ჩოხატაური	პრესა, ვებ-გვერდი	საჯარო სტენდი
2	ლანჩხუთი	პრესა, ვებ-გვერდი	საჯარო სტენდი
3	ოზურგეთი	ტელევიზია, პრესა, ვებ-გვერდი	საჯარო სტენდი, სატელეფონო მესიჯები

კახეთის რეგიონი


კახეთის რეგიონშიც, სხვა რეგიონების მსგავსად, თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში ინფორმაცია დაგეგმილი სხდომების შესახებ საჯარო სტენდების მეშვეობით ვრცელდება. თელავისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში, ადგილობრივი ტელევიზიის არსებობის მიუხედავად, ინფორმაცია მხოლოდ საჯარო სტენდებზეა განთავსებული. აღსანიშნავია გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სადაც, სხვა საინფორმაციო საშუალებების გარდა, ადგილობრივი ხელისუფლება საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ტელევიზიის მორბენალ სტრიქონს იყენებს.

№	მუნიციპალიტეტი/ თვითმმართველი ქალაქი	არსებული ძირითადი საინფორმაციო საშუალებები	ინფორმირებისთვის გამოყენებული ძირითადი საინფორმაციო საშუალებები
1	ყვარელი	არ არსებობს	საჯარო სტენდი
2	დედოფლისწყარო	პრესა	საჯარო სტენდი, პრესა
3	ახმეტა	არ არსებობს	საჯარო სტენდი, პრესა
4	თელავი	ტელევიზია	საჯარო სტენდი
5	სიღნაღი	ვებ-გვერდი	საჯარო სტენდი, ვებ-გვერდი
6	ლაგოდეხი	ტელევიზია, რადიო	საჯარო სტენდი
7	საგარეჯო	არ არსებობს	საჯარო სტენდი
8	გურჯაანი	ტელევიზია, პრესა	საჯარო სტენდი, პრესა, ტელევიზია – მორბენალი სტრიქონი

მოქალაქეების მოსაზრებები/რჩევები

დაგეგმილი სხდომების შესახებ საზოგადოების ინფორმირების კუთხით, მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი მედია-საშუალებების არსებობის მიუხედავად, მას არ იყენებენ საზოგადოების ინფორმირების მიზნით. მოქალაქეების აზრით, მხოლოდ შენობებში განთავსებული საჯარო სტენდების მეშვეობით საზოგადოების ინფორმირება სხდომების შესახებ არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად, რადგან საზოგადოების უმეტესი ნაწილისათვის იგი არ არის ხელმისაწვდომი, განსაკუთრებით, სოფლის მოსახლეობისათვის. აღსანიშნავია, რომ ისეთი მუნიციპალიტეტები, სადაც ადგილობრივი ტელევიზია და პრესა არსებობს, ძალიან ცოტაა. ზოგიერთ მუნიციპალიტეტში კი, სადაც ადგილობრივი პრესა არსებობს, მაგრამ გაზეთი მხოლოდ თვეში ან 3 თვეში ერთხელ გამოდის, ასეთი პრესა მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდების საშუალებად არ გამოდგება. იგივე შეიძლება ითქვას ვებ-გვერდზეც, რადგან ინტერნეტი ყველასთვის არ არის ხელმისაწვდომი. სწორედ ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორიდან გამომდინარე, მონიტორინგის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ირკვევა, რომ, მოქალაქეთა აზრით, სხდომების შესახებ ინფორმირება არასრულყოფილად ხორციელდება.²⁰

²⁰ ინფორმაცია დამუშავებულია 518 მონიტორინგის ფორმის საფუძველზე.



საინიციატივო ჯგუფების მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და მონიტორინგის ფორმების საფუძველზე, გამოიკვეთა მოქალაქეების გარკვეული მოსაზრებები და რჩევები მოსახლეობის ინფორმირების გაუმჯობესების კუთხით. კერძოდ, მათი აზრით, კარგი იქნებოდა უფრო მეტი საინფორმაციო საშუალების გამოყენება იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს. ასევე, კარგი იქნება, თუ თემებში მოსახლეობის ინფორმირებაზე იზრუნებენ სოფლის რწმუნებულები და მაჟორიტარი დეპუტატებიც, თუნდაც პოსტერების ან განცხადებების გამოკვრით საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

სხდომებზე დასწრება

მონიტორინგის განხორციელების პერიოდში, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის გარდა, მოქალაქეები სისტემატურად ესწრებოდნენ საკრებულოს სხდომებს. საერთო ჯამში, მონიტორები დაესწრნენ **438** სხდომას.

სხდომების რაოდენობები რეგიონების მიხედვით:

№	რეგიონი	რაოდენობა
1	ქვემო ქართლი	46
2	მცხეთა-მთიანეთი	28
3	სამცხე-ჯავახეთი	44
4	შიდა-ქართლი	28
5	სამეგრელო-ზემო სვანეთი	50
6	რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	26
7	იმერეთი	66
8	აჭარა	58
9	გურია	23
10	კახეთი	69

აღსანიშნავია ის ფაქტი რომ, საკრებულოს სხდომებზე დასწრების მხრივ მოქალაქეებს პრობლემები არ შეჰქმნიათ. მონიტორინგის პერიოდში, სხდომაზე მოქალაქის არ დაშვების კონკრეტული შემთხვევა არ დაფიქსირებულა. ამ მხრივ სიტუაცია ყველა რეგიონში დამაკმაყოფილებელია.

თუმცა, აღსანიშნავია ბათუმში სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით მომხდარი ფაქტი. აგვისტოს თვეში ჩატარებულ სხდომაზე ერთ-ერთ მოქალაქეს დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდა დასასწრები საშვის მოსაპოვებლად. საშვთა ბიუროს მოსამსახურე პერსონალმა გადარეკა დაახლოებით ხუთ პიროვნებასთან იმის გასარკვევად, დაეშვა თუ არა რიგითი მოქალაქე სხდომაზე. სხდომის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე ერთ-ერთმა იქ მყოფმა „პიროვნებამ“, რომელიც იცნობდა მონიტორს, როგორც ყურნალისტს, მიუთითა საშვთა ბიუროს თანამშრომელს, რომ მოქალაქისათვის საშვი დაეშვა. მხოლოდ ამის შემდეგ მიეცა მოქალაქეს შენობაში შესვლის და სხდომაზე დასწრების საშუალება. თავის მხრივ უნდა

ალინიშნოს, თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მოქალაქეების მიერ გამოთქმული უკმაყოფილება საკრებულოს სხდომებზე დასასწრები საშვის მოსაპოვებლად გასავლელი პროცედურების შესახებ. მათი აზრით, პროცედურები საკმაოდ რთულია და დიდ დროს მოითხოვს.

მოქალაქეების მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და მათ მიერ მონოდებული ინფორმაციის შედეგად გამოვლინდა, რომ სხდომებზე საკითხების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება, ძირითადად, ღია და გამჭვირვალედ მიმდინარეობდა. უმეტეს შემთხვევაში, ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობდა გაეთვალისწინებინა მოქალაქეების ინტერესები და სხდომებზე განეხილა და დადებითად გადაეწყვიტა მოსახლეობისათვის აქტუალური პრობლემები. თუმცა, საკითხისადმი განსხვავებულ მიდგომას ჰქონდა ადგილი დმანისის მუნიციპალიტეტში, სადაც საკრებულოს სხდომაზე კონკრეტული საკითხის მოსახლეობის ინიციატივით განხილვისათვის (მთისძირი-ჯავახის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია), ადგილობრივმა საკრებულომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 58.2 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ის ხელმოწერა ითხოვა. აღსანიშნავია, რომ მოქალაქეები საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხის ჩასმას და მის ირგვლივ კონკრეტულ მსჯელობას დეპუტატებისგან ელოდნენ. მიგვაჩნია, რომ ამისათვის არ უნდა ყოფილიყო საჭირო დადგენილების პროექტის სახით წარდგენა საკრებულოსათვის. უფრო მეტიც, საკრებულოს მხრიდან ამის გამო უარი საკითხის განხილვაზე იყო დაუსაბუთებელი.

ადგილობრივი თვითმმართველობა და მოქალაქეები

გამომდინარე იქიდან, რომ მოსახლეობის ინფორმირება დაგეგმილი სხდომების შესახებ არასრულყოფილად ვრცელდება, მონიტორინგის პერიოდში, პროექტში ჩართული მონიტორების გარდა, სხვა მოქალაქეების დასწრების შემთხვევები ფაქტობრივად არ დაფიქსირებულა. თუმცა, დუშეთის მუნიციპალიტეტის მონიტორის ინფორმაციით, თებერვლის თვის სხდომას სხვა მოქალაქეებიც ესწრებოდნენ. ზოგადად, გამოვლინდა, რომ მოქალაქეების ინფორმირება და ჩართულობა სხდომებზე დასწრების მხრივ საკმაოდ დაბალია და სხდომებს, ძირითადად, პროფესიული ინტერესებიდან გამომდინარე, ჟურნალისტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებიან.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ მოქალაქეებთან ურთიერთთანამშრომლობის გზით მიღწეული შედეგი სხდომებზე ადმინისტრაციული საჩივრებისა და განცხადებების განხილვის წესთან დაკავშირებით. კერძოდ, გორის მუნიციპალიტეტის როგორც შესაბამისი დარგობრივი კომისია, ასევე საკრებულო საკრებულოში შესულ განცხადებებს/საჩივრებს განიხილავდა მხარეთა მონაწილეობის გარეშე და ისე იღებდა გადაწყვეტილებას. წარდგენილი რეკომენდაციის შედეგად, რომელიც გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, დღეისათვის, ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართულია ყველა მხარე, რომლებსაც კანონმდებლობის თანახმად, ეძლევა საშუალება, დააფიქსირონ საკუთარი აზრი და პასუხი გასცეს შეკითხვებს.

საკრებულოს სხდომების მონიტორინგის შედეგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში, საზოგადოების ინფორმირება დაგეგმილი საკრებულოს სხდომების შესახებ საკმაოდ არაეფექტური მექანიზმებით ვრცელდება, რაც თავის მხრივ შეიძლება ჩაითვალოს მოსახლეობის მხრიდან სხდომებზე დასწრების საკმაოდ დაბალი ინტენსივობის ერთ-ერთ მიზეზად. მეორე მიზეზად შესაძლოა დასახელდეს სხდომაზე დასასწრებად გასავლელი პროცედურების სირთულეც.

საბიუჯეტო პროცესები

მონიტორინგის პერიოდში, მოქალაქეებისაგან დაკომპლექტებული საინიციატივო ჯგუფები სისტემატურად ახორციელებდნენ საბიუჯეტო პროცესების მონიტორინგს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნისა და საკრებულოს სხდომებზე დასწრების გზით. საბიუჯეტო პროცესების მონიტორინგი განხორციელდა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- მოხდა თუ არა ბიუჯეტის ფორმირებისა და მასში მიმდინარე ცვლილებების შეტანა კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად;
- რამდენად შეესაბამებოდა მოსახლეობის პრიორიტეტები 2010 და 2011 წლების ადგილობრივი ბიუჯეტებში ასახულ საქმიანობებს;
- შესრულდა თუ არა 2009 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული ღონისძიებები.

მოქალაქეების მიერ მონოდებული ინფორმაციისა და მონიტორინგის ფორმების ანალიზის საფუძველზე, ინფორმაცია დამუშავდა ცალკეული რეგიონების მიხედვით.

აჭარის რეგიონი

აჭარის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში ბიუჯეტის ფორმირება და მასში ცვლილებების შეტანა კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდებოდა. მონიტორინგის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ აჭარის რეგიონში 2010 და 2011 წლების ადგილობრივ ბიუჯეტებში მოსახლეობის პრიორიტეტები ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული. ამასთან, 2009 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობები აჭარის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში შესრულდა.

№	მუნიციპალიტეტი/ თვითმმართველი ქალაქი	მოსახლეობის პრიორიტეტები 2010 წლის ბიუჯეტში	მოსახლეობის პრიორიტეტები 2011 წლის ბიუჯეტში	2009 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობების შესრულება
1	ბათუმი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
2	ქობულეთი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
3	ხელვაჩაური	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
4	ქედა	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
5	შუახევი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
6	ხულო	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თვითმმართველ ქალაქ ბათუმში, წინა წლის ბიუჯეტთან შედარებით, 2011 წლის ბიუჯეტში მკვეთრად არის გაზრდილი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროებზე გამოყოფილი თანხები, რაც განპირობებულია ქ. ბათუმის ფართობისა და მოსახლეობის გაზრდით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტიდან შემოერთებული ტერიტორიების ხარჯზე. თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის 2011 წლის ბიუჯეტი მთლიანად ორიენტირებულია პროგრამულ დაფინანსებაზე და მასში ასახული პრიორიტეტები სრულად დაემთხვა ფოკუს-ჯგუფების მიერ გამოვლენილ საჭიროებებს, ისევე როგორც ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში. სწორედ აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ცვლილება იქნა შეტანილი პროექტით გათვალისწინებულ აქტივობებში და თებერვლის თვეში აღნიშნულ მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ბათუმში ჩატარდა განმეორებითი კვლევა თემების, სოფლებისა და ქუჩების დონეზე არსებული პრობლემების გამოსავლენად. განმეორებით ჩატარებული კვლევების პრეზენტაცია ბათუმში, ხელვაჩაურსა და ქობულეთში მრგვალი მაგიდის ფორმატით მოწყობილ შეხვედრაზე განხორციელდა, რათა მოტივირებული წინადადებები და რეკომენდაციები წარდგენილი ყოფილიყო ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელებისათვის. კვლევამ აჩვენა, რომ ქ. ბათუმში ეკოლოგიური პრობლემები და სოციალური საკითხები (გაზიფიცირება, ელექტროენერჯია, ქუჩებისა და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია, გარე განათება, უმუშევრობა და სხვა) დღეისათვის ყველაზე მწვავე საკითხებია. განსაკუთრებული პრიორიტეტულობა შეიძინა გარემოს დაცვის საკითხებმა, რაც პირდაპირ უკავშირდება ბათუმის ტერიტორიულ ზრდას, მიმდინარე სარემონტო-სარეაბილიტაციო პროექტების განხორციელებასა და ბათუმის, როგორც ტურისტული ზონის აქტიურ დატვირთვას მთელი წლის განმავლობაში.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში 2010 წელთან შედარებით, სოციალური დაცვის ღონისძიებებისათვის გამოყოფილი თანხის შემცირება გამოწვეულია იმის გამო, რომ 2011 წლის ბიუჯეტი არ ითვალისწინებს გარკვეული სახის ერთჯერად შეღავათებს. იმავდროულად, ჩოლოქის მიმდებარე ტერიტორიაზე თავისუფალი ტურისტული ეკონომიკური ზონის მოწყობის მიზნით, მოსამზადებელი სამუშაოების განსახორციელებლად, საკმაოდ სოლიდური თანხა გამოყოფილი.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე მუშაობისას გამოიკვეთა, რომ მნიშვნელოვნად არის გაზრდილი თანხები გზების, სანიაღვრე არხების, ხიდების მშენებლობაზე, სპორტული მოედნების მოწყობაზე, წყლის სათავე ნაგებობების რეაბილიტაციასა და საცალფეხო ბილიკების მოწყობაზე. ყოველივე ამის ხელშეწყობის ფაქტორია სოფლის მხარდაჭერის პროგრამაც, რა დროსაც სოლიდური თანხები იხარჯება როგორც სპეციალური ტრანსფერების სახით, ისე ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდანაც. გამომდინარე იქიდან, რომ საკრებულომ ბიუჯეტის ფორმირებისას ყველა პრობლემა ფინანსურად ასახა დოკუმენტში, სარეკომენდაციო წერილები აქტიური მოქალაქეების მხრიდან არ შესულა საკრებულოსა და გამგეობაში.

აჭარაში ბიუჯეტის მონიტორინგის შედეგად, გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ, გამოთხოვნილი ანგარიშები მშრალია და შეიცავს მწირ ინფორმაციას, რაც ძირითადად გამოისახება გეგ-

მების შესრულებაზე მხოლოდ სტატისტიკური პროცენტული მონაცემებით. ამასთან, 2010 წლის მეორე ნახევარში აჭარის მასშტაბით ბიუჯეტების მოცულობითი ზრდა გამოწვეულია შემოსავლების ზრდით, თუმცა სარეზერვო ფონდიდან თანხების ხარჯვის მიზნობრიობა კანონით არ არის გამაგრებული. ისე მოხდა კულტურული ღონისძიებების დაფინანსების გაზრდა, რომ არ იქნა გათვალისწინებული სოციალურად შეჭირვებულთა, პენსიონერთა და უდემამო ბავშვთა დახმარებების საკითხები.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ 2011 წლის ბიუჯეტის პროექტების დამტკიცება აჭარის რეგიონში, ფაქტობრივად, კალენდარული წლის დასრულებამდე (დეკემბრის თვეში) განხორციელდა. ახალი მონვევის საკრებულოს წევრები და გამგეობის აპარატის წარმომადგენლები უფრო მეტად მოტივირებულნი იყვნენ იმ პრობლემების მოგვარებაზე, რომლებიც აწუხებდა ადგილობრივ მოსახლეობას, ვიდრე წინა მონვევის მუნიციპალური ხელისუფლება. ამ მიმართულებით მათი აქტიურობა გამოიხატებოდა იმაში, რომ ბიუჯეტის ფორმირების წინა პერიოდში ისინი აქტიურად ხვდებოდნენ მოსახლეობას და ახდენდნენ საჭიროებებისა და პრობლემების იდენტიფიცირებას, აწყობდნენ ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვებს. შესაბამისად, სოლიდური თანხები იქნა მიმართული რეალურ საჭიროებებზე როგორც ცენტრალური ბიუჯეტიდან, სპეციალური ტრანსფერების სახით, ისე ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან.

გურიის რეგიონი

გურიის რეგიონში ბიუჯეტის ფორმირებისა და მასში ცვლილებების შეტანის დროს სერიოზული დარღვევები არ დაფიქსირებულა. უნდა აღინიშნოს, რომ სამივე მუნიციპალიტეტში პრიორიტეტების დოკუმენტზე მუშაობა მოგვიანებით დაიწყო, თუმცა პრიორიტეტების დოკუმენტები თითოეულ შემთხვევაში, შესაბამისი მუნიციპალიტეტების 2011 წლის ბიუჯეტის პროექტებთან ერთად, ვადების დაცვით წარედგინა შესაბამის საკრებულოებს. სამივე თვითმმართველ ერთეულში ბიუჯეტის პროექტი გამოქვეყნდა საჯარო განხილვისათვის ადგილობრივ პრესაში. ბიუჯეტის პროექტები, კანონით დადგენილი ვადების დაცვით, შენიშვნებთან ერთად დაუბრუნდა გამგებლებს.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც ოზურგეთის, ისე ლანჩხუთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების 2011 წლის ბიუჯეტის პროექტები შესაბამისობაში იყო მოყვანილი 2011-14 წლების პრიორიტეტების დოკუმენტთან, თვითონ პრიორიტეტების დოკუმენტი ნაკლებად, მხოლოდ ნაწილობრივ ითვალისწინებდა მოსახლეობის რეალურ საჭიროებებს. პრიორიტეტების დოკუმენტში, გარდა გზების რეაბილიტაციისა და კომუნალური მეურნეობის განვითარებისა, არ იყო გათვალისწინებული ისეთი საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანი იქნებოდა ადგილობრივი მოსახლეობის სამომავლო კეთილდღეობისათვის. იგივე შეიძლება ითქვას, 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტების შესახებაც. რაც შეეხება 2009 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამას“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი საქმიანობები არ შესრულდა, ვინაიდან მიმდინარეობს თანხების მოძიება. ხოლო ჩოხატაურისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში ნაწილობრივ.

№	მუნიციპალიტეტი/ თვითმმართველი ქალაქი	მოსახლეობის პრიორიტეტები 2010 წლის ბიუჯეტში	მოსახლეობის პრიორიტეტები 2011 წლის ბიუჯეტში	2009 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობების შესრულება
1	ჩოხატაური	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	ნაწილობრივ
2	ლანჩხუთი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	ნაწილობრივ
3	ოზურგეთი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	არა

როგორც უკვე აღინიშნა, ბიუჯეტის მონიტორინგის შედეგად, გურიის რეგიონში რაიმე მნიშვნელოვანი დარღვევა არ გამოვლენილა. პირიქით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შეიმჩნევა დადებითი ტენდენცია, რაც იმაში გამოიხატება, რომ საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა ხდება საჯაროდ, საკრებულოს მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე. მაგალითად, საჯარო განხილვები დაეთმო ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა თვითმმართველობის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე მოსაკრებლის შემოღება და სხვა.

იმერეთის რეგიონი

იმერეთის რეგიონში ბიუჯეტის ფორმირებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცესი თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით მიმდინარეობდა. თუმცა საყურადღებოა ის გარემოება, რომ 2011 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება მოხდა არა მიმდინარე საკრებულოს სხდომაზე, არამედ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში და წყალტუბოს მუნიციპალიტეტში. კერძოდ, თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში მთლიანობაში საბიუჯეტო მოწყობის პროცესი განხორციელდა კანონით დადგენილ ვადებში. მიუხედავად იმისა, რომ თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება იყო 27 დეკემბერს, პროექტი განიხილეს და დამტკიცეს რიგგარეშე სხდომაზე 2010 წლის 18 დეკემბერს. კიდევ უფრო საინტერესოა ის გარემოება, რომ ქუთაისის მაგალითზე, საკრებულოს თავმჯდომარის ნაცვლად, თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტი საკრებულოს წარუდგინა ქუთაისის მერიის საფინანსო-საქალაქო სამსახურის უფროსმა. სხდომა, ნაცვლად 14:00 საათისა, დაიწყო 2 საათის დაგვიანებით, 16:00 საათზე. ამავე სხდომაზე, 2011 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებისას, თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის საკრებულომ გარკვეული ცვლილებები და შესწორებები შეიტანა 2010 წლის ბიუჯეტში. სამწუხაროდ, აქტიურმა მოქალაქეებმა ვერ განახორციელეს ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების სათანადო მონიტორინგი ქალაქ ქუთაის-სა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, ვინაიდან მათ წინასწარ ან საერთოდ ვერ მოიპოვეს ინფორმაცია საკრებულოს იმ სხდომების თარიღის შესახებ, რომლებიც 2011 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვასა და დამტკიცებას ეხებოდა, ან მათი ინფორმირება სხდომის დანიშვნის თაობაზე ხდებოდა სხდომის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე. შესაბამისად, აქტიური მოქალაქეებისათვის თითქმის შეუძლებელი იყო იმ დროისათვის საკრებულოს სხდომაზე მისვლა.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ 2010 და 2011 წლის ადგილობრივ ბიუჯეტებში მოსახლეობის პრიორიტეტები თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული, გარდა ტყიბულის მუნიციპალიტეტისა, სადაც მოსახლეობის პრიორიტეტები სრულიად იქნა გათვალისწინებული. ხოლო 2009 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ დაგეგმილი საქმიანობები ყველა მუნიციპალიტეტში შესრულდა.

№	მუნიციპალიტეტი/თვითმმართველი ქალაქი	მოსახლეობის პრიორიტეტები 2010 წლის ბიუჯეტში	მოსახლეობის პრიორიტეტები 2011 წლის ბიუჯეტში	2009 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობების შესრულება
1	სამტრედია	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
2	ბაღდათი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
3	ზესტაფონი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
4	წყალტუბო	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
5	ქუთაისი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	-----
6	საჩხერე	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
7	ტყიბული	დიახ	დიახ	დიახ
8	თერჯოლა	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
9	ვანი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
10	ხარაგაული	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
11	ჭიათურა	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
12	ხონი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ

მონიტორინგის განმავლობაში გარკვეულწილად გამოიკვეთა ის ძირითადი ტენდენციები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა იმერეთის რეგიონში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველობების ერთეულებში. ამ მხრივ, აღსანიშნავია ისეთი მიმართულებების დაფინანსება, რომლებიც „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, არ შედის ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებებში. მაგალითად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოები, საჯარო სკოლები (წყალტუბო, თვითმმართველი ქალაქი ქუთაისი), ასევე, თვითმმართველ ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტიდან განხორციელდა შპს „დასავლეთის წყლის“ ბაზის გაუმჯობესების პროექტის დაფინანსება.

2010 წელთან შედარებით, 2011 წლის ადგილობრივ ბიუჯეტებში (ქ. ქუთაისი, ხარაგაული) გამოიკვეთა **ად-მინისტრაციული ხარჯების ზრდის ტენდენცია**. მაშინ, როდესაც ბიუჯეტის მიხედვით თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მართვაში დასაქმებულთა რიცხოვნობა შემცირებულია 2010 წელთან შედარებით და, არსებული მონაცემებით, დარჩენილია 526 ადამიანი, მათთვის შრომის ანაზღაურება წინა წელთან შედარებით გაზრდილია.

სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონი

სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში მოსახლეობის პრიორიტეტების გათვალისწინება 2010 და 2011 წლების ადგილობრივ ბიუჯეტებში უმეტესწილად, ნაწილობრივ ხდებოდა. ამ მხრივ აღსანიშნავია, ნალენჯიხისა და მარტვილის მუნიციპალიტეტები, სადაც მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი საკითხები გათვალისწინებულ იქნა. რაც შეეხება მესტიის მუნიციპალიტეტს, 2010 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში მოსახლეობის პრიორიტეტები ნაწილობრივ იყო გათვალისწინებული, თუმცა 2011 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში მოსახლეობისათვის აქტუალური საკითხები სრულიად იქნა გათვალისწინებული. 2009 წლის “სოფლის მხარდაჭერის” პროგრამის ფარგლებში აბაშისა და სენაკის მუნიციპალიტეტების გარდა, სადაც ნაწილობრივ იქნა შესრულებული საქმიანობები, ყველა დანარჩენ მუნიციპალიტეტში დაგეგმილი საქმიანობები სრულყოფილად განხორციელდა.

№	მუნიციპალიტეტი/ თვითმმართველი ქალაქი	მოსახლეობის პრიორიტეტები 2010 წლის ბიუჯეტში	მოსახლეობის პრიორიტეტები 2011 წლის ბიუჯეტში	2009 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობების შესრულება
1	ხოზი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
2	ნალენჯიხა	დიახ	დიახ	დიახ
3	სენაკი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	ნაწილობრივ
4	აბაშა	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	ნაწილობრივ
5	ფოთი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	-----
6	ჩხორონყუ	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
7	ზუგდიდი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
8	მესტია	ნაწილობრივ	დიახ	დიახ
9	მარტვილი	დიახ	დიახ	დიახ

რაჭა ლეჩხუმი - ქვემო სვანეთის რეგიონი

რაჭა ლეჩხუმი ქვემო სვანეთის რეგიონში მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ოთხივე მუნიციპალიტეტში 2010 და 2011 წლის ადგილობრივ ბიუჯეტებში მოსახლეობისათვის პრიორიტეტული საკითხები ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. რაც შეეხება 2009 წელს “სოფლის მხარდაჭერის პროგრამას”, ყველა დაგეგმილი საქმიანობა შესრულებულ იქნა.

№	მუნიციპალიტეტი/ თვითმმართველი ქალაქი	მოსახლეობის პრიორიტეტები 2010 წლის ბიუჯეტში	მოსახლეობის პრიორიტეტები 2011 წლის ბიუჯეტში	2009 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობების შესრულება
1	ონი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
2	ცაგერი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
3	ლენტეხი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
4	ამბროლაური	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

მოქალაქეების მიერ ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში მოსახლეობისათვის აქტუალური საკითხები 2010 და 2011 წლის ადგილობრივ ბიუჯეტებში გათვალისწინებულ იქნა ნაწილობრივ. 2009 წლის “სოფლის მხარდაჭერის პროგრამის” ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობები კი გარდა ასპინძის მუნიციპალიტეტისა, ყველგან შესრულდა. თუმცა აღსანიშნავია, რომ პროცესი წარმართა მნიშვნელოვანი ხარვეზებით. კერძოდ, 2010 წლის მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების დროს ნაკლებად ჰქონდა ადგილი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებას. როგორც მოსახლეობის ნაწილი ამბობს, მათ საერთოდ არ იცოდნენ სოფლის კრებების შესახებ, ნაწილი კი აცხადებს, რომ მათი აზრი არ გაითვალისწინეს. მოსახლეობა იქვე დასძენს, რომ პროგრამით დასაფინანსებელი ღონისძიება წინასწარ იყო გადაწყვეტილი, რამაც გამოიწვია მოსახლეობის მოსაზრებების იგნორირება. ამასთან, არ არსებობდა ეფექტური კომუნიკაცია სოფლის კრებების შესახებ. მოსახლეობისთვის არ იყო სწორად ახსნილი, თუ რა თანხის ფარგლებში უნდა მომხდარიყო პრობლემის გადაწყვეტა.

№	მუნიციპალიტეტი/ თვითმმართველი ქალაქი	მოსახლეობის პრიორიტეტები 2010 წლის ბიუჯეტში	მოსახლეობის პრიორიტეტები 2011 წლის ბიუჯეტში	2009 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობების შესრულება
1	ბორჯომი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
2	ადიგენი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
3	ახალქალაქი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
4	ახალციხე	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
5	ნინოწმინდა	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
6	ასპინძა	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	ნაწილობრივ

მიუხედავად იმისა რომ, ადგილობრივი თვითმმართველობა პოზიტიურად არის განწყობილი მოსახლეობასთან თანამშრომლობაზე, აქტიური მოქალაქეების მიერ ცალსახად აღინიშნა, რომ საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინება არ ხდება მათი ჩართულობის უზრუნველყოფით, რაც, შესაბამისად, წარმოშობს უნდობლობას მიღებული გადაწყვეტილებისადმი.

შიდა ქართლის რეგიონი

შიდა ქართლის რეგიონში, სხვა რეგიონების მსგავსად, მოსახლეობის პრიორიტეტების გათვალისწინება 2010 და 2011 წლის ადგილობრივ ბიუჯეტებში ნაწილობრივ მოხდა, ხოლო 2009 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობები ყველა მუნიციპალიტეტში სრულყოფილად განხორციელდა.

№	მუნიციპალიტეტი/ თვითმმართველი ქალაქი	მოსახლეობის პრიორიტეტები 2010 წლის ბიუჯეტში	მოსახლეობის პრიორიტეტები 2011 წლის ბიუჯეტში	2009 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობების შესრულება
1	ხაშური	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
2	ქარელი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
3	გორი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
4	კასპი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მსგავსად, შიდა ქართლის მუნიციპალიტეტების მიერ ბიუჯეტის ფორმირების პროცესი საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფის გარეშე წარმართა.

თუმცა აღსანიშნავია, რომ თვითმმართველობა მზად არის, დახვეწოს მისი საქმიანობა გამჭვირვალობისა და ღიაობის მიმართულებით. ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს გორის მუნიციპალიტეტის მიერ გადადგმული ნაბიჯები.²¹

²¹ დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ საჯარო ინფორმაციისა და საკრებულოს სხდომების ქვეთავებში.

ქვემო ქართლის რეგიონი

ქვემო ქართლის რეგიონში 2010 და 2011 წლების ადგილობრივ ბიუჯეტებში, თვითმმართველი ქალაქ რუსთავისა და მარნეულის მუნიციპალიტეტების გარდა, მოსახლეობისათვის პრიორიტეტული საკითხები ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. 2009 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობები ყველა მუნიციპალიტეტში სრულყოფილად განხორციელდა.

№	მუნიციპალიტეტი/ თვითმმართველი ქალაქი	მოსახლეობის პრიორიტეტები 2010 წლის ბიუჯეტში	მოსახლეობის პრიორიტეტები 2011 წლის ბიუჯეტში	2009 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობების შესრულება
1	რუსთავი	ნაწილობრივ	დიახ	-----
2	გარდაბანი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
3	დმანისი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
4	ბოლნისი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
5	ნალკა	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
6	თეთრწყარო	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
7	მარნეული	ნაწილობრივ	დიახ	დიახ

ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებიდან გამოთხოვნილი მასალების გაანალიზებიდან ნათლად ჩანს, რომ ანგარიშები მშრალია და ინფორმაცია, ძირითადად, გეგმების შესრულების შესახებ სტატისტიკური მონაცემების სახითაა წარმოდგენილი.

უნდა აღინიშნოს, რომ საბიუჯეტო პროცესები არ მიმდინარეობდა გამჭვირვალედ მარნეულის მუნიციპალიტეტში. მოქალაქეებისათვის ძნელი იყო სხდომის თარიღის დადგენა, რის გამოც ისინი ვერ ადევნებდნენ თვალყურს საბიუჯეტო პროცესებს.

თვითმმართველ ქალაქ რუსთავში 2011 წლის იანვარში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა საბავშვო ბაღების ფუნქციონირების დროებითი შეჩერება იყო. ზემო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებამ 2011 წლის 03.02 ს №41-03 წერილით გვიპასუხა, რომ ბაღების ფუნქციონირების შეჩერების და, აქედან გამომდინარე, არდადეგების გაგრძელების ერთ-ერთი საფუძველია სატენდერო პროცედურების გაჭიანურება, რადგან რამდენიმე ტენდერზე შესყიდვების პრეტენდენტები არ გამოჩნდნენ. ვინაიდან დღეისათვის ტენდერებში გამოვლენილი არიან გამარჯვებულები და დადებულია მათთან ხელშეკრულებები, 2011 წლის 01 თებერვლიდან საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებამ განაახლა სასწავლო პროცესი.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი

დუშეთის, მცხეთის, ყაზბეგისა და მთიანეთის მუნიციპალიტეტებში, მოსახლეობისათვის აქტუალური საკითხების გათვალისწინება 2010 და 2011 წლების ბიუჯეტებში ნაწილობრივ განხორციელდა. რაც შეეხება 2009 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამას“, დაგეგმილი საქმიანობები ოთხივე მუნიციპალიტეტში შესრულებულია.

№	მუნიციპალიტეტი/ თვითმმართველი ქალაქი	მოსახლეობის პრიორიტეტები 2010 წლის ბიუჯეტში	მოსახლეობის პრიორიტეტები 2011 წლის ბიუჯეტში	2009 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობების შესრულება
1	დუშეთი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
2	მცხეთა	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
3	ყაზბეგი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
4	მთიანეთი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ

მსგავსად სხვა რეგიონებისა, მცხეთა მთიანეთის რეგიონშიც, 2011 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვაში საზოგადოების მხრიდან ჩართულობას თითქმის ადგილი არ ჰქონია. ამის ერთ-ერთი მიზეზი მოსახლეობის მხრიდან დაბალი ინტერესიც იყო.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, დუშეთის მუნიციპალიტეტში დაფიქსირებული შემთხვევა, კერძოდ, დუშეთის თვითმმართველი ერთეულის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნდა დუშეთის მაცნეში, თუმცა – არასრულყოფილად. კერძოდ, ბიუჯეტის პროექტი გამოქვეყნდა შემოსულობების, გადასახდელების და ტრანსფერის ანოტაციური მითითებით, სულ რაღაც 10 სტრიქონის სახით. როგორც თვითმმართველობის ორგანოში განმარტეს, რედაქციას გადაეცა სრული ვარიანტი, მაგრამ ვინაიდან გაზეთი ოთხგვერდიანია და სრული სახით ბიუჯეტის პროექტის დაბეჭდვას ვერ შეძლებდნენ. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა სა-ბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, არა თუ აქტიურ მოქალაქეებზე, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციებზეც არ გასცემს.

კახეთის რეგიონი

კახეთის რეგიონის რვავე მუნიციპალიტეტში 2010 და 2011 წლების ადგილობრივ ბიუჯეტებში, მოსახლეობის პრიორიტეტები ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული, ხოლო 2009 წლის “სოფლის მხარდაჭერის პროგრამის” ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობები სრულიად შესრულდა.

№	მუნიციპალიტეტი/ თვითმმართველი ქალაქი	მოსახლეობის პრიორიტეტები 2010 წლის ბიუჯეტში	მოსახლეობის პრიორიტეტები 2011 წლის ბიუჯეტში	2009 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობების შესრულება
1	ყვარელი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
2	თელავი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
3	გურჯაანი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
4	საგარეჯო	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
5	ახმეტა	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
6	დედოფლისწყარო	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
7	სიღნაღი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ
8	ლაგოდეხი	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	დიახ

მოქალაქეების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში არ მოხდა ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტის წინასწარ გამოქვეყნება (მაგალითად, ყვარლის მუნიციპალიტეტში). ცვლილებებს არ ახლდა განმარტებითი ბარათი.

ერთი საერთო ტენდენცია გამოიკვეთა თელავის, გურჯაანის, ყვარლის და ლაგოდეხის ბიუჯეტების მონიტორინგისას. 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტების დამტკიცების შემდეგ ხსენებულ ყველა მუნიციპალიტეტში, განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა. ამგვარი ზრდა ბიუჯეტების სატრანსფერო პოლიტიკის შედეგია. ბიუჯეტები დაიგეგმა მცირე მოცულობით, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველივე კვარტალში იგი მკვეთრად გაიზარდა.

მეორე ტენდენცია ის არის, რომ ყველა მუნიციპალიტეტში ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშები, როგორც 3 თვიანი, 6 თვიანი და უკვე 9 თვიანებიც, მხოლოდ რამდენიმე გვერდისაგან შედგება. კვარტალური ანგარიშები მხოლოდ მიმართულებების მიხედვით შემოსულობებისა და ხარჯების ჩამონათვალია, ყოველგვარი დამატებითი დეტალისა და ანალიზის გარეშე. ანგარიშები მშრალია და მწირ ინფორმაციას შეიცავს. გამოთხოვნილ ანგარიშებში ძირითადად მოცემულია სტატისტიკური მონაცემები გეგმების შესრულების პროცენტების შესახებ. ამიტომაც არის, რომ მათი დამტკიცება მოხდა ანალიზისა და განხილვის გარეშე. ასეთი ანგარიშებიდან არათუ მოქალაქეებს, თავად საკრებულოს წევრებსაც ვერ გამოაქვთ დასკვნა.

მიმდინარე წლის ბიუჯეტების შესრულების მონიტორინგმა დაგვანახა, რომ ქონების გადასახადის კუთხით გათვალისწინებული გეგმის შესრულება ყველგან პრობლემია. გამოწვევისა თელავის მეორე და მესამე კვარტალი, როდესაც გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. ეს გამოწვეულია დაგროვილი დავალიანებების ამოღებით. აღნიშნული პრობლემის მიზეზი საგადასახადო ორგანოებსა და მუნიციპალიტეტებს შორის

არასაკმარისი თანამშრომლობაა, რაც, თავის მხრივ, მოქმედებს დაგეგმვის დაბალ დონეზე. საგადასახადო, როგორც ჩანს, უპირატესობას ანიჭებს ცენტრალურ ბიუჯეტში შესატან გადასახადებს.


ყურადსაღებია მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის ხარჯვის ანგარიშები. ზოგ შემთხვევაში არანაირად არ არის დაცული კანონის მოთხოვნა სარეზერვო ფონდიდან თანხების მიზნობრივ ხარჯვაზე. მაგალითად, გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 6 და 9 თვის ანგარიშის მიხედვით, სარეზერვო ფონდიდან თანხები გაიხარჯა აღმასრულებელ ორგანოების საჭიროებებზე. აღსანიშნავია, რომ ყველა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების გადასახდელებში, ფუნქციონალურ კლასიფიკაციაში არსებობს საზოგადოებრივი წესრიგის სფეროს ხარჯები. ამ ხარჯების, ისევე, როგორც საჯარო სკოლების და მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს დაფინანსება, წარმოადგენს ცენტრალური ხელისუფლების ჩარევას ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციებში. თუმცა, ორგანული კანონი ამის შესაძლებლობას უშვებს.

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ კახეთის რეგიონის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ცდილობენ, მოახერხონ საჯარო განხილვები და კალენდარული წლის დასრულებამდე დამტკიცონ ბიუჯეტები. უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წლის ბიუჯეტის პროექტების დამტკიცება კახეთის რეგიონში, ფაქტობრივად, კალენდარული წლის დასრულებამდე განხორციელდა, განსხვავებით წინა წლებისგან. აღმოჩნდა, რომ 2010 წელთან შედარებით, ადგილობრივი 2011 წლის ბიუჯეტები უფრო მეტად ორიენტირებულია მოსახლეობის რეალურ საჭიროებებზე, რადგან გათვალისწინებულია კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემები. ამას ხელი შეუწყო სოფლის მხარდაჭერის პროგრამამაც, რისთვისაც სოლიდური თანხები იხარჯება როგორც ცენტრალური ბიუჯეტიდან სპეციალური ტრანსფერების სახით, ისე ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდანაც.


მოსახლეობის პრიორიტეტები

გამომდინარე იქიდან, რომ მონიტორინგის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ის, თუ რამდენად ითვალისწინებენ ადგილობრივი თვითმმართველობები მოსახლეობის პრიორიტეტებს, მონიტორინგის შედეგად მკაფიოდ გამოიკვეთა ტენდენცია, რომ თითქმის ყველა რეგიონში 2010 და 2011 წლის ბიუჯეტებში მოსახლეობისათვის აქტუალური პრობლემები ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული.

მოსახლეობის პრიორიტეტები 2010 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში



მოსახლეობის პრიორიტეტები 2011 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში



სარეკომენდაციო წინადადებები

მონიტორინგის მიმდინარეობისას, ბიუჯეტებში მოსახლეობისათვის პრიორიტეტული საკითხების სრულყოფილად ასახვისა და გათვალისწინების მიზნით, მოქალაქეებმა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, წარადგინეს სარეკომენდაციო წინადადებები, რომელიც ეფუძნებოდა, როგორც ფოკუს ჯგუფების კვლევის შედეგად და 2009 წელს განხორციელებული „თემის მობილიზების“ ფარგლებში იდენტიფიცირებულ მოუგვარებელ პრობლემებს, ასევე სხვა მოსახლეობისათვის აქტუალურ საკითხებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებში მოქალაქეთა მიერ წარდგენილი სარეკომენდაციო წინადადებები ეხებოდა არა მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უშუალო კომპეტენციაში შემავალ საკითხებს. მოქალაქეთა მიერ მოთხოვნილი ზოგიერთი საკითხი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტი, ვინაიდან ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებას არ განეკუთვნება, თუმცა, მათი წარდგენა, საბოლოო ჯამში, მიზნად ისახავდა ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმირებას აღნიშნული პრობლემების შემდგომი გადაჭრისა თუ სათანადო უწყებების წინაშე წარდგენის მიზნით.

მოქალაქეების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში საერთო ჯამში 58 სარეკომენდაციო წერილი იქნა წარდგენილი. აქედან 4-აჭარის, 3-გურიის, 12-იმერეთის, 9-სამეგრელო ზემო სვანეთის, 4-რაჭა ლეჩხუმი ქვემო სვანეთის, 6-სამცხე ჯავახეთის, 4-შიდა ქართლის, 6-ქვემო ქართლის, 4-მცხეთა-მთიანეთის და 6-კახეთის რეგიონებში.

აჭარის რეგიონი

ქობულეთი

მოქალაქეებმა სარეკომენდაციო წინადადებებით მიმართეს ქობულეთის საკრებულოს და გამგეობას. მათ შორის, მნიშვნელოვანია- სოფლის შიდა გზების მოწესრიგება, ქობულეთის საავადმყოფოს შენობის რეაბილიტაცია, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების არარსებობა, სანაგვე ბუნკერების საჭიროება სოფლის ცენტრალურ და თავშეყრის ადგილებზე და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მოსახლეობისათვის სასუქების შეღავათიან ფასებში მიწოდება. მუნიციპალიტეტის გამგეობამ მონიტორებს წერილის პასუხად აცნობა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება მომავალი წლების ბიუჯეტების ფორმირების დროს, რითაც, ერთი მხრივ, გამოხატა თავისი მზაობა პრობლემების მოგვარებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მიმართულებით, თუმცა, მეორე მხრივ, გაურკვეველობაში დაგვტოვა, რადგანაც დაკონკრეტებული არ არის, თუ რომელი წლის ბიუჯეტში ისახება აღნიშნული პრობლემები.

ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის აქტიურმა მოქალაქეებმა 2011 წლის ბიუჯეტის ფორმირების დროს სარეკომენდაციო წინადადებით მიმართეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობას. სარეკომენდაციო წერილები ეხებოდა ბიუჯეტში შემდეგი პრობლემების გათვალისწინებას: 1) სოფლებში შიდა გზების მოწესრიგება; 2) სათემო ცენტრებიდან ნაგვის გატანა და სანაგვე ურნების განთავსება; 3) სოფლის მეურნეობის პროგრამების დაფინანსება და მოსახლეობისათვის სასუქების შეღავათიან ფასებში მიწოდება. მუნიციპალიტეტმა მინიტორებს წერილის პასუხად აცნობა, რომ ვერცერთი პრობლემის გათვალისწინება ვერ მოხერხდება. მათ შორის, შეუძლებელია სანაგვე ურნების თემებში განთავსება, რადგანაც ტერიტორიები ამ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს და ყველა თემიდან ხდება ნაგვის გატანა ხელშეკრულების შესაბამისად. შიდა გზების მოწესრიგება აჭარის საგზაო დეპარტამენტის მიერ განხორციელდება მუნიციპალიტეტის მოთხოვნის შესაბამისად, ხოლო სოფლის მეურნეობის მიმართულებით პრიორიტეტების განსაზღვრა სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრეროგატივაა.

ხულო

ხულოს მუნიციპალიტეტის აქტიურმა მოქალაქეებმა, 2011 წლის ბიუჯეტის ფორმირების დროს, სარეკომენდაციო წინადადებით მიმართეს ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობას. სარეკომენდაციო წერილები ეხებოდა 2011 წლის ბიუჯეტში შემდეგი პრობლემების გათვალისწინებას: 1) ვაშლოვნის თემში საბავშვო ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაცია; 2) დასაქმების ხელშეწყობა; 3) ენერგეტიკისა და ჯანდაცვის სისტემებში არსებული პრობლემები; 4) გზების რეაბილიტაცია. აღნიშნულ წერილებზე პასუხი მონიტორებს არ მიუღიათ. ამდენად, დასკვნის გაკეთება, რამდენად იქნა გათვალისწინებული აღნიშნული პრობლემები ბიუჯეტის ფორმირების დროს, შეუძლებელია.

შუახევი

შუახევის მუნიციპალიტეტის აქტიურმა მოქალაქეებმა, 2011 წლის ბიუჯეტის ფორმირების დროს, სარეკომენდაციო წინადადებით მიმართეს შუახევის საკრებულოს და გამგეობას. სარეკომენდაციო წერილები ეხებოდა 2011 წლის ბიუჯეტში შემდეგი პრობლემების გათვალისწინებას: 1) წყალმომარაგება, ანუ მიწების გამოცვლა; 2) ჯანმრთელობის დაცვა, ლაბორატორიების და საავადმყოფოების აპარატურით სათანადოდ აღჭურვა; 3) განათლების დონის გაუმჯობესება – უცხო ენების დაუფლების ხელშეწყობა, სპეციალისტების მოზიდვა; 4) დაბალპროცენტიანი სესხების გაცემა, რათა მოსახლეობამ შეძლოს ბიზნესის დაწყება; 5) ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ტურიზმის განვითარების მიზნით. ხულოს მუნიციპალიტეტის მსგავსად არც შუახევის მუნიციპალიტეტის აქტიურ მოქალაქეებს არ მიუღიათ აღნიშნულ წერილებზე პასუხი. ამდენად, დასკვნის გაკეთება, თუ რამდენად იქნა გათვალისწინებული აღნიშნული პრობლემები ბიუჯეტის ფორმირების დროს, შეუძლებელია.

გურიის რეგიონი

პროექტის ფარგლებში, აქტიურ მოქალაქეებთან ერთად, მოხდა ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის პროექტების განხილვა. გამოიკვეთა შენიშვნები, რომელთა უმრავლესი ნაწილი გათვალისწინებულ იქნა ოზურგეთის საკრებულოს მიერ ბიუჯეტის საჯარო განხილვაზე.

ოზურგეთი

ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე წარდგენილი 5 შენიშვნიდან პირველი დაეთმო პრიორიტეტების დოკუმენტს. გარდა გზების რეაბილიტაციისა და კომუნალური მეურნეობის განვითარებისა, მოქალაქეებმა 2011-2014 წლებისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტისგან მოითხოვეს ისეთი საკითხების გათვალისწინება, რომლებიც მნიშვნელოვანი იქნებოდა ადგილობრივი მოსახლეობის სამომავლო კეთილდღეობისათვის, მაგალითად, სოფლის მეურნეობის განვითარება, ტურიზმისა და მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა და ა.შ. მეორე შენიშვნა შეეხებოდა შტატების სიმრავლეს და სახელფასო ბაძეს თვითმმართველობის ორგანოებში. ბოლო სამი შენიშვნა კი შეეხებოდა ადგილობრივი საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ ხარჯვას. კერძოდ, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების 2011 წლის გეგმაში ცალკე მუხლად იყო გამოყოფილი უმწეო მხატვრის ქ-ნ მარინა უჯმაჯურიძის დახმარება. მოქალაქეთა შეფასებით, ამ სახით მისი ბიუჯეტის ხარჯში წარმოჩენა კანონდარღვევას წარმოადგენდა. რეკომენდაცია შე-

ეხებოდა აღნიშნული საკითხის დარეგულირებას სისტემურად, კერძოდ, კულტურის მუშკთა ნახალისების მიზნით, ბიუჯეტში განსაზღვრულიყო გარკვეული ოდენობის თანხა, რომელსაც ხელოვნების მოღვაწეები მიიღებდნენ კულტურის სხვადასხვა დარგში შესაბამისი დამსახურებისთვის. სოციალურ-კულტურული ღონისძიებების 2011 წლის გეგმაში განსაზღვრული იყო მუხლი: საშობაო „ალილო“ (ეპარქიასთან ერთად), რომელიც ითვალისწინებს სამთავრობო წარმომადგენლობისათვის საშობაო საჩუქრების შექმნას და ეპარქიის მეთაურობისთვის შესანიშნავი სახით გადაცემას. წარდგენილ შენიშვნებში მოქალაქეები მიუთითებდნენ, რომ ეს მუხლი არ შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნებს, რადგან, თავისი არსიდან გამომდინარე, წარმოადგენდა არამიზნობრივ ხარჯს. წარდგენილ შენიშვნებში მოქალაქეები მიუთითებდნენ, რომ არ იყვნენ მეთაურობისთვის საჩუქრების გადაცემის წინააღმდეგნი, მაგრამ, მათი მოსაზრებით, იგი უნდა დაფინანსებულიყო არა ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან, არამედ საკუთარი ხარჯებით. ბიუჯეტში განსაზღვრულია პოლიციის ხარჯი, რომელიც, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანული კანონიდან გამომდინარე, არ შედის თვითმმართველობის არც საკუთარ და არც დელეგირებულ უფლებამოსილებებში. ერთადერთი ჩანაწერი საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, რომელიც კანონიერად აცხადებს აღნიშნული ხარჯის განევას, არის 65²² მუხლის მე-4 პუნქტი (ადგილობრივი თვითმმართველობის დროებითი უფლებამოსილება). საუბარი ეხება 2009 წელს კანონში შესულ ცვლილებას, რომლითაც უკვე 2006 წლიდან თვითმმართველობების მიერ არამიზნობრივად გაწეული ხარჯების უმეტესობა კანონიერად გამოცხადდა.²² 2010 წლის 22 დეკემბერს შემოხსენებული წერილი საკრებულოს მიერ განხილულ იქნა საჯარო სხდომაზე. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს აქტიურ მოქალაქეებს შენიშვნების მიწოდებისთვის და აღნიშნეს, რომ აუცილებლად გაითვალისწინებდნენ მათ რეკომენდაციებს გარდა ერთისა, კერძოდ, აღნიშნეს, რომ პოლიციის დაფინანსების საკითხს სხდომაზე უმრავლესობა გადაწყვეტდა. მოქალაქეებმა მიიღეს აღნიშნული გეგმის შესწორებული ვარიანტი, სადაც მათი შენიშვნები უკვე გათვალისწინებულია. კერძოდ, ამოღებულია მხატვარ მარინა უჯმაჯურიძის დახმარების საკითხი, ასევე, შესწორებულია საშობაო ღონისძიებების მუხლი და ამოღებულია სამთავრობო წარმომადგენლებისათვის საშობაო საჩუქრების შექმნა.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ აქტიურმა მოქალაქეებმა ოზურგეთის საკრებულოს წარუდგინეს საკუთარი მოსაზრებები ოზურგეთის თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტთან დაკავშირებითაც, რომლის ანალიზმა დიდი დაინტერესება გამოიწვია. ანალიზში აღნიშნული იყო, რომ ცვლილებების აუცილებლობა გამოიწვია პრობლემამ პრიორიტეტებთან დაკავშირებით, რომელიც საკანონმდებლო ხარვეზის გამო შეიქმნა. კერძოდ, გამგებელი ბიუჯეტზე მუშაობას იწყებს მარტიდან, პრიორიტეტების დოკუმენტზე მუშაობით, რომელსაც ბიუჯეტის პროექტთან ერთად 15 ნოემბრამდე, როგორც წესი 10 ნოემბრის ფარგლებში, წარუდგენს საკრებულოს. შესაბამისად, საკრებულო პრიორიტეტებს და მასთან შესაბამისობაში მოყვანილ ბიუჯეტს ეცნობა მხოლოდ 15 ნოემბრისთვის. ამდენად, თუ პრიორიტეტები არ მოინონა საკრებულომ, მისი შეცვლის დრო პრაქტიკულად აღარ არსებობს. საბოლოო ჯამში, ვიღებთ ძალზე მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელსაც საკრებულო ეცნობა მხოლოდ მაშინ, როცა მასში ცვლილებების შეტანა თითქმის შეუძლებელია. ეს კი დამოუკიდებლობის ხარისხზეც მოქმედებს და საკრებულოს, როგორც წარმომადგენლობით ორგანოს, სრულ იგნორირებას იწვევს. უფრო მეტიც, საკრებულო ვერ ახორციელებს სერიოზულ ცვლილებებს ბიუჯეტში, რადგან ხარჯის დიდი ნაწილი შეიძლება განერილი იყოს პრიორიტეტების შესაბამისად, რაც ლოგიკურია. ცვლილების შემთხვევაში, ბიუჯეტი შეიძლება ასცდეს პრიორიტეტს, ეს კი დაუშვებელია. მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ პრიორიტეტის შედგენაში საკრებულო არ მონაწილეობს, მაშინ დასაშვებია ისიც, რომ საკრებულო არ ეთანხმებოდეს მას. ამრიგად, საკრებულოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებამოსილება – ბიუჯეტის მიღება-დამტკიცება – სრულად შეიძლება ვერ იქნეს რეალიზებული. ამ საკითხშიც ოზურგეთის საკრებულოს ბიუროს წარმომადგენლები სრულად დაეთანხმნენ წარდგენილ შენიშვნას.²³

²² „ადგილობრივი თვითმმართველობების ხარჯვითი პოლიტიკა საქართველოში“, ანალიტიკური კვლევა. „კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევის ინსტიტუტი“- თბილისი, 2009 წ. გვ.28

²³ მოხდა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ უახლოეს მომავალში მომზადდებდა საკანონმდებლო ცვლილებები და პარლამენტს რეაგირებისთვის წარედგინებოდა საკანონმდებლო პროექტის სახით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პასუხი აქტიური მოქალაქეების მიერ წარდგენილ სარეკომენდაციო წინადადებებზე:



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

3500, ქ. ოზურგეთი შერაბ კოსტავას ქ. № 1 ტელ. (296) 7-25-45; ფაქსი (296) 7-55-20
www.ozurgeti.org.ge; ozurgeti.municipaliteti@yahoo.com

№ 64/11-07

2011 წ. 23.02


საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის,
სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო
საზოგადოების ერთობლივი პროექტის
„ხალხის მანიფესტის“ მონაწილეებს:
კონსტანტინე დლონტს, ეკატერინე მგელაძეს და სხვებს..

თქვენი 2011 წლის 20 იანვრის
წერილის პასუხად

ვაცნობებთ, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულო ყურადღებით გაეცნო თქვენს ინიციატივებსა და წინადადებებს, რომლებიც უკავშირდება მოქალაქეთა პროფესიულ განათლებასა და დასაქმების საკითხებს. მოგეხსენებათ, რომ თქვენი და საზოგადოების დაინტერესებული ნაწილის მონაწილეობით ეს წინადადებები განვიხილეთ 2011 წლის 10 თებერვალს საკრებულოს სხდომათა დარბაზში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც პროექტ „ხალხის მანიფესტის“ მონაწილეები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე ჩამოყალიბდა ერთობლივი საქმიანობის გარკვეული მონახაზი, რომელიც ზემოთ აღნიშნული მიმართულებით გახორციელდება. მუნიციპალიტეტის საკრებულო უახლოეს მომავალში ამ საკითხზე მიიღებს კონკრეტულ, პრაქტიკულ გადაწყვეტილებებს, რომელთა შესახებაც დამატებით ვაცნობებთ პროექტის მონაწილეებს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო მადლობას გიხდით საინტერესო, საქმიანი იდეების მოწოდებისთვის, გამოვთქვამთ მზადყოფნას, მომავალშიც განვაგრძოთ თქვენთან მჭიდრო თანამშრომლობა.

საკრებულოს თავმჯდომარე :

 ალექო მამეშვილი

ჩოხატაური

აქტიური მოქალაქეების მიერ შემუშავებული შენიშვნები ასევე გაეგზავნა ჩოხატაურის საკრებულოს. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს წარედგინა 4 შენიშვნა 2011 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით. პირველი შენიშვნა შეეხებოდა ბიუჯეტში შსს-ს ადგილობრივი ორგანოების დაფინანსებას. მოქალაქეები მიიჩნევენ, რომ დაფინანსება იყო არამიზნობრივი და თვითმმართველობის შესახებ ორგანული კანონიდან გამომდინარე, არ შედიოდა თვითმმართველობის არც საკუთარ და არც დელეგირებულ უფლებამოსილებებში. ასევე არამიზნობრივ ხარჯს წარმოადგენდა მაჟორიტარი დეპუტატის მომსახურების ხარჯების განევა ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან. ბიუჯეტში ცალკე მუხლად იყო გამოყოფილი რელიგიის დაფინანსება. მოქალაქეებს მიაჩნდათ, რომ რელიგიის დაფინანსება არ შედიოდა თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებებში და, აქედან გამომდინარე, ამ კუთხით ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფა არამიზნობრივად მიაჩნდათ. სახელფასო ბაღე და შტატების სიმრავლე იყო ერთ-ერთი შენიშვნა ჩოხატაურის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას. მოქალაქეებმა ითხოვეს, რომ ეს თანხები მოხმარებოდა სხვა აუცილებელ პრობლემათა გადაჭრას, რომლებიც თავისი არსით შედიოდა თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებებში. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არცერთი შენიშვნა არ იქნა გათვალისწინებული.

ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს წარედგინა 4 შენიშვნა 2011 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით. შენიშვნები ძირითადად შეეხებოდა ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული საჯარო სკოლების დაფინანსებას, ვინაიდან ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებებში შედის მხოლოდ სკოლამდელი და სკოლისგარეშე საალმზრდელი დაწესებულებების დაფინანსება, ხოლო საჯარო სკოლების დაფინანსება ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა.²⁴ ბიუჯეტში ცალკე მუხლად იყო გამოყოფილი რელიგიის მხარდაჭერა. მოქალაქეები აღნიშნავენ, რომ ფინანსური დახმარების თხოვნით თვითმმართველობას შეიძლება მიმართოს როგორც მართლმადიდებლური, ისე სხვა რელიგიური მიმდინარეობების წარმომადგენლებმა, თუმცა, რელიგიის მხარდაჭერა არ შედის თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებებში და, აქედან გამომდინარე, ამ კუთხით ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფა არამიზნობრივად მიაჩნდათ. სახელფასო ბაღე და შტატების სიმრავლე იყო ერთ-ერთი შენიშვნა ლანჩხუთის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას. ასევე, შენიშვნა ეხებოდა ბიუჯეტში შსს-ს ადგილობრივი ორგანოების დაფინანსებას.

იმერეთის რეგიონი

ქუთაისი

აქტიურმა მოქალაქეებმა 5 სარეკომენდაციო წინადადება წარადგინეს ქ.ქუთაისის საკრებულოში. სარეკომენდაციო წინადადებებში მთავარი აქცენტები დაისვა ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ქალაქ ქუთაისის დასუფთავება, სტუდენტთა უკმაყოფილება ქალაქში მგზავრობის ღირებულებასთან დაკავშირებით და ე.წ სტუდენტური ბარათების შემოღების ინიციატივა, ქალაქ ქუთაისში ტურიზმის განვითარებისათვის უფრო ხელსაყრელი საჯარო ტაბლოების მონტაჟი, შადრევნების ექსპლუატაციისათვის, გამოყოფილი 100 000 ლარის ნაცვლად, უფრო ნაკლები თანხის განსაზღვრა და დაზოგილი თანხის სხვა უფრო პრიორიტეტული მიმართულებით გადანაწილება. მაგალითად, ქალაქ ქუთაისის დასუფთავების ღონისძიებების პროგრამის ბიუჯეტიდან, რომლისთვისაც გამოყოფილი იყო 2 350 000 ლარი, მოქალაქეები სარეკომენდაციო წინადადებებით ითხოვდნენ, აღნიშნული თანხა მოხმარებოდა ქ. ქუთაისში არსებული დასუფთავების პრობლემის გადაჭრას. კერძოდ, კორპუსებში არსებული ნაგვის ბუნკერების დაცლა მომხდარიყო უფრო სისტემატიურად, ვინაიდან დასუფთავების საკითხს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქუთაისის ოლქში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის ანგარიშში. ასევე, ფოკუს-ჯგუფების ანგარიშში ერთ-ერთ პრობლემად დასახელდა სტუდენტთა უკმაყოფილება ქალაქში მგზავრობის ღირებულებასთან დაკავშირებით. ამ კუთხით, აქტიური მოქალაქეები მოგვევლინენ ინიციატორებად და საკრებულოს მიმართეს სარეკომენდაციო წინადადებით „სტუდენტური ბარათების“ სისტემის შემოღების თაობაზე. მათი აზრით, სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ სამუალები, ისარგებლონ შეღავათიანი ტარიფით, ხოლო სტუდენტური ბარათების შემოღება ამ მხრივ სიტუაციას დაარეგულირებდა. გარდა ამისა, აქტიურმა მოქალაქეებმა რეკომენდაციით მიმართეს თვითმმართველობას ქალაქ ქუთაისში ტურიზმის განვითარების პროგრამის ბიუჯეტით

²⁴ „ადგილობრივი თვითმმართველობების ხარჯვითი პოლიტიკა საქართველოში“, ანალიტიკური კვლევა. კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევის ინსტიტუტი- თბილისი-2009 წ. გვ.17

გათვალისწინებული თანხის (სულ 48 000 ლარის) განსახორციელებელ ღონისძიებებში კიდევ ერთი კომპონენტის დამატების, კერძოდ, ტურიზმის განვითარებისათვის უფრო ხელსაყრელი საჯარო ტაბლოების დადგმის თაობაზე. მათივე მოსაზრებით, აღნიშნულ ტაბლოებზე განთავსდებოდა ქუთაისის ღირსშესანიშნავი ადგილების ფოტოები და, ასევე, რუქა, თუ, როგორ უნდა მივიდეს ტურისტი დანიშნულების ადგილამდე. მოსაზრებები შეეხებოდა ასევე პროგრამა „კორპუსი“, რომლის ბიუჯეტი, პროექტის თანახმად, განისაზღვრა 1 900 000 ლარით და იგეგმებოდა საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების საქალაქო სამსახურში მთავარი კორდინატორის 1 ერთეულის, წამყვანი კორდინატორის 3 ერთეულის და კოორდინატორის 110 ერთეულის აყვანა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, აქტიურმა მოქალაქეებმა დეტალური ინფორმაცია მიიღეს ადგილობრივ თვითმმართველობასთან საადვოკაციო შეხვედრის დროს. კერძოდ, გაირკვა, რომ პროგრამა „კორპუსის“ ფარგლებში თვითმმართველობა თანადაფინანსების სახით ამხანაგობებს აძლევს თანხას შემდეგი სამუშაოების შესასრულებლად: ბინების გადახურვა, ეზოების კეთილმოწყობა, ლიფტების შეკეთება, ფასადების გარემონტება, სარდაფების მონესრიგება და ეზოს გზების მოპირკეთება. თვითმმართველობის განმარტებითვე, ამხანაგობები თავად ირჩევენ, თუ რომელი პრობლემის გადაჭრა სურთ და თანხებს აღნიშნული მიმართულებით ხარჯავენ. ასევე, სარეკომენდაციო წერილებში მოქალაქეები აღნიშნავენ, რომ შადრევნების ექსპლუატაციის პროგრამის ბიუჯეტიდან (სულ 100 000 ლარი) უფრო ნაკლები თანხა გამოყოფილიყო მათი ექსპლუატაციისათვის და, სანაცვლოდ, თანხა სხვა, უფრო პრიორიტეტული მიმართულებით გადანაწილებულიყო.

ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოწოდებული წერილის თანახმად, ქალაქ ქუთაისში მცხოვრები მოქალაქეების წინადადებები 2011 წლის ბიუჯეტში უკვე დამტკიცებულ პროგრამებთან დაკავშირებით, წლის განმავლობაში შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინების მიზნით, განსახილველად გადაეცა შესაბამის სამსახურებს: კულტურის, სპორტის, განათლების, ძველთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა, კეთილმოწყობის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ლტოლვილთა საქალაქო სამსახურებს, ეკონომიკური პოლიტიკისა და სტრატეგიული განვითარების საქალაქო სამსახურს. თვითმმართველობის განმარტებით, პროგრამა „კორპუსი“ ნაწილობრივ შესრულდა ქუთაისში.

ბაღდათი

აქტიურმა მოქალაქეებმა საკუთარი მოსაზრებები წარადგინეს ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2011 წლის პროექტთან დაკავშირებით. წარდგენილი რეკომენდაციებით (7), აქტიურმა მოქალაქეებმა სამართლებრივად დაუსაბუთებლად მიიჩნიეს ადგილობრივი ბიუჯეტიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების დაფინანსების საკითხი და წინადადებით მიმართეს საკრებულოს, ამისათვის გამოყოფილი 48 000 ლარი სხვა მიმართულებების დასაფინანსებლად გამოეყენებინა. მოქალაქეთა რეკომენდაცია შეეხო ასევე ადგილობრივი ბიუჯეტიდან საჯარო სკოლების დაფინანსების საკითხაც. მოქალაქეებმა უარყოფითად შეაფასეს ადგილობრივი ბიუჯეტიდან შიდა გზების რეაბილიტაციისა და, ასევე, ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების დაფინანსების შემცირება. გარდა ამისა, მათ მიმართეს თვითმმართველობას, 2011 წლის ბიუჯეტის პროექტში გაეთვალისწინებინათ გარკვეული სახსრები საკანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციოდ, რაც პროექტში ასახული არ ყოფილა. ამავე დროს, მოითხოვეს სპორტული და კულტურული ღონისძიებებისათვის გამოყოფილი თანხის (სულ 440 000 ლარი) შემცირება და, ასევე, დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რა პროგრამებზე უნდა დახარჯულიყო აღნიშნული თანხა. მოქალაქეებმა დადებითად შეაფასეს ბიბლიოთეკების დასაფინანსებლად ბიუჯეტში თანხის გაზრდა, ვინაიდან მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების დაფინანსების საკითხი ერთ-ერთი პრობლემატანია ფოკუს-ჯგუფებში დასახელებულ პრობლემებს შორის.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პასუხში აღნიშნულია, რომ „ბაღდათის რაიონში საკანალიზაციო სისტემის არარსებობის გამო მისი ფუნქციონირებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული შესაბამისი თანხები“. პასუხში ასევე დეტალურად არის გაშიფრული, თუ რა მიზნებს უნდა მოხმარდეს სპორტული და კულტურული ღონისძიებებისათვის ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა.

საჩხერე

საჩხერეში აქტიურმა მოქალაქეებმა მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარადგინეს მხოლოდ ერთი სარეკომენდაციო წინადადება – ბიუჯეტში მერაბ კოსტავას სახელობის სკვერის რეაბილიტაციისათვის თანხის გამოყოფის თაობაზე. საკითხი განიხილეს, იდეა მოენონათ, თუმცა, თვითმმართველობის განმარტებით, 2011 წლის ბიუჯეტში აღნიშნული თანხის გათვალისწინება ვერ მოხერხდება.

ხონი

ხონის აქტიური მოქალაქეების მიერ საკრებულოსა და გამგეობაში წარდგენილ იქნა სარეკომენდაციო წინადადებები. რეკომენდაციები შეეხებოდა ქალაქში არსებული სასაფლაოების დასუფთავებას და ნაგვის ბუნკერების დადგმას, ნაგვის ინტენსიურ გატანას; ხონის შიდა ქუჩების კეთილმოწყობის საკითხს; ახალგაზრდობისთვის გასართობი და დასვენების პირობების მოგვარებას (გასართობი ცენტრი, კლუბი); რეკომენდაციები შეეხებოდა, ასევე, ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობას (შელავათების დაწესებას იმ მოქალაქეებისთვის, ვინც არ არის პენსიონერი, არ აქვს სოციალურად დაუცველის სტატუსი, მაგრამ ცხოვრობს გაჭირვებაში); დასაქმების პრობლემას; სოფლის მეურნეობის შესაბამისი პროგრამების შემუშავებას. (მაგალითად, თანადაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულების დასამუშავებლად აუცილებელი საწვავ-საცხები მასალების, შხამ-ქიმიკატების და ორგანული ან მინერალური სასუქების შესაძენად); სამოქალაქო თავდაცვის მხრივ მოქალაქეთა ინფორმირებას (სულ 8 რეკომენდაცია). სამწუხაროდ, აღნიშნული საკითხები არ იქნა გათვალისწინებული ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. მიზეზად დასახელდა, ის რომ 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი უკვე დამტკიცებული იყო.

ჭიათურა

აქტიურმა მოქალაქეებმა 2 სარეკომენდაციო წინადადებით მიმართეს ჭიათურის მუნიციპალიტეტს. სარეკომენდაციო წინადადებები ეხებოდა ქალაქის სასმელი წყლის სისტემის და წყლის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფას, ქალაქ ჭიათურაში საავადმყოფოსა და ქორწინების სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე დასუფთავების საკითხის მოგვარებას. დასუფთავების საკითხთან დაკავშირებით, მოქალაქეებმა მიიღეს დაპირება, რომ გათვალისწინებული იქნება 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტში, ხოლო რაც შეეხება წყლის ხარისხს, ინფორმაცია გადაეგზვნა შესაბამისს უწყებას და პასუხის შემთხვევაში, ადგილობრივი ხელისუფლება მოახდენს მოსახლეობის ინფორმირებას.

ტყიბული

აქტიურმა მოქალაქეებმა ტყიბულის მუნიციპალიტეტს მიმართეს 3 სარეკომენდაციო წინადადებით, რომლებიც ეხებოდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან ისეთი საკითხების დაფინანსებას, როგორცაა შიდა საქალაქო, ასევე, სოფლის შიდა გზებისა და გარე განათების მოწესრიგება. ადგილობრივი ხელისუფლების დაპირებით, აღნიშნული საკითხები განიხილებოდა საკრებულოს სხდომაზე და შესაბამისად მოხდებოდა მათი გათვალისწინება. სარეკომენდაციო წერილში წარდგენილი გარე განათების საკითხი მოგვარდა.

ხარაგაული

აქტიურმა მოქალაქეებმა 3 სარეკომენდაციო წინადადებით მიმართეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტს. მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის სახელზე დაინერა სარეკომენდაციო წერილი, სადაც დაფიქსირებულია ხარაგაულის მწირი ბიუჯეტის ფონზე გამგეობის შენახვის ხარჯების საოცარი ზრდა, კრიტიკულად შეფასდა ბიბლიოთეკების ოპტიმიზაცია, ასევე, საბავშვო ბაღების დაფინანსების სიმწირე. გამგებლის განმარტებით, ბიუჯეტის სიმწირის გამო გარდაუვალი გახდა ბიბლიოთეკების შემცირება, თუმცა, წიგნები გადაეცემოდა სკოლებს და ამით მოხდებოდა მათი შენარჩუნება. ბაღებთან დაკავშირებითაც, ბიუჯეტის სიმწირის გამო ვერ ხერხდებოდა მათი დაფინანსება. რაც შეეხება ხარაგაულის მწირი ბიუჯეტის ფონზე გამგეობის შენახვის ხარჯების ზრდას, გამგებლის განმარტებით, გამგეობის ხარჯების გაზრდა გამოიწვია კომპიუტერული ტექნიკის შეძენის და დარაჯის 3 შტატის დამატების აუცილებლობამ. აღსანიშნავია, რომ სოციალური დახმარება 2010 წლთან შედარებით გაიზარდა 10 ათასი ლარით, რაც სოციალურად დაუცველი პირებისთვის ერთჯერადი დახმარების გაცემაში გამოიხატება.

თერჯოლა

მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე სოფელში მოგვარდა სოფლიდან ნარჩენების გატანის პრობლემა, სოფ. ჭოგნარში ნაგავსაყრელისა და ბუნკერების არარსებობა ისევ პრობლემად რჩება. აქტიურმა მოქალაქეებმა პრიორიტეტულად სწორედ აღნიშნული საკითხი მიიჩნიეს და მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე სარეკომენდაციო წინადადება წარადგინეს. პასუხი წერილობით არ გაცემულა. თვითმმართველობამ მოგვიანებით განმარტა, რომ დასუფთავებისათვის თანხა გათვალ-

ისწინებული იყო ადგილობრივი ბიუჯეტით, იგეგმებოდა ნაგვის მანქანის შეძენა, რომელსაც დაევალებოდა კვირაში ერთხელ, ცენტრალური გზიდან სოფ. ჭოგნარიდან ნარჩენების გატანა.

წყალტუბო

2011 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით, აქტიური მოქალაქეების მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარდგენილ იქნა რეკომენდაციები, სადაც აღნიშნული იყო, რომ, ადგილობრივი თვითმმართველობის ნებაყოფლობითი უფლებამოსილების გაუქმების გამო, საკრებულოს 2011 წელს აღარ უნდა დაეფინანსებინა ისეთი საკითხები, როგორცაა შსს-ს ადგილობრივი ორგანოები და საჯარო სკოლები. სანაცვლოდ, მოქალაქეებმა თვითმმართველობისგან მოითხოვეს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სხვა პრობლემატური საკითხების გადაწყვეტა, რომლებსაც, მათი მოსაზრებით, ნაკლები ყურადღება ეთმობოდა თვითმმართველობის 2011 წლისათვის დაგეგმილ საქმიანობებში. მაგალითად, შიდა სასოფლო გზების შეკეთება, ხიდებისა და ბოგირების რეაბილიტაცია, მოსაცდელელების აშენება. რეკომენდაციაში საზგასმული იყო საბავშვო ბაღების კეთილმოწყობასთან დაკავშირებული პრობლემაც და გამოთქმული იყო მადლიერება სპორტული კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტს მანამდე არ გააჩნდა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი და მოსახლეობა საჭიროდ მიიჩნევდა მის არსებობას. თვითმმართველობის განმარტებით, მოქალაქეთა შენიშვნები და რეკომენდაციები 2011 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით, შესაძლებლობის ფარგლებში, გათვალისწინებული იქნება 2011 წლის ბიუჯეტში ცვლილებების და დამატებების შეტანის დროს. მათივე თქმით, 2010 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტს დამატება, არსებულის გარდა, 5 საბავშვო ბაღი, ხოლო შიდა გზების რეაბილიტაციის, ბოგირებისა და ხიდების შეკეთებისათვის თანხა გამოყოფილი იყო „სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში“. მოგვიანებით, აქტიურ მოქალაქეთა მიერ დაისვა საკითხი მუნიციპალიტეტის დასუფთავების და სანატორიუმების „მეშახტისა“ და „ივერიის“ წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის თაობაზე. თვითმმართველობის წერილობითი პასუხის თანახმად, აღნიშნული სანატორიუმების წყალმომარაგების რეაბილიტაცია წარმოადგენს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს პრეროგატივას, შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ამასთან დაკავშირებით თანხები გათვალისწინებული არ არის. რაც შეეხება დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების საკითხს, გამგეობის ინფორმაციით, 2011 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ახალი ნაგვის ყუთების შექმნა, რომლებიც დაიდგმება ქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე, ბრონეულას და კოპიტნარის დასახლებებში, საკურორტო დაწესებულებებში, ქუთაისი-სამტრედიის, წყალტუბო-ქუთაისისა და ქუთაისი-ხონის ავტომაგისტრალების გასწვრივ, საწარმოებსა და დაწესებულებებში. გამგეობამ დამატებით განმარტა, რომ ნაგავშემკრები ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა წარმოებს ყოველდღე.

ზესტაფონი

ზესტაფონის აქტიურ მოქალაქეთა მიერ თვითმმართველობაში წარდგენილი იქნა 2 სარეკომენდაციო წინადადება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვისა და ლიფტებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების თაობაზე. განმცხადებელს ზეპირად განემარტა, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილია 99 339 ლარი. საადვოკაციო შეხვედრაზე დაკონკრეტდა, რომ აღნიშნული თანხიდან, თანადაფინანსების პრინციპით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობასთან ერთად ხორციელდება სამუშაოები, რომლებიც დაყოფილია 3 კატეგორიად: 3000 (სამი ათასი); 7000 (შვიდი ათასი) და 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ღირებულების სამუშაოებად. თვითმმართველობა აღნიშნული თანხის ფარგლებში აფინანსებს სამუშაოებს ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, კერძოდ, იძენს საჭირო მასალას. საადვოკაციო შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ მრავალბინიანი სახლების შერჩევისას, ლიფტების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, პრიორიტეტი ენიჭება ინვალიდებით დასახლებულ ბინებს.

ვანი

ვანის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას სარწყავი სისტემის არარსებობა წარმოადგენს. აღნიშნული საკითხი ფოკუს-ჯგუფის გამოკითხვის დროსაც დაფიქსირდა. ვინაიდან პრობლემა არ იყო გათვალისწინებული 2011 წლის ბიუჯეტში, ვანის მუნიციპალიტეტის მოქალაქეებმა სარეკომენდაციო წინადადებით მიმართეს მუნიციპალიტეტის გამგებელსა და საკრებულოს თავმჯდომარეს, რომლებიც დაპირდნენ, რომ 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის დროს აღნიშნული საკითხი აუცილებლად იქნებოდა განხილული.

სამტრედია

აქტიურმა მოქალაქეებმა სამტრედიის საკრებულოში წარადგინეს 3 სარეკომენდაციო წინადადება. წერილებით უარყოფითად იყო შეფასებული ადგილობრივი ბიუჯეტიდან პოლიციისა და საჯარო სკოლების დაფინანსება. შესაბამისად, წარდგენილ იქნა რეკომენდაცია, რომ აღნიშნული თანხები მიმართულიყო შიდა გზების რეაბილიტაციაზე, რომლის დაფინანსების ხარჯები 2010 წლის ბიუჯეტთან შედარებით მნიშვნელოვნად იყო შემცირებული. სამტრედიის მუნიციპალიტეტიდან აქტიურ მოქალაქეებს მიენოდათ დასაბუთებული პასუხი მათ მიერ წარდგენილ შენიშვნებსა და რეკომენდაციებთან დაკავშირებით. კერძოდ, განემარტათ, რომ პოლიციისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსების შესაძლებლობას მათ აძლევს კანონი („პოლიციის შესახებ“, „საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ“). ამასთან, მიენოდათ ინფორმაცია, რომ მართალია შიდა გზების დასაფინანსებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან არ არის გამოყოფილი დიდი თანხა, მაგრამ მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ 2011 წელს იგეგმებოდა 2 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების სამუშაოების შესრულება ამ მიმართულებით.

სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონი

მარტვილი

მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისა და გამგებლის სახელზე, შევიდა სარეკომენდაციო წერილი, რომლითაც აქტიური მოქალაქეები ითხოვდნენ ბიუჯეტში თანხების გათვალისწინებას შემდეგ საკითხებზე: შიდა გზების რეაბილიტაცია, სოფლის ამბულატორიების მოწესრიგება, ბალების შეკეთება და სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესება. მუნიციპალიტეტის გამგეობიდან მოპოვებული ინფორმაციით, შიდა სასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, კერძოდ, მოიხრეშება გზები (სოფ. გურძემი, სალხინო, აბღათი, თამაკონი, ტალერი, ხუნნი, კინია, ინჩხური, დომაყე, ნაჯახაო). ასევე, დაგეგმილია საბავშვო ბალების გახსნა (სოფ. ბანძა, კურზუ, დიდი ჭყონი და ლეხაინდრაგო). რაც შეეხება ამბულატორიებს, მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის თქმით, მათი რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტის კომპეტენციაში არ შედის.

მესტია

მოქალაქეებმა სარეკომენდაციო წინადადებებით მიმართეს გამგეობასა და საკრებულოს სოფ. ლატალში 22 მეტრიანი ხიდის აღდგენის თაობაზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გამგეობის მხრიდან მიიღეს დაპირება რკინა-ბეტონის კონსტრუქციის ხიდის პროექტის მომზადებასა და შესაბამისი სამუშაოების დასაფინანსებლად საჭირო სახსრების მოძიებაზე.

აბაშა

აბაშის მუნიციპალიტეტში მოქალაქეების მიერ ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში წარდგენილ იქნა სარეკომენდაციო წერილი, სოფ. ტყვირის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისათვის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტში თანხის გამოყოფის მოთხოვნით. საკრებულოს თავმჯდომარის განმარტებით, ტყვირის ბაღს 2010 წელს ჩაუტარდა შენობამდე ელექტროენერჯის მიყვანის სამუშაოები, სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით – 466,66 ლარი. საბავშვო ბაღების რემონტისათვის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტში გამოყოფილია 50 ათასი ლარი. ხოლო, თუ რა თანხა გამოიყოფა კონკრეტულად სოფ. ტყვირის ბაღისთვის, გაირკვევა მარტის თვის ბოლოს, მას მერე, რაც მოხდება ბაღების ინსპექტირება.

სენაკი

აქტიური მოქალაქეების სახელით 2 სარეკომენდაციო წინადადება იქნა წარდგენილი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. კერძოდ, მენჯის თემში სპორტული მოედნის საფარის ხელახალი შეკეთება (ახლად გაკეთებულ მოედანზე სრულიად უხარისხოდ არის საფარი დაგებული) და ეკის თემში გზის მოასფალტება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საკითხის მოგვარებასთან დაკავშირებით დაპირება მიღებულ იქნა ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში, თუმცა, 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში აღნიშნული საკითხის გათვალისწინება არ მომხდარა. ადგილობრივი ხელისუფლების განმარტებით, ეკის თემის გზის მოასფალტება საჭიროებს დიდ თანხას, ამიტომ, მართალია, ის არ არის ჩასმული 2011

წლის ადგილობრივ ბიუჯეტში, თუმცა, შედგენილია პროექტი და დაყენებულია მოთხოვნა ცენტრალურ დონეზე. რაც შეეხება მენჯის თემში სპორტული მოედნის საფარის ხელახალ შეკეთებას, ხელისუფლების დაპირებით, სამუშაოს შემსრულებელს გაზაფხულზე ხარვეზის გამოსწორებას მოსთხოვენ.

ხობი

გამგეობასა და საკრებულოში წარდგენილ იქნა სარეკომენდაციო წერილი, რომელშიც საუბარია შემდეგ პრობლემებზე: სოფლების წყლით უზრუნველყოფა და წყლის ხარისხის შემოწმება; დასვენებისა და გასართობი ცენტრების მოწყობა; სოფლების დროულად გამრიცხველიანება; დასაქმების ხელშეწყობა; სოფლის შიდა გზების მოწესრიგება. სარეკომენდაციო წერილში ასევე ჩაიდო მოთხოვნა ძველი გადაუჭრელი პრობლემის მოგვარების შესახებ. მაგალითად, 2009 წელს ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (შემოღობვა), რომელიც იმ პერიოდისათვის ვერ განხორციელდა თანხების უქონლობის გამო.

მოსახლეობას წერილობით მიანოდეს პასუხი, რომ ხეთის სკოლის ეზოს შემოსაღობად სამუშაოები ჩატარდება 2011 წლის ივნისში. ზეპირი ინფორმაციით, სკოლისათვის გამოყოფილია 20 ათასი ლარი.

ზუგდიდი

სარეკომენდაციო წერილი დაინერა მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს სახელზე, სადაც საუბარია შემდეგ საკითხებზე: ნაგვის ბუნკერების დამატება დადიანის, თავისუფლების, თაბუკაშვილის, ჭყონდიდელის ქუჩებზე; მდინარე ჩხოუმის მიმდებარე ტერიტორიის განმენდა ნაგავსაყრელისგან; ზუგდიდის შიდა ქუჩების კეთილმოწყობის საკითხი, მაგალითად, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩის უზრუნველყოფა სანიაღვრე სისტემით; სოფლებში მისასვლელი გზებისა და სოფლის შიდა გზების პრობლემის მოგვარება; სოფლების – ახალსოფლის და კოლხიდას დამაკავშირებელი გზის 500 მეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია, რომლის რეაბილიტაციის თაობაზე დაპირება მოსახლეობამ ჯერ კიდევ 2009 წელს მიიღო. მაშინ, მართალია, მოიხრეშა ინერტული მასალით, მაგრამ გზა ისევ ჩავარდა და გადაადგილება შეუძლებელი შეიქნა; სოფელ ძველი აბასთუმნის ცენტრალური გზის შეკეთება, რომელიც რვა სოფელს აკავშირებს ერთმანეთთან; ჯახუთის ხიდის განმეორებითი რეაბილიტაცია; ასევე, სოფელ ორსანტიაში მდინარე ენგურის დამცავი ჯებირების მშენებლობა (მოსახლეობამ არაერთხელ მიმართა მუნიციპალიტეტს აღნიშნულ საკითხზე); ზუგდიდის ზოგიერთი შიდა ქუჩის გარე განათება (მაგალითად, თათარიშვილისა და შევჩენკოს ქუჩებზე); ჭყონდიდელის ქუჩაზე სათამაშო მოედნის გაკეთება; ზუგდიდში წყლის მიწოდების გრაფიკის დარეგულირება; სოფლების სარწყავი წყლის პრობლემა; სტუდენტური ტრანსპორტის დანიშვნა, რომლის ფასი ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტებისა და პედაგოგებისთვის; შეღავათების დაწესება იმ მოსახლეობისთვის, რომლებიც არ არიან პენსიონერები, არ აქვთ სოციალურად დაუცველის სტატუსი, მაგრამ გაჭირვებაში ცხოვრობენ; ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა; სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის შესაბამისი პროგრამების შემუშავება და ასახვა ადგილობრივ ბიუჯეტში (მაგალითად, შეღავათიანი ტარიფების დაწესება შხამქიმიკატების და მინერალური სასუქების შექენაზე). მონიტორინგის პერიოდში, შევჩენკოს ქუჩის მაცხოვრებლებმა ასევე მიმართეს ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარესა და გამგებელს და მოითხოვეს ინფორმაცია იმის შესახებ, იყო თუ არა თანხა გამოყოფილი შევჩენკოს ქუჩის სანიაღვრე სისტემით უზრუნველსაყოფად. მიიღეს საკრებულოს თავმჯდომარის პასუხი, რომ მათი პრობლემა გათვალისწინებულია 2011 წლის ბიუჯეტში და შევჩენკოს ქუჩის რეაბილიტაციისათვის მიმდინარეობს გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოები. რაც შეეხება ახალსოფლისა და კოლხიდას მონაკვეთზე გზის მოწესრიგებას, ეს დიდ თანხებთან არის დაკავშირებული და აღნიშნული საკითხის გათვალისწინება უნდა მოხდეს სხვადასხვა პროექტში. ასევე, თანხის მოძიების შემთხვევაში, მოხდება ჭყონდიდელის ქუჩის რეაბილიტაციაც. გადაწყდა, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში იქნება ჩასმული სოფ. ორსანტიაში არსებული ჯებირების საკითხი. რეკომენდაციების განხილვის შემდეგ გადაწყდა 100 ნაგვის ბუნკერის შექენა ძველი ბუნკერების ახლით ჩანაცვლების მიზნით. სასმელი წყლის გრაფიკთან დაკავშირებით განმარტეს, რომ მომავალი წლისთვის პრობლემა მოგვარდება და 24 საათიანი გრაფიკი დაწესდება. მოქალაქეებმა დაპირება მიიღეს შეღავათიანი სტუდენტური ტრანსპორტის დანიშვნასთან დაკავშირებითაც. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენლებმა საკამოდ დადებითად შეაფასეს მოქალაქეთა მიერ წარდგენილი რეკომენდაციები და აღნიშნეს, რომ ასეთი ტიპის თანამშრომლობა საზოგადოებასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის, შედეგის თვალსაზრისით, ძალიან ნაყოფიერია და სისტემატურად უნდა ხორციელდებოდეს.

ნალენჯისა

მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე დაინერა სარეკომენდაციო წერილი. მოქალაქეებმა ერთ კონკრეტულ მოთხოვნაზე გაამახვილეს ყურადღება. ეს არის სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის ქალაქის ცენტრში არსებულ ტერენტი გრანელის პარკში გასართობი მოედნის მოწყობისათვის ბიუჯეტში თანხის გამოყოფა და იქ არსებული ატრაქციონების ამუშავება. საკითხს გამოეხმაურა გამგეობა. მათ მოქალაქეებს უპასუხეს, რომ 2011 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანისას აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული იქნება. ასევე, ნალენჯისაში სააბულაძეს უბნის გარე განათების დამონტაჟებასთან დაკავშირებით, მიღებულ იქნა დაპირება, რომ 2011 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის პერიოდში ჩასმული იქნება კონკრეტულად აღნიშნულ უბანში გარე განათების დამონტაჟება და სამუშაოები დაიწყება გაზაფხულზე.

ჩხორონყუ

საკრებულოსა და გამგეობაში შევიდა სარეკომენდაციო წერილი, სადაც მოქალაქეები მოითხოვდნენ შემდეგი საკითხების გათვალისწინებას ბიუჯეტში: 1. სოფლის შიდა გზების შეკეთება (ლენურნუმეს, ჭოლას, ხაბუმის თემის, ჯუმითისა და ენერის უბნის გზები, ნაფიჩხოვო-თაია მუხურის დამაკავშირებელი გზა); 2. სასმელი წყლის მოწოდება ხაბუმსა და ენერის თემში; 3. ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა იმ პირებისათვის, რომლებიც ჯერ არც პენსიონერები არიან და, იმავდროულად, არ ირიცხებიან სოციალურად დაუცველთა სიაში, თუმცა, ცხოვრობენ საკმაოდ მომჭირნედ; 4. სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობისათვის შესაბამისი პროგრამების შემუშავება და ასახვა ადგილობრივ ბიუჯეტში. მოქალაქეების მიერ წარდგენილ სარეკომენდაციო წერილს გამოეხმაურა მუნიციპალიტეტის გამგებელი, რომლის განცხადებით, წერილში ჩამოთვლილი შიდა გზების შეკეთება განხორციელდება სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში. სასმელი წყლის მოწოდებასთან დაკავშირებით მომზადებულია პროექტი, რომელიც გადაგზავნილია შესაბამის სამსახურში ცენტრალურ დონეზე და ელოდებიან პასუხს. დადებითი პასუხის შემთხვევაში, ჩხორონყუს მუნიციპალიტეტი ამ პროექტში 30%-იანი თანადაფინანსებით ჩაერთვება. რაც შეეხება სარეკომენდაციო წერილის მე-3 და მე-4 პუნქტებს, ამ საკითხების მოგვარება ადგილობრივ დონეზე ვერ ხერხდება.

ფოთი

ბიუჯეტის ფორმირების წინ გამოიკვეთა, რომ მოსახლეობის მიერ დასახელებული პრიორიტეტების მხოლოდ ნაწილობრივი გათვალისწინება ხდებოდა 2011 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში. ამდენად, სხვა მუნიციპალიტეტების მსგავსად, ფოთის აქტიურმა მოქალაქეებმაც მიმართეს თვითმმართველი ქალაქი ფოთის საკრებულოსა და მერიას სარეკომენდაციო წინადადებებით. სარეკომენდაციო წერილი ეხებოდა 2011 წლის ბიუჯეტის პროექტში შემდეგი პრობლემების გათვალისწინებას: 1) დასაქმების ხელშეწყობა; 2) ინფრასტრუქტურის განვითარება; 3) სპორტის ხელშეწყობა, კერძოდ, სხვადასხვა სპორტული სახეობის განვითარება.

მონიტორებმა სარეკომენდაციო წერილის პასუხი მიიღეს მერიისგანაც და საკრებულოსგანაც, რომლებმაც აცნობეს, რომ ბიუჯეტში სარეკომენდაციო წერილით წარდგენილი პრობლემების გათვალისწინება ვერ მოხდებოდა. ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებით, წერილში ნათქვამია, რომ ქუჩების მოასფალტება და ცენტრალური პარკის მოწოდება მანამ ვერ მოხერხდება, სანამ არ დასრულდება მინისქვეშა კომუნიკაციების მიმდინარე მშენებლობა.

რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთის რეგიონი

ონი

ძირითადი პრობლემები, რომლებიც პროექტის მიმდინარეობისას ონის მუნიციპალიტეტში გამოიკვეთა, დასუფთავების, წყალმომარაგებისა და გარე განათების საკითხებს მოიცავდა. სარეკომენდაციო წინადადებებიც სწორედ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით იქნა წარდგენილი: 1. ქალაქში ბუნკერების დამატება; 2. ქალაქის შიდა ქუჩებისა და სოფლების შიდა გზების შეკეთება, ფეხით სავალი გზების – ტროტუარების მოწოდება; 3. სასმელი წყლის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა; 4. კინოთეატრისა და კულტურის სახლის რეაბილიტაცია; 5. ჯანდაცვის სფეროში სპეციალისტების მოძიება და ხელშეწყობა; 6. ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა. 28 დეკემბრის საკრებულოს სხდომაზე განხილულ იქნა

მოქალაქეების მიერ წარდგენილი სარეკომენდაციო წინადადებები და აღინიშნა, რომ 2011 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის დროს შეძლებისდაგვარად იქნება გათვალისწინებული. საკრებულოს თავმჯდომარესთან შეხვედრისას, გამოიკვეთა შემდეგი: 1. ბიუჯეტში ვერ მოხერხდა ბუნკერების დამატებისათვის თანხების გამოყოფა, მაგრამ დაფინანსდა ქუჩების დაგვა/დასუფთავების პროგრამა და სამუშაოები 1-ლი მარტიდან დაიწყება; 2. პიპილეთი-ჟაშქვის გზა უნდა გაკეთებულიყო ორგანიზაცია „იფადის“ თანადაფინანსებით, მაგრამ ორგანიზაციაში განხორციელებული რეორგანიზაციის გამო საკითხი ჯერჯერობით შეჩერებულია. თავად ონის ქუჩების რეაბილიტაციის სამუშაოები გამოდარებისთანავე დაიწყება. სახელმწიფოს დაფინანსებით (1,420 ათასი ლარი) მოხდება აღმაშენებლის ქუჩისა და მიმდებარე ორი მოედნის რეაბილიტაცია, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი 1,600 ათასი ლარით განხორციელდება დარჩენილი ცენტრალური ქუჩებისა და ფეხით მოსიარულეთათვის ტროტუარების შეკეთება; 3. წყლის ხარისხის გასაუმჯობესებლად საჭიროა სათაო ნაგებობების აგება. მუნიციპალიტეტში ელოდებიან წყლის კომპანიის შესვლას და საკითხის დადებითად გადაწყვეტას; 4. რაც ამ ეტაპისთვის შესაძლებელია ახალგაზრდებისთვის გაკეთდეს, ეს არის სკვერების კეთილმოწყობა და სპორტ-სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ბავშვებისათვის სათამაშო ატრაქციონების დამონტაჟება; 5. რაც შეეხება ჯანდაცვის სფეროს – იწყება და 2012 წელს დასრულდება 16 ადგილიანი საავადმყოფოს მშენებლობა, რომელიც აღიჭურვება უახლესი აპარატურით. გადამზადდება მედ-პერსონალი და, საჭიროებისამებრ, მონვეულნი იქნებიან სპეციალისტებიც; 6. დასაქმების პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ დგას, რადგან სამსახურები გადადის გუბერნიის ცენტრში.

ლენტეხი

ლენტეხში ადგილობრივმა მოსახლეობამ, სარეკომენდაციო წერილის მეშვეობით, მოითხოვა დასუფთავების საკითხების გადაწყვეტა და დასაქმების პრობლემის გადაჭრა, თუნდაც მეზოვეების შტატის ზრდის ხარჯზე. ადგილობრივი თვითმმართველობიდან დადებითი პასუხი გაიცა. ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ხარჯები ლახაშირის ნაგავსაყრელის მოსაწყობად. ადგილობრივი ხელისუფლების განმარტებით, უახლოეს მომავალში უნდა გამოცხადებულიყო ტენდერი და მოგვარებულიყო დასუფთავების პრობლემა, რაც შეეხება დასაქმების საკითხს ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას მიეცემოდა რეკომენდაცია სამუშაო ადგილების გაზრდის შესახებ.

ამბროლაური

მუნიციპალიტეტის საკრებულოში შევიდა სარეკომენდაციო წერილი შემდეგი საკითხების გათვალისწინების მოთხოვნით: სოფლებში ბუნკერებისა და ნაგავსაყრელების არარსებობა; საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია (რომლისთვისაც თანხა ჩადებული იყო 2009-2010 წლის ბიუჯეტებში. სამუშაოები დაწყებულია, მაგრამ ბოლომდე არ არის შესრულებული); ნაპირსამაგრი სამუშაოები სოფლების – ხვანჭკარასა და ჩორჯოს ტერიტორიაზე, რიონის სანაპირო ზოლზე; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოს არარსებობა, რაც იწვევს ანტისანიტარიას; სოფლის მეურნეობის პროგრამების შემუშავების ხელშეწყობა; ჯანდაცვის სფეროს ხელშეწყობა, კონკრეტულად, სპეციალისტების მონვევის მიზნით, ბიუჯეტში თანხების გათვალისწინება; ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება. აღნიშნულ წერილზე პასუხი მონიტორებს არ მიუღიათ. ამდენად, დასკვნის გაკეთება, თუ რამდენად იქნა გათვალისწინებული აღნიშნული პრობლემები ბიუჯეტის ფორმირების დროს, შეუძლებელია.

ცაგერი

ცაგერის მუნიციპალიტეტში მოქალაქეების მიერ ადგილობრივ თვითმმართველობებში წარდგენილი რეკომენდაცია ეხებოდა წყალმომარაგების საკითხს. კერძოდ, ცაგერში წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია, რომელიც 2010 წელში დაიწყო, შეჩერდა. მოქალაქეებმა მოითხოვეს სამუშაოების განახლება. ქუჩების სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია გათვალისწინებული იქნება 2011 წლის ბიუჯეტის ცვლილებების დროს. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების დაპირებით, 2011 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის დროს გამოინახება სახსრები წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემის მოსანერგებლად.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

ახალქალაქი

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საინიციატივო ჯგუფებმა სარეკომენდაციო წინადადებებით მიმართეს ადგილობრივ თვითმმართველობას და წარადგინეს 10 წინადადება ბიუჯეტის პროექტსა და თვითმმართველობის მომავალ საქმიანობასთან დაკავშირებით. ყურადღება გამახვილდა იმ საკითხებზე, რომლებიც წარდგენილი ბიუჯეტის პროექტით არ იყო გათვალისწინებული. მაგალითად, სოფლებში სარწყავი წყლისა და სასმელი სისტემის გამართვა; სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობისათვის შესაბამისი პროგრამების შემუშავება და ასახვა ადგილობრივ ბიუჯეტში; ქალაქ ახალქალაქში სასმელი წყლის ხარისხი; ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტების დაფინანსება; სოფლების შიდა გზების მოწყობა; ქალაქის სკვერის კეთილმოწყობა, ხოლო სოფლებში დასვენებისა და გართობის ცენტრების მოწყობა; სოფლებში ამბულატორიების არსებობა; ეკოლოგიის დასაცავად და ანტისანიტარიის თავიდან ასაცილებლად საჭირო სამოქალაქო საპირფარეოების გაკეთება ბაზარსა და პარკთან. მოთხოვნა შეეხებოდა ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში გოგაშენი-ახალქალაქის სამარშრუტო ხაზის დაწესების გათვალისწინებას, რომელიც 4 სოფლის მოსახლეობას მოემსახურებოდა. თვითმმართველობამ წინადადებების აქტუალურობიდან გამომდინარე, ბიუჯეტის დამტკიცებამდე განიხილა სარეკომენდაციო წინადადებები და აღინიშნა, რომ: სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია განხორციელდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2011 წელს, ასევე 2011 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო იხტილა-ბარაღეთ-კოთელიას სისტემის რეაბილიტაცია, რისთვისაც გამოყოფილია 270 00 ლარი; ასევე, 40 ათასი ლარი გათვალისწინებულია სოფლის გზების მოსახრებლად. აღინიშნა, რომ ქალაქის 5 ქუჩის რეაბილიტაცია განხორციელდება მიმდინარე წელს ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით – 200 000 ლარის ოდენობით, ხოლო სოფლის გზების რეაბილიტაცია მოხდება მომდევნო წლებში. სოფლებში ამბულატორიების რეაბილიტაციის თაობაზე ინფორმაცია მათ მიანოდეს რეგიონული განვითარების სამინისტროს და ელოდებიან პასუხს. სამარშრუტო ხაზი გოგაშენი-ახალქალაქის მიმართულებით კი, უკვე ფუნქციონირებს 2010 წლიდან, თუმცა, დასახვევნი მისი მოძრაობის გრაფიკი. რაც შეეხება ქალაქში საზოგადოებრივი საპირფარეოს არსებობას, აღნიშნულს გაითვალისწინებენ ბიუჯეტში.

ბორჯომი

ბორჯომის მუნიციპალიტეტში წარდგენილი სარეკომენდაციო წინადადებებიდან აღსანიშნავია ნაგვის ბუნიკერების დამატების საკითხი ქ. ბორჯომში გოგაისციხის, ფიროსმანის, ჯაფარიძის, გურამიშვილის ქუჩებზე; ბორჯომის შიდა ქუჩების, სოფლებში მისასვლელი გზებისა და სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია (სოფელ ჭობისხევის, ქვაბისხევის, რველის, ვანავის შიდა ქუჩები); ბორჯომის შიდა ქუჩების განათება (მაგალითად, გოგაისციხის, წმინდა ნინოს, გურამიშვილის ქუჩები); პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის, ასევე კინოთეატრისა და ახალგაზრდებისათვის გართობისა და დასვენების შესაბამისი პირობების არარსებობა ბორჯომში (გასართობი ცენტრები, კლუბები, ბარები); ჯამრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობის პრობლემა. აქტიურმა მოქალაქეებმა კონკრეტული წინადადებებით მიმართეს ადგილობრივ თვითმმართველობას, რათა დაწესებულიყო შეღავათები მოსახლეობის იმ კატეგორიაზე, რომლებიც არ არიან პენსიონერები, არ აქვთ სოციალურად დაუცველის სტატუსი, მაგრამ გაჭირვებაში ცხოვრობენ. ბორჯომის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა გაზის მაღალი ტარიფი, რომელიც მთელ რეგიონში ყველაზე მაღალია. ასევე, მოქალაქეები ითხოვდნენ სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობისათვის ისეთი პროგრამების შემუშავებას და ასახვას ადგილობრივ ბიუჯეტში, როგორცაა შხამქიმიკატების და მინერალური სასუქების შექმნა. წარმოდგენილი სარეკომენდაციო წინადადებები ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განხილულ იქნა ბიუჯეტის დამტკიცებამდე და, მათი დაპირებით, შემდგომში აუცილებლად გაითვალისწინებენ ბიუჯეტის შემოსავლების პროპორციულად. ამასთან, მათივე განმარტებით: ქალაქში ნაყიდია ბუნეკერების 95%, ხოლო გასულ წელს შექმნილი იქნა 5 ნაგვის მანქანა. აღინიშნა, რომ დასუფთავების პრობლემა დგას, ძირითადად, დასვენების სეზონის დროს, ამიტომ 2011 წელს დაგეგმილია კიდევ 1 ნაგვის მანქანისა და დამატებითი ბუნეკერების შექმნა. ამასთანავე, სოფლებში მიმდინარეობს ნაგავსაყრელების მოწყობა, რისთვისაც ნებართვის ასაღებად მიმართეს გარემოს დაცვის სამინისტროს. წყალგაყვანილობისა და გაზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ გასული წლიდან დაიწყო წყალგაყვანილობის სრული რეაბილიტაცია, რომლის პარალელურად მოხდება გაზის საფარის დაგებაც. ხელისუფლების განმარტებით, კომპანია, რომელიც წყალგაყვანილობის შეკეთებას ახორციელებს, ხელშეკრულებით აქვს აღებული ვალდებულება, რომ გზა მოიყვანოს რეაბილიტაციამდე არსებულ მდგომარეობაში. ხოლო, თუ გზა არ იყო თავიდანვე კარგ მდგომარეობაში, მისი რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტმა უნდა მოხდინოს. ამიტომაც ეს საკითხი შესწავლილი იქნება წყლის სისტემის რეაბილიტაციის შემდეგ. სოფლებშიც მიმდინარეობს გაზის საფარის მოწესრიგე-

ბა, თუმცა იქ უფრო მეტი ხარჯი არის საჭირო. საკრებულოს წარმომადგენლების მიერ განხილვისათვის მოინიშნა სოფელ ფაფაში არსებული მდგომარეობა და სოფელ დვირიდან სოფელ ტახტისძირამდე 5 კილომეტრის გზის რეაბილიტაციის საკითხი. ასევე აღინიშნა, რომ იმ ქუჩების მაცხოვრებლებმა, რომლებსაც სურთ გარე განათების დამონტაჟება, წერილობით უნდა მიმართონ საკრებულოს, რის შემდეგაც მოხდება მათი ჩასმა შესაბამის გეგმაში. კინოთეატრის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, განიმარტა, რომ აღნიშნული წარმომადგენს „ქართული ფილმის“ საკუთრებას და ბიუჯეტიდან მისთვის სახსრები ვერ გამოიყოფა. რაც შეეხება ბიზნეს-განვითარებისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას, ხდება ინვესტიორების მოზიდვა, რომლებიც გააუმჯობესებენ ინფრასტრუქტურას და, შესაბამისად, ტურისტულ მომსახურებას. თვითმმართველობა პოზიტიურად უყურებს თანამშრომლობის საკითხს.

ასპინძა

ასპინძის მუნიციპალიტეტში აქტიურმა მოქალაქეებმა წარადგინეს სარეკომენდაციო წინადადებები, კერძოდ, დაბა ასპინძის სარწყავი არხების რეაბილიტაციისა და რაიონისა და სოფლების დონეზე გარე განათებების მონესრიგების საკითხი. ხელისუფლების მხრიდან აღინიშნა, რომ პრობლემა საკმაოდ საყურადღებოა და აუცილებლად იქნება გათვალისწინებული ასპინძის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის პროექტში, განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მუხლით.

ადიგენი

ადიგენის მუნიციპალიტეტში წარდგენილი სარეკომენდაციო წინადადებები ეხებოდა დასუფთავების, კულტურის სახლის რეაბილიტაციის და დაბის შიდა გზების მონესრიგების საკითხებს. თვითმმართველობამ მზადყოფნა გამოხატა, 2011 წელს გაითვალისწინოს სარეკომენდაციო წინადადებები. აქტიურმა მოქალაქეებმა მიიღეს დაპირებები დასუფთავების პრობლემის მოგვარებასა და, ასევე, კულტურის სახლის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. რაც შეეხება დაბის შიდა გზების აღდგენას, შემუშავებულია ინვესტირების პროექტები და გადაგზავნილია შესაბამის საკოორდინაციო ცენტრში. სოფელ ბოლაჯურში სარწყავი წყლის პრობლემის თაობაზე იყო დაპირება, რომ პრობლემა კერძო პირის მიერ მოგვარდება.

ახალციხე

მოქალაქეების მიერ წარდგენილი სარეკომენდაციო წინადადებები მოიცავდა ნავის ბუნკერების დამატების აუცილებლობას, რაზეც მიიღეს დაპირება, რომ ბუნკერები დაემატება; ქალაქის შიდა ქუჩების რეაბილიტაცია, გარე განათება, სოფლებში სარწყავი წყლის პრობლემა, ტროტუარების რეაბილიტაცია, ჯანსაღი ცხოვრების მიმართულებით საქმიანობა, ჯანდაცვა, დასაქმების პროგრამა, სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხები. წარდგენილი სარეკომენდაციო წინადადებები განიხილეს ბიუჯეტის დამტკიცებამდე და, ხელისუფალთა დაპირებით, შემდგომში გაითვალისწინებენ 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების პროპორციულად. აქტიური მოქალაქეების მიერ ახალციხის მუნიციპალიტეტისთვის მიწოდებულ სარეკომენდაციო წერილში დასახელდა ასევე ახალციხის წყლის ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები. აღნიშნულის შესახებ განიმარტა, რომ წყლის ხარისხი აკმაყოფილებს სახელმწიფო სტანდარტებს. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის დაპირებით, მოხდება ახალი წყალსაცავის მშენებლობა და მისი ამოქმედებისთანავე, უკვე გაზაფხულზე ეს პრობლემა აღარ იარსებებს.

ნინოწმინდა

პროექტში ჩართულმა ნინოწმინდის აქტიურმა მოქალაქეებმა განიხილეს ნინოწმინდის საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენილი 2011 წლის ბიუჯეტის პროექტი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგინეს მასთან დაკავშირებული შენიშვნები და მოსაზრებები. წინადადებები შეეხო სოფლებში სარწყავი წყლისა და სასმელი სისტემის გამართვას; უმუშევრობის პრობლემას; სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობას, რომლის მოუგვარებლობამ შეიძლება უფრო მასიური გახადოს ამ სოფლებიდან ადამიანების მიგრაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქალაქეთა აზრით, აუცილებელია სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობისათვის შესაბამისი პროგრამების შემუშავება და ასახვა ადგილობრივ ბიუჯეტში, რაც წარმოდგენილი პროექტით არ იყო გათვალისწინებული; ასევე, ქალაქში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სასმელი წყლის ხარისხი; მოსახლეობის მოზრებით, მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივ ბიუჯეტში იქნეს გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტები

შემდეგ საკითხებზე: სოფლების შიდა გზების მოწყობა; ქალაქში პუშკინის ქუჩის ნაწილის რეაბილიტაცია; ქალაქის სკვერის კეთილმოწყობა, ხოლო სოფლებში დასვენებისა და გართობის ცენტრების ამუშავება; სოფლებში ამბულატორიების რეაბილიტაცია, საბავშვო ბაღების ამუშავება, მაგალითად, განძისა და სათხემი. აღინიშნა, რომ 2010 წელს დასრულდა პარკ „ქართლოსის“ რეაბილიტაცია, რომელიც 2011 წლის გაზაფხულის დასაწყისში უნდა გაიხსნას. სარეკომენდაციო წინადადებების განხილვისას, თვითმმართველობის წარმომადგენლების მხრიდან განიმარტა, რომ წინონმინდის ბიუჯეტი არის მწირი – სულ 2 მილიონი ლარი – და მთლიანად დამოკიდებულია ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე. შესაბამისად, შეუძლებელია გზისა და სოფლებში სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია. აღნიშნული ხორციელდება რეგიონული განვითარების სამინისტროს მიერ, ასევე, მილენიუმის პროგრამის ფარგლებში. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის თქმით, სოფლის გზების რეაბილიტაციაზე ცალკე პროექტი არ არსებობს და არც უახლოეს ხანში იგეგმება, ვინაიდან ჯერ ძირითადი გზების რეაბილიტაცია უნდა დასრულდეს და შემდეგ მოხდება ამ საკითხის სათანადო შესწავლა-დაანგარიშება. ასევე მათ მიერ მუნიციპალური განვითარების ფონდში წარდგენილია პროექტი სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის თაობაზე დამატებით 6 კილომეტრზე. წყლის ხარისხთან დაკავშირებით, გამოითქვა წუხილი იმის გამო, რომ, ვინაიდან მოხდა ამ სისტემის ცენტრალიზება, ადგილზე აღარ იქნა დატოვებული შესაბამისი სამსახური, რომელიც, ავარიის ან დაზიანების შემთხვევაში, სათანადო რეაგირებას მოახდენს. სოფლებში ამბულატორიების რეაბილიტაციის თაობაზე ინფორმაცია მათ მიანოდეს რეგიონული განვითარების სამინისტროს და ელოდებიან პასუხს. თვითმმართველობა პოზიტიურად უყურებს თანამშრომლობის საკითხს და აღინიშნავს, რომ წინადადებები ძალიან აქტუალურია, საჭიროებს მუშაობას და გათვალისწინებას ადგილობრივ ბიუჯეტსა თუ სათანადო საპროექტო წინადადებებში.

შიდა ქართლის რეგიონი

გორის, კასპის, ხაშურისა და ქარელის მუნიციპალიტეტებში პროექტში ჩართულმა აქტიურმა მოქალაქეებმა ბიუჯეტის პროექტი განიხილეს და საკუთარი მოსაზრებები წარადგინეს ბიუჯეტის დაგეგმვასთან, მის ხარჯვასა და განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით. აქტიურმა მოქალაქეებმა ადგილობრივი თვითმმართველობის წინაშე დააყენეს ის პრობლემები, რომლებიც მოსახლეობას ყველაზე მეტად აწუხებდა, რათა მათთვის აქტუალური საკითხები მაქსიმალურად ასახულიყო 2011 წლის სამოქმედო გეგმაში. პროექტში ჩართულმა მოქალაქეებმა მოახდინეს თვითმმართველობების ინფორმირება იმ საკითხებზე, რომლებიც უშუალოდ შედიოდა მათ კომპეტენციაში. ასევე, შეძლეს იმ პრობლემების წინ წამოწევა, რომლებიც, თავისი არსით, განეკუთვნება ცენტრალური ხელისუფლების ან კერძო კომპანიების კომპეტენციას. ამის მიზანი იყო, თვითმმართველობას მოეხდინა აღნიშნული საკითხების იდენტიფიცირება და რეაგირებისათვის შესაბამისი უწყებების წინაშე დაყენება. მაგალითად, პროექტში ჩართულმა ადამიანებმა თვითმმართველობებს ინფორმაციები მიანოდეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა გაზიფიცირება, სოფლად სარწყავი წყლის პრობლემა და ამბულატორიების მშენებლობა, ნაგავსაყრელის პრობლემა, გზების რეაბილიტაცია და სხვა. ეს საკითხები ყველაზე პრიორიტეტული აღმოჩნდა შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოქალაქეებისათვის. 2010 წლის დეკემბერში მოხდა ახალი 2011 წლის ბიუჯეტის დამტკიცება, რომელთან მიმართებით შიდა ქართლის ოთხივე მუნიციპალიტეტში იქნა წარდგენილი სარეკომენდაციო წინადადებები.

ქარელი

ქარელის მუნიციპალიტეტის აქტიურმა მოქალაქეებმა სარეკომენდაციო წინადადებები წარადგინეს ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე. მოითხოვეს ისეთი პრობლემების გადაწყვეტა, როგორიცაა წყალმომარაგება და წყლის სისტემების რეაბილიტაცია როგორც ქალაქში, ასევე სოფლად; დასვენებისა და გართობის ადგილების მოწყობა; ნაგავსაყრელების პრობლემის მოგვარება და ნაგვის გატანის უზრუნველყოფა, ბუნკერების დადგმა; ქალაქში ტროტუარების რეაბილიტაცია; გზების მოწესრიგება; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ცენტრის დაარსება, რომელიც იქნება მოსახლეობის სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობაზე ორიენტირებული, ხოლო მათ მომსახურებაზე სპეციალური სატარიფო შეღავათების დაწესება; სოფლის მოსახლეობისთვის შხამქიმიკატებსა და მინერალურ სასუქზე შეღავათიანი ტარიფის დაწესება; გაზიფიცირება და ამ პრობლემების დასაძლევად სათანადო პროგრამის გათვალისწინება ადგილობრივ ბიუჯეტში. სარეკომენდაციო წინადადებების განხილვისას აღინიშნა, რომ მოსახლეობის ხარისხიანი სასამელო წყლით მომარაგება მიჩნეულია პრიორიტეტად, შესაბამისად, ბიუჯეტში გათვალისწინებულია ქ. ქარელის და რიგი სოფლების წყალსადენების რეაბილიტაცია. წყალმომარაგების პრობლემა გადაწყდა, ვინაიდან 2010 წელს დასრულდა მთლიანად მუნიციპალიტეტში მიწების აღდგენა. ასევე, განიმარტა, რომ უკვე გამოძენილი ტერიტორია და მიმდინარეობს მუშაობა ნაგავსაყრელის პრობლემის მოსაგვარებლად. ასევე, გათვა-

ლისწინებულა საავტომობილო გზებისა და ტროტუარების რეაბილიტაცია. აღნიშნული სამუშაოები უკვე მიმდინარეობს და მომავალშიც გაგრძელდება. რაც შეეხება ახალგაზრდობისათვის გართობისა და დასვენების ადგილებს, გარკვეული აქტივობები ამ მიმართულებითაც განხორციელდა და ყველა დიდ სოფელში კეთილმოეწყო ახალი სპორტული მოედნები.

ხაშური

პროექტის ფარგლებში აქტიურ მოქალაქეებთან ერთად მოხდა ხაშურის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და გამოიკვეთა მასთან დაკავშირებული შენიშვნები. პროექტში ჩართულმა მოქალაქეებმა მოახდინეს თვითმმართველობების ინფორმირება იმ საკითხებზე, რომლებიც უშუალოდ შედიოდა მათ კომპეტენციასში. ასევე, შეძლეს იმ პრობლემების წინ წამოწევა, რომლებიც, თავისი არსით, განეკუთვნება ცენტრალური ხელისუფლების ან კერძო კომპანიების კომპეტენციას. ამის მიზანი იყო, თვითმმართველობას მოეხდინა აღნიშნული საკითხების იდენტიფიცირება და რეაგირებისათვის შესაბამისი უწყებების წინაშე დაყენება. ეს საკითხებია: წყალმომარაგება და წყლის სისტემების რეაბილიტაცია როგორც ქალაქში, ასევე სოფლად; შიდა გზების მოწესრიგება; სოფლებში ამბულატორიის არარსებობა; ნაგვის ბუნკერების დადგმა. მიუხედავად იმისა, რომ გაზიფიცირება თვითმმართველობის უშუალო კომპეტენცია არ არის, მისი ხელშეწყობა, მოქალაქეთა აზრით, შესაძლებელი იყო სათანადო პროგრამის გათვალისწინებით ადგილობრივი ბიუჯეტში. სარეკომენდაციო წინადადებებთან დაკავშირებით, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების განმარტებით, წყლის სისტემის რეაბილიტაცია ხორციელდება მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტში და მასში შემავალ სოფლებში. ეტაპობრივად მოხდება მთლიანად რაიონის რეაბილიტაცია. ნაგვის გატანასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მიმდინარეობს გარემოს დაცვის სამინისტროსთან ნაგავსაყრელის ორგანიზების საკითხის გადანყვეტა. გაზიფიცირების საკითხზეც გამახვილდა ყურადღება და წარმოდგენილი იქნა გეგმა, რომელსაც ახორციელებს სოკარ-გაზი. 2011 წლისათვის იგეგმება ქვიშხეთის, ბეკამის, ოსიაურის, ცხრამუნის, სურამის, ვაყის, ტეზერის, ხცისის და ცოცხნარის გაზიფიცირება, ხოლო მომავალ წელს დაიწყება ალისა და ფლევის მიმართულებით.

კასპი

კასპის მუნიციპალიტეტში სარეკომენდაციო წერილი წარდგენილ იქნა შემდეგ საკითხებზე: წყლის სისტემების რეაბილიტაცია როგორც ქალაქში, ასევე სოფლად; გაზიფიცირება და მისი ხელშეწყობა ადგილობრივი ბიუჯეტიდან სათანადო პროგრამის გათვალისწინებით; სანიაღვრე არხების მოწყობა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე; ნაგავსაყრელების ორგანიზება და მათი გატანის უზრუნველყოფა; კასპის მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის საბავშვო ბაღებისა და კულტურის სახლების აშენება ან არსებულის რეაბილიტაცია. ამასთან დაკავშირებით, დროულ გადანყვეტას საჭიროებს სოფელ ზემო რენეს დაწყებითი სკოლის დაარსებისა და დაფინანსების საკითხები; ასევე, პრობლემას წარმოადგენს სოფლების შიდა გზების, მაგისტრალიდან გადასასვლელების და საფეხმავლო გზების მოწყობა. მაგალითად, სოფელ რენესიდან სოფელ ნიგოზამდე საფეხმავლო გზის არ არსებობს, რაც ბავშვებისათვის ძალიან პრობლემატურია. ერთ-ერთ პრობლემად დასახელდა, ასევე, ცემენტის ქარხნისათვის ფილტრების რეაბილიტაცია და ახალი ფილტრების დადგმა.

გორი

გორის მუნიციპალიტეტის მოქალაქეების მიერ სარეკომენდაციო წერილი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში წარდგენილ იქნა შემდეგ საკითხებზე: წყალმომარაგება და სადღენაყო საკანალიზაციო სისტემის მოწყობა; ჯანდაცვა; გორის რაიონის ყოფილი ბუფერული ზონის სოფლებისათვის სარწყავი წყლის სისტემის გამართვა; სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობისათვის შესაბამისი პროგრამების შემუშავება და ასახვა ადგილობრივი ბიუჯეტში; ზამთრის პერიოდში მოსახლეობის შემთხვევითი უზრუნველყოფის პროგრამის შემუშავება ან გაზიფიცირება და, შესაბამისად, შეღავათიანი ტარიფის შემოღება; კონფლიქტის მიმდებარე სოფლებში (კოშკა, ზარდიანთკარი, ხურვალეთის ნაწილი) მცხოვრებ პირთათვის დევნილის სტატუსის მინიჭების ინიცირება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წინაშე და შესაბამისი სოციალური პროგრამის შემუშავება მათი სოციალური რეაბილიტაციისათვის; დიცის, არბოსა და ქორდის მოსახლეობისთვის საბავშვო ბაღის პრობლემის გადანყვეტა. ყველა სოფელში საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგებისათვის ტრანსპორტზე შეღავათების დანესება; ნაგავსაყრელების და ნაგვის გატანის საკითხის მოწესრიგება. სარეკომენდაციო წინადადებებთან დაკავშირებით აღინიშნა შემდეგი:

სარწყავი წყლის სისტემის რეაბილიტაციის პროექტებს აფინანსებს საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და მუნიციპალური განვითარების ფონდი. კონფლიქტის მიმდებარე სოფლებში იგეგმება 10 ჭაბურღილის მშენებლობა, რომელიც წყლით მოამარაგებს აღნიშნულ ტერიტორიას;

პედაგოგებისათვის ტრანსპორტის საფასურის შეღავათის დაწესების შესახებ აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ ვერ დაფინანსდება, თუმცა, გასული წლის მსგავსად, მიმართავენ სატრანსპორტო კერძო კომპანიებს ასეთი შეღავათის დაწესების თხოვნით. აქვე აღინიშნა, რომ მსგავსი თხოვნით მათ მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გორის რესურს-ცენტრმა. სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით მუნიციპალიტეტს აქვს სპეციალური პროგრამა, რომლის ფარგლებში ხდება ფერმერთა ინფორმირება შესაძლო დაავადებებისა და მათთან ბრძოლის მეთოდებისა თუ ინსტრუქციების შესახებ. დევნილთათვის სატრანსპორტო შეღავათების დაწესების შესახებ ითქვა, რომ ძალიან კარგი შემთავაზებაა, მაგრამ ამისათვის საჭიროა სათანადო წესის შემუშავება. შესაბამისად, აქტიურ მოქალაქეებს ეთხოვათ კონკრეტული მექანიზმის შეთავაზება მუნიციპალიტეტისათვის. ასევე აღინიშნა, რომ ასეთი შეღავათის დაწესებისათვის მნიშვნელოვანია, თუ რა მონაცემებს უნდა დაეყრდნონ ხარჯთაღრიცხვის შესადგენად და გასათვალისწინებლად. ნაგვის გატანისა და ნაგავსაყრელების მოწყობის საკითხთან დაკავშირებით განაცხადეს, რომ მნიშვნელოვანი თემა იქნა წამოწეული და სათანადო სამსახურს იქვე მიეცა დავალება მის შესასწავლად და დასარეგულირებლად. საბავშვო ბაღების შესახებ აღინიშნა, რომ საკითხის გადაწყვეტა მოხდება მუნიციპალიტეტის პროექტით, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის მიერ შემთავაზებული წინადადებების თანადაფინანსებას, ანდა სოფლის განვითარების პროგრამით განხორციელდება სათანადო ფართის შექმნა ან რეაბილიტაცია. ამასთან, მოხდება ამ ბავშვების ჩართვა მუნიციპალიტეტის ვაუჩერიზაციის სისტემაში, რომლითაც მოხდება საბავშვო ბაღების დაფინანსება. ასეთივე შემთავაზება იყო გაზიფიცირების საკითხზეც.

ქვემო ქართლის რეგიონი

რუსთავი

აქტიური მოქალაქეების მიერ თვითმმართველი ქალაქის საკრებულოში შევიდა წერილობითი რეკომენდაცია ბიუჯეტში განსაზღვრული პრიორიტეტების ცვლილებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ქალაქში არსებული მძიმე სოციალური ფონის გამო, აქტიური მოქალაქეები ითხოვდნენ, უმთავრეს პრიორიტეტად განსაზღვრულიყო სოციალური და ჯანდაცვის სფერო. აღნიშნულთან დაკავშირებით აქტიურ მოქალაქეებს წერილობითი პასუხი არ მიუღიათ, მაგრამ საჯარო-სატელევიზიო გამოსვლის დროს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ბიუჯეტის უმთავრეს პრიორიტეტად განისაზღვრა სოციალური და ჯანდაცვის სფერო.

მარნეული

მარნეულში აქტიური მოქალაქეების მიერ წარდგენილ იქნა 2 სარეკომენდაციო წინადადება, რომელიც შეეხებოდა 2 ობიექტის სამშენებლო სამუშაოებს მარნეულის მუნიციპალიტეტში: ადგილობრივი კინოთეატრის მშენებლობა და მარნეულის ცენტრალური ბიბლიოთეკის სარეაბილიტაციო სამუშაოები. როგორც გაირკვა, კინოთეატრის მშენებლობას აწარმოებს კერძო კომპანია. მოქალაქეთა მიმართვის შემდეგ ადგილობრივი ხელისუფლება უფრო მეტად დაინტერესდა კინოთეატრის სამშენებლო სამუშაოების მდგომარეობით და მოსახლეობას დაპირდა, რომ დაიწყებდა მოლაპარაკებების პროცესს მშენებელ კომპანია-სთან, რათა არა უგვიანეს 2011 წლის შუა პერიოდისათვის მშენებლობა დასრულდეს.

რაც შეეხება ბიბლიოთეკის სამშენებლო სამუშაოებს, 2011 წლის 17 იანვარს გამოცხადდა ტენდერი ბიბლიოთეკის ახალი შენობის მშენებლობაზე. გამარჯვებულმა კონტრაქტორმა, რომელიც ამ ეტაპზე არ არის გამოვლენილი, სამუშაოები უნდა დაასრულოს 2011 წლის 1 ნოემბრამდე. მოქალაქეთა კიდევ ერთი ინიციატივა იყო, რომ ახლად აშენებულ ბიბლიოთეკაში მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებს მისცემოდათ დასაქმების შესაძლებლობა.

გარდაბანი

აქტიურ მოქალაქეთა მიერ, გარდაბნის ადგილობრივ ხელისუფლებაში წარდგენილ იქნა სარეკომენდაციო წინადადებები ისეთი საკითხების მოგვარების თაობაზე, როგორცა არის, შიდა ტრანსპორტირების

მონესრიგება და ქ.გარდაბანში ეკოლოგიური პრობლემების (ნაგავსაყრელები და მანანალა ძაღლები), სასმელი და სადრენაჟო/საკანალიზაციო სისტემის მონესრიგება. გარდაბნის მუნიციპალიტეტში საადვოკაციო შეხვედრის დროს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობამ აქტიურ მოქალაქეებს მისცა დაპირება, რომ მათ რეკომენდაციებს გაითვალისწინებდა. შიდა ტრანსპორტირების მონესრიგების მიზნით, გადაწყდა საცდელი შიდა ტრანსპორტის გამოყოფა იმის დასადგენად, თუ მოსახლეობის რა რაოდენობა იმგზავრებს ყოველდღიურად. მუნიციპალიტეტის დაპირებით, აღნიშნულ საკითხს ის 2011 წლის მარტიდან გაუკეთებდა ორგანიზებას. ეკოლოგიური პრობლემების (ნაგავსაყრელები და მანანალა ძაღლები) გადაჭრა დაიგეგმა 2011 წლის სექტემბერში, როდესაც დამთავრდება რეგიონული პროექტი და რუსთავ-გარდაბნის საზღვარზე აშენდება ახალი ტიპის ნაგავსაყრელი. ამ პროექტის ფარგლებში შეიქმნენ გარდაბნისათვის 1 ნაგვის მანქანას, რომელიც უზრუნველყოფს ნაგვის გადატანას, ხოლო ლელაშხას დასახლების შესასვლელში დაიდგმება სარეზერვო ნაგვის ურნა. რაც შეეხება მანანალა ძაღლების გაყვანას, 2011 წლის აპრილის მერე უზრუნველყოფენ. ასევე 2011 წელს ეტაპობრივად მოგვარდება სასმელი და სადრენაჟო/საკანალიზაციო სისტემის პრობლემებიც.

დმანისი

დმანისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში შემდეგი შინაარსის სარეკომენდაციო წინადადებები იქნა წარდგენილი: 1) დმანისის შიდა ქუჩებისა და სოფლებში შემავალი გზების, განსაკუთრებით, სოფ.გომარეთში მიმავალი 30კმ-იანი გზის საფარის მონესრიგება; 2) კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის შეკეთება; 3) დმანისის საავადმყოფოს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები. სამწუხაროდ, წარდგენილ სარეკომენდაციო წინადადებებზე მოქალაქეებს წერილობითი პასუხი არ მიუღიათ. დმანისის მუნიციპალიტეტში აქტიურმა მოქალაქეებმა მთისძირი-ჯავახის სარწყავი სისტემის აღსადგენი სამუშაოების საკითხი დააყენეს ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე. საკრებულოს სხდომაზე აღნიშნული საკითხის განხილვისათვის ადგილობრივმა საკრებულომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 58.2 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ის ხელმოწერა ითხოვა, რაც, ჩვენი აზრით, არ იყო დასაბუთებული. მოგვიანებით გამართულ საადვოკაციო შეხვედრაზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროექტის განსახორციელებლად საჭირო სოლიდური თანხების არარსებობის გამო, მიმდინარეობს მუშაობა სხვა სახსრების მოსაზიდად როგორც ცენტრალური ბიუჯეტიდან, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებიდან.

თეთრიწყარო

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში წარდგენილი სარეკომენდაციო წინადადებები ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა სასმელი წყლით უზრუნველყოფა; ინფრასტრუქტურის მონესრიგება და სოციალური პრობლემები; სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება; ქ.თეთრიწყაროსა და დაბა მანგლისში სასმელი წყლის ხარისხი. ადგილობრივი ხელისუფლების განმარტებით, 2010 წელს ჩატარდა მნიშვნელოვანი სამუშაოები წყლის ხარისხის გასაუმჯობესებლად. კერძოდ, რეაბილიტაცია ჩატარდა სასმელი წყლის მაგისტრალს, გაიწმინდა წყლის სათავე-ნაგებობები, ქ.თეთრიწყაროსა და დაბა მანგლისში წყალი ყოველდღიურად იქლორება.

ნალკა

მოქალაქეთა სარეკომენდაციო წინადადებას ნალკის მუნიციპალიტეტში, სხვა საკითხებთან ერთად, ჯანმრთელობის დაცვის პრობლემები წარმოადგენდა. სათანადო სამედიცინო გამოკვლევისათვის საჭირო აპარატურის საკითხი რეალურად იდგა მუნიციპალიტეტში. ადგილობრივი ხელისუფლების განმარტებით, ამ მხრივ მიმდინარეობს გარკვეული სამუშაოები და 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით, ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში, აღნიშნული პრობლემა მეტ-ნაკლებად გადაწყდება.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი

დუშეთის, თიანეთის, მცხეთის და ყაზბეგის თვითმმართველ ერთეულებში პროექტის ფარგლებში, მოსახლეობისათვის აქტიურ პრობლემებთან დაკავშირებით, წარდგენილი იქნა სარეკომენდაციო წინადადებები, რომელთა მიხედვით, პროექტში ჩართული მოქალაქეების აზრით, ადგილობრივი ბიუჯეტები-

დან ხარჯვა უნდა მომხდარიყო სწორედ აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით. მოქალაქეთა მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში წარდგენილი სარეკომენდაციო წინადადებები ეხებოდა როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უშუალო კომპეტენციაში შემავალ პრობლემებს, ასევე, მიზნად ისახავდა ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმირებას ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაში შემავალი იმ საკითხების თაობაზეც, რომლებიც სარეკომენდაციო წინადადებების წარდგენის დროისათვის მოსახლეობისათვის აქტუალური იყო.

დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტში ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით წარდგენილ იქნა 2 სარეკომენდაციო წინადადება, რომლითაც მოთხოვნილ იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის პროექტში ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების შემცირება, ვინაიდან გასულ წელთან შედარებით თანხები საგრძნობლად იყო გაზრდილი. ასევე, რეკომენდაცია გაენია ადგილობრივ ხელისუფლებას დუშეთის მიმდებარე ხევის განმენდასა და მასზე არსებული ხიდების რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით. აღნიშნულ პრობლემაზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოდან იყო დაპირება, რომ კონკრეტული სამუშაოები ხიდების შეკეთება-განმენდასა და ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის 2009 წლის სექტემბრამდე დაიწყებოდა. დუშეთის მუნიციპალიტეტის დაპირებით, წარდგენილი წინადადებები შესაძლებლობის ფარგლებში, გათვალისწინებული იქნებოდა 2011 წლის ბიუჯეტის პროექტზე მუშაობის დროს. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ბიუჯეტის დამტკიცებისას მართლაც გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია. დუშეთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის პროექტით ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯების დასაფინანსებლად გამოყოფილი 137,5 ათასი ლარის ნაცვლად, დაამტკიცა მხოლოდ 81,5 ათასი ლარი. რაც შეეხება მდინარე დუშეთის ხევის კალაპოტის განმენდასა და მასზე არსებული ხიდების რეკონსტრუქციას, ასევე, ნაპირსამაგრი სამუშაოებს, რომელიც ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა დუშეთის მოსახლეობისათვის, დუშეთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტში, ადგილობრივი შემოსავლების სიმცირის გამო, ვერ იქნა გათვალისწინებული.

მთიანეთი

მთიანეთის მუნიციპალიტეტში წარდგენილ იქნა 3 სარეკომენდაციო წინადადება. მათ შორის ისეთ საკითხებზე, რომლებიც, თავისი არსით, არ შედის ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაში. ესენია ბუნებრივი აირის მიწოდების გაუმჯობესება, დაბა მთიანეთში ნაგვის გატანის პრობლემა და ნაგავსაყრელის მოწყობა რაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქუჩების სახელდების საკითხი. თვითმმართველობის განმარტებით, ქუჩების სახელდება მოწესრიგებულია. ნაგავსაყრელის მოწყობისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის პრობლემის მოსახსნელად კი, თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა უახლოეს დღეებში გამოაცხადებს გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერს „ჩამდინარე წყლებთან, ნაგვის გატანასთან, დასუფთავებისა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მომსახურების“ შესყიდვის თაობაზე. რაც შეეხება ბუნებრივი აირით მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემას, განიმარტა, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს ეტაპობრივად – ნაწილი შესრულდება 2011 წელს და დასრულდება 2012 წლისათვის.

მცხეთა

მცხეთის მუნიციპალიტეტში წარდგენილ იქნა 2 სარეკომენდაციო წინადადება ისეთ საკითხებზე, როგორცაა მცხეთის გარკვეული უბნების მოასფალტება, გასართობი დაწესებულებების არარსებობა (კინოთეატრი, ინტერნეტ-კაფე), სოფლებში საკანალიზაციო სისტემების მოუწესრიგებლობა. მცხეთის ადგილობრივი ხელისუფლების დაპირებით, აღნიშნული ტიპის სამუშაოები გათვალისწინებულია 2011 წლის ბიუჯეტით. კერძოდ, 2011 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმაში შესულია როგორც ქ.მცხეთის ისტორიული ნაწილის, ისე სხვა უბნების რეაბილიტაციაც, რომლებიც საჭიროებს მოასფალტებას. ასევე, 2011 წლისათვის დაგეგმილია მთელი რიგი სამუშაოების შესრულება გასართობი და დასასვენებელი ადგილების მოწყობის, საკანალიზაციო სისტემების აღდგენა-რეაბილიტაციის მიზნით. სულ ამ მიმართულებით, მუნიციპალიტეტის გეგმით, გათვალისწინებულია 3 174 526 ლარი.

ყაზბეგი

სარეკომენდაციო წინადადები წარდგინდა იქნა ყაზბეგის მუნიციპალიტეტშიც. რეკომენდაციები შეეხებოდა როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაში შემავალ პრობლემებს, ასევე, მოსახლეობისათვის აქტუალურ სხვა საკითხებსაც, როგორცაა, მაგალითად: წყალმომარაგების პრობლემა, საკანალიზაციო და სადრენაჟო სისტემების მოწესრიგება დაბა სტეფანწმინდაში; დაბა გუდაურში ამბოლატორიის და სასწრაფო დახმარების მანქანის საჭიროება; სოფლებში სკოლების გარემონტება; ბუნებრივი აირის მიწოდებისათვის შიდა გაყვანილობის ქსელის მოწესრიგება და ელექტრო გამრიცხველიანიების დასრულება; გარე განათების მოწესრიგება სოფლებში; დაბიდან სოფლებში მიმავალი და შიდა გზების შეკეთება; ასევე, დასაქმების პრობლემა, გამწვანების საკითხი, სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია, ტურისტული მიზნებისათვის დასასვენებელი პარკების მოწყობა. ადგილობრივი ხელისუფლების განმარტებით, 2010 წელს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში განხორციელდა მთელი რიგი სამუშაოები მოსახლეობის ყოფითი პრობლემების მოსაგვარებლად, ამასთან, მოქალაქეების მიერ დაყენებული გარკვეული საკითხები გათვალისწინებულია 2011 წლის ბიუჯეტში. კერძოდ, ყაზბეგში, დაბა სტეფანწმინდაში, 2010 წელს დასრულდა სასაშუალო სკოლის სათავე-ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები; მოხდა ბუნებრივი აირის შიდა ქსელის რეაბილიტაცია; 4 სოფელში ჩატარდა ელექტრო გამრიცხველიანიება; შეკეთდა ადგილობრივი გზები დაბა სტეფანწმინდაში, სოფ. სიონსა და სოფ. გარბანში; გაკეთდა გარე განათება დაბა სტეფანწმინდაში, სოფ. გერგეტსა და სოფ. არშაში. ინდივიდუალური ელექტრო გამრიცხველიანიების პრობლემა გვარდება ეტაპობრივად და 2012 წლის ბოლომდე მთლიანად დასრულდება. ამ ეტაპისათვის ელექტრო გამრიცხველიანიება უკვე დასრულებულია დაბა სტეფანწმინდის, სიონის, სნოს ტერიტორიულ ერთეულებში.

კახეთის რეგიონი

თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნების პერიოდში შეტანილი იქნა 4 სარეკომენდაციო წინადადება აქტიურ მოქალაქეთა სახელით. სარეკომენდაციო წინადადებები შეეხებოდა ქალაქის კეთილმოწყობის კონკრეტულ პრობლემებს, სასაშუალო სკოლის ხარისხს და მიწების რეაბილიტაციას, ქ. თელავში, ქეთევან ნამებულის ქუჩაზე ნიადაგსამაგრი კოლექტორების აღდგენას, არხის განმენდას და გზის მოასფალტებას, ქალაქში სკვერების კეთილმოწყობას და სადრენაჟო-საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგებას, სოფელ წინანდალში სანიაღვრე არხების რეაბილიტაციას. განცხადებებში მოქალაქეებმა ითხოვეს აღნიშნული პრობლემების მოგვარების გათვალისწინება მომავალი 2011 წლის ბიუჯეტში. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ქ. ნამებულის ქუჩაზე გზის მოასფალტება გაითვალისწინა 2011 წლის ბიუჯეტში. ამავე ქუჩაზე უკვე განმენდილია ნიაღვრგამტარი არხი და შეკეთდა დაზიანებული გზის მონაკვეთი.

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ასევე გაითვალისწინა სოფელ წინანდალში არსებული გზების და საკანალიზაციო არხების გაუმართაობის საკითხები. მოქალაქეს წერილობით ეცნობა, რომ აღნიშნული პრობლემების მოგვარება გათვალისწინებულია 2011 წლის ბიუჯეტში. ქალაქში სკვერების კეთილმოწყობა და სადრენაჟო-საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება საკრებულომ ასევე 2011 წლის ბიუჯეტში ასახა.

ყვარელი

ყვარლის მუნიციპალიტეტში აქტიურმა მოქალაქეებმა 2 სარეკომენდაციო წინადადება წარადგინეს. პირველი ეხებოდა ფართოკერანიანი მონიტორის დადგმას ქალაქის ბულვარში. საკრებულომ ბიუჯეტის განხილვის დროს საკითხზე იმსჯელა და დადებითად გადაწყვიტა. მეორე საკითხი მანანალა ძაღლების პრობლემას შეეხო, რაზეც პასუხი არ არის მიღებული.

სიღნაღი

აქტიურმა მოქალაქეებმა კონკრეტული სარეკომენდაციო წინადადებები წარადგინეს სიღნაღის საკრებულოსა და გამგეობაში. მათ მოითხოვეს ქალაქ სიღნაღში ერეკლე მეორის ქუჩის დამენყვრის პრობლემების მოგვარება, საჯარო ბიბლიოთეკის აღდგენა, სარაჯიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია და ადგილობრივი გაზეთის დაარსება. საკრებულოს წერილობითი განმარტებით, ადგილობრივი ბიუჯეტით მოხდა

დამენყრილი მონაკვეთის ნაწილობრივი აღდგენა. ასევე, ვინაიდან პრობლემის გადაჭრა მოითხოვდა დიდ თანხებს, თვითმმართველობამ საკითხი დააყენა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში. რაც შეეხება ბიბლიოთეკას, მიმდინარეობს მუშაობა, რათა საჯარო ბიბლიოთეკისათვის შესაფერისი ფართი გამოინახოს. სარაჯიშვილის ქუჩის მონესრიგება მოხდება მხოლოდ შესაბამისი ფინანსური რესურსის არსებობის შემთხვევაში. ფინანსური პრობლემების გამო, არ ფუნქციონირებს „სილნალის მაცნე“. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის დაპირებით, ისინი დახმარებას გაუწევენ ფიზიურ პირს ან არსებულ შპს-ს, რომელიც გაზეთის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.

საგარეჯო

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში წარდგენილი იქნა 2 სარეკომენდაციო წინადადება წყლის სათავო ნაგებობის გამაგრებისა და ნაგავსაყრელის მოწყობის თაობაზე. საკრებულოდან მიღებული წერილობითი განმარტების თანახმად, 2011 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია სათავო ნაგებობის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება. საკრებულოდან და გამგეობიდან მიღებული იყო დადებითი პასუხი ქალაქისათვის ნაგავსაყრელის მოწყობასთან დაკავშირებით. აღნიშნული პრობლემის მოგვარება მოხდება 2011 წლის ბიუჯეტით.

დედოფლისწყარო

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს აქტიურმა მოქალაქეებმა მიმართეს სარეკომენდაციო წინადადებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამარჯვების ქუჩის გზის რეაბილიტაციის დაფინანსების თაობაზე. აღნიშნულ საკითხზე მოგვიანებით გაიმართა საადვოკაციო შეხვედრა. შედეგად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის ხელმძღვანელობამ დადო საჯარო დაპირება უახლოეს ხანში გამარჯვების ქუჩაზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით.

ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს აპარატში წარდგენილ იქნა 2 სარეკომენდაციო წინადადება ლაგოდეხი-გურჯაანის ცენტრალური მაგისტრალის გზის საფარის რეაბილიტაციასა და სოფელ კაბალზე არსებული ე.წ. ყოველკვირეული ბაზრის მიმდებარე გზის მოასფალტებასთან დაკავშირებით. საკრებულოს წერილობითი განმარტებით, ლაგოდეხი-გურჯაანის ცენტრალურ მაგისტრალზე გზის საფარის რეაბილიტაციას და კაბალის ე.წ. ყოველკვირეულ ბაზართან მისასვლელი სატრანსპორტო გზის აღდგენა-მოასფალტებას ახორციელებს საავტომობილო გზების დეპარტამენტი. იგეგმება ორივე პროექტის დასრულება 2011 წლისათვის.

აღსანიშნავია, რომ სარეკომენდაციო წინადადებების, შენიშვნებისა და მოსაზრებების მნიშვნელოვანი ნაწილი გაზიარებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ. წარდგენილ რეკომენდაციებზე მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფებმა მიიღეს ოფიციალური პასუხები, 2011 წლის შესაბამისს ადგილობრივ ბიუჯეტებში მათი ასახვის თაობაზე. ცალკეულ შემთხვევებში, ადგილობრივი ხელისუფლება დაპირდა მოქალაქეებს, რომ მათ მიერ წარდგენილი რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნებოდა 2011 წლის შესაბამისს ადგილობრივ ბიუჯეტებში ცვლილებების შეტანის დროს.

საადვოკაციო კამპანია

მონიტორინგის პერიოდში, მოსახლეობისათვის პრიორიტეტული პრობლემების ადგილობრივი ხელისუფლებისათვის გაცნობისა და შემდგომში მათი მოგვარების მიზნით, მოქალაქეები სისტემატურად მიმართავდნენ მუნიციპალიტეტების საკრებულოებსა და გამგეობებს კონკრეტულ პრობლემებთან დაკავშირებული განცხადებებითა და სარეკომენდაციო წერილებით. ის პრობლემები, რომლებიც განცხადებების ან სარეკომენდაციო წინადადებების შეტანის შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობების მხრიდან რეაგირების გარეშე რჩებოდა, განიხილებოდა საადვოკაციო შეხვედრებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქში მოქალაქეებისა და პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ ერთობლივად ხდებოდა იმ საკითხების იდენტიფიცირება, რომლებიც შემდგომ საადვოკაციო შეხვედრებზე წარდგენილ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებისთვის. პრობლემების გამოვლენის მიზნით, განსხვავებული მეთოდოლოგია იქნა გამ-

ოყენებული ქალაქ ბათუმში. კერძოდ, მოქალაქეებმა ჩაატარეს კვლევა, რომლის საუფდელოზეც მოხდა მოსახლეობისათვის პრიორიტეტული საკითხების იდენტიფიცირება და საადვოკაციო შეხვედრაზე წარდგენა. აღნიშნულ შეხვედრებზე მოქალაქეები მუნიციპალიტეტების საკრებულოებისა და გამგებების წარმომადგენლებს დეტალურ ინფორმაციას აწვდიდნენ მოსახლეობისათვის პრიორიტეტულ საკითხებთან დაკავშირებით და უსაბუთებდნენ მათი მოგვარების მნიშვნელობას.. შედეგად, ზოგიერთ საკითხზე მოქალაქეებმა მხოლოდ დაპირებები მიიღეს, თუმცა, იყო ისეთი პრობლემები, რომლებიც მოქალაქეთა ინიციატივითა და ადგილობრივ თვითმმართველობებთან ურთიერთთანამშრომლობით მოგვარდა.

საადვოკაციო შეხვედრები

აჭარის რეგიონი



ბათუმი

ადგილი: ბათუმის საკრებულო

თარიღი/დრო: 23.02.2011/15:20

თემა: სამარშრუტო ტრანსპორტის, დასუფთავების, სარდაფების სახურავების, შიდა გზებისა და ეზოების კეთილმოწყობის პრობლემები

მონაწილეები: დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელი, მერიის ეკონომიკური განყოფილების წარმომადგენელი, საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს წევრები, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები, ე.წ. ამხანაგობების თავმჯდომარეები, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრის მსვლელობისას განხილულ იქნა მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი საკითხები. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების განმარტებით, დასახელებული პრობლემების უმრავლესობა განერილია 2011 წლის ბიუჯეტში. რაც შეეხება სამარშრუტო ხაზის ამოქმედებას, მას სამომავლოდ გაითვალისწინებენ.

შედეგი: სამარშრუტო ხაზი, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა ზეპირი დაპირებით, ახლო მომავალში ამოქმედდება.

ხელვაჩაური

ადგილი: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 25.02.2011/12:00

თემა: სოფ. სიმონეთში სტადიონის მშენებლობის დასრულებისა და განუული სამუშაოებისათვის ჰონორარების მიღების პრობლემა

მონაწილეები: გამგებობის აპარატის თანამშრომლები, საკრებულოს წევრები, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრის მსვლელობისას განხილულ იქნა ყველა ის პრობლემა, რომელიც კვლევის შედეგად გამოვლინდა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების განმარტებით, გარე განათების პრობლემის მოგვარებისათვის (დაბა მახინჯაური, განთიადი, ახალშენის მეურნეობა) თანხები გათვალისწინებულია სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში, სოფლის დაზიანებული (დამენყრილი/ეროზირებული) გზების რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებულია მზა ბეტონის შექმნა. ხოლო ტრანსპორტის მოსაცდელის მშენებლობის (სოფ. ყოროლასა და სიმონეთში) თანხები გათვალისწინებულია ბიუჯეტში. შეხვედრის დროს ასევე აღინიშნა, რომ საკრებულოს კომპეტენციას არ წარმოადგენს სკოლების ტექნიკური აღჭურვა, ჯანდაცვის სფეროს პრობლემები და გაზიფიცირება. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა შეხვედრის ძირითად თემაზე, კერძოდ, სოფ. სიმონეთის სტადიონის მშენებლობის დასრულების პრობლემა და შესრულებული სამუშაოებისათვის კუთვნილი ჰონორარის მიღების პრობლემა.

შედეგი: ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების განმარტებით, სოფ. სიმონეთში სტადიონის მშენებლობას ახორციელებს კერძო კომპანია, რომელსაც დაუკავშირდებიან საკითხის გასარკვევად (აღნიშნულ კომპანიას უკვე შექმნილია აქვს მავთულის ღობე მშენებლობის დასრულებისათვის) და შესრულებული სამუშაოსათვის ჰონორარის მიცემის საკითხსაც გაარკვევენ.



ქობულეთი

ადგილი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თარიღი/დრო: 0203.2011/12:00

თემა: სოფლის გზებისა და სანიაღვრე არხების პრობლემები; გაზიფიცირებისა და ელექტროენერჯის პრობლემა; გარე განათებისა და დასუფთავების პრობლემები; ჯანდაცვის სფეროში არსებული პრობლემები.

მონაწილეები: საკრებულო სრული შემადგენლობით, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრაზე განხილულ იქნა მოსახლეობისათვის პრობლემატური საკითხები, რომელთა მოგვარებასთან დაკავშირებით აქტიურმა მოქალაქეებმა საკრებულოს მხრიდან დაპირებები მიიღეს. შეხვედრის დროს მოქალაქეებს ასევე განემარტათ, რომ ელექტროენერჯისა და გაზიფიცირების პრობლემა, ჯანდაცვის სფეროში არსებული პრობლემები (მედიკამენტებით მომარაგება და მედიკოსთა პროფესიონალიზმი) და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ტექნიკური აღჭურვა არ წარმოადგენს საკრებულოს კომპეტენციას.

შედეგი: შეხვედრის შედეგად გაირკვა, რომ გზის რეაბილიტაციის თანხები ჩასმულია 2011 წლის ბიუჯეტში. სანიაღვრე არხების ხშირი განმენდა განპირობებულია გზების პრობლემებიდან გამომდინარე და, შესაბამისად, აღნიშნული საკითხიც გათვალისწინებულია ბიუჯეტში და აღნიშნული პრობლემები უახლოეს მომავალში მოგვარდება.

ქედა

ადგილი: ქედის მუნიციპალიტეტი

თარიღი/დრო: 18.02.11/12:00

თემა: პირველი მაისის თემის სასოფლო კლუბის რემონტი და სკოლის რეაბილიტაცია

მონაწილეები: პირველი მაისის თემის რწმუნებული, პირველი მაისის საჯარო სკოლის დირექტორი, პირველი მაისის სოფლის თავკაცი, საფინანსო და საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრის მონაწილეებმა აქტიურ რეჟიმში განიხილეს პირველი მაისის თემისათვის აქტუალური საკითხები – სასოფლო კლუბის რემონტი და სკოლის რეაბილიტაცია. მოქალაქეების თქმით, ახალგაზრდების შესანარჩუნებლად აუცილებელია სოფლებში გასართობი ცენტრების, კლუბების არსებობა და ფუნქციონირება. ასევე, იმსჯელეს პირველი მაისის ოთხწლიანი საჯარო სკოლის სავალალო მდგომარეობასა და მისი რეაბილიტაციის საკითხებზე.

შედეგი: თემის რწმუნებული დაპირდა მოსახლეობას, რომ პირადად აქტიურად ჩაერთვება სასოფლო კლუბის რემონტის პროცესში და მუნიციპალიტეტის გამგებელთან შევა წინადადებით, რომ ბიუჯეტის ცვლილებების დროს აუცილებლად მოხდეს საკითხის გათვალისწინება, ხოლო თუ 2011 წლის ბიუჯეტში ვერ მოხერხდება საკითხის ჩასმა, 2012 წლის ბიუჯეტში მაინც იქნეს გათვალისწინებული. რაც შეეხება საჯარო სკოლის რეაბილიტაციას, სამუშაოები განხორციელდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში. ხელისუფლების წარმომადგენლები ასევე დაპირდნენ მოქალაქეებს, რომ სასოფლო კლუბი და საჯარო სკოლა აღიჭურვება ახალი, თანამედროვე ინვენტარით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ, ორივე შემთხვევაში, მუშებისა და მშენებლების მოძიება მოხდება ადგილობრივ დონეზე, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას.

ხულო

ადგილი: ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობა

თარიღი/დრო: 03.02.11/12:00

თემა: ვაშლოვანის თემში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია

მონაწილეები: გამგებელი, ვაშლოვანის თემის რწმუნებული, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრაზე მოქალაქეებმა აღნიშნეს, რომ ვაშლოვანის თემის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის პრობლემა ჯერ კიდევ 2009 წელს გამოიკვეთა „სამართლიანი არჩევნებისა“ და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ერთობლივად განხორციელებული „თემის მობილიზების“ პროექტის ფარგლებში. აღნიშნული პრობლემის შესახებ საადვოკაციო შეხვედრებზე ისაუბრეს ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რომელიც მოსახლეობას დაპირდა, რომ პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო თანხებს 2010 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინებდა, თუმცა ეს დაპირება დაპირებადვე დარჩა და პრობლემა კვლავაც არსებობს. სამწუხაროდ, არც 2011 წლის ბიუჯეტში მოხდა საკითხის გათვალისწინება.

შედეგი: გამგებლის თქმით, ადგილობრივი თვითმმართველობა თავად არის დაინტერესებული, რომ აღნიშნული პრობლემა მოაგვაროს, მაგრამ ფინანსთა სამინისტრო უარს ამბობს ხელფასების დაფინანსებაზე და საკითხის გადაწყვეტა სწორედ ამის გამო ვერ ხერხდება.

შუახევი

ადგილი: შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 22.02.11/11:00

თემა: სოფელ ჯაბნიძეებში სასამელი წყლის პრობლემა

მონაწილეები: გამგებლის მოადგილე, გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, შპს წყალკანალის უფროსი, ჯაბნიძეების თემის რწმუნებული, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე, საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეები, მოქალაქეები

მიმდინარეობა: მოქალაქეთა თქმით, სოფელ ჯაბნიძეებს წყლის პრობლემა კომუნისტური რეჟიმის გაუქმების შემდეგ აწუხებს. მისი მოგვარების საკითხი, ხელმძღვანელი პირების განცხადებით, არაერთხელ აჭარის მთავრობის დონეზეც დაისვა, მსოფლიო ბანკიც აპირებდა პრობლემის მოგვარებაში დახმარებას, მაგრამ უწყობა, სხვა სოფლებთან ერთად, კვლავ პრობლემად რჩება ამ სოფელშიც. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირების განცხადებით, საკითხის გადასაწყვეტად ნახევარი მილიონი ლარია საჭირო და ამას ადგილობრივი ბიუჯეტი ვერანაირად განვდება. თუმცა, გარდა ფინანსების უკმარისობისა, პრობლემის მოგვარების მზაობა ან სხვა ალტერნატიული გზების დასახვის სურვილი, მრგვალ მაგიდაზე დამსწრე ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მაინცდამაინც არ გამოკვეთილა. უფრო მეტიც, ისინი ხაზს უსვამდნენ იმ ფაქტს, რომ ანალოგიური პრობლემის წინაშე კიდევ სხვა ბევრი სოფელი დგას და მხოლოდ ამ სოფელში, გამონაკლისის სახით, აღნიშნულ საკითხს ვერ მოაგვარებდნენ.

შედეგი: თემის რწმუნებულმა აღნიშნა, რომ ერთადერთი, რისი გაკეთებაც ამ მიმართულებით შეიძლება, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სათავე ნაგებობების აგებაა, რაც უკვე დაგეგმილია. თუმცა, მოქალაქეების აზრით, თუ ამ საქმეს გაგრძელება არ მოჰყვება, სათავე-ნაგებობა გამოუყენებელ სიამოვნებად დარჩება სოფლისათვის. ვინაიდან პრობლემის გადაჭრა ვერ ხერხდება ადგილობრივ დონეზე, სოფლის რწმუნებულმა და მოქალაქეებმა გადაწყვიტეს ამ პრობლემის მოგვარების მოთხოვნით მიმართონ აჭარის მთავრობას.

გურიის რეგიონი

ოზურგეთი

ადგილი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 10.02.2011/12:00

თემა: ოზურგეთის მუნიციპალიტეტში უფასო სასწავლო კურსების ჩამოყალიბება

მონაწილეები: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბიუროს წევრები, პრესსამსახურის წარმომადგენლები, პროფესიული სწავლების ცენტრის ხელმძღვანელი, მოქალაქეები

მიმდინარეობა: თვითმმართველობის წარმომადგენლებმა შეხვედრაზე წარმოადგინეს საკუთარი მოსაზრებები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ჩამოყალიბდეს და პრაქტიკულად იმუშაოს უფასო სწავლების კურსებმა. ასევე აღნიშნეს, რომ საკრებულო ნაწილობრივ აფინანსებს პროფესიული სწავლების ცენტრს, სადაც მსგავსი კურსები ფუნქციონირებს. თუმცა, შეხვედრაზევე დააფიქსირეს, რომ კურსების ჩამოყალიბება უნდა მოხდეს კონკურსის წესით, რათა აღნიშნული პროცესი იყოს გამჭვირვალე, მოიცვას ფართო მასები და აქცენტი გაკეთდეს ხარისხზე.

შედეგი: საკრებულოს თავმჯდომარის დაპირებით, აღნიშნულ საკითხს საკრებულოს სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებენ, რომლის შემუშავებაც მიმდინარეობს.

ჩოხატაური

ადგილი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 16.02.2011/12:00

თემა: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში უფასო სასწავლო კურსების ჩამოყალიბება

მონაწილეები: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს ბიუროს წევრი, გამგეობის თანამშრომლები, მოქალაქეები

მიმდინარეობა: თვითმმართველობის წარმომადგენლებმა შეხვედრაზე აღნიშნეს, რომ უფასო სასწავლო კურსებისათვის საჭირო თანხები ჩოხატაურის ბიუჯეტში არ არის. ასევე აღნიშნეს, რომ კანონი არ აძლევს საშუალებას ადგილობრივ თვითმმართველობას, დააფინანსოს სხვა ორგანიზაციები.

შედეგი: ბიუჯეტში თანხების მობილიზების შემდეგ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი გამოაცხადებს კონკურსს. განხორციელდება პროფესიული უნარ-ჩვევების შეძენის პროგრამის თანადაფინანსება, რომლის პირობებსაც განსაზღვრავს საკრებულო.

ლანჩხუთი

ადგილი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 15.02.2011/12:00

თემა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში საკანალიზაციო სისტემის პრობლემის მოგვარება

მონაწილეები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს წევრები, წყალკანალის წარმომადგენელი, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრაზე განხილულ იქნა ლანჩხუთის საკანალიზაციო სისტემაში არსებული პრობლემები. საკანალიზაციო სისტემის სრულ რეაბილიტაციას სჭირდება 1 700 000 ევრო. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების განმარტებით, მათ მიერ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსადმი გაგზავნილ იქნა წერილი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, 2011 წლისათვის ამ საკითხის მოგვარება არ არის გათვალისწინებული. თუმცა, გარკვეულწილად, მუნიციპალიტეტი ცდილობს, მოაგვაროს ლოკალური პრობლემები ზოგიერთ უბანზე. კერძოდ: მოსახლეობასთან თანადაფინანსების ხარჯზე, რამდენიმე უბანზე (გორგასლისა და კვირკველიას ქუჩის მონაკვეთი), განხორციელდა საკანალიზაციო მილების შეცვლა.

შედეგი: გამგეობა მომავალშიც ეცდება, მოაგვაროს ლოკალური პრობლემები, ხოლო რაც შეეხება გლობალურად საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციას, გაააქტიურებს მუშაობას და 2012 წლისათვის შეეცდება, აღნიშნული საკითხი მოაგვაროს.

იმერეთის რეგიონი

ხარაგაული

ადგილი: ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. კიცხის ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციული შენობა

თარიღი/დრო: 29.12.10/14:00

თემა: სოფ. ბორში მცხოვრები 8 ოჯახისათვის წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა

მონაწილეები: საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს დეპუტატი, კიცხის ტერიტორიული ერთეულის რწმუნებული, კიცხის ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულის მოადგილე, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრაზე მოქალაქეებმა წარადგინეს და განიხილეს წყლის სათავე ნაგებობასთან დაკავშირებული პრობლემები. საუბარი იყო იმის შესახებ, რომ წყლის სათავე ნაგებობაზე 7-10 ტონიანი ავზის შექმნა და დამონტაჟება დაეხმარებოდა მოსახლეობას აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში. დამატებით, სოფლის წარმომადგენლებმა ისაუბრეს გზის არარსებობის პრობლემაზე. ასევე, სურვილი გამოთქვეს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა დაეხმარებოდა მათ ელექტროენერგიაზე მომუშავე ნისქვილის აგებაში.

შედეგი: საკრებულოს თავმჯდომარის განმარტებით, სოფ. ბორზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილია 8300 ლარი, საიდანაც მოხდება წყლისა და გზის პრობლემების მოგვარება, ხოლო ნისქვილის მშენებლობის საკითხს დაწვრილებით განიხილავენ მომავალში.

ტყიბული

ადგილი: ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობა

თარიღი/დრო: 24.01.11/11:00

თემა: ტყიბულის მუნიციპალიტეტის წყლის სისტემის რეაბილიტაცია და წყლის მიწოდების გაუმჯობესება

მონაწილეები: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების“ ტყიბულის სერვის-ცენტრის მენეჯერი, გამგეობის მთავარი სპეციალისტი, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს ტყიბულის წყალმომარაგების გაუმჯობესების საკითხზე. ტყიბულის სერვის-ცენტრის მენეჯერმა დამსწრეებს ერთგვარი ანგარიში წარუდგინა. მან აღნიშნა, რომ გასულ წელს გამოიცვალა 20 კვ. მილი, გარემონტდა წყლის მიმღები 2 რეზერვუარი. სანიტარიული ნორმები დაცულია სათავო ნაგებობასა და გამანაწილებელ სადგურებზე, მაგრამ სისტემის გაუმართავობის, კერძოდ, ძველი მილების გამო, ვერ ხერხდება მოსახლეობაზე უწყვეტი წყლის მიწოდება. დამატებით, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ისაუბრეს წყლის ტარიფზეც, რომელიც განსაზღვრულია 0.40 ლარის ოდენობით და არ შეიცვლება, რადგან ქალაქს წყალი, ძირითადად, თვითდინებით მიეწოდება.

შედეგი: ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების განმარტებით, მიმდინარე წელს დაგეგმილია მილების გამოცვლის დაწყება. 2011 წლის მარტის თვიდან გაგრძელდება მილების შეცვლა, თუმცა, კონკრეტულად ვერ დასახელდა, თუ რამდენი კმ-ის გამოცვლა მოხერხდება მიმდინარე წელს. აქვე აღინიშნა, რომ მილების განახლება გაზრდის წყლის მიწოდების ხანგრძლივობას. აღსანიშნავია, რომ შეხვედრაზე დამსწრე მოქალაქეების განცხადებით, ისინი არ დაკმაყოფილებიან მხოლოდ დაპირებას და მონიტორინგს გაუწევენ ამ საკითხის მოსაგვარებლად ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებულ საქმიანობებს.

ვანი

ადგილი: ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობა

თარიღი/დრო: 28.01.11/12:00

თემა: სოფელ სალხინოში მდინარე სულორზე გამავალი ხიდის მოაჯირის შეკეთება

მონაწილეები: გამგებლის მოადგილე, სოფელ სალხინოს ტერიტორიული ერთეულის რწმუნებული, ინფრასტრუქტურის სამსახურის თანამშრომელი, მოქალაქეები

მიმდინარეობა: მოქალაქეებმა ისაუბრეს სოფელ სალხინოში ხიდის მოაჯირის არამდგრადი მდგომარეობის გამო ხიდიდან გადავარდნის საშიშროებასა და მისი აღდგენის აუცილებლობაზე. შეხვედრაზე იმსჯელეს აგრეთვე, თუ რა მასალა და ფულადი სახსრები იქნებოდა საჭირო მის აღსადგენად. დამატებით, მოქალაქეებმა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ განიხილეს ფოკუს-ჯგუფების შედეგად გამოვლენილი პრობლემები. გამგებლის მოადგილემ დეტალურად ისაუბრა ფოკუს-ჯგუფების ანგარიშებში ასახული იმ საკითხების შესახებ, რომლებიც უკვე მოგვარდა.

შედეგი: ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და მოსახლეობა შეთანხმდნენ იმაზე, რომ პრობლემა აუცილებლად უნდა მოგვარდეს, თუმცა, იმ დროისათვის არ იყო განსაზღვრული, თუ რა სახსრებით განხორციელდებოდა მოაჯირის შეკეთება. ძირითადი აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო თანხა სოფლის მხარდაჭერის პროგრამასა ან ადგილობრივ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის დროს უნდა იქნეს გათვალისწინებული. მოქალაქეებმა მიიღეს დაპირება, რომ, როგორც კი დაკონკრეტდება პრობლემის გადაჭრის გზა, ადგილობრივი თვითმმართველობა წერილობით მიაწვდის მოსახლეობას დეტალურ ინფორმაციას ამის შესახებ.



ხონი

ადგილი: ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობა

თარიღი/დრო: 01.02.11/11:00

თემა: ქალაქში არსებულ სასაფლაოებზე ნაგავსაყრელების მოწესრიგება და ნარჩენების ინტენსიური გატანა

მონაწილეები: გამგებელი, გამგებლის მოადგილე, მოქალაქეები

მიმდინარეობა: სასაფლაოების მოვლის საკითხი მოსახლეობის მხრიდან ჯერ კიდევ 2009 წელს დაისვა სამართლიანი არჩევნებისა და საიას მიერ ერთობლივად განხორციელებული „თემის მობილიზების“ პროექტის ფარგლებში საადვოკაციო შეხვედრების დროს. მაშინდელი გამგებლის მხარდაჭერით, მოხდა სასაფლაოების კაპიტალური შეღობვა და ტერიტორიის ერთჯერადი დასუფთავება, თუმცა, დროთა განმავლობაში სასაფლაოებიდან ნარჩენების გატანის პრობლემა კვლავ დადგა. სასაფლაოს ტერიტორიასთან ახლოს მცხოვრები მოსახლეობა შეწუხებულია არსებული მდგომარეობით, ამიტომ ისინი ნაგვის გატანას ინტენსიურ რეჟიმში ითხოვენ.

შედეგი: გამგებლის თქმით, ზამთრის პირობებში რაიმე კონკრეტული სამუშაოს განხორციელება შეუძლებელია და მოქალაქეებს დაპირდა, რომ გაზაფხულისთვის მოხდება ნაგავსაყრელის ადგილის მოწყობა, ხოლო ქალაქის დასუფთავების სასახურს დაევალება, რომ თვეში ორჯერ უზრუნველყონ ამ ტერიტორიიდან ნარჩენების გატანა და დასუფთავება.

თერჯოლა

ადგილი: თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობა

თარიღი/დრო: 02.02.11/11:00

თემა: სოფელ ჭოგნარის ეკლარის ისტორიულ წყარომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია

მონაწილეები: გამგებლის მოადგილე, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, მოქალაქეები

მიმდინარეობა: სოფელ ჭოგნარის მოსახლეობის მიერ გამგეობაში, ჯერ კიდევ შეხვედრამდე, განცხადების სახით შეტანილი წერილიდან გამომდინარე, გამგებლის მოადგილე საკმაოდ კარგად იყო ინფორმირებული და გარკვეული პრობლემის არსში. თუმცა, შეხვედრაზე მოქალაქეებმა ყურადღება გაამახვილეს წყაროს ისტორიულ მნიშვნელობასა და მისი გამოყენების საჭიროებაზე. ამის გარდა, შეხვედრაზე განხილულ იქნა ფოკუს-ჯგუფების მიერ დაფიქსირებული პრობლემები. შედეგად, მოხდა საკითხების განზოგადება.

შედეგი: გამგებლის მოადგილე დაპირდა მოქალაქეებს, რომ აღნიშნული პრობლემა აუცილებლად მოგვარდება 2011 წლის აპრილის დასაწყისისათვის. თუმცა, აღნიშნა, რომ ჯერ არ აქვთ განსაზღვრული, სამუშაოები სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თუ საკითხი ადგილობრივ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის დროს ჩაისმება. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების თქმით, როგორც კი დააკონკრეტებენ პრობლემის მოგვარების წყაროს, მაშინვე მიაწვდიან მოსახლეობას დეტალურ ინფორმაციას წერილობითი სახით.

ჭიათურა

ადგილი: ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა

თარიღი/დრო: 08.02.11/14:00

თემა: ჭიათურის დრამატული თეატრის წინ დაზიანებული საკანალიზაციო ქსის შეკეთება

მონაწილეები: გამგებლის მოადგილე, კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, მოქალაქეები

მიმდინარეობა: ჭიათურის დრამატული თეატრის წინ დაზიანებული საკანალიზაციო ქსის საკითხი მოსახლეობამ ჯერ კიდევ 2009 წელს დააფიქსირა და ადგილობრივ თვითმმართველობას საადვოკაციო შეხვედრის დროს წარუდგინა. კერძოდ, საკანალიზაციო სისტემის დაზიანების გამო, თეატრის შენობის წინ წვიმიან ამინდში იღვრებოდა ფეკალური მასები, რაც იწვევდა ტერიტორიის დაბინძურებას. ადგილობრივმა თვითმმართველობამ რამდენჯერმე განხორციელა საკანალიზაციო სისტემის ამოტუმბვა. პრობლემა დროებით მოგვარდა, თუმცა მალე კვლავ იჩინა თავი. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთმა მოქალაქემ შეხვედრამდე განცხადებით მიმართა გამგეობას, რაზეც წერილობითი პასუხი არ მიუღია, თუმცა, პრობლემა რამდენიმე დღეში მოგვარდა.

შედეგი: შეხვედრაზე თვითმმართველობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ გაითვალისწინეს მოსახლეობის მიერ წამოწეული პრობლემა და განცხადების მიღების შემდეგ, შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე, სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაატარეს.

საჩხერე

ადგილი: საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობა

თარიღი/დრო: 07.02.11/13:00

თემა: სოფელ სავანისა და სოფელ ივანწმინდის წყალმომარაგება

მონაწილეები: გამგებლის მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრის ძირითადი ნაწილი დაეთმო საადვოკაციო თემას, კერძოდ, სოფელ სავანისა და სოფელ ივანწმინდის წყალმომარაგების პრობლემას. თუმცა, საადვოკაციო თემის გარდა, შეხვედრაზე დეტალურად იქნა განხილული ფოკუს-ჯგუფების მიერ დაფიქსირებული პრობლემები, იმსჯელეს მოსახლეობის პრიორიტეტებსა და 2011 წელს დაგეგმილ საქმიანობებზე.

შედეგი: გამგებლის თქმით, პრობლემის მოსაგვარებლად უკვე შერჩეულია ადგილი რეზერვუარისთვის, მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყება 2011 წლის გაზაფხულიდან, თუმცა, საკითხის სრულად მოგვარება 2012 წლამდე ვერ მოხერხდება.

ქუთაისი

ადგილი: ქ. ქუთაისის საკრებულო

თარიღი/დრო: 22.02.2011/14:00

თემა: დასუფთავების საკითხი; სტუდენტებისათვის სამგზავრო შეღავათების დაწესება

მონაწილეები: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საკრებულოს საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა და საზოგადოებასთან ურთიერთობის

კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი, საკრებულოს ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტები, საკრებულოს აპარატის წარმომადგენელი, მედია-საშუალებების წარმომადგენელი, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრის დასაწყისში განხილულ იქნა ქუთაისის ფოკუს-ჯგუფების ანგარიშში ასახული ყველა პრობლემა. წყალმომარაგებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ 2011 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხა საკანალიზაციო სისტემებისა და სანიაღვრე არხების რეაბილიტაციისათვის, იგეგმება ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. რაც შეეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა ჯანდაცვა, გაზიფიცირება და ელექტროენერჯია, თვითმმართველობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ეს საკითხები მათ კომპეტენციაში არ შედის. შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დასუფთავებისა და სტრუქტურებისათვის სამგზავრო შეღავათების დაწესების საკითხებს. კერძოდ, დასუფთავებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ უკვე შექმნილია ახალი ურნები, რომელთა დადგმაც დაიწყება უახლოეს მომავალში, შეიქმნა მუნიციპალური შპს, რომელიც ამ კუთხით იმუშავებს. სტრუქტურებისათვის სამგზავრო შეღავათების დაწესებასთან დაკავშირებით, მოქალაქეებმა საადვოკაციო შეხვედრაზე წამოაყენეს ინიციატივა იმის შესახებ, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის ახალგაზრდული პროგრამებიდან გამოიყოს გარკვეული თანხა სტრუქტურებისათვის სამგზავრო შეღავათების დაწესების მიზნით. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, იდეა კარგია, მაგრამ იმის გამო, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1200 ბენეფიციარი ფინანსდება, რაც საკმაოდ დიდი თანხას მოიცავს, ამიტომ, სასურველია, აქტიურმა მოქალაქეებმა პროექტის სახე მისცენ თავიანთ წინადადებას, დათვალონ რამდენი სტრუქტურა ქუთაისში, რა ტიპის შეღავათები შეიძლება დაწესდეს და ა.შ. შეხვედრაზე გაჟღერდა, ასევე, სხვადასხვა იდეა აქტიური მოქალაქეების მხრიდან სტრუქტურ ბარათებთან, კულტურულ და სამუზეუმო დაწესებულებებში გარკვეულ ფასდაკლებებთან დაკავშირებით.

შედეგი: ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების დაპირებით, უახლოეს მომავალში დაიწყება მრავალბინიან სახლებში ბუნკერების გაუქმება. შექმნილია ჯგუფი, რომელიც ყოველ საღამოს შეამოწმებს ქალაქში სისუფთავეს. ამასთან, უახლოეს მომავალში იგეგმება ქუთაისის ნაგავსაყრელის გადატანა ნიკეას დასახლებიდან, რაც ასევე ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა იყო ქუთაისის მოსახლეობისათვის. რაც შეეხება სტრუქტურებისათვის საგზაო შეღავათების დაწესების საკითხს, მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ მოქალაქეებმა მარტის თვის განმავლობაში წერილობით უნდა წარადგინონ თავიანთი ინიციატივები, ხოლო საკრებულოს წევრები უშუამდგომლებენ ყველა ინსტაციასთან.

ბაღდათი

ადგილი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 17.02.2011/14:00

თემა: სოფელ დაფენილის ხიდის რეაბილიტაცია

მონაწილეები: გამგებლის მოადგილე, საკრებულოს საფინანსო სამსახურის უფროსი, საკრებულოს იურისტი, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრაზე განხილულ იქნა ფოკუს-ჯგუფების ანგარიშში ასახული ყველა პრობლემა. საუბარი შეეხო ელექტროენერჯიის ვაუჩერიზაციასთან დაკავშირებულ პრობლემებსაც, კერძოდ, ბაღდათის მაღალმთიან სოფლებში, მაგალითად სოფელ ხანში, 3500 აბონენტზე ჩამოვიდა სულ 2 ვაუჩერი, როდესაც, პროგრამის ფარგლებში, მინიმუმ 40 ვაუჩერი უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება დასუფთავების საკითხს, შექმნილ იქნა ნაგვის მანქანა და ნაგვის ურნა, რომელიც დაიდგა დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ადგილზე. საკანალიზაციო სისტემის დაფინანსება ბიუჯეტით არ არის გათვალისწინებული იმის გამო, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტში არ არის საკანალიზაციო სისტემა. შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა, სოფელ დაფენილის ხიდის რეაბილიტაციის საკითხზე, მოქალაქეებმა ისაუბრეს ხიდის კაპიტალურად შეკეთების აუცილებლობაზე.

შედეგი: ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების განმარტებით, სოფელ დაფენილის ხიდის რეაბილიტაციის მიზნით, ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსდა ხიდის გადაუდებელი რეაბილიტაცია. რაც შეეხება მის კაპიტალურ შეკეთებას, 2011 წლის განმავლობაში მოხდება მისი სრულყოფილი აღდგენა.

ზესტაფონი

ადგილი: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 18.02.2011/14:00

თემა: მრავალბინიან კორპუსებში ლიფტების შეკეთება

მონაწილეები: გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, საკრებულოს აპარატის უფროსი, გამგეობის სამხედრო სამსახურის წარმომადგენელი, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრაზე დეტალურად იქნა განხილული ფოკუს-ჯგუფების ანგარიშებში დაფიქსირებული საკითხები. ამ მიმართულებით გარკვეული სამუშაოები უკვე ჩატარებულია, კერძოდ, კვალითის დასახლებაში მთლიანად შეიცვალა წყალგაყვანილობის სისტემა. ვინაიდან მთელი ქალაქის მასშტაბით, მხოლოდ ადგილობრივი ბიუჯეტით, შეუძლებელი იყო წყალმომარაგების სრული რეაბილიტაცია, აღნიშნული სამუშაოები მხოლოდ კვალითის დასახლებაში განხორციელდა. რაც შეეხება სადრენაჟო გაყვანილობას, სამუშაოები განხორციელდა კვალითისა და კამეჩის თავის დასახლებებში, თუმცა, ამ კუთხით მუშაობა კიდევ მიმდინარეობს. ჯანდაცვასთან დაკავშირებით, შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სადაზღვევო კომპანია „იროს“ დაფინანსებით შენდება 25 ადგილიანი საავადმყოფო. ელექტროენერჯის ვაუჩერიზაციასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები გამოიკვეთა, რადგანაც არსებობს ინდივიდუალური გამარცხველიანების პრობლემა სოფელ საზანოში, სადაც 4220 მოსახლე ცხოვრობს, თუმცა მხოლოდ 2 ვაუჩერი მიიღეს. 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულია გარე განათებასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულება არგვეთის პერიმეტრზე, ჩხეიძის, ბატონიშვილის, კეთილადის, ზაპოროჟიეს, საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიებზე. დასუფთავების პრობლემასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულ იქნა ნაგავსაყრელამდე მისასვლელი გზის შეკეთება. შეძენილ იქნა 5 მანქანა.

შედეგი: ადგილობრივი თვითმმართველობის დაპირებით, 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით, პროგრამა კორპუსის ფარგლებში, შესრულდება 10 ლიფტის რეაბილიტაცია. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა იმ კორპუსებს, სადაც ინვალიდები ცხოვრობენ.

წყალტუბო

ადგილი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 21.02.2011/13:00

თემა: დასუფთავების საკითხი; სანატორიუმების „მეშახტისა“ და „ივერიის“ წყალმომარაგება

მონაწილეები: საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე საკრებულოში, ფრაქციის თავმჯდომარე საკრებულოში, მედიის წარმომადგენელი, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრაზე განხილულ იქნა წყალტუბოს ფოკუს-ჯგუფების ანგარიშში ასახული ყველა პრობლემა. ერთ-ერთი საკითხი ეხებოდა წყალმომარაგებას. თვითმმართველობის მხრიდან მოწოდებულ იქნა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ წყალტუბოში ეს პრობლემა განპირობებულია მოძველებული საკურორტო ინფრასტრუქტურის არსებობით, თუმცა 2011 წელს მუნიციპალიტეტი ელოდება დაფინანსებას აზიის ბანკიდან. მიმდინარეობს ქუჩებზე გარე განათების დამონტაჟებაც. რაც შეეხება საავადმყოფოებს, დაწყებულია და წლის ბოლომდე დამთავრდება „ალდაგი-ბისია“-ს მიერ 15 ადგილიანი საავადმყოფოს მშენებლობა. საუბარი შეეხო ასევე სასწრაფო ფუნქციონირების საკითხსაც, რადგან ფოკუს-ჯგუფის ანგარიშში ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ თემად სწორედ სასწრაფო დახმარების მომსახურებაა დასახლებული. როგორც თვითმმართველობის წარმომადგენლებმა განმარტეს, მათ აღნიშნული საკითხი დააყენეს ჯანდაცვის სამინისტროს წინაშე, ვინაიდან აუცილებელია ბრიგადის დამატება ზემო წყალტუბოს ტერიტორიაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსახლეობა დროულად ვერ იღებს პირველად დახმარებას. დეტალურად იქნა განხილული მუნიციპალიტეტის დასუფთავების საკითხი. საკრებულოს თავმჯდომარემ მოგვანოდა ინფორმაცია, რომ შეძენილია 50 ახალი კონტინერი და დასუფთავების 4 ახალი მანქანა. რაც შეეხება სანატორიუმების „მეშახტისა“ და „ივერიის“ წყალმომარაგებას, ხაზი უნდა გაესვას, რომ აღნიშნულ საკითხს საპროექტო ჯგუფი თვალს ადევნებს 2009 წლიდან. ამ ორი წლის განმავლობაში მოქალაქეებმა არაერთხელ მიიღეს დაპირება როგორც ადგილობრივი თვითმმართველობიდან, ასევე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან იმასთან დაკავშირებით, რომ მოხდება ზემოაღნიშნულ სანატორიუმებში მაცხოვრებელი დევნილებისათვის წყლის პრობლემის გადაჭრა. 2010 წლის 7 აპრილს ლტოლვილთა და

განსახლების სამინისტროს გამოცხადებული ჰქონდა ტენდერი სანატორიუმების, მათ შორის, „მეშახტი-სა“ და „ივერიის“ წყალმომარაგების, საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციისა და გადახურვისათვის, თუმცა, რა შედეგებით დასრულდა და ვინ გაიმარჯვა ამ ტენდერში მოქალაქეებისთვის არ არის ცნობილი. შეხვედრაზე საუბარი შეეხო სამინისტროს მიდგომასაც ამ საკითხთან მიმართებით – რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს დევნილების გამოსახლება ახალ საცხოვრებელ სახლებში და ძველი სანატორიუმების პრივატიზება.

შედეგი: დასუფთავებასთან დაკავშირებით მოცემულ იქნა დაპირება, რომ ახალი ყუთები დაიდგმება დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ცენტრებში, სადაც განსაკუთრებული ანტისანიტარიაა. ასევე, კონტეინერები დაიდგმება ქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე, ბრონეულას და კოპიტნარის დასახლებებში, საკურორტო დაწესებულებებში, ქუთაისი-სამტრედიის, წყალტუბო-ქუთაისისა და ქუთაისი-ხონის ავტომაგისტრალების გასწვრივ, სანარმოებსა და დაწესებულებებში. ნაგავშემკრები ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა იწარმოებს ყოველდღიურად. რაც შეეხება სანატორიუმების – „მეშახტი-სა“ და „ივერიის“ წყალმომარაგებას, 2011 წლის განმავლობაში ადგილობრივი ბიუჯეტიდან მათი რეაბილიტაცია არ იგეგმება, მაგრამ აღინიშნა, რომ 2010 წელს იქ მაცხოვრებელი დევნილებისათვის შექმნილ იქნა წყლის ავზი და დღეს მათ წყალი მიენოდებათ ალტერნატიული გზით.

სამტრედია

ადგილი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 24.02.2011/14:00

თემა: მრავალბინიანი სახლების გადახურვა

მონაწილეები: გამგებელი, საფინანსო სამსახურის სპეციალისტი, გამგებლის მოადგილეები, მედიის წარმომადგენელი, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრის დასაწყისში განხილულ იქნა ფოკუს-ჯგუფების კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული საკითხები. ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლების განმარტებით, რეგონული განვითარების ფონდისა და ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით 2010 წელს გაჩემონტდა საჯარო ბიბლიოთეკა, რომელიც აღიჭურვა უახლესი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. საჯარო სკოლებში მოწესრიგდა სანრეტი მიწები და გადაიჭრა გადახურვის პრობლემა. სამუშაოები საჯარო სკოლების წყალმომარაგებასთან დაკავშირებით ამ პერიოდშიც მიმდინარეობს. თითქმის ყველა სკოლას გააჩნია არტეზიული ჭა, რომლითაც ისინი მარაგდებიან. 2010 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტში დამატებით გაიხსნა ორი ბაღი – სოფელ გომსა და ტოლებში. გაზიფიცირებას რაც შეეხება, პროცესი თითქმის დასრულებულია ქალაქის ტერიტორიაზე. ამჟამად პრიორიტეტს წარმოადგენს მჭიდროდ დასახლებული უბნები. შეხვედრაზე ასევე განხილულ იქნა საკითხი, რომელიც ბალნეოლოგიურ კურორტ „სამტრედიის“ საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციას შეეხება, თვითმმართველობის წარმომადგენელთა განცხადებით, ეს შენობა კერძო პირის საკუთრებაა, ამიტომ მასთან დაკავშირებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება თვითმმართველობის კომპეტენციას არ განეკუთვნება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შეხვედრის მთავარ თემას, კერძოდ, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების გადახურვის საკითხს.

შედეგი: ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების განმარტებით, პროგრამა „კორპუსის“ ფარგლებში, 2010 წელს გადაიხურა 7 საცხოვრებელი კორპუსი თანადაფინანსების პრინციპით, ხოლო 3 ბინაში შეიცვალა კანალიზაციის სისტემა. ამჟამად 6 კორპუსის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას აქვს განაცხადი გაკეთებული, რომლებიც რიგითობის მიხედვით დაკმაყოფილდება. წლის მეორე ნახევარში, ბიუჯეტის შესრულების 6 თვის შედეგების შეჯამებისას, შესაძლებელია მოხდეს პროგრამა „კორპუსის“ თანხების გაზრდა.

სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონი

მარტვილი

ადგილი: მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობა

თარიღი/დრო: 31.01.11/10:30

თემა: ხონი-მარტვილის დამაკავშირებელი ხიდის აღდგენა

მონაწილეები: გამგებელი, გამგებლის მოადგილე, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრის მონაწილეებმა დეტალურად განიხილეს ხონი-მარტვილის დამაკავშირებელი ხიდის აღდგენასთან დაკავშირებული საკითხები. გარდა საადვოკაციო თემისა, ასევე, საუბარი შეეხო ფოკუს-ჯგუფების შეხვედრების შედეგად გამოვლენილ პრობლემებს. გამგებელმა სათითაოდ იმსჯელა თითოეულ მათგანზე და ბოლოს განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხების უმეტესობა მუდმივად საჭიროებს მოგვარებას.

შედეგი: შეხვედრის შედეგად შემუშავდა ხიდის პროექტი და გადაეგზავნა საგზაო დეპარტმენტს.

მესტია

ადგილი: მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა

თარიღი/დრო: 25.01.11/12:00

თემა: სოფელ ლატალში 22 მეტრიანი ხიდის აღდგენა და სოფელ ტებდაშის გზის რეაბილიტაცია

მონაწილეები: გამგებელი, ეკონომიკის სამსახურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლები, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრაზე დამსწრე სოფლის მოსახლეობამ გამოკვეთა 2 ძირითადი პრობლემა. ისაუბრეს სოფელ ტებდაშის გზის მდგომარეობასა და მისი შეკეთების აუცილებლობაზე. თუმცა, ძირითადი ყურადღება გამახვილდა ხიდის აღდგენასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მოქალაქეებმა დაასაბუთეს ხიდის საჭიროება და მოსთხოვეს ადგილობრივ თვითმმართველობას სოფელ ლატალში ხიდის აღდგენისათვის საჭირო სამუშაოების ჩატარება, კერძოდ, რკინა-ბეტონის კონსტრუქციის ხიდის აგება.

შედეგი: გამგეობის მხრიდან შეხვედრაზე დაიდო 3 დაპირება: 1) უფრო მოკლე ხიდის პროექტის შემუშავება; 2) რკინა-ბეტონის კონსტრუქციის ხიდის პროექტის მომზადება; 3) ხიდის მშენებლობისათვის საჭირო დაფინანსების მოძიება.

ჩხორონყუ

ადგილი: ჩხორონყუს მუნიციპალიტეტის გამგეობა

თარიღი/დრო: 02.02.11/11:00

თემა: სოფელ მეორე ჭოდის საბავშვო ბაღისთვის ელექტროენერჯის მიწოდების აღდგენა

მონაწილეები: გამგებელი, განათლების ცენტრის დირექტორი, მეორე ჭოდის საბავშვო ბაღის უფროსი ხელმძღვანელ-მასწავლებელი, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრა დაიწყო ფოკუს-ჯგუფების შედეგად დაფიქსირებული პრობლემების განხილვით. აღსანიშნავია, რომ დასახელებული საკითხების უმეტესობა მოგვარებულია ან მოგვარების პროცესშია. ყურადღება იქნა გამახვილებული 2009 წელს სამართლიანი არჩევნებისა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ერთობლივად განხორციელებული „თემის მობილიზების“ პროექტის ფარგლებში საადვოკაციო შეხვედრების დროს გამოვლენილ პრობლემებზე, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო გადაუჭრელი დარჩა, კერძოდ, წყალსადენის რეაბილიტაციის საკითხზე. რაც შეეხება სოფელ მეორე ჭოდის საბავშვო ბაღს, წელიწადზე მეტია, რაც ელექტროენერჯია არ მიენოდება. მოქალაქეებმა აღნიშნეს, რომ ყოველდღიურად იღებდნენ დაპირებას ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან, რომ პრობლემას მოაგვარებდნენ, თუმცა, დაპირება დღემდე არ შესრულებულა.

შედეგი: გამგებლის განმარტებით, ამჟამად მიმდინარეობს რეორგანიზაცია, რომლის დასრულებისთანავე იგი შეხვედრა რესურს-ცენტრის ხელმძღვანელს და განიხილავენ სოფელ ჭოდის საბავშვო ბაღის საკითხს, რომელიც, მისი აზრით, დადებითად გადაწყდება. ამასთანავე, გამგებელი დაპირდა მოსახლეობას, რომ სოფლის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში შეეცდებიან წყალსადენის პრობლემის მოგვარებას, კერძოდ, წყლის მილების შეძენას და ქსელის აღდგენას.

ხობი**ადგილი:** ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა**თარიღი/დრო:** 03.02.11/13:00**თემა:** სოფელ ხეთის საჯარო სკოლის შემოღობვა

მონაწილეები: გამგებლის მოადგილე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა განყოფილების უფროსი, გამგეობის აპარატის თანამშრომელი, საინფორმაციო უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრის საადვოკაციო თემად შერჩეულ იქნა დიდი ხნის პრობლემა, რომელზეც საუბარი ჯერ კიდევ 2009 წელს იყო. მას შემდეგ მოქალაქეებმა არაერთი სიტყვიერი დაპირება მიიღეს, მაგრამ საკითხი გადაუჭრელი დარჩა. ამჯერად მოსახლეობამ ადგილობრივი თვითმმართველობისგან დაჟინებით მოითხოვა საკითხის დაკონკრეტება, რამაც, შესაძლოა, გამოიწვია არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება შეხვედრაზე დამსწრე მოქალაქეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ. ფოკუს-ჯგუფების ანგარიშების გავლა ვერ მოხერხდა, რადგან, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების თქმით, მათთვის ისედაც კარგად არის ცნობილი არსებული პრობლემები და ყველაფერს აკეთებენ მათ აღმოსაფხვრელად.

შედეგი: ადგილობრივმა თვითმმართველობამ მოსახლეობას წერილობით მიაწოდა პასუხი იმის შესახებ, რომ ხეთის სკოლის ეზოს შემოსაღობად სამუშაოები ჩატარდება 2011 წლის ივნისში.

ნალენჯისა**ადგილი:** ნალენჯის მუნიციპალიტეტის გამგეობა**თარიღი/დრო:** 08.02.11/11:00**თემა:** სააბულაძოს უბნის გარე განათება

მონაწილეები: გამგებელი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს წევრი, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრაზე დამსწრე მოქალაქეებმა განუმარტეს თვითმმართველობის წარმომადგენლებს სააბულაძოს უბნის გარე განათების აუცილებლობა. საუბარი შეეხო ფოკუს ჯგუფების შედეგად გამოვლენილ პრობლემებსაც, კერძოდ, რა გაკეთდა და რა არის დაგეგმილი 2011 წელს.

შედეგი: მიღებულ იქნა დაპირება, რომ 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის პერიოდში ჩასმული იქნება კონკრეტულად აღნიშნულ უბანში გარე განათების დამონტაჟება და სამუშაოები დაიწყება 2011 წლის გაზაფხულზე. დაპირება მიღებულია წერილობითი სახითაც.

სენაკი**ადგილი:** სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობა**თარიღი/დრო:** 07.02.11/14:00

თემა: ეკის თემის გზის მოასფალტება; სანულეისკიროს თემში სპორტული მოედნის საფარის უხარისხობის საკითხი

მონაწილეები: გამგებლის მოადგილე, საკრებულოს წევრი, ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, მოქალაქეები

მიმდინარეობა: ეკის თემის მოსახლეობას წინასაარჩევნო პერიოდში დაპირდნენ გზის მოასფალტებას, მაგრამ 2010 წელს დაპირება არ შესრულებულა. მოქალაქეებმა აღნიშნული პრობლემა კვლავ წამოიწიეს და დამატებით დასვეს საკითხი ახლად აშენებული სპორტული მოედნის საფარის უხარისხობის შესახებ.

შედეგი: თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ეკის თემის გზის მოასფალტებასთან დაკავშირებით აღნიშნეს, რომ შედეგინილია პროექტი და, ვინაიდან, საჭიროებს დიდ თანხას, 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტში არ არის ჩასმული, თუმცა მოთხოვნა გაკეთებულია ცენტრალურ დონეზე. რაც შეეხება მეორე საკითხს, მოქალაქეებს მისცეს პირობა, რომ სამუშაოს შემსრულებელს მოსთხოვენ გაზაფხულზე ხარვეზის გამოსწორებას.

აბაშა**ადგილი:** აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო**თარიღი/დრო:** 23.02.11/11:00**თემა:** სოფელ ტყვირის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია**მონაწილეები:** საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს მოადგილე, მოქალაქეები

მიმდინარეობა: სოფელ ტყვირის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის საკითხი საკმაოდ აქტუალურად იყო დასმული მოქალაქეების მიერ ჯერ კიდევ 2009 წელს სამართლიანი არჩევნებისა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ერთობლივად განხორციელებული „თემის მობილიზების“ პროექტის ფარგლებში. ვინაიდან პრობლემა არ მოგვარდა, მოსახლეობამ კვლავ წამოიწია ეს საკითხი და საკრებულოს მიმართა განცხადებით, სადაც მითითებული იყო, რომ სოფელ ტყვირის ბაღს 2010 წელს ჩაუტარდა ელექტროენერჯის შენობამდე მიყვანის სამუშაოები. დამატებით, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ისაუბრეს წყლის ტარიფზეც, რომელიც განსაზღვრულია 0.40 ლარის ოდენობით და არ შეიცვლება, რადგან ქალაქს წყალი ძირითადად თვითღირებით მიეწოდება.

შედეგი: საკრებულოს თავმჯდომარის განმარტებით, საბავშვო ბაღების რემონტისათვის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტში გამოყოფილია 50 ათასი ლარი. ასევე აღინიშნა, რომ, პირველ რიგში, უნდა მოხდეს ბაღების ინსპექტირება და მართვის თვის ბოლოსთვის გაირკვევა, თუ რა თანხა გამოიყოფა კონკრეტულად სოფ. ტყვირის საბავშვო ბაღისთვის. მან ასევე აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტის სამ სოფელში იგეგმება კოტეჯის ტიპის ნაგებობების ჩადგმა საბავშვო ბაღისათვის.

ზუგდიდი**ადგილი:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა**თარიღი/დრო:** 15.02.11/13:00**თემა:** ახალსოფლისა და კოლხიდის დამაკავშირებელი, ასევე, შევჩენკოს და ჭყონდიდელის ქუჩების გზების რეაბილიტაცია, სანიაღვრე სისტემის პრობლემა**მონაწილეები:** გამგებლის მოადგილე, მეორე მოადგილე, ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე საკრებულოში, მოქალაქეები

მიმდინარეობა: გზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, მოქალაქეებმა მონიტორინგის პერიოდში განცხადებები შეიტანეს გამგეობასა და საკრებულოში პრობლემის მოგვარების მოთხოვნით. შეხვედრაზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად სათითაოდ იქნა განხილული ყველა აღნიშნული განცხადება. გარდა გზების რეაბილიტაციის საკითხისა, შეხვედრაზე იმსჯელეს სოფ. ორსანტიამი ჯებირებისა და ზუგდიდში სანიაღვრე სისტემასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებაც.

შედეგი: გამგებლის მოადგილემ დეტალურად განმარტა ყველა პრობლემა. მისი თქმით, ახალსოფლისა და კოლხიდის მონაკვეთზე ჩატარდა შემდეგი სამუშაო: გაიჭრა გზა, რომელიც ინერტული მასალებით გასწორდა, მაგრამ გზა ისევ ჩავარდა. გამგებლის მოადგილის განმარტებით, ამ გზის მონესრიგება დიდ თანხებთან არის დაკავშირებული და ამის უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტს ძვირი უჯდება, ამიტომ აღნიშნული საკითხის გათვალისწინება უნდა მოხდეს სხვადასხვა პროექტში. რაც შეეხება შევჩენკოს ქუჩას, მიმდინარეობს მისი შესწავლა და უახლოეს ხანში დაიწყება საკითხის მოგვარება. სანიაღვრე სისტემის მოწყობა ზუგდიდისათვის საკმაოდ დიდი პრობლემაა, რაც ასევე დიდ თანხას საჭიროებს. სათანადო სახსრების მოძიების შემთხვევაში, აუცილებლად მოხდება ჭყონდიდელის ქუჩის გათვალისწინებაც. რაც შეეხება სოფ. ორსანტიამი არსებულ ჯებირების პრობლემას, ეს საკითხი შესწავლილ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ და გადაწყდა, რომ სოფლის განვითარების პროგრამაში ჩაისვას.

ფოთი**ადგილი:** თვითმმართველი ქ. ფოთის მერია**თარიღი/დრო:** 22.02.11/15:00**თემა:** მრავალბინიანი კორპუსების ეზოებში დაკანონებული ავტოფარეხების დემონტაჟი

მონაწილეები: ქალაქის მერი, მერის მოადგილეები, მოქალაქეები

მიმდინარეობა: მოქალაქეებმა შეხვედრაზე აღნიშნეს, რომ აინტერესებდათ, მოხდება თუ არა მრავალბინიანი კორსპუსების ეზოებში დაკანონებული ავტოფარეხების დემონტაჟი, დემონტაჟის შემთხვევაში, გაიცემა თუ არა მფლობელებზე საკომპენსაციო თანხები და რა რაოდენობით. მოსახლეობის თქმით, თავის დროზე, კანონის შესაბამისად, მეზობლებისგან აიღეს თანხმობა ავტოფარეხების მშენებლობაზე. ქალაქის მერის მოადგილემ მოქალაქეებს განუმარტა, რომ ძალით არავინ აპირებს ავტოფარეხების დანგრევას. ხოლო იმ ეზოებში, სადაც დარჩება ავტოფარეხები, ისინი არ განახორციელებენ კეთილმოწყობის სამუშაოებს. თუმცა, ქალაქის მერმა ასევე განაცხადა, რომ ისინი დაეკითხებიან მეზობლებს და თუ ისინი განაცხადებენ, რომ ავტოფარეხები ხელს უშლით, მერია იძულებული იქნება, მფლობელებს საკუთრების უფლება გაუუქმოს და დაგეგმილი სამუშაოები განახორციელოს. შეხვედრაზე მერმა ასევე აღნიშნა, რომ ბათუმში ამ პროცესმა უმტკივნეულოდ ჩაირა და ხელისუფლებას სურს, რომ ფოთიც ბათუმით ლამაზად გამოიყურებოდეს. ამ არგუმენტს მოქალაქეები დაეთანხმნენ და მოითხოვეს მხოლოდ კომპენსაციების ანაზღაურება, ისევე როგორც ეს მოხდა ბათუმში, ვინაიდან ავტოფარეხების მშენებლობა მათ საკმაოდ ძვირი დაუჯდათ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მერის მოადგილე შეხვედრაზე ზოგჯერ არაკორექტულად მიმართავდა მოქალაქეებს, რის გამოც ქალაქის მერმა მათ მოუბოდიშა.

შედეგი: ხელისუფლების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ თუ მოსახლეობა მათ ავტოფარეხების გაუქმების თხოვნით მიმართავდა, ისინი დემონტაჟს განახორციელებდნენ, თუ არადა „იგივე ნაგავში იქნებით“ – განუცხადეს შეხვედრაზე მყოფ მოქალაქეებს. მოსახლეობის აზრით, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, პრობლემას არ წარმოადგენს, ხელისუფლებამ ვინმეს დაანერინოს განაცხადება და მოახდინოს ავტოფარეხების დემონტაჟი, მათთვის კომპენსაციის ანაზღაურების გარეშე.

რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთის რეგიონი

ლენტეხი

ადგილი: ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობა

თარიღი/დრო: 28.01.11/15:30

თემა: დასუფთავების პრობლემა

მონაწილეები: გამგებელი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრაზე საუბარი იყო დაბის ნაგავსაყრელის პრობლემაზე. მოქალაქეებმა მოითხოვეს ურნების დადგმა უბნებში და მეეზოვეების დამატება მუნიციპალიტეტში, რაც, მათი აზრით, მოაგვარებს ორ პრობლემას: დაბის დასუფთავებას და დასაქმებას.

შედეგი: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თქმით, ნაგავსაყრელისთვის გამოიძებნა ადგილი ლახაშირის ტერიტორიაზე. ასევე 2011 წელს დაბის ცენტრში დაიდგმება ნაგვის ბუნკერები. რაც შეეხება მეეზოვეების დასაქმებას, გამოცხადდება ტენდერი და აღნიშნული საკითხიც გადაწყდება. ინფორმაცია მიღებულია წერილობითი სახითაც.

ცაგერი

ადგილი: ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 02.02.11/11:00

თემა: ცაგერის სასამელი წყლის მიწების რეაბილიტაცია

მონაწილეები: საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს წევრები, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, მოქალაქეები

მიმდინარეობა: სასამელი წყლის მიწების გაუმართავობის საკითხი მოსახლეობის მიერ დაისვა 2009 წელს სამართლიანი არჩევნებისა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ერთობლივად განხორციელებული „თემის მობილიზების“ პროექტის ფარგლებში საადვოკაციო შეხვედრების დროს. იმავე წელს დაიწყო სისტემის რეაბილიტაცია, თუმცა, 2010 წელს შეჩერდა. მოქალაქეებმა მოითხოვეს დარჩენილ ქუჩებზე სამუშაოების გაგრძელება.

შედეგი: ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა იმსჯელეს და მოქალაქეებს დაპირდ-

ნენ, რომ 2011 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის დროს გამონახვენ სახსრებს პრობლემის მოსაგვარებლად.

ონი

ადგილი: ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა

თარიღი/დრო: 01.02.11/13:30

თემა: სოფელ პიპილეთის ხიდის მშენებლობა; სოფელ ჟაშქვის გზის რეაბილიტაცია

მონაწილეები: საკრებულოს თავმჯდომარე, მაჟორიტარი დეპუტატის წარმომადგენელი, არასამთავრობო ორგანიზაცია „იმედის“ წარმომადგენელი, გაზეთ „ონის“ რედაქტორი, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრა იმდენად საინტერესოდ წარიმართა, რომ საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. მოქალაქეები კმაყოფილი დარჩნენ, რომ ყველა პრობლემაზე შეძლეს თვითმმართველობასთან უშუალოდ საუბარი. თავის მხრივ, დადებითად განეწყო თვითმმართველობაც, რომელსაც შესაძლებლობა მიეცა, ესაუბრა მათ მიერ განხორციელებულ საქმიანობებზე, მოგვარებულ პრობლემებზე, მიმდინარე და დაგეგმილ ღონისძიებებზე. საკმაოდ დეტალურად განიხილეს და იმსჯელეს სოფლებში გზის რეაბილიტაციისა და ხიდის მშენებლობის საკითხებზე.

შედეგი: ადგილობრივი თვითმმართველობის თქმით, სამუშაოები დაიწყება გაზაფხულზე. სოფელ პიპილეთის ხიდის მშენებლობა და სოფელ ჟაშქვის გზის რეაბილიტაცია განხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად თანამონაწილეობით.

ამბროლაური

ადგილი: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა

თარიღი/დრო: 15.02.11/14:00

თემა: ამბროლაურის შიდა გზების მოწესრიგება; შიშინაშვილისა და ჭიჭინაძის ქუჩების რეაბილიტაცია

მონაწილეები: გამგებელი, გამგებლის მოადგილე, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრის საადვოკაციო თემად კონკრეტულად შიშინაშვილისა და ჭიჭინაძის ქუჩები იქნა შერჩეული, თუმცა, ამბროლაურის შიდა გზების უმეტესობა მოსაწესრიგებელია, რაზეც შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა. ამასთან, საუბარი იყო კორპუსებთან მისასვლელ გზებზეც. ქუჩების დაკონკრეტება მოხდა თავად ამ ქუჩებზე მაცხოვრებელთა ინიციატივით, რადგან, გამგეობიდან გამოთხოვნილი ინფორმაციით, 2011 წლის ბიუჯეტში ამ პრობლემის მოსაგვარებლად თანხა გათვალისწინებული არ იყო. მოქალაქეებმა დაუსაბუთეს გამგებელს, თუ რაოდენ უჭირთ გადაადგილება ამ ქუჩებზე, განსაკუთრებით უამინდობის დროს.

შედეგი: პირობა იმისა, რომ ამ ეტაპზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან განხორციელდებოდა შიშინაშვილისა და ჭიჭინაძის ქუჩების პრობლემების გადაჭრა, გამგებელმა მოქალაქეებს ვერ მისცა. თუმცა, განაცხადა, რომ მოხდება სხვა ქუჩების მდგომარეობის შესწავლაც და შესაძლებელია თანადაფინანსებითა და სხვადასხვა პროგრამის დახმარებით შეძლონ გზების რეაბილიტაცია. რაც შეეხება კორპუსებთან მისასვლელი გზის მონაკვეთებს, მათთვის გამოინახება სახსრები და 2011 წელს მოწესრიგდება.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

ბორჯომი

ადგილი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 3.02.2011/15:00

თემა: ჯანდაცვა; სოციალური პრობლემები; დასუფთავება; წყალგაყვანილობა; გზის რეაბილიტაცია; კინოთეატრის აღდგენა; ბიზნესისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა

მონაწილეები: საკრებულოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს საბიუჯეტო და

სოციალურ საკითხთა კომისიების თავმჯდომარეები, გამგებლის მოადგილეები, ბორჯომის სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი, საკრებულოს აპარატის უფროსი, მედიის წარმომადგენელი, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრაზე განხილულ იქნა ბორჯომის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ჯანდაცვის პროგრამის მოსარგებლეთა სარეიტინგო ქულის 160 000-დან 200 000-მდე გაზრდის საკითხი. ბორჯომის სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელის განცხადებით, 200 000 სარეიტინგო ქულამდე გაზრდა არ იქნება პრობლემა, ვინაიდან ასეთი კატეგორიის ადამიანები ბევრი არ არიან და, შესაბამისად, დიდ დანახარჯს არ მოითხოვს. აქვე აღინიშნა, რომ 200 000 ქულამდე ოჯახი, სოციალური კატეგორიის მიხედვით, წარმოდგენს საშუალო სიღარიბის ოჯახს, რომელსაც შეიძლება ჰყავდეს მანქანა და სხვა ტექნიკური საშუალებები, შეიძლება ჰქონდეს ასევე ცოტათი მეტი შემოსავალი, ვიდრე ლატა ოჯახს, მაგრამ, სოციალური პროგრამის მიხედვით, ასეთ ოჯახს არ აქვს დაზღვევის პოლისი. შესაბამისად, შესაძლოა ასეთმა ადამიანებმა ვერ ჩაიტარონ სათანადო მკურნალობა სტაციონარში მოხვედრის შემთხვევაში, არასაკმარისი შესაძლებლობების გამო. სწორედ ამიტომ არის საჭირო აღნიშნულ პროგრამაში მოხვედრა. შეხვედრაზე განხილულ იქნა ასევე მოსახლეობისთვის საჭირობო სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

შედეგი: დასაბუთებისა და საინტერესო დისკუსიის შედეგად გადაწყდა, რომ ბიუჯეტის კვარტალური შემოსავლის ოდენობის მიხედვით, მოხდება სოციალური პრობლემების განხილვა და გადაწყვეტა. დასუფთავების პრობლემას რაც შეეხება, მიმდინარე წელს დაგეგმილია დამატებით 1 ნაგვის მანქანისა და ბუნკერების შექმნა. ამასთანავე სოფლებში მიმდინარეობს ნაგავსაყრელების მოწყობა, რისთვისაც უკვე მიმართეს გარემოს დაცვის სამინისტროს ნებართვისათვის. გასული წლიდან დაიწყო წყალგაყვანილობის სრული რეაბილიტაცია, რომლის პარალელურად მოხდება გზის საფარის მოწესრიგებაც. მოსახლეობამ საკრებულოს წარმომადგენლების წინაშე დააყენა სოფელ ფაფაში არსებული გზის, ასევე, სოფელ დვირიდან სოფელ ტახტისძირამდე მიმავალი 5 კილომეტრიანი გზის რეაბილიტაციის საკითხი, რაზეც მიიღეს დაპირება, რომ პრობლემას აუცილებლად განიხილავდნენ. გარე განათების დამონტაჟების მსურველებს კი მიეცათ ინსტრუქცია, რომ განცხადებით მიმართონ საკრებულოს, რის შემდეგაც მოხდება მათი ჩასმა შესაბამის გეგმაში. კინოთეატრის რეაბილიტაციის თაობაზე განიმარტა, რომ ის წარმოდგენს „ქართული ფილმის“ საკუთრებას და, შესაბამისად, ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა ვერ მოხერხდება. ბიზნესისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით აღინიშნა, რომ მიმდინარეობს ინვესტიორების მოზიდვა, რომლებიც ახდენენ ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას და, შესაბამისად, ტურისტული მომსახურების გაუმჯობესებას.



უფროსი, მოქალაქეები

ახალქალაქი

ადგილი: ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 4.02.2011/15:00

თემა: ახალქალაქის წყლის ხარისხის მდგომარეობა, სარწყავი სისტემის, გზისა და ამბულატორიების რეაბილიტაცია, სამარშრუტო ხაზი – გოგაშენი-ახალქალაქის საკითხი, საზოგადოებრივი საპირფარეშოების პრობლემა

მონაწილეები: საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს საბიუჯეტო და სოციალურ საკითხთა კომისიების თავმჯდომარეები, საკრებულოს აპარატის

მიმდინარეობა: შეხვედრა წარმართა დიალოგის რეჟიმში. მოსახლეობის მიერ მიწოდებულ იქნა ინფორმაცია მათთვის პრიორიტეტული საკითხებისა და გადაჭრის გზების შესახებ. თვითმმართველობის წარმომადგენლების თქმით, წყლის ხარისხი ყოველდღიურად მონიტორინგდება და შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტს, რასაც ადასტურებს მათ მიერვე წარმოდგენილი ლაბორატორიული დასკვნა. აქვე აღინიშნა, რომ საკითხი მართლაც ძალიან პრობლემური იყო, ვინაიდან ორი წლის წინ წყალსაცავის სათავესთან აღმოაჩინეს გახრწნილი ცხოველი, რამაც შექმნა პანიკა და წყლის ხარისხის მიმართ გააჩინა უნდობლობა. თუმცა, მდგომარეობა უკვე გამოსწორებულია და დღესდღეობით პრობლემას აღარ წარმოდგენს.

შედეგი: ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების დაპირებით, სახელმწიფო ბიუჯეტის და-

ფინანსებით, მიმდინარე წელს განხორციელდება სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია. ასევე, მიმდინარე წელს, ადგილობრივი ბიუჯეტით, ქალაქის 5 ქუჩაზე განხორციელდება რეაბილიტაცია, ხოლო სოფლის გზების მოწესრიგება დაგეგმილია მომდევნო წლებში. სოფლებში ამბულატორიების ამუშავებაზე ინფორმაცია მიწოდებულ იქნა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის და პასუხს ელოდებიან. სამარშრუტო ხაზი გოგაშენი-ახალქალაქი უკვე ფუნქციონირებს 2010 წლიდან, თუმცა, მისი მოძრაობის გრაფიკი დასახვევია. რაც შეეხება ქალაქში საზოგადოებრივი საპირფარეოს არსებობას, აღნიშნულის გათვალისწინება მოხდება ბიუჯეტში არსებული შემოსავლების ზრდის მიხედვით.



ახალციხე

ადგილი: ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 3.02.2011/12:00

თემა: წყლის ხარისხი, დასუფთავება, ქუჩების რეაბილიტაცია, სარწყავი სისტემების პრობლემა, გართობა, ჯანდაცვა

მონაწილეები: ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, გამგებლის მოადგილე, წყალმომარაგების კომპანიის ფინანსური მენეჯერი, ტელე-კომპანია „მე-9 არხის“ ჟურნალისტი, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრა წარმართა დიალოგის რე-

ჟიმში. მოსახლეობის მიერ მიწოდებული იქნა ინფორმაცია მათთვის პრიორიტეტული საკითხებისა და გადაჭრის გზების შესახებ. შეხვედრაზე განხილულ იქნა სარეკომენდაციო წერილში აღნიშნული საკითხები, კერძოდ: ნაგვის ბუნკერების არასაკმარისი რაოდენობა- 2011 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ბუნკერების შექმნა არა მარტო ქალაქის ცენტრალური ქუჩების, არამედ მთლიანად ქალაქისთვის. ქალაქის შიდა ქუჩების რეაბილიტაცია-გასულ წელს დაიწყო ქუჩების მოპირკეთების პროგრამა და მიმდინარე წელს იგეგმება კიდევ 5 ქუჩის რეაბილიტაცია, რითაც დასრულდება ქალაქის ქუჩების მოწესრიგება. მომავალი წლიდან კი იგეგმება სოფლის გზების აღდგენითი სამუშაოების წარმოება. გარე განათება-2011 წელს ასევე გათვალისწინებულია როგორც ქალაქის, ისე სოფლის ქუჩების გარე განათებით უზრუნველყოფა. სოფლებში სარწყავი წყლის პრობლემა-მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, მიმდინარე წელს იწყება სოფლების სამელიორაციო სისტემის რეაბილიტაცია. ტროტუარები- მიმდინარე წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია კოსტავას ქუჩის, დიდი მამაშვილის ქუჩის მეორე მხარის და ცენტრალური ქუჩების ტროტუარების რეაბილიტაცია. გართობა, ჯანსაღი ცხოვრების მიმართულებით იგეგმება სპორტული სკოლის რეაბილიტაცია. ასევე, გათვალისწინებულია კულტურულ-სპორტულ ღონისძიებათა პროგრამები. რაც შეეხება ჯანდაცვის საკითხს, ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულია შესაბამისი პროგრამები, რაც, მართალია, ვერ მოახდენს ზეგავლენას სამედიცინო მომსახურების ფასებზე, მაგრამ დააწესებს შეღავათებს არსებული მომსახურების სფეროზე. დასაქმების პროგრამის ამოქმედების სურვილი არსებობს, თუმცა, მისი რეალიზების შესაძლებლობას ბიუჯეტი არ იძლევა. სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით აღინიშნა, რომ მსოფლიო ბანკში წარდგენილი აქვთ ორი პროექტი დასაფინანსებლად და პასუხს გაზაფხულზე ელოდებიან. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა შეხვედრის ძირითად თემაზე. განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ ახალციხის წყალსაცავი მარაგდება მინის ზედაპირზე არსებული წყლით, რომელიც გაზაფხულზე იმღვრევა და განაპირობებს წყლის მღვრე შეფერილობას, თუმცა, სისტემატურად იქლორება და შეესაბამება წყლის ხარისხის სახელმწიფო სტანდარტს.

შედეგი: რაც შეეხება შეხვედრის ძირითად თემას, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების განმარტებით, მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, უკვე დაიწყო ახალი წყლის საცავის მშენებლობა, რომელიც გათვლილია მინისქვეშა წყლით მომარაგებაზე, აღიჭურვება ახალი ფილტრებით წყლის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

ნინოწმინდა

ადგილი: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 4.02.2011/12:00

თემა: დასვენების პარკის ორგანიზება

მონაწილეები: ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს კულტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, საორგანიზაციო სამსახურის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების უფროსები, გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრის დასაწყისში, სარეკომენდაციო წინადადებების განხილვისას აღინიშნა, რომ ნინოწმინდის ბიუჯეტი საკმაოდ მწირია და მთლიანად დამოკიდებულია ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე. შესაბამისად, ვერ ხერხდება გზის და სოფლებში სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია. აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა ხორციელდება რეგიონული განვითარების სამინისტროს მიერ და მილენიუმის პროგრამის ფარგლებში. რაც შეეხება სოფლის გზების მოწესრიგებას, მხოლოდ ძირითადი გზების რეაბილიტაციის შემდეგ მოხდება შესაბამისი დაანგარიშება და პრობლემის მოგვარება. ასევე, წარდგენილია პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდში სარწყავი სისტემის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით დამატებით 6 კილომეტრზე. წყლის ხარისხთან მიმართებით გამოითქვა წუხილი, ვინაიდან მოხდა სისტემის ცენტრალიზება და ადგილზე აღარ დარჩა შესაბამისი სამსახური, რომელიც ავარიის ან დაზიანების შემთხვევაში სათანადო რეაგირებას მოახდენს. სოფლებში ამბულატორიების ამუშავებასთან დაკავშირებით ინფორმაცია მიენოდა რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და ელოდებიან პასუხს. საადგოკაციოდ შერჩეული ძირითადი საკითხის განხილვისას აღინიშნა, რომ 2010 წელს დასრულდა პარკ „ქართლოსის“ რეაბილიტაცია, რომელიც 2011 წლის გაზაფხულზე გაიხსნება.

შედეგი: თვითმმართველობა პოზიტიურად არის განწყობილი თანამშრომლობაზე. აღინიშნა, რომ წინადადებები ძალიან აქტუალურია, საჭიროებს მუშაობას და შესაბამის გათვალისწინებას ადგილობრივ ბიუჯეტსა თუ სათანადო საპროექტო წინადადებებში. ამასთან, მოსახლეობამ მიიღო დაპირება, რომ უახლოეს მომავალში ნინოწმინდას არაჩვეულებრივი დასვენების ადგილი ექნება ახლად აღდგენილი პარკის სახით.

ადიგენი

ადგილი: ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 01.02.11/11:00

თემა: დაბა ადიგენის შიდა გზების რეაბილიტაცია

მონაწილეები: საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, მოქალაქეები

მიმდინარეობა: მოქალაქეებმა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა იმსჯელეს მოსახლეობის მიერ გამგეობასა და საკრებულოში შეტანილი სარეკომენდაციო წინადადებების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა დაბისა და სოფლისა შიდა გზების რეაბილიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. როგორც თვითმმართველობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია დროებით შეჩერებულია და 2011 წელს, სავარაუდოდ, ამ პრობლემის მოგვარება ვერ მოხერხდება. თუმცა, მათივე განმარტებით, დაბის შიდა გზების პრობლემა მოგვარებადია. შეხვედრაზე დამატებით განიხილეს კულტურის სახლის რეაბილიტაციის, სოფ. ბოლაჯურში სარწყავი წყლისა და დაბის დასუფთავების მოგვარებასთან დაკავშირებული საკითხები.

შედეგი: საკრებულოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაბის შიდა გზების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით შემუშავებულია ინვესტირების პროექტი და გადაგზავნილია შესაბამის საკოორდინაციო ცენტრში. რაც შეეხება დასუფთავების პრობლემას, იგი მოგვარდება 2011 წელს ტენდერის გამოცხადების შემდეგ. ხოლო სოფ. ბოლაჯურში სარწყავი წყლის საკითხი გადაიჭრება კერძო პირის მიერ. ამაზე იზრუნებს თვითონ სოფლის მკვიდრი, რომელიც სოფლის მოსახლეობას ამ პრობლემის მოგვარებას დაპირდა.

ასპინძა

ადგილი: ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 02.02.11/11:00

თემა: სარწყავი არხების რეაბილიტაცია; გარე განათების გაუმჯობესება

მონაწილეები: საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს ქონებრივი მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე, გამგებლის მოადგილე, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრა დაიწყო იმ სარეკომენდაციო წინადადებების განხილვით, რომლებიც მოქალაქეების მიერ აღნიშნულ შეხვედრამდე იქნა შეტანილი გამგეობისა და საკრებულოს აპარატში. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ „ხალხის მანიფესტი“ საკმაოდ კარგი პროექტია, რადგან ხელს უწყობს მოქალაქეებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ურთიერთ-თანამშრომლობას. ამასთან, მოქალაქეები თავად არიან ჩართული მათივე პრობლემების მოგვარების პროცესში, რაც ხელს უწყობს მოსახლეობისათვის აქტუალურ საკითხებზე ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან უფრო სწრაფ რეაგირებას. სარეკომენდაციო წინადადებების განხილვის შემდეგ, შეხვედრის მონაწილეებმა დეტალურად იმსჯელეს დაბა ასპინძის სარწყავი არხების რეაბილიტაციისა და რაიონისა და სოფლების დონეზე გარე განათებების მოწესრიგების საკითხებზე.

შედეგი: აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ასპინძის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა საკმაოდ პოზიტიურადაა განწყობილი მოსახლეობასთან თანამშრომლობის კუთხით. საკრებულოსა და გამგეობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სარეკომენდაციო წინადადებებს აუცილებლად გაითვალისწინებენ. ასევე აღნიშნეს, რომ მოქალაქეების მიერ შეხვედრაზე დასმული პრობლემა სარწყავ სისტემასა და გარე განათებასთან დაკავშირებით საკმაოდ საყურადღებოა და აუცილებლად იქნება გათვალისწინებული ასპინძის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში.

შიდა ქართლის რეგიონი

გორი

ადგილი: გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 10.02.2011/15:00

თემა: სოფლების კარბი-მერეთის მონაკვეთის გზის რეაბილიტაცია და მოქალაქეთა მიერ წარდგენილი სხვა პრობლემური საკითხები, კერძოდ: სარწყავი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, პედაგოგებისა და დევნილებისათვის ტრანსპორტის საფასურის შეღავათის დაწესება, სოფლის მეურნეობის განვითარების, დასუფთავებისა და საბავშვო ბაღების საკითხები.

მონაწილეები: საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები, გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის წარმომადგენლები, გამგეობის აპარატის უფროსი, გამგეობის საფინანსო სამსახურის წარმომადგენელი, მოქალაქეები

მიმდინარეობა: დასახლებული პრობლემების გარდა, შეხვედრაზე ასევე საუბარი იყო სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. კერძოდ: ადგილობრივი თვითმმართველობა დროულად არ ახდენს რეაგირებას შემოსულ წერილებზე, ხოლო სოფლის რწმუნებულები არ ახდენენ მოსახლეობის ინფორმირებას არსებული პროექტებისა და გადაწყვეტილებების შესახებ. ნაგვის გატანისა და ნაგავსაყრელების მოწყობის საკითხთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ყველა სოფელში არსებობს სპეციალური ორმო, რომელსაც პერიოდულად, გავსებისთანავე ასუფთავებს შესაბამისი სამსახური, რაზეც დამსწრე საზოგადოების მხრიდან გამოითქვა დიდი უკმაყოფილება და აღინიშნა, რომ ეს წესი არ მოქმედებს და ნაგავი არ გააქვთ, არამედ, ხდება მისი გადაყრა მდინარეში და ამით ბინძურდება ეკოლოგია. ვისაც ოჯახში პირუტყვი ჰყავს, საყოფაცხოვრებო ნარჩენებს ამ მიზნით იყენებენ, ხოლო ვისაც ავტომანქანა აქვს, ნაგავი მიაქვს გორში და გორის ნაგვის ურნებში ყრის.

შედეგი: ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების დაპირებით, კონფლიქტის მიმდებარე სოფლებში აშენდება 10 ჭაბურღილი, რომლებიც აღნიშნულ ტერიტორიას წყლით მოამარაგებს. პედაგოგებისათვის ტრანსპორტის საფასურის შეღავათის დაწესებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ ვერ დაფინანსდება, თუმცა, გასული წლის მსგავსად, ასეთი შეღავათის დაწესების თხოვნით სატრანსპორტო კერძო კომპანიებს მიმართავენ. სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით, მუნიციპალიტეტი ახორციელებს პროგრამას, რომლის მიზნებისთვისაც შექმნილ და დამონტაჟებულ იქნა საინფორმაციო დაფები. პროგრამის ფარგლებში ხდება ფერმერთა ინფორმირება შესაძლო დაავადებებისა და მათთან ბრძოლის მეთოდებისა თუ ინსტრუქციების შესახებ. დევნილთათვის სატრანსპორტო შეღავათების დაწესების შესახებ ითქვა, რომ ძალიან კარგი შემოთავაზებაა, მაგრამ ამისათვის საჭიროა სათანადო წესის შემუშავება. ამასთან დაკავშირებით, საკრებულომ კონკრეტული მექანიზმის შემოთავაზება ითხოვა. ასევე აღინიშნა, რომ ასეთი შეღავათის დაწესებისათვის მნიშვნელოვანია, თუ რა მონაცემებს დაეყრდნობიან ხარჯთაღრიცხვის შესადგენად და გასათვალისწინებლად. ნაგვის გატანასთან დაკავშირებით, სათანადო სამსახურს იქვე მიეცა დავალება მის შესასწავლად და დასარეგულირებლად. რაც შეეხება საბავშვო ბაღების საკითხს, მისი მოგვარება შესაძლებელია მუნიციპალიტეტის პრო-

ექტით, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის მიერ შემოთავაზებული წინადადებების თანადაფინანსებას, ასევე, სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში, შესაძლებელია სათანადო ფართის შექმნა ან რეაბილიტაცია. ამასთან, მოხდება ამ ბავშვების ჩართვა მუნიციპალიტეტის ვაუჩერის სისტემაში, რომელიც მოხდება საბავშვო ბაღების დაფინანსება. რაც შეეხება გზის რეაბილიტაციის საკითხს, გამოითქვა დაპირება, რომ მისი გათვალისწინება მოხდება გზების რეაბილიტაციის პროექტში, ხოლო თუ აღიშნული დიდ თანხებს მოითხოვს, ამ ეტაპზე მოხდება აღნიშნული მონაკვეთის მოხრეშვა, ხოლო მომავალ წელს – სრული რეაბილიტაცია.

კასპი

ადგილი: კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 28.02.2011/13:00

თემა: სოფელ ზემო რენის დაწყებითი სკოლის შენობის რეაბილიტაცია; გზის რეაბილიტაცია.

მონაწილეები: საკრებულოს თავმჯდომარე, იურიდიული კომისიის თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის იურიდიული კომისიის თავმჯდომარე, კასპის რესურს-ცენტრის ხელმძღვანელი, სოფ.რენის დაწყებითი საგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა მშობლები, მოქალაქეები

მიმდინარეობა: მოსახლეობამ ხელისუფლებას მიმართა თხოვნით სკოლის რემონტის ჩატარებასთან დაკავშირებით. მეორე პრობლემად დასახელდა სოფელ რენიდან სოფელ ჩობალაურამდე საფეხმავლო გზის მოწყობა (აღნიშნულ მონაკვეთზე სამანქანო მაგისტრალის აშენების დროს არ იქნა გათვალისწინებული მოსახლეობისათვის საფეხმავლო გზის მოპირკეთება, რის გამოც მოსწავლეებს უწევთ მაგისტრალის გადაკვეთა). მოსახლეობის თხოვნით, იმ შემთხვევაში, თუ დროულად ვერ მოხერხდება საფეხმავლო გზის მოპირკეთება, მოსწავლეების გადასაცემად დაინიშნოს სპეციალური ტრანსპორტი სოფელ რენიდან სოფელ ჩობალაურამდე (სადაც მდებარეობს საშუალო სკოლა). რესურს-ცენტრის ხელმძღვანელის თქმით, სოფელ რენის დაწყებითი სკოლას არ აქვს სკოლის სტატუსი, ის არის ჩობალაურის სკოლის ერთ-ერთი კლასი, ამიტომ რესურს-ცენტრი ვერ დააყენებს მისი რეაბილიტაციის საკითხს. რაც შეეხება ტრანსპორტის გამოყოფას, ამაზე შესაძლებელია განათლების სამინისტროს მიმართოს სკოლის დირექციამ, რადგან სკოლას არ აქვს ტრანსპორტირების ხარჯები. საკრებულოს თავმჯდომარემ, სახსრების უქონლობის გამო, მოქალაქეებს ვერ მისცა გადამწყვეტი პასუხი შენობის რეაბილიტაციასთან დაკავშირებითაც. თუმცა, საკითხის პრიორიტეტიდან გამომდინარე, შესაძლებლად მიიჩნია შენობისთვის რემონტის გაკეთება სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში ან მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით.

შედეგი: სოფელ ზემო რენის დაწყებითი სკოლის შენობის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით გადაწყდა, რომ, თუკი სოფლის კრებაზე მოსახლეობა მხარს დაუჭერს საკითხს – სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხა მოხმარდეს შენობას, სადაც დაწყებითი საგანმანათლებლო კლასებია განთავსებული, საკითხი 2011 წელს გადაიჭრება.

ქარელი

ადგილი: ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 2.02.2011/12:00

თემა: სოფელ ბრეძის მიმართულებით ტრანსპორტის დანიშვნის საკითხი; წყალმომარაგებისა და ნაგავ-საყრდენების პრობლემები

მონაწილეები: საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს წევრები, ქარელის სატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელი, სოფელ ბრეძის რწმუნებული, მოქალაქეები

მიმდინარეობა: საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ სოფელ ბრეძის მიმართულებით, მართალია არის ტრანსპორტი დანიშნული, მაგრამ 15.00 საათის შემდგომ ამ მიმართულებით არც ერთი ტრანსპორტი აღარ მოძრაობს, რაც ქმნის გადაადგილების პრობლემას 14 სოფლისთვის. ესენია: ქვენატკოცა, ზემო და ქვემო შაქშაქეთი, ბერძენაული, საციყური, ბრეძა, აბანო, გულიკაანთუბანი, კოდა და ჭვრინისი. ეს მიმართულება უკავშირდება კონფლიქტის ზონას და ამიტომაც ძალზედ მნიშვნელოვანია სათანადო ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

შედეგი: სოფელ ბრეძის მიმართულებით ტრანსპორტის დანიშვნის საკითხთან დაკავშირებით წარმოებული დისკუსიის შედეგად, სატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელმა პირობა მისცა მოსახლეობას, რომ ამ

მიმართულებას დაემატება კიდევ ერთი სატრანსპორტო საშუალება 16:00 საათზე, ხოლო თუ მგზავრთა რაოდენობა არ იქნება საკმარისი, მაშინ 15:00 საათზე გასასვლელი ტრანსპორტი გავა 18:00 საათზე, რაც ასევე უზრუნველყოფს ქარელში ამ სოფლებიდან დასაქმებული ადგიანების გადაადგილებასაც. განხილულ იქნა ასევე სარეკომენდაციო წერილში აღნიშნული სხვა საკითხები, რომელთაგან ერთ-ერთი იყო წყალმომარაგების პრობლემა. ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ წყალმომარაგების პრობლემა უკვე გადაწყდა, ვინაიდან 2010 წელს მთლიანად დასრულდა მუნიციპალიტეტში წყლის მიღების რეაბილიტაცია. ნაგავსაყრელთან დაკავშირებით, თვითმმართველობის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობს მუშაობა, უკვე გამოყოფილია ტერიტორია და ელოდებიან გარემოს დაცვის სამინისტროს ნებართვას. პასუხის მიღებისთანავე პრობლემა გადაიჭრება.

ხაშური

ადგილი: ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 2.02.2011/10:30

თემა: სოფელ დიდი ფლევის წყალმომარაგებისა და ხაშურის რაიონის სოფლებში წყლის სისტემის რეაბილიტაციის საკითხი; დასუფთავებისა და გაზიფიცირების პრობლემები

მონაწილეები: საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს წევრები, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრა წარმართა დიალოგის რეჟიმში. მოსახლეობის მიერ მიწოდებული იქნა ინფორმაცია მათთვის პრიორიტეტული საკითხებისა და გადაჭრის გზების შესახებ.

შედეგი: წყალმომარაგებისა და წყლის სისტემის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ხაშურისა და რაიონის სოფლებში წყლის სისტემის რეაბილიტაცია ხორციელდება ეტაპობრივად. პირველ ეტაპზე მოხდება ხაშურისა და სურამის სისტემების აღდგენა, ხოლო მომდევნო ეტაპზე – მთლიანად რაიონის რეაბილიტაცია. აღნიშნული პრობლემის მოგვარებას უზრუნველყოფს მუნიციპალური განვითარების ფონდი. ნაგვის გატანასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ამჯერად მოსაკრებელი შემოღებულია მხოლოდ ხაშურსა და სურამში, ხოლო მიმდინარე წელს იგეგმება მისი დაწესება სოფლებშიც. პარალელურად, მიმდინარეობს ნაგავსაყრელის ორგანიზების საკითხის გადაწყვეტა გარემოს დაცვის სამინისტროსთან. ყურადღება გამახვილდა გაზიფიცირების საკითხზეც და წარმოდგენილი იქნა გეგმა, რომელსაც ახორციელებს სოკარ-გაზი. პროექტის მიხედვით, მიმდინარე წელს იგეგმება სოფლების: ქვიშხეთის, ბეკამის, ოსიაურის, ცხრამუხის, სურამის, ვაყის, ტეზერის, ხცისის და ცოცხნარის გაზიფიცირება, ხოლო მომავალ წელს გაზის გაყვანა დაიწყება ალისა და ფლევის მიმართულებით.

ქვემო ქართლის რეგიონი



რუსთავი

ადგილი: რუსთავის საკრებულო

თარიღი/დრო: 25.02.2011/13:30

თემა: წყალმომარაგების, ნაგავსაყრელების, ჯანდაცვისა და ბაგა-ბაღების პრობლემები

მონაწილეები: საკრებულოს თავმჯდომარე, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრაზე განხილულ იქნა მოსახლეობისათვის პრობლემატური საკითხები, რომელთა მოგვარებასთან დაკავშირებით, საკრებულოს მხრიდან გარკვეული დაპირებები დაიდო. რაც შეეხება წყალმომარაგების საკითხს, საკრებულოს თავმჯდომარის განმარტებით, რუსთავეწყალი წარმოადგენს კერძო კომპანიას და თვითმმართველობა მის საქმიანობაში ვერ ჩაერევა.

შედეგი: საკრებულოს თავმჯდომარის განმარტებით, რუსთავს უშენდება ახალი ნაგავსაყრელი, რომელიც მალე ექსპლუატაციაში შევა. შედეგად, აღმოიფხვრება ეკოლოგიური და ქალაქის დაბინძურების

პრობლემა. ბაგა-ბალების კეთილ მოწყობის პრობლემასთან დაკავშირებით, საკრებულოს თავმჯდომარე მოქალაქეებს დაპირდა, რომ შენობების რეაბილიტაციისა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღწურვის ხარჯებს მომავალი წლის ბიუჯეტში აუცილებლად გაითვალისწინებენ. რაც შეეხება ჯანდაცვის პრობლემას, უკვე მიმდინარეობს საავადმყოფოების აღჭურვა საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტებით.

მარნეული

ადგილი: მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 09.02.2011/12:00

თემა: კინოთეატრის სამშენებლო სამუშაოები; გზის რეაბილიტაცია; ბიბლიოთეკაში ახალგაზრდების დასაქმების შესაძლებლობა; სასმელი წყლის პრობლემა

მონაწილეები: საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს წევრები, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკური კომისიის თავმჯდომარე, გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, ჟურნალისტები, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრა საკმაოდ დინამიურად წარიმართა. პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებით, საინტერესო მოსაზრებები გამოითქვა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების, არასამთავრობო სექტორის, მედიის და მოქალაქეების მხრიდან. იყო მსჯელობა ელექტროენერჯის მიწოდებისას არსებულ პრობლემებზე, როგორცაა მრიცხველის ზედმეტი ჩვენებები, სუსტი ელექტროგადამცემი ხაზები (მარნეულში ოდნავი ნიავე უკვე სტიქიაა, რადგან შუქი ქრება). თვითმმართველობის წარმომადგენლების განცხადებით, მათ უჭირთ „ენერჯო პრო ჯორჯიას“ წარმომადგენლებთან მოლაპარაკებები. ზოგადად, თვითმმართველობას უჭირს იმ ორგანიზაციებთან ურთიერთობა, რომლებიც ახორციელებენ წყალმომარაგებას, ელექტროენერჯის მიწოდებას, გაზიფიცირებას და აღნიშნავენ, რომ მათზე ზემოქმედების არანაირი ბერკეტი არ გააჩნიათ, ვინაიდან ისინი კერძო კომპანიებს წარმოადგენენ. თუმცა, გამოიკვეთა საინტერესო იდეებიც საკრებულოს წევრთა მხრიდან. მაგალითად, შეხვედრაზე დამსწრე საკრებულოს წევრმა, რომელიც იმავდროულად სოფელ ოფრეთის მაჟორიტარი დეპუტატია, გამოთქვა ახალგაზრდებისათვის საზაფხულო ბანაკის ორგანიზების სურვილი სოფელ ოფრეთში, სადაც შესანიშნავი ბუნებრივი პირობებია. ამ მიმართულებით აპირებენ მუშაობის გაგრძელებას სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან. თვითმმართველობის წარმომადგენლების მხრიდან იყო გარკვეული სკეპტიკური დამოკიდებულებაც გარკვეულ საკითხებთან მიმართებით. მიაჩნიათ, რომ მათ არ აქვთ საკმარისი უფლებამოსილება პრობლემების მოსაგვარებლად, რაც, ალბათ, იმის შედეგია, რომ ვერ ერკვევიან საკუთარ უფლებამოსილებებში.

შედეგი: კინოთეატრის მშენებლობასთან დაკავშირებით, შეხვედრაზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები მოსახლეობას დაპირდნენ, რომ გამგეობა და საკრებულო დაინყებს მოლაპარაკებებს მშენებელ კომპანიასთან და არაუგვიანეს მიმდინარე წლის შუა პერიოდისათვის მშენებლობის პროცესი დასრულდება. საკრებულოს ერთ-ერთი წევრი დაინტერესდა აღნიშნული საკითხით, რომელსაც საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გაიტანს. საკრებულოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ მუსხელიშვილის ქუჩაზე ასფალტის საფარის დაგება პროექტით გათვალისწინებულია, უბრალოდ, ელოდებიან ამინდის გაუმჯობესებას და შესაბამის სამუშაოებს დაიწყებენ. რაც შეეხება სულხან-საბას ქუჩას, მოქალაქე, რომელიც აღნიშნული ქუჩის მცხოვრებია და შეხვედრას ესწრებოდა, კერძო ვიზიტით დაიბარა საკრებულოს თავმჯდომარემ, რათა დაინყოს კონსულტაციები აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად. თვითმმართველობის წარმომადგენლების განცხადებით, სასმელი წყლის პრობლემის (დაზიანებული მილები, წყლის მიწოდების შეფერხება და სხვა) გადაწყვეტა ადგილობრივი ხარჯებით ვერ მოხერხდება. მთელი მარნეულის მასშტაბით მიმდინარეობს წყლის მიწოდების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელსაც წყალმომარაგების გაერთიანებული კომპანია, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, აზიის განვითარების ბანკის ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს. სამუშაოების პირველი ეტაპი 2012 წლისათვის დასრულდება.

ბოლნისი

ადგილი: ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 9.02.2011/12:00

თემა: წყალმომარაგების, სადრენაჟო და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია; ჯანდაცვის, განათლებისა და ეკოლოგიური პრობლემები

მონაწილეები: საკრებულოს თავმჯდომარე, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრაზე განხილულ იქნა მოსახლეობისათვის პრობლემატური საკითხები. საკრებულოს თავმჯდომარე დაპირდა მოსახლეობას, რომ აღნიშნულ პრობლემას შეძლებისდაგვარად მოაგვარებდნენ. საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, საკრებულოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნული პრობლემის მოგვარების პროცესი უკვე დაწყებულია. კერძოდ, მთლიანად დასრულებულია ქალაქ ბოლნისში საკანალიზაციო სისტემის გაყვანის I და II ეტაპი და ამჟამად მიმდინარეობს სასამელი წყლის მიღების გამოცვლა. მიმდინარეობს საავადმყოფოს მშენებლობა.

შედეგი: საკრებულოს თავმჯდომარის განმარტებით, ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესების (კაზრეთის მადნეულის საბადო)საკითხი, ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაა და ამ კუთხით საკანონმდებლო ცვლილებებიც გასატარებელია.

გარდაბანი

ადგილი: გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 16.02.2011/12:00

თემა: შიდა ტრანსპორტირება ქ.გარდაბანში; ეკოლოგიური პრობლემები (ნაგავსაყრელები და მანანწალა ძაღლები); სასამელი წყლისა და სადრენაჟო/საკანალიზაციო სისტემები

მონაწილეები: საკრებულოს თავმჯდომარე, გამგებელი, გამგებლის მოადგილე, საკრებულოს საფინანსო კომისიის თავმჯდომარე, შპს „თამაზ ჟღენტი და კომპანიის“ ხელმძღვანელი, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრა საკმაოდ დაძაბულ გარემოში მიმდინარეობდა, ვინაიდან აქტიური მოქალაქეები აღნიშნავდნენ, რომ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის კუთხით ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობა გარდაბნის მუნიციპალიტეტში იყო. საკრებულოს თავმჯდომარემ შეხვედრაზე აღნიშნა, რომ 2011 წელს იგეგმება ქ.გარდაბნის ნაწილობრივ კეთილმოწყობა, ხოლო თანხების მოზიდვის შემთხვევაში, გარდაბანი სრულად კეთილმოწყობა. შეხვედრის დროს ასევე დაისვა ქალაქ გარდაბანში შიდა ტრანსპორტის დანიშვნის საკითხი, ვინაიდან პროექტში ჩართულ აქტიურ მოქალაქეებს მიაჩნიათ, რომ ქალაქში არსებული ტრანსპორტი არ არის საკმარისი მოსახლეობის გადაადგილებისათვის.

შედეგი: ვინაიდან შეხვედრის ძირითადი საკითხი იყო შიდა ტრანსპორტირების უზრუნველყოფა, გადაწყდა, რომ 2011 წლის მარტიდან გამოიყოფა საცდელი სამარშრუტო ტაქსი ქალაქ გარდაბნის მაცხოვრებლებისათვის. ამასთან, მოგვარდება ეკოლოგიური პრობლემები (ნაგავსაყრელები და მანანწალა ძაღლები). 2011 წლის სექტემბერში საბოლოოდ გადაწყდება დასუფთავების საკითხი, რადგან დამთავრდება რეგიონული პროექტი და რუსთავ-გარდაბნის საზღვარზე აშენდება ახალი ტიპის ნაგავსაყრელი. ამ პროექტის ფარგლებში შეიქმნენ: გარდაბანში 1, ხოლო რუსთავში 3 მანქანას, რომლებიც უზრუნველყოფს ნაგვის გადატანას. ამასთან, ლელაშხას დასახლებაში დამატებით დადგამენ ერთ სარეზერვო ნაგვის ურნას, ხოლო 2011 წლის გაზაფხულიდან დაიწყება მანანწალა ძაღლების ქალაქ გარდაბნიდან გაყვანის პროცესი.

დმანისი

ადგილი: დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 29.01.11/13:00

თემა: სოფ. ჯავახეთის წყალმომარაგება; დმანისის მუნიციპალიტეტის სარწყავი სისტემა

მონაწილეები: დმანისის მუნიციპალიტეტის რწმუნებული, საკრებულოს 2 წევრი, გაეროს განვითარების პროგრამის კოორდინატორი, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრის დასაწყისში განხილულ იქნა აქტიური მოქალაქეების მიერ მომზადებული და წარდგენილი სარეკომენდაციო წინადადებები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სოფელ ჯავახეთში წყალმომარაგების საკითხზე. ადგილობრივმა თვითმმართველობამ აღნიშნა, რომ პრობლემა აუცილებლად უნდა მოგვარდეს და ამ საკითხზე მიმდინარეობს მუშაობა. თუმცა, ისიც ითქვა, რომ პრობლემის სრულყოფილად გადაჭრა მხოლოდ დმანისის მუნიციპალიტეტის სახსრებით ვერ მოხერხდება და აუცილებელია ცენტრალური ბიუჯეტიდან ან რაიმე სახის გრანტით დახმარება. ვინაიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სარწყავი სისტემები განეკუთვნება სახელმწიფო ქონებას, შე-

საბამისად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან სახსრების მიმართვა, კანონით, არ შეიძლება. საკრებულომ 2009 წლის 3 მარტის №137 წერილით აღნიშნული პრობლემის გადაჭრის თხოვნით მიმართა სოფლის მეურნეობის სამინისტროს. შედეგად, მივლენილ იქნენ სპეციალისტები, რომლებმაც შეისწავლეს მთისძირი-ჯავახეთის სარწყავი სისტემის აღსადგენად საჭირო სამუშაოების მოცულობა, თუმცა, დიდი ხარჯების გამო, ამ საკითხზე მუშაობა დროებით შეჩერდა.

შედეგი: ამჟამად მიმდინარეობს პროცესი ახალი სახსრების მოსაზიდად როგორც ცენტრალური ბიუჯეტიდან, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების თქმით, მხოლოდ სახსრების მოძიების შემდეგ იქნება შესაძლებელი ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოგვარება.



თეთრინყარო

ადგილი: თეთრინყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 30. 12.10/12:00

თემა: სოფ. აბელიანის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია

მონაწილეები: საკრებულოს თავმჯდომარე, გამგებლის მოადგილე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, საკრებულოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, მოქალაქეები

მიმდინარეობა: ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ისაუბრეს მათ მიერ განხორციელებულ საქმიანობებსა და 2011 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულ პრიორიტეტებზე. ასევე აღნიშნეს, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორც არის მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურის მონესრიგება და სოციალური პრობლემების მოგვარება. აქვე ითქვა, რომ 2011 წლის აპრილის თვიდან იგეგმება თეთრინყაროს მე-2 ქუჩისა და მენკალისის წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება. დაწყებულია 15 სანოლიანი ახალი საავადმყოფოს მშენებლობა და მოსახლეობისათვის სხვა მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარება. განსაკუთრებული ყურადღებით განიხილეს სოფ. აბელიანის მისასვლელი გზის პრობლემა, რომელიც ჯერ კიდევ 2009 წელს სამართლიანი არჩევნებისა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ერთობლივად განხორციელებული „თემის მობილიზების“ პროექტის ფარგლებში გამოიკვეთა. კერძოდ, მოუწესრიგებელი გზის გამო, შეუძლებელი იყო სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილება.

შედეგი: აღსანიშნავია, რომ სოფ. აბელიანის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია დასრულებულია და, ამ დროისთვის, შესაძლებელია ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილება ნებისმიერ ამინდში.

ნალკა

ადგილი: ნალკის მუნიციპალიტეტის გამგეობა

თარიღი/დრო: 03.02.11/12:00

თემა: ჯანდაცვის სისტემა

მონაწილეები: ფინანსური სამსახურის უფროსი, საკრებულოს წევრები, სოციალური სამსახურის თანამშრომლები, მოქალაქეები

მიმდინარეობა: მოქალაქეებმა წარადგინეს მათ მიერ შემუშავებული სარეკომენდაციო წინადადებები, რომლებიც, მათი აზრით, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული 2011 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში. განხილულ იქნა ფოკუს-ჯგუფების შეხვედრების შედეგად დაფიქსირებული საკითხები. შეხვედრაზე მსჯელობისას გამოიკვეთა, რომ ამ პრობლემების უმეტესობა უკვე მოგვარებულია, კერძოდ, მთლიანად გაკეთდა დედაქალაქთან მისასვლელი გზა, მოხდა სრული გამრიცხველიანება, განათდა თითქმის ყველა ქუჩა, მოგვარდა წყალმომარაგების საკითხი, გამოიცვალა ძველი ელექტროენერჯის ბოძები და ხაზები, ქუჩაში აღარ დადინა მანანალა ძაღლები. შეხვედრის მონაწილეებმა, განსაკუთრებული ყურადღებით გა-

ნახილეს ჯანდაცვის სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები. მოქალაქეების თქმით, საავადმყოფოს არ გააჩნია ახალი აპარატურა, რაც ართულებს ავადმყოფების გამოკვლევისა და ზუსტი დიაგნოზის დასმის შესაძლებლობას.

შედეგი: მუნიციპალიტეტის ფინანსური სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ 2011 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ასახულია ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამა, რომლის მეშვეობითაც მოხდება საავადმყოფოებში არსებული პრობლემების მოგვარება და მათი აღჭურვა ახალი აპარატურით.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი

მცხეთა

ადგილი: მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 06.01.11/12:00

თემა: შიდა გზების და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია, გასართობი დაწესებულებების არარსებობა.

მონაწილეები: საკრებულოს აპარატის უფროსი, მთავარი სპეციალისტი, საკრებულოს წევრი, იურიდიულ სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მოქალაქეები

მიმდინარეობა: მოქალაქეებმა ხელისუფლების წარმომადგენლებს წარუდგინეს სარეკომენდაციო წინადადებები, კერძოდ, იმსჯელეს მოსახლეობისათვის ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებზე, როგორც არის შიდა გზების მოასფალტება, სოფლებში საკანალიზაციო სისტემებისა და გასართობი დაწესებულებების არარსებობა. მოქალაქეებმა მოითხოვეს აღნიშნული პრობლემების გათვალისწინება და მოგვარება 2011 წელს.

შედეგი: ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მოქალაქეების მიერ დასახელებული პრობლემები გათვალისწინებულია 2011 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში და უახლოეს მომავალში აუცილებლად გადაიჭრება.

ყაზბეგი

ადგილი: ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 24.01.11/12:00

თემა: ინდივიდუალური ელექტრო გამრიცხველიანება

მონაწილეები: გამგებელი, გამგეობის აპარატის უფროსი, დაბა გუდაურის რწმუნებული, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრა წარმართა დიალოგის რეჟიმში. ძირითადად განხილული იყო ის პრობლემები, რომლებიც მოსახლეობის მიერ დაფიქსირდა ჯერ კიდევ 2009 წელს „სამართლიანი არჩევნებისა“ და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ერთობლივად განხორციელებული, „თემის მობილიზების“ პროექტის ფარგლებში, საადვოკაციო შეხვედრების დროს. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ რამდენიმე სოფელში უკვე მოგვარდა ინდივიდუალური გამრიცხველიანების პრობლემა. ელექტრო გამრიცხველიანების გარდა, შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს სასმელი წყლის, შიდა გზების, ბუნებრივი არის შიდა ქსელის რეაბილიტაციისა და გარე განათების მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. კერძოდ, რა გაკეთდა, რა კეთდება და რა აქტივობებია დაგეგმილი 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით.

შედეგი: ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ინდივიდუალური ელექტრო გამრიცხველიანება ხორციელდება ეტაპოვნურად და დასრულდება 2012 წელს.

დუშეთი

ადგილი: დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

თარიღი/დრო: 15.02.2011/12:00



თემა: დუშეთის მიმდებარე ხევის განმენდა; ნაპირსამაგრი სამუშაოები და ხიდების რეაბილიტაცია

მონაწილეები: საკრებულოს თავმჯდომარე, მოქალაქეები

მიმდინარეობა: მოსახლეობის განმარტებით, სამივე პრობლემა – ხევის განმენდა, ნაპირსამაგრი სამუშაოები და ხიდების რეაბილიტაცია – ერთობლიობაში პრიორიტეტულ საკითხებს წარმოადგენს, ვინაიდან, მხოლოდ ხევის განმენდას აზრი არ ექნება, თუ არ ჩატარდა ნაპირსამაგრი სამუშაოები და არ მოხდა ხიდების რეაბილიტაცია. აზრთა შეჯერების საფუძველზე, შეხვედრის მონაწილენი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ვინაიდან ამ ეტაპზე არ არსებობს ხიდების რეკონსტრუქცია-მშენებლობისათვის საჭირო სოლიდური თანხები, გაზაფხულზე, მოსალოდნელი წყალუხვობის პერიოდში, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, კერძოდ, ხევის განმენდითი სამუშაოების დაწყება.

შედეგი: საკრებულოს თავმჯდომარის დაპირებით, უახლოეს მომავალში, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოთავისუფლებული თანხებით მოხდება საწვავის შექენა და ადგილობრივი თვითმმართველობის ბალანსზე რიცხული ტექნიკით დუშეთის მიმდებარე ხევის განმენდა.

კახეთის რეგიონი

თელავი

ადგილი: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 28.02.2011

თემა: სოფლის სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია; სოფელ სანიორეში სასმელი წყლის მიღების რეაბილიტაცია

მონაწილეები: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, სოფ.ლაფანყურის რწმუნებული, მედია, მოქალაქეები

მიმდინარეობა: გზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, შეხვედრაზე გადაწყდა, რომ შესაბამის სამსახურს დაევალება პროექტის შედგენა, ხოლო სპეციალისტები ადგილზე შეისწავლიან მდგომარეობას და გააკეთებენ ხარჯთაღრიცხვას. შეხვედრაზე საუბარი იყო, ასევე, სოფ. სანიორეში სასმელი წყლის მიღების რეაბილიტაციაზე.

შედეგი: ადგილობრივი ხელისუფლების დაპირებით, სოფლის საკუთრებაში არსებულ ტექნიკას გამოეყოფა საწვავი სადრენაჟო არხის გასაკეთებელი სამუშაოებისათვის. სასმელი წყლის მიღების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით გადაწყდა, რომ საკითხს დეტალურად შეისწავლიან და გამართავენ შეხვედრებს მოსახლეობასთან.

ლაგოდესი

ადგილი: ლაგოდესის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 1.03.2011/12:00

თემა: ქ. ლაგოდესში მდინარე შრომის ხეზე მდებარე ხიდისა და მოაჯირის დაზიანებული ადგილების რეაბილიტაცია

მონაწილეები: ლაგოდესის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ინფრასტრუქტურისა და სივრცით-დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს აპარატის უფროსი, მოქალაქეები

მიმდინარეობა: ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა განმარტებით, პრობლემის მოგვარებისათვის თანხები ბიუჯეტიდან ვერ გამოიყოფა, ვინაიდან აღნიშნული გზის მონაკვეთი წარმოადგენს საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზას, ამიტომ მათ მხოლოდ შეუძლიათ, რომ წერილობით მიმართონ საქართველოს საგზაო დეპარტამენტს პრობლემის აღმოფხვრის თხოვნით.

შედეგი: მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ დაინერა წერილი საქართველოს საგზაო დეპარტამენტის თავმჯდომარის სახელზე.

გურჯაანი

ადგილი: გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 24.02.2011/14:00

თემა: სოფელ ვეჯინში მდებარე ხევის განმენდა და მიყენებული ზარალის ანაზღაურება

მონაწილეები: გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, გამგებლის პირველი მოადგილე, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, მედია, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრის დროს განხილულ იქნა საკითხი იმის შესახებ, თუ მოსახლეობის რა ნაწილი იყენებს ამოვსებულ ხევს, როგორც საუბნო გზას, რამდენ მოსახლეს უქმნის საფრთხეს ამოვსებული ხევი. ტექნიკური თვალსაზრისით, რამდენად მართებულია ხევის ძირის დაბლა დანევა. ასევე აღინიშნა, რომ ხევთან დაკავშირებული სამუშაოები უნდა განხორციელდეს წყალდიდობების დაწყებამდე. რაც შეეხება მიყენებულ ზარალს, იგი განისაზღვრა 5000 ლარით, რომლის გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს სარეზერვო ფონდიდან.

შედეგი: ადგილობრივი ხელისუფლების განმარტებით, ხევის განმენდითი სამუშაოების დაწყება შესაძლებელი იქნება მარტის ბოლოს, როცა შედგება კონკრეტული პროექტი და მოხდება ხარჯთაღრიცხვა.

სიღნაღი

ადგილი: სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 24.01.11/14:00

თემა: ქ. სიღნაღში 24 საათიანი წყლით მომარაგება; ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტაცია; ქ. სიღნაღში საჯარო ბიბლიოთეკისათვის შენობის გამოყოფა

მონაწილეები: საკრებულოს თავმჯდომარე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, არასამთავრობო ორგანიზაციის „გადავარჩინოთ სოფელი“ თავმჯდომარე, ქრისტიან დემოკრატების ადგილობრივი ლიდერი, მოქალაქეები

მიმდინარეობა: შეხვედრა წარიმართა საკმაოდ აქტიურად. მონაწილეებმა იმსჯელეს ფოკუს-ჯგუფების შეხვედრების შედეგად გამოვლენილ პრობლემებზე. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა სათითაოდ განიხილეს დასახელებული პრობლემები. აღმოჩნდა, რომ საკითხების უმეტესობა უკვე მოგვარებულია. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სასმელი წყლით მომარაგებისა და ბიბლიოთეკისათვის შენობის გამოყოფის საკითხებზე.

შედეგი: ჩატარებული მრგვალი მაგიდის შედეგად, საკრებულოს თავმჯდომარისგან მიღებულია დაპირება ქალაქის 24 საათიანი წყლით მომარაგებისა და ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტაციის შესახებ. რაც შეეხება საჯარო ბიბლიოთეკისათვის შენობის გამოყოფის საკითხს, კონკრეტული დაპირება არ ყოფილა.

საგარეჯო

ადგილი: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 14.02.2011/12:00

თემა: სტალინის ქუჩაზე გარე განათების, სასმელი წყალით მომარაგების, სანაგვე ურნების დადგმის საკითხების გადაწყვეტა, სავალი გზისა და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია

მონაწილეები: საკრებულოს თავმჯდომარე, სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, სამანდატო და საპროცედურო საკითხების განყოფილების უფროსი, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს საორგანიზაციო საკითხების განყოფილების მთავარი სპეციალისტი, ქალაქის დასუფთავების სამსახურის – შპს „პროგრესის“ წარმომადგენელი, მოქალაქეები

მიმდინარეობა: მრგვალი მაგიდის მიმდინარეობის დროს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა სტალინის ქუჩის მაცხოვრებლებთან ერთად დეტალურად განიხილეს სტალინის ქუჩაზე არსებული პრობლემები. პრობლემებზე მსჯელობის შემდგომ, საკრებულოს თავმჯდომარემ დაავალა სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს სავალი გზის და სანიაღვრე არხის მდგომარეობის შესწავლა და საკითხის დადებითად გადაწყვეტა მარტის თვის დასრულებამდე. სტალინის ქუჩაზე უახლოეს ხანებში სანაგვე ურნების დადგმა დაევა ქალაქის დასუფთავების სამსახურს. ასევე, გაიმართა მსჯელობა სტალინის ქუჩის გარე განათების და წყალმომარაგების შესახებაც, მაგრამ კონკრეტული დაპირება ამ პრობლემის მოგვარების კუთხით არ გაცემულა.

შედეგი: სტალინის ქუჩაზე მცხოვრებმა მოქალაქეებმა მიიღეს საჯარო დაპირება საკრებულოს თავმჯდომარისა და სხვა პასუხისმგებელი პირებისაგან, რომ უახლოეს მომავალში მოხდება გზის რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების განმენდა-შეკეთება და სანაგვე ურნების დადგმა.



დედოფლისწყარო

ადგილი: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 17.02.11/16:00

თემა: ქ. დედოფლისწყაროს გამარჯვების ქუჩის რეაბილიტაცია

მონაწილეები: საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, გამგებელი, გამგეობის აპარატის უფროსი, მოქალაქეები

მიმდინარეობა: მრგვალი მაგიდის მიმდინარეობისას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოისმინეს მოქალაქეთა ნუხილი გამარჯვების ქუჩაზე დაწყებული და შემდგომ შეჩერებული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ. საკრებულოს თავმჯდომარემ განმარტა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შეჩერების მიზეზი. ამასთან, შეხვედრაზე იმსჯელეს მიმდებარე ქუჩების რეაბილიტაციის შესახებაც.

შედეგი: ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მოქალაქეებს დაპირდნენ პრობლემის უფრო დეტალურად განხილვას და მოგვარებას უახლოეს მომავალში.

ახმეტა

ადგილი: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თარიღი/დრო: 11.03.11/13:00

თემა: საბეროს გზის რეაბილიტაცია

მონაწილეები: ახმეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ინრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების გამგეობის მთავარი სპეციალისტი, გამგებლის პირველი მოადგილე, საკრებულოს აპარატის უფროსი, მოქალაქეები

მიმდინარეობა: მრგვალი მაგიდის მიმდინარეობის დროს მოქალაქეებმა დასვეს საკითხი საბეროს გზის კაპიტალური შეკეთების შესახებ, რის პასუხადაც გამგებლის მოადგილემ მოქალაქეებს აუხსნა ის მიზეზები, რომელთა გამოც საბეროს გზა მხოლოდ ნაწილობრივ შეკეთდა. მისი თქმით, 2011 წლისთვის მეტი სამუშაოს ჩატარება ამ ეტაპზე არ იგეგმება, რადგან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გზების შეკეთებაზე მცირე თანხებია გამოყოფილი.

შედეგი: საკრებულოს თავმჯდომარის განმარტებით, თუკი გაჩნდება ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსური სახსრები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გზების რეაბილიტაციაზე, პრიორიტეტი მიენიჭება საბეროს გზის მშენებლობას. თუმცა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყოველთვის იქნება იმის შესაძლებლობა, რომ, დაზიანების შემთხვევაში, გზა ნაწილობრივ შეკეთდეს.

მიღწეული შედეგები

მონიტორინგის განხორციელების პერიოდში, განცხადებების, სარეკომენდაციო წერილებისა და საადვოკაციო შეხვედრების შედეგად, **43** შემთხვევაში ადგილობრივმა თვითმმართველობებმა გაითვალისწინეს და მოაგვარეს მოსახლეობის მიერ წარდგენილი პრობლემები. ხოლო **65** საკითხი ადგილობრივი თვითმმართველობების დაპირებით, გათვალისწინებულ იქნება უახლოეს მომავალში.

გათვალისწინებული და მოგვარებული პრობლემები:

რეგიონი	მუნიციპალიტეტი	შედეგი
სამეგრელო ზემო სვანეთი	წალენჯიხა	მოქალაქეს გაუკეთდა გადაუდებელი ოპერაცია. მას განმეორებით კვლავ დასჭირდა ოპერაციის გაკეთება და, სახსრების უქონლობის გამო, დახმარების თხოვნით მიმართა გამგეობას. გამგეობამ გაითვალისწინა მოქალაქის თხოვნა და ჩაურიცხა თანხა 300 ლარის ოდენობით.
სამეგრელო ზემო სვანეთი	ჩხოროწყუ	მოქალაქეთა ინიციატივით, სოფელ თაიაში სკოლის ტერიტორიაზე გაკეთდა სპორტული მოედანი.
სამეგრელო ზემო სვანეთი	ხობი	მოქალაქეთა ინიციატივით, 2011 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა თანხა 20 000 ლარის ოდენობით, ხეთის საჯარო სკოლის შემოსაღობად.
სამეგრელო ზემო სვანეთი	მარტვილი	მოქალაქეთა განცხადებებისა და საადვოკაციო შეხვედრის შედეგად, შედგა ხონი-მარტვილის დამაკავშირებელი ხიდის პროექტი და გადაეგზავნა საგზაო დეპარტმენტს. ამის შემდეგ ჩატარდა გარკვეული სამუშაოები და მოძრაობა აღდენილია მსუბუქი ავტომანქანებისა და მიკროავტობუსებისათვის.
სამეგრელო ზემო სვანეთი	ზუგდიდი	მოქალაქეთა განცხადებებისა და საადვოკაციო შეხვედრის შედეგად: 1) სოფელ ორსანტიაში არსებულ ჯებირების რეაბილიტაციის საკითხი შესწავლილ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ და გადაწყდა მისი სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დაფინანსება. 2) დანყებულა შევჩენკოს ქუჩის რეაბილიტაცია.
სამეგრელო ზემო სვანეთი	მესტია	მოქალაქეს რომელსაც ხანძრისგან სახლი დაენვა, წერილობით მიმართა გამგეობას დახმარების თხოვნით. შედეგად, მოქალაქეს დახმარების სახით ჩაერიცხა თანხა 1500 ლარის ოდენობით.
რაჭა ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	ონი	1) მოქალაქის განცხადების საფუძველზე, განხორციელდა ონის გარეუბნის – ახაშენის გარე განათების დამონტაჟება. 2) მოქალაქის განცხადების საფუძველზე, 2011 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა ბარათაშვილის ქუჩაზე პატარა სკვერის კეთილმოწყობა, რომელიც გაზაფხულზე გაკეთდება. 3) მოქალაქეს, რომელმაც ეზოში წყლის შეყვანის მოთხოვნით მიმართა გამგეობას, მოთხოვნა დაუკმაყოფილეს. 4) საადვოკაციო შეხვედრაზე მსჯელობის და დამატებით განცხადების შეტანის შემდეგ, მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამოიწია სახსრები 15-20 ნაგვის ბუნკერის შესაძენად.
რაჭა ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	ლენტეხი	საადვოკაციო შეხვედრაზე დაყენებული საკითხისა და მოქალაქეთა განცხადების საფუძველზე, სადაც საუბარი იყო დასუფთავების პრობლემასა და მეურვეების დასაქმებაზე, ჩატარდა ტენდერი და, დაპირებისამებრ, გამარჯვებულმა ფირმამ „კომუნალური 2009“ დაასაქმა მეურვეები. შედეგად, უკვე მიმდინარეობს დაბის ქუჩების დაგვა-დასუფთავება.
იმერეთი	ჭიათურა	მოქალაქეთა განცხადების საფუძველზე, ჭიათურის დრამატული თეატრის წინ განხორციელდა დაზიანებული საკანალიზაციო ქსის გასუფთავება.
იმერეთი	ტყიბული	მოქალაქეთა მიერ სარეკომენდაციო წერილში ერთ-ერთ პუნქტად მითითებული გარეუბნების განათების საკითხი დადებითად გადაიჭრა.
იმერეთი	ქუთაისი	მოქალაქეთა რეკომენდაციის შედეგად, ქუთაისში 2011 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში დასუფთავების დაფინანსებაზე თანხები გაიზარდა და შესრულდა საკმაოდ ბევრი სამუშაო, შეძენილ იქნა ავტომანქანები, როგორც ნაგავმზიდი, ისე ოპერატიული და დაიდგა ახალი ნაგვის ურნები.

იმერეთი	ბაღდათი	მოქალაქეების რეკომენდაციის შედეგად, 2011 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ბიბლიოთეკების დაფინანსებისათვის თანხა გაიზარდა.
იმერეთი	წყალტუბო	მოქალაქეთა საადვოკაციო საქმიანობის შედეგად, დასუფთავების პრობლემის კუთხით უკვე შესრულდა გარკვეული სამუშაოები. კერძოდ, შექმნილ იქნა 3 ნაგავშემკრები მანქანა, ახალი ურნები. ნაგავშემკრები ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა წარმოებს ყოველდღიურად.
მცხეთა მთიანეთი	დუშეთი	1) მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე, ერთჯერადი დახმარების სახით, შემის შესაძენად, 150 ლარი გაიცა 71 სოციალურად დაუცველ მოქალაქეზე. 2) 2011 წლის ბიუჯეტის პროექტით, ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 137,5 ათასი ლარი. წარდგენილი რეკომენდაციის შედეგად, ბიუჯეტის დამტკიცებულ ვარიანტში აღნიშნული თანხა შეკვეცილ იქნა 56 ათასი ლარით და შეადგინა 81,5 ათასი ლარი.
შიდა ქართლი	ქარელი	მოქალაქეთა განცხადებისა და საადვოკაციო მრგვალი მაგიდის შედეგად, გადაწყდა ქვენატკოცა-ბრედის მიმართულებით ტრანსპორტით უზრუნველყოფის საკითხი. ამ მიმართულებას დაემატება ერთი სატრანსპორტო საშუალება 16:00 საათზე, ხოლო თუ მგზავრთა რაოდენობა არ იქნება საკმარისი, 15:00 საათზე გასასვლელი ტრანსპორტი გავა 18:00 საათზე.
შიდა ქართლი	გორი	1) გორის მუნიციპალიტეტის მიერ გათვალისწინებული იქნა მოქალაქეების რეკომენდაცია, რომ სხდომაზე მოქალაქეთა განცხადებები განხილული ყოფილიყო ადმინისტრაციული საჩივრის პროცედურების დაცვით, რაც დეკემბერში ჩატარებულ სხდომაზე უკვე აისახა. 2) მოქალაქეთა რეკომენდაციის შედეგად, ნოემბერ-დეკემბრის თვეში სოფლებში განთავსებულ აბრეზებზე მოხდა მოსახლეობის ინფორმირება დაგეგმილი სხდომების შესახებ და სხდომების დღის წესრიგების გაკვრა/გავრცელება.
შიდა ქართლი	ხაშური	მოქალაქეთა განცხადებისა და საადვოკაციო მრგვალი მაგიდის შედეგად, გადაწყდა სოფელ დიდი ფლევის წყალმომარაგების საკითხი. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა მოხდება სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში.
სამცხე ჯავახეთი	ახალქალაქი	მოქალაქეთა განცხადების შედეგად, მოხდა წყლის ხარისხის შემოწმება ქალაქ ახალქალაქში და დადგინდა, რომ წყალი ვარგისია მოხმარებისათვის.
სამცხე ჯავახეთი	ასპინძა	ადგილობრივმა ხელისუფლებამ კომპეტენციის ფარგლებში გაითვალისწინა ისეთი საკითხების მოგვარება როგორცაა. 1) წყალმომარაგების პრობლემის მოგვარება 2) შეღავათიან ფასებში შხამქიმიკატებით სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფა 3) ინდივიდუალური გამრიცხველიანება 4) სოფლების შიდა გზების რეაბილიტაცია 5) გაზიფიცირება
სამცხე ჯავახეთი	ადიგენი	მოქალაქეთა რეკომენდაციის შედეგად, 2011 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა: 1) დასუფთავების პრობლემა (ნაგვის ბუნკერების ნაკლებობა და არსებულათვის სახურავების არ ქონა) 2) კულტურის სახლის რეაბილიტაცია
ქვემო ქართლი	ბოლნისი	მოქალაქეთა ინიციატივით, სოფელ რაჭისუბანში განხორციელდა სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია.
ქვემო ქართლი	თეთრიწყარო	მოქალაქეთა საადვოკაციო საქმიანობების შედეგად, სოფ. აბელიანის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია დასრულებულია და ამ დროისთვის შესაძლებელია ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილება, ნებისმიერ ამინდში.
კახეთი	სიღნაღი	1) მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე, ქ. სიღნაღში ერეკლე II-ის ქუჩაზე გაკეთდა გარე განათება; 2) მოქალაქეთა განცხადების საფუძველზე, სოფელ ვაქირში დაიწყო ამბულატორიის რეაბილიტაცია.

კახეთი	ახმეტა	მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე: 1) სოფელ ქისტაურში განხორციელდა საბავშვო ბაღისა და მასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 2) ქ. ახმეტაში მოხდა „საბეროს“ გზის ნაწილობრივი რეაბილიტაცია.
კახეთი	გურჯაანი	მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე, სოფელ ვეჯინში განხორციელდა ხევის ნაწილობრივი განმენდა.
კახეთი	თელავი	1) მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე, განხორციელდა სოფელ ლაფანყურში სოფლიდან სასაფლაოსკენ მიმავალი გზის მოსწორება/ მოხრეშვა. 2) მოქალაქის განცხადებების საფუძველზე, ქ. თელავში განხორციელდა ქეთევან ნამებულის ქუჩაზე მდებარე №5, №7 და №9 კორპუსებთან მიმდებარე სერვიტუტით დატვირთული გზის მოწესრიგება, სანიაღვრე კოლექტორების დამონტაჟება და ქუჩაზე გამავალი არხის განმენდა.
კახეთი	საგარეჯო	მოქალაქის მიერ შეტანილი განცხადებების საფუძველზე, განხორციელდა სტალინის ქუჩის გზის გასწორება და სანიაღვრე არხების გაკეთება.
გურია	ოზურგეთი	მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გაითვალისწინა ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებული თითქმის ყველა შენიშვნა, კერძოდ, ამოღებულ იქნა ბიუჯეტში გათვალისწინებული არამინობრივი ხარჯები, გარდა პოლიციის ხარჯისა.
აჭარა	ქობულეთი	მოქალაქის მიერ საკრებულოში შეტანილი განცხადებების საფუძველზე, შეკეთდა სოფელ ციხისძირის დაზიანებული გზის მონაკვეთი.

ადგილობრივი ხელისუფლების დაპირებები:

რეგიონი	მუნიციპალიტეტი	შედეგი
სამეგრელო ზემო სვანეთი	ზუგდიდი	სარეკომენდაციო წერილისა და მოქალაქეთა ერთობლივი მოთხოვნის საფუძველზე, მარტი-აპრილის თვეებში დაიწყება ჭყონდიდელის ქუჩის პრობლემის შესწავლა და, დამატებითი სახსრების მოძიების შემთხვევაში, მოხდება აღნიშნული ქუჩის რეაბილიტაცია.
სამეგრელო ზემო სვანეთი	მესტია	მოქალაქეთა განცხადებებისა და საადვოკაციო შეხვედრის შედეგად, სოფელ ლატალში ხიდის აღდგენასთან დაკავშირებით, გამგეობის მხრიდან დაიდო 3 დაპირება: ა) უფრო მოკლე ხიდის პროექტის შემუშავება ბ) რკინა-ბეტონის კონსტრუქციის ხიდის პროექტის მომზადება გ) ხიდის მშენებლობისათვის საჭირო დაფინანსების მოძიება.
სამეგრელო ზემო სვანეთი	ჩხოროწყუ	მოქალაქეების მიერ სარეკომენდაციო წერილში დაყენებული საკითხებიდან ადგილობრივი თვითმმართველობის დაპირებით: 1) სოფლების (ლენურნუმე, ჭოლა, ხაბუმე, ჯუმითი, ენერი, ნაფიჩხოვი-თაია მუხურის დამაკავშირებელი გაზა) შიდა გზების საკითხი მოგვარდება სოფლის განვითარების პროექტის ფარგლებში; 2) სასმელი წყლის სისტემის მოწესრიგებასთან დაკავშირებით ხაბუმესა და ენერის თემში, მომზადებულია პროექტი, რომელიც გადაგზავნილია ცენტრალურ დონეზე. თვითმმართველობა, დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში, მზადაა პრობლემის მოგვარებაში ჩაერთოს 30%-იანი თანადაფინანსებით. 3) მოქალაქეთა განცხადებებისა და საადვოკაციო შეხვედრის შედეგად, ადგილობრივი ხელისუფლება დაპირდა მოქალაქეებს რეორგანიზაციის დამთავრებისთანავე რესურსცენტრის ხელმძღვანელთან შეხვედრას და სოფელ ჭოდის საბავშვო ბაღის საკითხის განხილვას, რომელიც, მისი აზრით, დადებითად გადაწყდება.

სამეგრელო ზემო სვანეთი	წალენჯიხა	1) მოქალაქეების მიერ სარეკომენდაციო წერილში აღნიშნულ კონკრეტულ მოთხოვნაზე, რომელიც ეხებოდა ქალაქის ცენტრში არსებულ ტერენტი გრანელის პარკში გასართობი მოედნის რეაბილიტაციას, გამგეობამ გასცა დაპირება, რომ აღნიშნული საკითხი 2011 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანისას იქნებოდა გათვალისწინებული. 2) მოქალაქეების განცხადებისა და საადვოკაციო შეხვედრის შედეგად, ადგილობრივი ხელისუფლებისგან მიღებულ იქნა დაპირება, რომ 2011 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის პერიოდში ჩასმული იქნება კონკრეტულად სააბულაძოს უბანში გარე განათების დამონტაჟება და სამუშაოები დაიწყება 2011 წლის გაზაფხულზე.
სამეგრელო ზემო სვანეთი	აბაშა	მოქალაქეთა განცხადებისა და საადვოკაციო შეხვედრის შედეგად, ადგილობრივი ხელისუფლების დაპირებით, მოხდება ბაღების ინსპექტირება და მარტის თვის ბოლოსთვის გაირკვევა, თუ რა თანხა გამოიყოფა კონკრეტულად სოფელ ტყვირის საბავშვო ბაღისთვის.
სამეგრელო ზემო სვანეთი	სენაკი	1) მოქალაქეთა მოთხოვნაზე, ეკის თემის გზის საფარის მოასფალტებასთან დაკავშირებით, შედგენილია პროექტი და დაყენებულია მოთხოვნა ცენტრალურ დონეზე. შესაბამისი სახსრების მოძიების შემთხვევაში, დაიწყება შესაბამისი სამუშაოების წარმოება. 2) მოქალაქეთა განცხადებისა და საადვოკაციო შეხვედრის შედეგად, მოქალაქეებს დაპირდნენ, რომ საწულებისკიროს თემში სპორტული მოედნის საფარის უხარისხოდ გაკეთების გამო, სამუშაოს შემსრულებელს მოსთხოვენ გაზაფხულზე ხარვეზის გამოსწორებას.
რაჭა ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	ცაგერი	მოქალაქეთა განცხადებისა და საადვოკაციო შეხვედრის შედეგად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა იმსჯელეს და მოქალაქეებს დაპირდნენ, რომ 2011 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის დროს გამოინახავენ სახსრებს სასმელი წყლის მიწების რეაბილიტაციისათვის.
რაჭა ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	ამბროლაური	მოქალაქეთა განცხადებისა და საადვოკაციო შეხვედრის შედეგად, ადგილობრივი ხელისუფლების დაპირებით, კორპუსებთან მისასვლელი გზის მონაკვეთების რეაბილიტაციისათვის გამოინახება სახსრები და 2011 წელს მონესრიგდება.
რაჭა ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	ონი	1) მოქალაქეთა განცხადებისა და საადვოკაციო შეხვედრის შედეგად, ადგილობრივი თვითმმართველობის დაპირებით, სოფელ პიპილეთის ხიდის მშენებლობა და სოფელ ჟაშქვის გზის რეაბილიტაცია განხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად. პროექტი წარდგენილია არასამთავრობო ორგანიზაცია „იფადში“. 2) გზების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით მოქალაქეთა მოთხოვნის საფუძველზე, მიმდინარეობს ქუჩების შერჩევა სამუშაოების სანარმოებლად.
იმერეთი	ხარაგაული	მოქალაქეთა განცხადებისა და საადვოკაციო საქმიანობის შედეგად, ადგილობრივი ხელისუფლების დაპირებით, უახლოეს მომავალში მოხდება სოფ. ბორში წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა და მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა.
იმერეთი	ქუთაისი	მოსახლეობის საადვოკაციო საქმიანობის შედეგად იგეგმება მრავალბინიანი სახლებიდან ბუნკერების გატანა. ასევე, უახლოეს მომავალში მოხდება ნიკეაზე არსებული ნაგავსაყრელის გადატანა.
იმერეთი	ტყიბული	მოქალაქეთა განცხადებისა და საადვოკაციო საქმიანობის შედეგად, ადგილობრივი ხელისუფლების დაპირებით, 2011 წლის მარტის თვიდან გაგრძელდება წყლის მიწების შეცვლა, რაც თავისთავად გაზრდის წყლის მიწოდების ხანგრძლივობას.

იმერეთი	ვანი	მოქალაქეების განცხადებებისა და საადვოკაციო შეხვედრის შედეგად, ადგილობრივი ხელისუფლების დაპირებით, სოფელ სალხინოში მდინარე სულორზე გამავალი ხიდის მოაჯირის რეაბილიტაციისათვის საჭირო თანხა სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში ან ადგილობრივ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის დროს იქნება გათვალისწინებული. მოქალაქეებმა მიიღეს დაპირება, რომ როგორც კი დაკონკრეტდება პრობლემის გადაჭრის გზა, ადგილობრივი თვითმმართველობა წერილობით მიაწვდის მოსახლეობას დეტალურ ინფორმაციას ამ საკითხის შესახებ. ვანის გამგებელმა საკითხი დააყენა საავტომობილო გზების დეპარტამენტთან საკითხის შესწავლის მიზნით და თხოვნით, რომ შესაძლებლობის ფარგლებში დასახონ ღონისძიებები ხიდის შემდგომი რეაბილიტაციისათვის.
იმერეთი	ხონი	მოქალაქეთა განცხადებისა და საადვოკაციო საქმიანობის შედეგად, გამგებლის დაპირებით, გაზაფხულისთვის მოხდება სასაფლაოსთან ნაგავსაყრელის ადგილის მოწყობა, ხოლო ქალაქის დასუფთავების სასახურს დაევალება, რომ თვეში ორჯერ მოახდინოს ამ ტერიტორიებიდან ნარჩენების გატანა და დასუფთავება.
იმერეთი	თერჯოლა	მოქალაქეთა განცხადებისა და საადვოკაციო შეხვედრის შედეგად, გამგებლის დაპირებით, სოფელ ჭოგნარის ეკლარის ისტორიულ წყარომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციის საკითხი აუცილებლად მოგვარდება 2011 წლის აპრილის დასაწყისისათვის.
იმერეთი	საჩხერე	მოქალაქეების განცხადებისა და საადვოკაციო შეხვედრის შედეგად, გამგებლის დაპირებით, სოფელ სავანისა და სოფელ ივანწმინდის წყალმომარაგების მოსაგვარებელი სამუშაოები დაიწყება 2011 წლის გაზაფხულიდან, თუმცა, საკითხის სრულად მოგვარება 2012 წლამდე ვერ მოხერხდება.
იმერეთი	ბაღდათი	მოქალაქეთა განცხადებისა და საადვოკაციო შეხვედრის შედეგად, ადგილობრივი ხელისუფლების დაპირებით, სოფელ დაფენილში ხიდის სრულყოფილი აღდგენა მოხდება 2011 წლის განმავლობაში.
იმერეთი	წყალტუბო	მოქალაქეთა განცხადებებისა და საადვოკაციო შეხვედრის შედეგად, ადგილობრივი ხელისუფლების დაპირებით, ახალი სანაგვე ყუთები დაიდგმება ასევე დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ადგილებში, სადაც განსაკუთრებული ანტისანიტარიაა. ასევე, ურნები დაიდგმება ქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე, ბრონეულას და კოპიტნარის დასახლებებში, საკურორტო დაწესებულებებში, ქუთაისი-სამტრედიის, წყალტუბო-ქუთაისისა და ქუთაისი-ხონის ავტომაგისტრალების გასწვრივ სანარმოებსა და დაწესებულებებში. ნაგავშემკრები ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა წარმოებს ყოველდღიურად.
იმერეთი	ზესტაფონი	მოქალაქეთა საადვოკაციო შეხვედრების შედეგად, იგეგმება აღმაშენებლის ქუჩაზე მრავალბინიანი სახლების გადახურვა და ლიფტების შეკეთება. შერჩევისას განსაკუთრებული ყურადღება მიენიჭება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებით დასახლებული ბინების რეაბილიტაციას.
იმერეთი	სამტრედია	ხელისუფლების დაპირებით, 2011 წელს პროგრამა „კორპუსის“ ფარგლებში, უკვე გათვალისწინებული გარდა, იგეგმება 6 მრავალბინიანი სახლის რეაბილიტაცია, ბიუჯეტის შესრულების 6 თვიანი შედეგების შეჯამების შემდეგ.
გურია	ოზურგეთი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტში უფასო სასწავლო კურსების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, საკრებულოს თავმჯდომარემ პირობა დადო, რომ აღნიშნულ საკითხს გაითვალისწინებენ საკრებულოს სამოქმედო გეგმაში, რომლის შემუშავებაც მიმდინარეობს. კონკურსის წესით, დაფინანსდება პროექტები, რომლებიც მოსახლეობას შესთავაზებენ უფასო მომსახურებას ამ კუთხით.
გურია	ჩოხატაური	საკრებულოს თავმჯდომარის დაპირებით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მოხდება უფასო სასწავლო კურსების ჩამოყალიბება და ამისათვის ბიუჯეტში თანხების მობილიზება.

გურია	ლანჩხუთი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში საკანალიზაციო სისტემის მონერვიგებასთან დაკავშირებით, იყო დაპირება, რომ გამგეობა ეცდებოდა მოაგვაროს ლოკალური პრობლემები, ხოლო რაც შეეხება გლობალურად საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციას, გააქტიურებს მუშაობას და 2012 წლისათვის შეეცდება, საბოლოოდ გადაჭრას აღნიშნული საკითხი.
მცხეთა მთიანეთი	დუშეთი	მოქალაქეთა განცხადებისა და საადვოკაციო შეხვედრის შედეგად, საკრებულოს თავმჯდომარის დაპირებით, უახლოეს მომავალში ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოთავისუფლებული თანხებით მოხდება სანჯავის შექმნა და ადგილობრივი თვითმმართველობის ბალანსზე რიცხული ტექნიკით დუშეთის მიმდებარე ხევის განმენდა.
მცხეთა მთიანეთი	მცხეთა	მოქალაქეების მიერ დასახელებულ პრობლემებთან დაკავშირებით, კერძოდ, შიდა გზების და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია, გასართობი დაწესებულებების არარსებობა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ აუცილებლად გადაიჭრება უახლოეს მომავალში.
მცხეთა მთიანეთი	ყაზბეგი	მოქალაქეთა განცხადებებისა და საადვოკაციო შეხვედრის შედეგად, ადგილობრივი ხელისუფლების დაპირებით, ინდივიდუალური ელექტრო გამრიცხველიანება ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მთლიანად დასრულდება 2012 წელს.
ქვემო ქართლი	წალკა	მოქალაქეთა განცხადებებისა და საადვოკაციო შეხვედრის შედეგად, ადგილობრივი ხელისუფლების დაპირებით, 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტში ასახული ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში, მოხდება საავადმყოფოებში არსებული პრობლემების მოგვარება და მათი აღჭურვა ახალი აპარატურით.
ქვემო ქართლი	რუსთავი	მოქალაქეთა განცხადებებისა და საადვოკაციო შეხვედრის შედეგად, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაიდო დაპირება რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით: 1) რუსთავის მშენებარე ახალი ნაგავსაყრელი მალე შევა ექსპლუატაციაში, რომელიც აღმოფხვრის ეკოლოგიური და ქალაქის დაბინძურების პრობლემას. 2) ბაგა-ბალების კეთილმოწყობის პრობლემასთან დაკავშირებით, რომელშიც გათვალისწინებულია როგორც შენობის რეაბილიტაცია, ისე მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა, გაირკვა, რომ აღნიშნული საკითხი საკრებულოს წარმომადგენლებისთვის არ იყო ცნობილი. მათი დაპირებით, მომავალი წლის ბიუჯეტში აუცილებლად გაითვალისწინებენ აღნიშნული პრობლემის მოგვარებას. 3) ჯანდაცვის სისტემასთან დაკავშირებით პრობლემის მოგვარება უკვე მიმდინარეობს, კერძოდ: ხდება საავადმყოფოების საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვა.
ქვემო ქართლი	მარნეული	მოქალაქეთა განცხადებებისა და საადვოკაციო შეხვედრის შედეგად, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაიდო დაპირება რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით: 1) კონოთეატრის მშენებლობა – შეხვედრაზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა დადეს დაპირება, რომ გამგეობა და საკრებულო დაინყებს მოლაპარაკებებს მშენებელ კომპანიასთან და არაუგვიანეს მიმდინარე წლის შუა პერიოდისათვის მშენებლობის პროცესი დასრულდება. საკრებულოს ერთ-ერთი წევრი დაინტერესდა აღნიშნული საკითხით, რომელსაც საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გაიტანს; 2) სულხან-საბასა და მუსხელიშვილის ქუჩებზე დაზიანებული ასფალტის საფარის რეაბილიტაცია დაინყება ამინდის გაუმჯობესებისთანავე. რაც შეეხება სულხან-საბას ქუჩას, მოქალაქე, რომელიც აღნიშნული ქუჩის მცხოვრებია და ესწრებოდა შეხვედრას, კერძო ვიზიტით დაიბარა საკრებულოს თავმჯდომარემ, რათა დაინყოს კონსულტაციები აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად. 3) მარნეულში მიმდინარეობს ახალი ბიბლიოთეკის მშენებლობა, რომელშიც, გამგეობის დაპირებით, ადგილობრივი ახალგაზრდები დასაქმდებიან.

ქვემო ქართლი	გარდაბანი	მოქალაქეთა განცხადებისა და საადვოკაციო საქმიანობის შედეგად, ადგილობრივი ხელისუფლების დაპირებით, 2011 წლის მარტის თვიდან დაინიშნება საცდელი სამარშრუტო ტაქსი ქალაქ გარდაბნის მაცხოვრებლებისათვის, რუსთავი-გარდაბნის საზღვარზე აშენდება ახალი ნაგავსაყრელები, ლელაშხის დასახლებაში დაიდგმება დამატებით ერთი სარეზერვო ნაგვის ურნა და 2011 წლიდან დაიწყება მანანწალა ძაღლების გაყვანა ქალაქ გარდაბნიდან.
შიდა ქართლი	გორი	მოქალაქეთა განცხადებებისა და საადვოკაციო შეხვედრის შედეგად, ადგილობრივი ხელისუფლების დაპირებით, სოფლების კარბი-მერეთის მონაკვეთის გზის რეაბილიტაციის საკითხს გაითვალისწინებენ მუნიციპალიტეტის დაფინანსებით გზების რეაბილიტაციის პროექტში, ხოლო თუ აღიშნული მოითხოვს დიდ თანხებს, ამ ეტაპზე მოხდება მხოლოდ მონაკვეთის მოხრეშვა, ხოლო მომავალ წელს – სრული რეაბილიტაცია.
შიდა ქართლი	კასპი	მოქალაქეთა განცხადებებისა და საადვოკაციო შეხვედრის შედეგად, ადგილობრივი ხელისუფლება დაპირდა მოსახლეობას, რომ სოფელ ზემო რენეს დაწყებითი სკოლის შენობის რეაბილიტაციის საკითხი გადაწყდება 4 მარტს სოფელ რენეში დაგეგმილ სოფლის კრებაზე. მათი განმარტებით, თუ მოსახლეობა მიიღებს გადაწყვეტილებას, სოფლის განვითარების პროექტის ფარგლებში გამოყოფილი თანხა მოხმარდეს შენობას, სადაც დაწყებითი საგანმანათლებლო კლასებია განთავსებული, საკითხი 2011 წელს გადაიჭრება. სოფლის კრება ჩატარდა 2011 წლის 4 მარტს, რომელზეც სოფლის მიერ გადაწყდა წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ხოლო სკოლის შენობის რეაბილიტაციას მხარი არ დაუჭირეს.
შიდა ქართლი	ბორჯომი	მოქალაქეთა სარეკომენდაციო წინადადებების შედეგად, (დასუფთავება, შიდა გზები, გარე განათება და სხვა) მოქალაქეებმა მიიღეს დაპირება ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან, რომ მომავალში აუცილებლად გაითვალისწინებენ ბიუჯეტის შემოსავლების პროპორციულად.
აჭარა	ქედა	თემის რწმუნებული დაპირდა მოსახლეობას, რომ პირადად აქტიურად ჩაერთვება პირველი მაისის სასოფლო კლუბის რემონტის პროცესში და მუნიციპალიტეტის გამგებელთან შევა წინადადებით, რომ ბიუჯეტის ცვლილებების დროს აუცილებლად მოხდეს საკითხის გათვალისწინება. ხოლო, თუ 2011 წლის ბიუჯეტში ვერ მოხერხდება საკითხის ჩასმა, 2012 წლის ბიუჯეტში აუცილებლად იქნება გათვალისწინებული. რაც შეეხება პირველი მაისის დაწყებითი საჯარო სკოლის რეაბილიტაციას, სამუშაოები განხორციელდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში. ხელისუფლების წარმომადგენლები ასევე დაპირდნენ მოქალაქეებს, რომ სასოფლო კლუბი და საჯარო სკოლა აღიჭურვება ახალი, თანამედროვე ინვენტარით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ, ორივე შემთხვევაში, მუშებისა და მშენებლების მოძიება მოხდება ადგილობრივ დონეზე, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას.

აჭარა	ბათუმი	<p>მოქალაქეთა განცხადებებისა და საადვოკაციო შეხვედრის შედეგად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ დაიღო დაპირება შემდეგ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) რიგ ქუჩებზე გარე განათების ამორტიზებული ბოძების შეცვლა; 2) სვიშევსკის ქუჩის სახელწოდების შეცვლა კოლექტიური განცხადების საფუძველზე; 3) ტაბიძის ქ.№8 მაცხოვრებლებისთვის სახლის სახურავის შეკეთება და სარდაფის გათავისუფლება ნყლისგან, ამხანაგობის მიერ შესაბამისი პროექტის წარდგენის შემდგომ; 4) მანანალა ძაღლების პრობლემის მოგვარება და საყოფაცხოვრებო წარჩენებისთვის ბუნკერებისა და კონტინერების დადგმა ქალაქის ბიუჯეტით არის გათვალისწინებული; 5) ბაგრატიონის ადმინისტრაციის გარკვეული მიმართულებით (ბესიკის, ოსტროვსკის, მოსკოვის ქუჩებისა და ვაჟა ფშაველას, ლუკა ასათიანის ქუჩების კვეთა) მოსახლეობისათვის ორი ახალი სამარშრუტო სქემის ამოქმედებას ან მუნიციპალური ტრანსპორტის დანიშნავსთან დაკავშირებით იყო დაპირება, რომ 2011 წლის მარტში დაგეგმილი განმეორებითი კონკურსის ჩატარება ადგილობრივ სამგზავრო გადაყვანაზე გადამზიდველთა გამოვლენის მიზნით, რის შემდეგაც ქალაქის ფარგლებში საქალაქო ტრანსპორტით გადაადგილების პრობლემა აღმოიფხვრება. ქალაქის ტერიტორიაზე გაჩერებების სისტემის ამოქმედების შემდეგ აღნიშნული დასახლების მოსახლეობას შესაძლებლობა მიეცემა, ისარგებლოს მუნიციპალური ტრანსპორტით, რომლის მარშრუტიც დაიგეგმება მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.
აჭარა	ქობულეთი	<ol style="list-style-type: none"> 1) სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მოსახლეობისათვის სასუქების შეღავათიან ფასებში მიწოდება – რომლებთან დაკავშირებითაც შეტანილ სარეკომენდაციო წერილზე მოქალაქეებმა მიიღეს დაპირება, რომ აღნიშნული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება მომავალი წლების ბიუჯეტის ფორმირების დროს; 2) რიგ სოფლებში გარე განათების ბოძები შეიცვლება; 3) სოფლის გზების რეაბილიტაციის თანხები გათვალისწინებული იქნება სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში; 4) მოხდება „ჩეხედინეს“ გზის განმეორებითი რეაბილიტაცია; 5) ბიუჯეტში ცვლილებების დროს გათვალისწინებული იქნება სანიაღვრე არხების განმენდითი სამუშაოები.
აჭარა	ხელვაჩაური	<p>მოქალაქეთა განცხადებებისა და საადვოკაციო შეხვედრის შედეგად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ დაიღო დაპირება შემდეგ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) ტრანსპორტის მოსაცდელის მშენებლობის (სოფ. ყოროლისავი) თანხა გათვალისწინებული იქნება ბიუჯეტში, ხოლო სოფ. სიმონეთის მოსახლეობამ მიიღო დაპირება, რომ საჭირო თანხა ჩაიდება ბიუჯეტის ცვლილებების დროს; 2) კერძო კომპანიას, რომელიც აწარმოებს სოფ. სიმონეთის სტადიონის მშენებლობას, დაუკავშირდებიან საკითხის გასარკვევად (აღნიშნულ კომპანიას უკვე შექმნილი აქვს მავთულის ღობე მშენებლობის დასრულებისათვის) და შესრულებული სამუშაოსათვის ჰონორარის მიცემის საკითხსაც გაარკვევენ.
სამცხე ჯავახეთი	ადიგენი	<p>საადვოკაციო შეხვედრის დროს გაირკვა, რომ დაბის შიდა გზების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით შემუშავებული ინვესტირების პროექტი და გადაგზავნილია შესაბამის საკორდინაციო ცენტრში. რაც შეეხება დასუფთავების პრობლემას, იგი მოგვარდება 2011 წელს, ტენდერის გამოცხადების შემდეგ. ხოლო სოფ. ბოლაჯურში სარწყავი ნყლის საკითხი გადაიჭრება კერძო პირის მიერ. ამაზე იზრუნებს თვითონ სოფლის მკვიდრი, რომელიც სოფლის მოსახლეობას ამ პრობლემის მოგვარებას დაპირდა.</p>

სამცხე ჯავახეთი	ასპინძა	საადვოკაციო შეხვედრაზე თვითმმართველობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სარეკომენდაციო წინადადებებს აუცილებლად გაითვალისწინებენ. ასევე აღნიშნეს, რომ მოქალაქეების მიერ შეხვედრაზე დასმული პრობლემები სარწყავ სისტემასა და გარე განათებასთან დაკავშირებით საყურადღებოა და აუცილებლად იქნება გათვალისწინებული ასპინძის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში, განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტის მუხლით.
კახეთი	სიღნაღი	მოქალაქეთა განცხადებებისა და ჩატარებული მრგვალი მაგიდის შედეგად, საკრებულოს თავმჯდომარისგან მიღებულია დაპირება ქალაქის 24 საათიანი წყლით მომარაგებისა და ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტაციის შესახებ.
კახეთი	საგარეჯო	სტალინის ქუჩაზე მცხოვრებმა მოქალაქეებმა მიიღეს საჯარო დაპირება საკრებულოს თავმჯდომარისა და სხვა პასუხისმგებელი პირებისაგან, რომ უახლოეს მომავალში მოხდება გზის რეაბილიტაცია, სანიღვრე არხების განმენდა-შეკეთება და სანაგვე ურნების დადგმა.
კახეთი	დედოფლისწყარო	მოქალაქეთა განცხადებებისა და საადვოკაციო შეხვედრის შედეგად, ადგილობრივი ხელისუფლება დაპირდა მოქალაქეებს დედოფლისწყაროს გამარჯვების ქუჩის პრობლემის უფრო დეტალურად განხილვას და, ასევე, მის მიმდებარე პატარა ქუჩების მოასფალტებას უახლოეს მომავალში.
კახეთი	ახმეტა	მოქალაქეთა განცხადებისა და საადვოკაციო შეხვედრის შედეგად, საკრებულოს თავმჯდომარის დაპირებით, თუკი ცენტრალური ბიუჯეტიდან განხედება ფინანსები, რომელიც გათვალისწინებული იქნება გზების რეაბილიტაციაზე, პრიორიტეტი მიენიჭება საბეროს გზის მშენებლობას. ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყოველთვის იქნება შესაძლებელი, რომ, დაზიანების შემთხვევაში, გზა ნაწილობრივ შეკეთდეს.
კახეთი	ყვარელი	მოქალაქეთა განცხადებებისა და შეხვედრების საფუძველზე, 2011 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ფართოეკრანიანი მონიტორის დამონტაჟება ქალაქის ცენტრში.
კახეთი	ლაგოდეხი	შეტანილი განცხადების განხილვისა და პირადი შეხვედრების შედეგად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ გაგზავნილი იქნა წერილი საქართველოს საგზაო დეპარტამენტის თავმჯდომარის სახელზე, ლაგოდეხში მდინარე შრომის ხევზე მდებარე ხიდის დაზიანებული მოაჯირის შეკეთების თაობაზე, რაც საფრთხეს უქმნის მოქალაქებს.
კახეთი	გურჯაანი	მოქალაქეთა განცხადებებისა და საადვოკაციო შეხვედრის შედეგად, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაიდო დაპირება უახლოეს მომავალში ვეჯინის ხევის სრული განმენდის თაობაზე.
კახეთი	თელავი	მოქალაქეთა განცხადებებისა და საადვოკაციო შეხვედრის შედეგად, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაიდო დაპირება რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით: 1) სასაფლაოსთან მისასავლელი გზის რეაბილიტაციის თაობაზე, შესაბამის სამსახურს დაევალა, შეადგინოს პროექტი. სპეციალისტებმა ადგილზე შეისწავლონ მდგომარეობა და გაკეთდეს შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა; 2) სოფლის საკუთრებაში არსებულ ტექნიკას გამოეყოფა სანვავი სადრენაჟო არხის გასაკეთებელი სამუშაოებისათვის; 3) სოფელ სანიორეში დეტალურად შეისწავლიან სასმელი წყლის მიღების საკითხს და გამართავენ შეხვედრებს მოსახლეობასთან; 4) მოქალაქის მიერ შეტანილ განცხადებაში სოფელ სანიორესთან დაკავშირებით დასმული პრობლემის დეტალების გასარკვევად, აღნიშნული მოქალაქე კერძო შეხვედრაზე დაიბარეს გამგეობის შესაბამის სამსახურში, სადაც დაპირდნენ რომ აღნიშნული პრობლემა გათვალისწინებული იქნება უახლოეს მომავალში; 5) მოქალაქეთა განცხადებებისა და საადვოკაციო საქმიანობების შედეგად, ადგილობრივი ხელისუფლების დაპირებით, ქ. თელავში სანიღვრე არხებისა და ბორდიურების საკითხი გათვალისწინებულ იქნება 2011 წლის ბიუჯეტში.

მოქალაქეთა ჩართულობა და ადგილობრივი ხელისუფლების დამოკიდებულება

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ პროექტის განხორციელების პერიოდში, ადგილობრივი ხელისუფლება, უმრავლეს შემთხვევაში, საკმაოდ პოზიტიურად ხვდებოდა მოქალაქეების მხრიდან გამოვლენილ ინტერესს, გაცნობოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ყოველდღიურ საქმიანობას და მათთან ერთად, ურთიერთთანამშრომლობის გზით, მოეგვარებინათ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალი მოწვევის საკრებულოს წევრები, წინა მოწვევის მუნიციპალური ხელისუფლებისგან განსხვავებით, უფრო მეტად იყვნენ მოტივირებულები, რომ გადაეწყვიტათ ის საკითხები, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას აწუხებდა. ამ მიმართულებით მათი აქტიურობა გამოიხატებოდა იმაში, რომ ბიუჯეტის ფორმირების წინა პერიოდში ისინი აქტიურად ხვდებოდნენ მოსახლეობას და ახდენდნენ საჭიროებებისა და პრობლემების იდენტიფიცირებას, ამასთან, აწყობდნენ ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვებს, რამაც ხელი შეუწყო 2011 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში მოსახლეობის პრიორიტეტების ნაწილობრივ მაინც გათვალისწინებას.

ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან შეინიშნებოდა განსხვავებული მიდგომა მოქალაქეთა გააქტიურებისა და ჩართულობის მიმართ. ზოგადად, უმეტეს შემთხვევაში, ადგილობრივმა ხელისუფლებამ დადებითად შეაფასა მოქალაქეთა მიერ გამოჩენილი ინიციატივა და მათ მიერ წარდგენილი მოსაზრებები, შენიშვნები და სარეკომენდაციო წინადადებები. მაგალითად, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მონიტორინგის განხორციელების პერიოდში გარკვეული ხარვეზები დაფიქსირდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში საჯარო ინფორმაციის დროულად გაცემის კუთხით, ზუგდიდის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან დადებითად შეფასდა მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფების მიერ სარეკომენდაციო წინადადებების წარდგენის ფაქტი და აღინიშნა, რომ მოსახლეობის მიერ ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმირება მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ მუდმივად უნდა ხორციელდებოდეს მოქალაქეთა შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის გზით, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ურთიერთთანამშრომლობას. ეს კი, თავის მხრივ, ეფექტურს გახდის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობას ადგილობრივი პრობლემების მოგვარების კუთხით.

თუმცა, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ადგილობრივ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ისინი სრულად არიან ინფორმირებულები მოსახლეობისათვის აქტუალური პრობლემების თაობაზე და არ საჭიროებენ „მითითებებს“ სამოქალაქო ორგანიზაციებისა თუ ცალკეული მოქალაქეების მხრიდან. ამის ერთ-ერთი მაგალითია ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების მიერ საადვოკაციო შეხვედრის დროს გამოვლენილი დამოკიდებულება. შეხვერაზე მათ აღნიშნეს, რომ სისტემატურად აწარმოებენ მოსახლეობის გამოკითხვას მათი საჭიროებების თაობაზე, შესაბამისად, ზედმეტად მიიჩნიეს მოქალაქეთა მიერ შეხვედრაზე გამოთქმული მოსაზრებები.

ზოგიერთ შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ნეგატიურმა განწყობამ გამოიწვია მოქალაქეების მიერ პროექტის დატოვება და სხვა მოქალაქეების პასიურობაც. ამის მაგალითია ბაღდათის, ჩოხატაურის, დუშეთის მუნიციპალიტეტებში დაფიქსირებული შემთხვევები.²⁵ ასეთი დამოკიდებულებით ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ მონიტორინგის დაწყებამდე ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობების მიმართ მოსახლეობის ინტერესი საკმაოდ დაბალი იყო. იშვიათად ხდებოდა მოქალაქეთა მიერ ინდივიდუალური განცხადებების წარდგენა, სხდომებზე დასწრება, საბიუჯეტო პროცესებში ჩართულობა. ამ კუთხით მოქალაქეების გააქტიურებამ და მათი მხრიდან ინტერესის ამაღლამ დაბადა გარკვეული ეჭვები და კითხვები ადგილობრივ ხელისუფლებაში, რამაც, თავის მხრივ, გარკვეული ზეგავლენა მოახდინა მოქალაქეების აქტიურობის ხარისხზე და, ზოგ შემთხვევაში, გამოიწვია მათი ჩართულობის შემცირება. ამის სავარაუდო მიზეზი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მუნიციპალიტეტებში, განსაკუთრებით სოფლებში, თითქმის ყველა ადგილობრივი მაცხოვრებელი, მათ შორის, მოქალაქეები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ერთმანეთს იცნობენ. ამასთან, შესაძლოა მოქალაქეების უმეტესობას ჰქონდა გარკვეული შიში იმისა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ზედმეტად „მენუხების“ გამო „ველარ დაიმკვიდრებდნენ“ ადგილს საკუთარ მუნიციპალიტეტში.

ცალკეულ შემთხვევებში, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ადგილობრივმა თვითმმართველობამ გამოხატა მზადყოფნა, დახვეწოს მისი საქმიანობა გამჭვირვალობისა და ღიაობის მიმართულებით, რომლის კარგ მაგალითს წარმოადგენს გორის მუნიციპალიტეტი, სადაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ გაითვალისწინა წარდგენილი რეკომენდაციები საკრებულოს სხდომების შესახებ საზოგადოების ინფორმებისა და საკრებულოს სხდომებზე მოქალაქეთა განცხადებების განხილვის წესების გაუმჯობესების თაობაზე.²⁶ დადებითი ტენდენცია შეიმჩნევა ოზურგეთის მუნიციპალიტეტშიც, რაც იმაში გამოიხატება, რომ საზო-

²⁵ დაწვრილებით იხილეთ საჯარო ინფორმაციის ქვეთავში.

²⁶ დაწვრილებით იხილეთ საჯარო ინფორმაციის ქვეთავში.

გადგომისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა ხდება საჯაროდ, საკრებულოს მიერ ორგანიზებული შეხვედრებზე. მაგალითად, საჯარო განხილვები დაეთმო ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა თვითმმართველობის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე მოსაკრებლის შემოღება და ა.შ.

ხშირ შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობები ცდილობდნენ, კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით მოეხდინათ რეაგირება მოქალაქეთა კანონიერ მოთხოვნებზე. თუმცა, ეს შესაძლოა განპირობებული იყოს იმითაც, რომ ხშირად ადგილობრივი ხელისუფლებისათვის ცნობილი ხდებოდა, რომ მოქალაქეების მიერ განხორციელებული საქმიანობები საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული პროექტით იყო გათვალისწინებული და მოქალაქეები, იმავდროულად, არასამთავრობო ორგანიზაციების მონიტორებს წარმოადგენდნენ. ამის მაგალითად შეიძლება დასახელდეს როგორც ბალდათის, ასევე ამბროლაურის მუნიციპალიტეტში დაფიქსირებული ფაქტები.²⁷

საკანონმდებლო ხარვეზები

- ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების დროებითი უფლებამოსილება – განსაკუთრებულ შემთხვევებში, ნებაყოფლობით გადაწყვეტიონ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისათვის მატერიალურ-ტექნიკური დახმარების განწესი საკითხი – „კიდევ ერთი უკან გადადგმული ნაბიჯია ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერების და ქვეყანაში დეცენტრალიზაციის ხარისხის დეკლარებული მიზნის მიღწევაში“.²⁸ საინტერესოა ის გარემოება, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისათვის მატერიალურ-ტექნიკური დახმარების განწესი კუთხით „ნებაყოფლობით“ განეული ხარჯები 2006 წლის 1 იანვრიდან კანონიერად გამოცხადდა. დროებითი წესი, რომელიც 2009 წლის ცვლილებების შემდეგ 2011 წლის 1 იანვრამდე იყო ძალაში, კიდევ 2 წლით გაგრძელდა. შესაბამისად, ჩაინერა, რომ აღნიშნული დებულების მოქმედება 2013 წლის 1 იანვრამდეა ძალაში. საყურადღებოა ის გარემოება, რომ, აღნიშნული დანახვით, ადგილობრივ თვითმმართველობებს საკუთარი ბიუჯეტიდან უნევს მნიშვნელოვანი ხარჯების გაღება ისეთ მიმართულებებზე, რომლებიც არ შედის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის არც საკუთარ და არც დელეგირებულ უფლებამოსილებაში.
- ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების პრიორიტეტების დოკუმენტის მიღებაში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო (საკრებულო) ნაკლებად არის ჩართული. არსებული მდგომარეობით, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო არ იღებს მონაწილეობას პრიორიტეტების განსაზღვრაში, ვინაიდან საკრებულო პრიორიტეტებს და მასთან შესაბამისობაში მოყვანილ ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტს მხოლოდ 15 ნოემბრისათვის ეცნობა. იმ შემთხვევაში, თუ საკრებულომ პრიორიტეტები არ მოიწონა, მისი შეცვლის დრო პრაქტიკულად აღარ არსებობს, რადგან ბიუჯეტის დამტკიცება ვერ განხორციელდება კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში. საბოლოოდ, ვიღებთ პრიორიტეტების დოკუმენტს, რომლის დამტკიცებაში წარმომადგენლობითი ორგანოს მონაწილეობა არ მიუღია. ყოველივე ეს წარმომადგენლობითი ორგანოს სრულ იგნორირებას უნევს და თვითმმართველობის დამოუკიდებლობის ხარისხზე პირდაპირ პროპორციულად აისახება.
- იმ ცვლილებებთან მიმართებით, რომლებიც ამოქმედდა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების შემდეგ, გარკვეული გაუგებრობა გამოიწვია გამგებლის (მერის) უფლებამოსილებებთან დაკავშირებულმა საკითხმა. კონკრეტულად, საუბარი ეხება ორგანული კანონის იმ მუხლებს, რომლითაც გამგებელს (მერს), რომელიც საჯარო სამსახურის შესახებ კანონის თანახმად, ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებლის (მერის) სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს და გამგებლის (მერის) სხვა თანამშრომლებს, საკრებულოთა თავმჯდომარის თანხმობის გარეშე, უფლება არ აქვს, წახალისოს ან გამოიყენოს მათ მიმართ დისციპლინური ღონისძიებები.²⁹ აღნიშნული დებულებები საჭიროებს დამატებით დაზუსტებას.
- მუნიციპალიტეტებში არ არის დანერგილი საბიუჯეტო განაცხადის ფორმა, რომლის მიხედვითაც, მხარჯავი ორგანიზაციები გააკეთებენ თანხების მოთხოვნას. მხარჯავი ორგანიზაციები აწოდებენ მოთხოვნას, რომლებშიც განსაზღვრულია მხოლოდ თანხის საჭიროება, მაგრამ არ არის განერილი, თუ რა სამუშაო ან მომსახურება უნდა განიონ.

²⁷ დაწვრილებით იხილეთ საჯარო ინფორმაციის ქვეთავში.

²⁸ „ადგილობრივი თვითმმართველობის ხარჯვითი პოლიტიკა საქართველოში“, ანალიტიკური კვლევა. „კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევის ინსტიტუტი“ — CIESR. თბილისი, 2009წ. გვ. 14.

²⁹ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“. მუხლი 33.3; მუხლი 39.3.

რეკომენდაციები

- ისეთი კატეგორიის საჯარო ინფორმაცია, რომელიც არ ითხოვს 10 დღიანი ვადის გამოყენებას, გაცემულ იქნეს კანონმდებლობით დადგენილი წესით – დაუყოვნებლივ.
- განხორციელდეს მოსახლეობის ინფორმირება დაგეგმილი სხდომების ჩატარების, ადგილის, დროის, სხდომაზე განსახილველი საკითხების და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. ამისათვის მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, საზოგადოების თავშეყრის ადგილებზე არსებული სტენდები და პოსტერები.
- ადგილობრივი ტეროტორიული ორგანოების ხელმძღვანელებმა (რწმუნებულებმა) მოახდინონ შესაბამისი ქალაქის, სოფლის, თემის, დაბის მოსახლეობის ინფორმირება მიმდინარე პროექტების და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.
- საკრებულოს სხდომებზე, მოქალაქეთა დასწრების მიზნით, მაქსიმალურად გამარტივდეს მოქალაქეთა საკრებულოს სხდომებზე დაშვების პროცედურული საკითხები.
- მაქსიმალურად უზრუნველყონ მოქალაქეთა ჩართულობა და აზრის გათვალისწინება ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე საკითხების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში პირადი და საჯარო შეხვედრების მეშვეობით.
- ადგილობრივმა ხელისუფლებამ უზრუნველყოს ბიუჯეტის და მასში შემავალი ცვლილებების პროექტის სრულყოფილი სახით გამოქვეყნება, რათა ნორმატიული აქტების პროექტებს ახლდეს განმარტებითი ბარათები.
- ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშები სრულყოფილად იქნეს განერილი და მოიცავდეს ერთგვარ ანალიზს ბიუჯეტის შესრულების შესახებ.
- დაცული იყოს კანონის მოთხოვნა სარეზერვო ფონდიდან თანხების მიზნობრივ ხარჯვაზე.
- შემცირდეს ადმინისტრაციული ხარჯების დაუსაბუთებელი ზრდის ტენდენცია.
- ადგილობრივი ბიუჯეტების პროექტების დამტკიცება არ მოხდეს რიგგარეშე სხდომებზე.
- ადგილობრივი თვითმმართველობების დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, აიკრძალოს მატერიალურ-ტექნიკური ხარჯების განხრის უფლება იმ საქმიანობის დასაფინანსებლად, რომელიც არ შედის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის არც საკუთარ და არც დელეგირებულ უფლებამოსილებებში.
- შემუშავებულ იქნეს საბიუჯეტო განაცხადის სპეციალური ფორმები მხარჯავი ორგანიზაციებისათვის.
- საკანონმდებლო დონეზე მოხდეს გამგეობის (მერის) უფლებამოსილებების დეტალური რეგლამენტაცია.
- დაზუსტდეს გამგებლის (მერის) დანიშვნის წესი.
- გამგეობას (მერიას) დაევალოს პრიორიტეტების დოკუმენტის საკრებულოსათვის წარდგენა არა უგვიანეს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის 15 ივლისამდე.